

114
1957/3

Handwritten number: 114/3
Library stamp: 1957/3
Rectangular stamp: [Illegible]

მნათობი

35

3

80600



1957

მ ნ ა თ მ რ



ხ მ ვ ე ლ თ მ ი შ რ ი ლ ი ბ რ ა ტ შ რ უ ლ - მ ხ ა ტ ვ რ უ ლ ი
და ს ა ზ მ ბ ა დ მ ე ბ ჩ ი მ ვ - კ მ ლ ი ბ ი ბ შ რ ი შ შ რ ნ ა ლ ი

წელიწადი 34-ე

№ 3

მარტი, 1957 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

შ ი ნ ა კ რ ს ი

გრიგოლ აბაშიძე — ლაშარელა, რომანი. გაგრძელება	33
ნიკოლოზ ტაბინიძე — უცნობ მშობილს, ლექსი. თარგმანი თამარ ერისთავისა	3
ლადო ხელაბერიძე — ლექსები	52
ლადო ზალიაური — ვაკიშვილი, მოთხრობა	53
აღიკო შენგელა — ხელ კარგი დარი იქნება, ლექსი	54
შოთა ნიშნიანიძე — ლექსები	60
ირაკლი არაბული — ლექსები	61
ოლეგ ნოისიძე — მეცხრე ტალღა, ნარკვევი	63
ნილოვან ნარიშანიძე — ლექსები	64
კოსტა ხეთაგურთვი — იძირებოდა ლურჯ ეთერში. ლექსი, თარგმანი ' ხარიტონ ვარდო- შვილისა	69
რეზო ჩოჩიძე — ბურბორხის მთავ... ლექსი, თარგმანი ოთარ კუპრავასი	71
ილია პლიევი — ლექსები, თარგმანი მარი აბრამიშვილისა	71
კოსტა მარგაივი — ლექსები, თარგმანი ხარიტონ ვარდოშვილისა	72
ალექსანდრე ტოლსტოი — ტანჯვის გზაზე. ნაწვევი რომანიდან. თარგმანი ეთერ როსტომ- შვილისა	73
ბილ-ბელოცერკოვსკი — კარგი გაკვეთილი, მოთხრობა, თარგმანი ერასტი ტროტაძისა	74
	84

ქ რ ი ბ ი კ ა და კ უ ზ ლ ი ც ი ს ბ ი კ ა

დავით მაისურაძე — სოციალიზმის მშენებლობა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმი	91
გ. მშვიდლოძე — თებერვლის რევოლუცია	99
ფარნაოზ ფრთელიშვილი — ანდაზის ცნების საკითხისათვის	102
ილ. გვახარია — აბულყასემ ლაშეთი.	110
მუგო ზუბერტი — რუსთაველის სახის ძიებაში...	113
დ. სტურუა — თანამედროვე ლიტერატურული ცხოვრების ზოგადი საკითხი	118
პეტრე მახტურიძე — აბალაგაზრდა პოეტის შესაძლებლობანი	125
დამიტრი ქუმისიშვილი — საკუთარი გზით	132

იხ. მე-2 გვ.





აკაკი ბელიაშვილი — მეგობრული შენიშვნები

ლიბერატურული მემკვიდრეობა

დავით გამეზარდაშვილი — ილია ქავეჭავაძის ლიტერატურული შეხედულებები	146
შოთა ძიძიგური — ფურცლები ენის სიწმინდისათვის ბრძოლის ისტორიიდან	160
მაია ქავთარაძე — ბელიანსკა — ფრანგული ლიტერატურის კრიტიკოსი ფურნალ „სოფრე-მენიკვი“	171
ციალა თოფურაძე — პენრი უორდსუორთ ლონგფელა	180

ხელოვნების საკითხები

გივი გოგინაიშვილი — ელო ანდრონიკაშვილი	184
შალვა აღმაშვილი — ედუარდ მანე	186

წიგნების მიმოსილვა

არკ. ხუნდაძე — ნინო ნაკაშიძის „მოგონებები“	188
ნ. კუპარავა — წიგნი ირაკლი აბაშიძის პოეზიაზე	190
შალვა ღლონტი — საყურადღებო ნაშრომი მხატვრული ნაწარმოების ენისა და სტილის საკითხებზე	191

რედაქტორი ს. ჩიქოვანი

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ა ო კ ო ლ ე გ ი ა :

დ. ბენაშვილი, ლ. კალანდაძე (პ/მგ. მდივანი), კ. ლორთქიფანიძე, პ. რატინი, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ., № 63. ტელეფონი 2-13-42, 2-11-66.

ზეღმწერილია დასაბეჭდად 3/IV-57 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 12. შეკვეთა № 125. ფე 00048. ანაწილის ზომა 7 1/4 X 12 1/2. ქაღალდის ზომა 70 X 108. ტირაჟი 6000.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს შთავაზოლიგრაფიკამოცემლობის ბეჭდვითი სატყვის კომბინატი. თბილისი, შარჯანიშვილის ქ. 5.



გრიგორ აბაშიძე



ღაგარეღა*

თავი მეთერთმეტე

ღაღოქეზული ხელმწიფე

მეფეთაგან სამს ინლომებენ ვეზირნა:
ყურისა მიპარობასა, სიტყვისა გავო-
ნებასა და რჩევის დაჯერებასა,
საბა-სულხან ორბელიანი

ღაშა ბაეშეობიდან იყო შეჩვეული ომსა და ღაშქრობას. ჯერ კიდევ თორმეტი წლის უფლისწული ქართველთაგან კარნუქალაქის აღებაში მონაწილეობდა. დამარცხებულმა მეციხოვნეებმა ქალაქის კლიტეები ყრმა უფლისწულს ჩააბარეს, ღაშა ქალაქში შევიდა და თვითონ მიითვალა ციხე-სიმაგრეები.

მას შემდეგ არა ერთ ომში მიუღია მონაწილეობა ტანტის მემკვიდრეს და ყველგან სიმხნე და მამაცობა გამოუჩენია.

ახლაც იგი ისე მიდიოდა საომრად, თითქოს ღახინში ყოფილიყოს შიპატიეებულნი.

ავადმყოფობის შემდეგ სრულიად გამოჯანმრთელებული, რბევასა და ღაშქრობას მონატრებული მეფე იმ დროითთვის უზარმაზარ არმიას მიუძღოდა წინ.

მეფე უკვე შეურიგდა იმ უბედურ აზრს, რომ მისი ღიღის ცდით საქართველოს სამოყვროდა და შემწედ ნაწვევი ყივჩაღთა სპის წინააღმდეგ უნდა ებრძოლა, მაგრამ ბრძოლა მანც ბრძოლა იყო და ფათერაკებისა და ხიფათების მოყვარულ მეფეს გული ახალი თავგადასავლებისკენ მიუწევდა.

ძღვეამოსილ ქართველთა ღაშქარს განძამდე წინ ვერაიენ აღუდგა. გზად-გზა ყველაფერი მოარბიეს, ურიცხვი ტყვე და ალაფი წაიძლვარეს და ბოლოს თვითონ განძას მიადგნენ.

განძის ათბაგი ქართველებთან ომს ელოდა და ქალაქი კარგად გაემაგრებინა, ციხისათვის ახალი ზღუდე და ფართო თხრილები მოეწყო ირგვლივ, დიდძალი სურსათი შეეტანა და ქალაქი ხანგრძლივი ალყისათვის მოემზადებინა.

გულმტყიცედ იჯდა სიმაგრეში განძის ათბაგი. საქართველოსგან გამდგარი ყმადნაფიცი იმდენად თავის იმედს ციხის სიმტყიცესა და შეუვალობაზე როდი ამყარებდა, რამდენადაც ცოტახნის წინათ დაქირავებულ ყივჩაღთა ორმოცი ათასიან ღაშქრის ძალასა და ბრძოლის უნარზე.

ქართველებმა იცოდნენ განძის ათბაგის გაქედმალლების მიზეზი, მათ განძასთან ბრძოლის, მისი ალყისა და აღების აღრინდელი გამოცდილებაც ჰქონდათ და ქალაქის პირდაპირ იერიშს მისი გარემოცვა არჩიეს.

მეფის ღაშქარმა ქალაქს ალყა შემოარტყა, დანარჩენი ქვეყნისაგან მოსწყვიტა და ღინჯად დაუწყო ღოღინი ციხის გატეხას.

ქალაქიდან ყოველდღე აწყობდნენ გამოზღომას მამაცი მეციხოვნეები, აქედან გარემომცველები უტევდნენ და იყო წვრილ-წვრილი, მაგრამ სისხლისმღვრელი, გაუთავებელი ბრძოლები.

პირველ ხანებში მეფეს ეს პატარა შეტაკებები ართობდა, თვითონ წინ გამოდიოდა და ხმალამოღებლი საბრძოლველად იწვევდა განძელ რჩეულებს, უკან შექცეულებს ცხენდაცხენ ციხის კარამდე სდევდა და ბანაკში მზიარული სიმღერით ბრუნდებოდა ხოლმე.

როცა ბრძოლა არ იყო, ნადირობითა და ბურთობით ერთობოდა, ხანაც განძის საუკეთესო ღვინის სმით კლავდა ღროს.

ბოლოს ესეც მოსწყინდა ქაბუკ მეფეს და ბანაკში ყოფნა დაუმძიმდა.

ალყა გრძელდებოდა, ხოლო ალყა-შემორტყმულები დანებებისა და დამორჩილების ნაცვლად კიდევ უფრო მეტ სიმტკიცესა და სითამამეს იჩენდნენ.

მათი თავხედობა იქამდე მიდიოდა, რომ ციხის გოდოლზე ქართველთა მეფის სახელ გაკეთებული საფრთხობელა გამოჰკიდეს. ამ საფრთხობელას ტანად ღვინის რუმბი ჰქონდა, თავის ნაცვლად გოგრა ედგა და ზედ გვირგვინის მაგივრად გატეხილი ქოთანნი ეხურა. ცალ ხელში ამ თოჯინისათვის ხმლის მაგივრად მწვადაცმული შამფური მიეცათ, ხოლო მეორეში — სკობტრის ნაცვლად — უშველებელი ყანწი.

მეფის თავისუფალი ზნის ამ ვარიკატურას ახვეული ცალი თვალი აგვირგვინებდა — იგი ქართველი გვირგვინოსნის უკანასკნელ ფათერაკს ახსენებდა მნახველებს.

ამ ფიტულს მთელ დღეს ქართველთა დასანახად გალავნის თავზე დაასერირებდნენ, ლაყე კვერცხებსა და დამბალ ვაშლებს ესროდნენ და თან უკანასკნელი სიტყვებით გინებას აყოლებდნენ.

ქართველები ამ სანახაობისაგან პირს იბრუნებდნენ ხოლმე და ყურებში თითებს იციობდნენ, რომ მეფის უწმაწური გინება არ გაეგონათ.

მეფესა და მის ერთგულ მხედრობას უფრო ის აღონებდა, რომ არაფრით არ შეეძლოთ თავგასული მეციხოვნეებისათვის სამაგიეროს გადახდა, ციხე შეუვალი იყო, ხოლო გარეთ დიდი ლაშქარი არასოდეს გამოდიოდა, რომ გადამწყვეტ ბრძოლაში გასწორებოდნენ თავებელ განძელებს.

მეფე სხვაზე მეტად წუხდა გარემოცვის ესოდენ გაგრძელებას. ამდენხანს ბანაკად დგომა და უმოქმედობა

ლაშას თანამოასაყევბსაც მოსწყინდათ და მათგან მეფესთან უფრო მზღობულები — ბექა ჯაყელი, თორღვა პანკელი, ბიბლა გურკელი და მეზნი ბოცოსძე ხშირად აქეზებდნენ მეფეს ციხეზე გადამწყვეტი შეტევის დასაწყებად.

ლაშამ რამდენჯერმე გადაკრულად ჩამოავლო სიტყვა გარემოცვის გაკიანურებასა და ციხის იერიშის საჭიროებაზე, მაგრამ მარტო მხარგრძელმა კი არა, ორთავე მძათა ახალციხელთაც შორს დაიჭირეს, ლაშქარს ტყუილად შეეწყვეტთ და ასე გამაგრებულ ციხეს ვერაფერს დავაკლებთ, მით უფრო, რომ ციხეს ყიფნაღათა ძლიერი სპა იცავსო.

ჩვეულებრივ, სხვა ომებიდან თავიანთ სამთავროებისკენ მოსწრაფე ლიხთიქითელი მთავრებიც კი ციხეზე იერიშს და ჯარის უბრალოდ შეწყვეტას უზარობად თვლიდნენ.

მეფის გონება გამოცდილი სარდლების რჩევას ემორჩილებოდა, მაგრამ ქაბუკის სისხლი და ახალგაზრდული გული სხვას ეუბნებოდა, გადამწყვეტი ბრძოლისათვის აჩქარებდა.

— რა გახდა ეს განძის ციხე, რამდენჯერ აუღიათ იერიშით ქართველებს, ჩვენ ვისზე ნაკლები ვაჟაკები ვართ, რომ ასე გაგვიძნელდა?

— თუ ციხეს სუსტ ადგილს არ მოვეძებნით და ძალით არ შევეღწეათ, ეს ალყა შეიძლება ერთ წელიწადსაც გაგრძელდეს.

— თუ ომია, ომი იყოს, ციხეს შეტეხა უნდა, თორემ განძელები თავისით კარს არასოდეს არ გააკვილებენ...

ღელავდნენ მეფესავეთ ქაბუკი სარდლები და ლაშას ციხის საიერიშოდ იწვევდნენ.

მეფეს ეს აზრი გონებაში ჩაუჯდა და მოსვენებას აღარ აძლევდა.

ერთხელ ქეიფში შეუჩნდა ბექა ჯაყელი:

— მაგ ბებრებს ომის თავი აღარა აქვთ და ჩვენ მაგათ ხომ არ შევაჩერდებით, მცირე რაზმით შემოვლაროთ ციხეს, სუსტი ადგილი მოვეუნახოთ და მერე ყველაფერი გადავიღლებო.

შეზარბოშებულ მეფეს ისეც სისხლი უღუღლა, მეგობრების რჩევას აპყვა და ოთხი ათასი მესხი ცხენოსნით, ღამის სიბნელეში ამირსპასალარისა და ახალციხელების უცნობლად, გაემართა ციხის შემოსავლელად.

მეციხოვნეებმა მეფე იცნეს, ციხის კარი გააღეს და თავგამეტებით მიეტყინენ.

ციხიდან გამოსული ლაშქარი ურიცხვი იყო. განძელები და ყოჩაღები ირგვლივ მოერტყნენ ერთ მუკა ქართველებს და სასტიკად შეუტყის.

გაუპირდა მეფის სპას და სწორედ შენივთებულ ბრძოლის დროს დაპყრა ზურგში განძელებს ქართველების ახალმა რაზმმა. შუა გაცვეთეს მამულებმა განძელთა წყობა და მეფეს შეუერთდნენ.

მეფემ მხოლოდ დანახვა მოასწრო შალვა ახალციხელის: გახლებულ ლოშს ჰგავდა შალვა. ერთი პირგამეხებულმა მოხედა მეფეს და გრიგალივით დაბრუნდა ამოდენა ჯარში.

თვითონ მეფეც ზართა და ხმლის ჩახაჩუხით მიჰყვა უკან.

ახალციხელები დადიანის სტუმრად ყოფილიყვნენ და კარავში გვიან დაბრუნებულებს შეეტყოთ მეფის თვითნებური წასვლა ციხის შემოსავლელად. მეფის ერთგული სარდლები დიდად აღეშფოთებინა ლაშას უგუნურებას. მათი ხელქვეითი ლაშქარი თითქმის შთლიანად თან გაეყოლებინა მეფეს და მის აწყობებს — თორღვას, ბეჭას და მეშნის. ამათზე კიდევ უფრო მეტად მოსდიოდათ გული, მაგრამ ომებში გამოცდილი მხედრები მიხედნენ, რომ განსჯის დრო არ იყო და თუ მეფეს დროზე არ მიხედავდნენ, შეიძლებოდა სახელმწიფოს დიდი უზედურება დატყდომოდა თავს.

ახალციხელებს მაშინვე შეეგროვებინათ დარჩენილი ხუთასიოდე მესხი და ორივე ძმა მეფეს გამოადგომოდნენ უკან, რათა უგუნურ განზრახვაზე აეღებინებინათ ხელი და უკან დაებრუნებინათ.

მეფე დიდი ხნის გამოსული არ იყო,

ახალციხელებს იმედი ჰქონდათ, რომ გზიდანვე მოაბრუნებდნენ თავნება ლაშას. ამბის გახმაურება არ სურდათ და ამიტომ დანარჩენ ლაშქარს არაფერი შეატყობინეს.

ახალციხელების ანგარიში არ გამართლდა, მეფემ და მისმა კაბუჯმა მხედარმთავრებმა ისე სწრაფად წარვლეს და ისე მოულოდნელად გაეხვივნენ ბრძოლის ცეცხლში, რომ ახალციხელებს ისლა დარჩათ, თვითონაც ომში ჩაბმულიყვნენ და მეფის გადასარჩენად თავი გაეწიათ.

შენივთებულ ბრძოლაში ლუხუმი სულ მეფის ირგვლივ ტრიალებდა, წინ კლდესავით უღგა და მარჯვნივ და მარცხნივ ხმლითა და ფართით იცავდა მტრის მახვილისაგან.

ახალციხელებმა რომ განძელების წყობა გაარღვიეს და გაშმაგებულები მეფის ლაშქართან ერთად მიესივნენ მტერს, ერთ წამს მეფე სანახაობით გაოცებული შედგა: ბუმბერაზთა ახოვანებამ და გოლიათურმა კვეთებამ მოხიბლა და წამით გააშტერა ლაშა.

მებრძოლთა სიციქასით აღტაცებულ მეფეს ყივჩაღთა ლაშქრის მეთაური მივიარდა, ერთი დასჯივლი, თავის ენაზე შეაგინა და ხმალი მოუქნია. მეფის ნაჩუქარი ლუხუმის ხმალი ჰაერშივე დახვდა ყივჩაღთა ხანის ხმალს და ფოლადის წკრიალზე ლაშაც გამოფხიზლდა.

აბლა ლუხუმმა მოჰკრა თვალი ყივჩაღის კისერთან გაელვებულ მეფის ხმალს და თვითონაც უცებ თვალთ დაუბნელდა: თავზე თითქო ქვეყანა ჩამოექცა, ყურები ქრიალით დაუბუგდა, ცხენიდან გადმოეკიდა და გონი დაეკარგა...

— სიკვდილამდის ვიღეაწოთ და დაედვათ თავი სასიკვდილოდ. არა ვარცხვინოთ პირველსა ომსა მეფობისა გოროგისასა! — შესძახა ჯაყელმა და ხმალოდებული ეკვეთა მეციხოვნეებს. თორღვა პანკელი, ბიბლა გურკელი და მეშნე ბოცოსძეც მხეცებივით მიესივნენ თავდაშხმელებს. ეს მცირერიც-

ხოვანი ქართველთა ჯარი მუშტრევით შეკუმშული მოსწყდა ადგილს და ყვილითა და ზათქით ეცა მტერს.

ბუნებით მამაცი და უზორცოსაგვით უშიშარი ლაშა კიდევ უფრო გაამხნევა მისთვის ერთი კაცივით ოთხიათასი ცხენოსნის სასიკვდილოდ თავგანწირვამ და თვითონაც გააფთრებით ეკვეთა მტერს.

ღვინით აღზნებული, თავზეხელადებული ჭაბუკი ლაშა და მისი ერთგული ქართველები უგონაუბრეობით გახელდებულნი უტევდნენ და კაფაქდნენ მობირდაპირეს.

ძლიერი და სასტიკი ბრძოლა დიდხანს არ გაგრძელდებულა. განძელთა და ყვიჩაღთაგან საუკეთესო მებრძოლები აკაფეს ქართველებმა, აგორებული ზეავივით მოიყოლეს ქვეშ და წარდენასავით დაძრულებმა წინ გაირეკეს.

ერთხელვე გატეხილ განძელებს წყობა დაეწვრათ, შიშმა მოიცივათ და თავქუდმოგლეჯილნი ილტვოდნენ ციხისკენ.

მეფემ ციხის კარამდის სდია გაქცეულებს. დამფრთხალი ჯოგით ხოცეს და ამოდენა მომხდურთაგან მცირედმაღა შეასწრო ქალაქში.

ციხის კარის ჩაკეტვა დროზე მოასწრეს განძელებმა. ქართველების მახვილს ცოტანი-და გადურჩნენ, ბრძოლის ველზე უამრავი განძელი დაწვა, ხოლო კიდევ მეტი ტყვედ დარჩათ ქართველებს.

საშინელმა ზარმა, კვილმა და ღრილმა მოიცივა ციხე-ქალაქი.

ამოდენა ზათქმა, მოთქმამ და ხმაურმა ქართველთა გარემოდგომილი ლაშქარიც აშალა. მხარგრძელები, ჰერ-კახნი, სომხითარნი, ქართლები, რაჭის და არგვეთის საერისთაოსანნი, ოდიშარნი და აფხაზნი ერთბაშად დაიძრნენ საომრად და მეფის საშველად.

ათაბაგის რისხვას სხვებიც მხარს აძლევდნენ. მაგრამ ლაშას წინდაუხედავი მოქმედებით გამოწვეული საერთო აღშფოთება ქართველთა ლაშქრის მეთაურებს ნებას არ აძლევდა მეფე

გაეწირათ და შორიდან დაეჭრებინათ სერი.

პირველმადე ბუქმა ქართველთა კარები დააცალიერა, ამხედრებული და აღქურვილი ლაშქარი დაეწყო და ამირსპასალარის მეთაურობით საომრად დაიძრა.

ბრძოლიდან გამობრუნებული მცირერიცხოვანი ქართველობა გამარჯვებას ზეიმობდა და მხაარული ბრუნდებოდა. შორიდან შეამჩნიეს ომგადახდილებმა უთვალავი ეჩინედილების შუქი და მათკენ მომავალი დიდი ლაშქარი.

რაც უფრო ახლოვდებოდა დროშებისა და შუბების ტყე, რაც უფრო ძლიერდებოდა ეჩინედილების შუქი, მით უფრო ეუფლებოდა ლაშას გაურკვეველი მოლოდინის შიში.

ერთი ხანი იყო, ამრდილივით მუქად განუყრელი ლუხუმი მოისაყლისა, ახალციხელს ჰკითხა, რა მოუვიდა მიგრიანულსო, მაგრამ შალვამ ხმა არ გასცა და მეფემ გაოცებით შეხედა.

ახალციხელს ცხენისთვის სადავე მიეშვა, თავი უღონოდ დაჰკიდებოდა და უნაგირზე ტანს ძლივს იკავებდა.

ამირსპასალარი ცხენდაცხენ მოიქრა და ანთებულმა ეჩინედილებმა წითლად გაანათა სახეები.

— რას სჩადი, უგუნდრო! — შესძახა მეფეს ათაბაგმა და ცხენი ზედ მიავლო.

ლაშამ დაბნეულად შეხედა, ჯერ მხარგრძელს და მერე დანარჩენ სარდლებს: ყველას სახეზე რისხვა და შემფოთება ამოიცივება.

— დღეიდან ვამტკიცებ აღარა ყოფად მოლაშქრედ და არცა ყოფად კარსა შენსა! — მრისხანედ მოსჭრა მხარგრძელმა და ცხენი შემოაბრუნა.

— არცაღა ჩვენ ვიყოფით მოლაშქრედ და კარსა მეფისასა! — დაიგრიანულეს შვიდთავ სამთაეროს მთავრებმა და მათაც ცხენებს სადავეები მოსწიეს შემოსაბრუნებლად.

ლაშამ უმწეოდ მოავლო თვალი ყველას და შალვა ახალციხელს რომ შეხედა, გაქვევდა: ეჩინედილების წითელ

შუქზე მიწისფრად მოჩანდა ახალციხელის გაფითრებული სახე. მეფეს კვდრად მოეჩვენა ახალციხელი.

იმ წამს საშინელი მარტოობა იგრძნო დედის ნებიერმა ლაშამ. ჰუნიდან გადმობხტა, მხარგრძელის ცხენის აყვანდს მისწვდა და მუხლზე ჩაჩოქილმა შეპლადლა:

— შემინდე უმეცრების ქმნილისათვის. არღარა ვყო დღეიდან თვინიერ თქვენი განზრახვისა!

შალვა თითქოს ამის გაგონებისდა უცდიდომ, უცებ მოსწყდა ცხენიდან და ამოდენა ვაჟაკი მოკრილ ხესავით დაეცა მიწაზე.

ივანე მიეშველა გონდაკარგულ ძმას და ერთი წამით უკან შემობრუნებულმა მთაერებმაც პირი იბრუნეს დაკრილა ახალციხელისკენ.

ყველააგან ზურგშექცეულმა, ბავშვივით დატუქსულმა ლაშამ იმ ღამეს ვეღარ დაიძინა. ტუჩებს იყენებდა და ხელებს იმტკრევედა ბრაზისა და ნერვიულობისაგან.

სამხედრო საბჭოზე მისი მოქმედება თითქმის ყველამ დაგმო, მათ შორის ივანე ახალციხელმაც.

— თვითნება მოსმურთა უგუნურებამ ქართველი მხედრობის ძლევა მოსილეს სახელი გაუტეხა და ქვეყნისათვის ესოდენ თავდადებული ჩემი ძმის სიცოცხლაც საფრთხეს ჩააგდო! — აღშფოთებით განაცხადა კარის ამირამ.

— რაჟი ლაშქარში წესი და უმცროსუფროსობა არ არის, ერთი აზრი და ნება არ ხორციელდება, სჯობს ალყა მოვსნათ და სირცხვილეულნი უკან შევიქცეთ! — დაასკენეს მხედართმთაერებმა და მეფემ მხოლოდ მაშინ იგრძნო, თუ რა დიდი დანაშაული ჩაიდინა და რა დიდი მარცხი განიცადა.

ლაშას მეფობის პირველი ომი ქართველთა მხედართმთაერებმა წაგებულად აღიარეს. გამდგარი განძის ათბაგი ვერ დაიმორჩილეს და აგერ ას წელზე მეტხანს ძლევაშემოსილი დაეთითიანი და გორგასლიანი დროშა პირველად უნდა

შემობრუნებინათ უკან, განძის ციხეზე აღუმართავად.

თავად მეფეს ვეღარავინ უყვამს, მაგრამ მის წამქეზებლებსა და ამყოლებს თორღვა პანკელს, ბექა ჯაყელს, ბიბლა გურკელსა და მეშინი ბოცოსძეს სასჯელი დაადეს და მცველები მიუჩინეს.

მეფე იმას ნანობდა, რატომ ომში არ დავიღუპე მტრის მახვილისგანო. სახელოვანი სიკვდილი ლაშას ბევრად ერჩია ამ საქვეყნო შერცხვენასა და დამცირებას.

მეფის სულსწრაფობამ და უნებისყოფობამ მის ყველაზე დიდ თაყვანისმცემლებსა და მოიმედებებსაც გული გაუტეხა, ჯერ ციხის წინააღმდეგ თავისი უგუნური გამოხდომითა და მერე მისი ყველაზე დიდი მტრის ათბაგის წინაშე ასე სულმდაბლად დაცემითა და წამოჩოქებით.

სამხედრო საბჭომ მოხსენების ღირსადაც კი არ ცნო მეფის გამარჯვება განმელ და ყოვალ მეციხოვნეებთან შეტაკებაში. ყველაზე მალღ სამხედრო წესრიგი და ლაშქრის ერთნებობა დააყენეს და მეფის დამამცირებელი განაჩენი გამოიტანეს.

დიდებულების ამ საერთო შემოტევაში მეფე სრულიად მარტო აღმონდა. მისი ტოლები და მასთან ბრძოლაში გამარჯვებულები ხმაწართმეული და დასჯილები იყვნენ, ახალციხელთაგან ერთი ძმა მის ქცევას გმობდა, ხოლო მეორე დაკრილი იყო და, ალბათ, ისიც უფროსი ძმის აზრს იზიარებდა.

მარტოდმარტო დარჩენილმა თავისი ერთგული და განუყრელი მცველი მოიკითხა. მძიმედ დაკრილიყო, მოახსენეს და მეფე მაშინვე გაეშურა მიგრიაულის სანახავად.

საველ ქსენონში რომ შევიდა, დაკრილების კვნესამ შეზარა: ეს მისი წინდაუხედაობისა და თავნებობის მსხვერპლნი ებრძოდნენ სიკვდილს, ზოგი დედას უხმობდა, ზოგი ცოლსა და შვილს და ზოგი კიდევ, ვინ იცის, ვის

და რას ეძახდა სიცოცხლის უკანასკნელ წმის.

დოსტაქარი მიგრიაულისკენ გაუძღვა მეფეს. ვხაზე დაჭრილს რომ გვერდით გაუარა, პირტიტველა ვაჟაკმა ლოგიანიდან წამოიწია.

— მეფე ცოცხალია, მეფეს გაუმარჯოს! — ამოიძახა და ლოგინზე მოწყვეტით დაეცა, დოსტაქარი შეაჩერდა პირშიშველა მოყმეს, დახედა, მისი მარჯვენა ხელი აიღო და მარჯას ყური მიუგდო.

ცოტახნის მერე დოსტაქარმა ჯარისკაცის ხელი დაუშვა.

— ხომ ცოცხალია? — იკითხა შემოთვებულმა მეფემ.

— არა, მეფე... მოკვდა! — ცივად თქვა დოსტაქარმა და გამყოლებს ანიშნა, რომ მიცვალებული გაეტანათ.

ორმა ვაჟაკმა საკაცეზე დადო შავტუხა ვაჟაკი. გრძელი და მხარბეჭიანი იყო ჯარისკაცი, საკაცეზე ძლივს დაეცა.

მძიმედ ასწიეს და წაიღეს.

მეფემ თვალი გააყოლა უცნობი ჯარისკაცის ცხედარს და თვალტრემლიანი შემობრუნდა.

საველე ქსენონის ბოლოში იწვა მიგრიაული. თავს დოსტაქარები ედგნენ, ნახვევს უხსნიდნენ კრილობაზე. ლაშამ ვერ იცნო თავპირახვეული მცველი.

— ეს გახლავთ მეფის მცველი! — მოახსენა ლაშას დოსტაქარმა და იქ მყოფების გასაგონად დაიძახა:

— მეფე მობრძანდა!

მკურნალებმა ერთი მოიხედეს მეფისკენ, თავები დახარეს და ნახვევის გახსნა განაგრძეს.

მეფე ახლო მივიდა და დააცქერდა: შუბლი ირიბად ჰქონდა გაჩეხილი ლუხუმს, ხმალი ზედ თვალზე მოხვედროდა, ნახევარი ლოყაც გაეჩეხა.

თვალის ადგილზე რალაც წავევრცხალივით წითელი და საშინელი ჩანდა — ხორცი თუ სისხლი.

ლაშა სანახაობამ შეჰხარა, ტანში ცივმა ქრუანტელმა დაუარა და ისარნაკრავივით გამობრუნდა.

— ჩემს თავს არ ვწუხვარ, — მოესმა იქვე გვერდით მწოლარე დარბაზის ხმა ლაშას, — ჩემი სიცოცხლე მეფის სანაცვლო იყოს... მოხუცი დედა და ბალები მრჩება, ჩემს მეტი მარჩენალი და ყურისმგდებელი ადამიანი არ ეყოლებათ.

— ერთი კვირის მოყვანილი პატარძალი მრჩება ქერივად, — ამოიგმინა მეორე დაჭრილმა, — ნეტავ ბიჭი მაინც ეყოლებოდეს!.. ვაიმე... — დაიკენესა და ლაშა უცებ მოსწყდა ადგილს.

კი არ მიდიოდა, მირბოდა მეფე, თვალებს ხუჭავდა და ყურებს თითოთ იცობდა, რომ ახალი საშინელება არ დაენახა და გაეგონა. მირბოდა და ეჩვენებოდა, რომ ყველას დედები და ბალები მას მისტიროდნენ, მათი უბედურების მთავარ დამნაშავეს, ამდენი სიცოცხლის დამლუბველსა და მომსწრაფებელს.

ახალციხელის კრილობა საშინი არ აღმოჩნდა, ადვილად იწყო შეხორცება და შალვას ნელ-ნელა მომჯობინება დაეტყო.

ახლა იგრ თავის კარავში იწვა, თავთ უფროსი ძმა ივანე და მუდამ განუყრელი თურმან თორელი უხსდნენ.

იმ დიდი სულიერი განსაცდელისა და მწუხარების ქამს, როცა სიყვარულისაგან გაუბედურებული შალვა ევლად გაიქრა, მასთან ერთად მოუშორებლად იყო თურმან თორელიც.

ეს ჯან-ლონით სუსტი, მაგრამ მომხიბლავი, ოდნავ ქალური სილამაზის მქონე ჭაბუკი ახალციხელის ბიძაშვილი იყო და თორელთა გვარის უმცროს შტოს ეკუთვნოდა.

სიყრმიდანვე სწავლასა და წიგნების კითხვას გადაგებულ თურმანს არაჩვეულებრივად ტკბილი ხმა ჰქონდა.

ჯერ კიდევ ბავშვი, მხრებზე კულულბდაყრილი თურმანი საყდრებში სამოციქულოს კითხულობდა და ტკბილი, შთამწელომი ხმით ვალობდა.

ცოტა რომ წამოიზარდა, ხმაში ზარი

მოემბა და ტუჩებზე შავი ღინღი შემოეპარა.

წირვაზე მის სანახავად საგანგებოდ იწყეს სიარული ლამაზმა ასულებმა, გასათხოვარმა ქალიშვილებმა და ოჯახური ცხოვრების ერთფეროვნებით მოწყენილმა ერისთავებისა და დიდუბურების უზრუნველმა ცოლებმა.

ყველას ეგონა, რომ თორელი სასულიერო სარბიელს აირჩევდა. კარგი განათლება, სათნოება და ბუნებრივი კეთილშობილება უთუოდ ღირსეულ მომავალს უქადდა ახალგაზრდა თორელს ეკლესიის სამსახურში, მაგრამ უკვე შეღერებულ ჰაბუქს გულმა სხვა მზარეს გაუწია და შთაგონებამ სხვა გზით მოუწოდა.

პატარაობიდანვე ლექსებს თხზავდა თორელი და კარის მგოსნის სახელზე ოცნებობდა.

გავლენიანი ბიძები შალვა და ივანე მის პოეტურ ვარჯიშს ახალგაზრდისათვის ჩვეულებრივ გატაცებად თვლიდნენ და ღარიბი ნათესავის ლექსება ყურადღებას არ აქცევდნენ.

თორელს რუსთაველისთვის სურდა მიემართა ლექსის კანონების გასასინჯავად. სულ ახლო იყო რუსთავი მისი თორიდან, მაგრამ იმდენად ეშორებოდა ეს მცირე მანძილი, შოთას დიდი სახელისა და მდგომარეობის გამო, რომ ვერ იქნა და ვერ გაბედა მისი გადალახვა. თორელს უფრო ის აჩერებდა, რომ თვითონაც არ იყო დაჯერებული საკუთარი შთაგონების ძალასა და დაწერილი ლექსების ღირებულებაში.

ლექსებს კი წერდა, რადგან ცაში ასული ტოროლასავით სულ ემღერებოდა და სულ ელექსებოდა.

მამით ობოლსა და ხელმოკლედ გაზრდილს მეფის კარზე მოხვედრა უმალეს ოცნებად ჰქონდა გადაქცეული.

მისმა სახელოვანმა ბიძებმა ეს გზა ძლიერი ხმლებით გაიკაფეს, მას კი თუმცა ხმალიც კარგად უჭირდა, მაინც მხედრობა არ იტაცებდა და სუსტი

კალმით სურდა სახელისა და დიდებისაკენ ძნელი გზის გაკვლევა.

ჯერ ნდელი იყო და თუმცა სიყვარულზე ბევრს წერდა, შოთასა და სარგის თმოგველის წაბაძვით მის გრძელ პოემებს წაკითხულით გაბრუება უფრო ეტყობოდა, ვიდრე განცდილის შთაგონება.

მისი ბუნება ჯერ კიდევ ყამირივით მთელი იყო, პირველქმნილი უმანკოება არ მოშორებოდა და ყრმობის ოცნებათა ბურანში გაბეუული ცხოვრებას გულუბრყვილოდ და იოლად უყურებდა.

ამ ბურანიდან პირველად ერთმა გარემოებამ გამოიყვანა, ძლიერ უბიძგა და ისე შეატარტმანა, კინაღამ თვალი დაუბნელა და ძირს დასცა.

ერთ განათხულებულ გზად მიმავალი ივანე მხარგრძელი შეჩერდა თორში მთელი საბლობით. მანამდე მხოლოდ ნაამბობითა და გადმოცემით იცნობდა ივანე მხარგრძელს თურმან თორელი. სახელგანთქმული გმირისა და დიდი საბელმწიფო მოღვაწის პირადად ნახვა თორელისათვის მნიშვნელოვანი შემთხვევა იყო. სხვა ნათესავებთან ერთად ახალციხელებმა მხარგრძელს ისიც წარუდგინეს და მისი სწავლაში გულისმოდგინება და მუსიკობაში წარმატება უქეს.

მხარგრძელს მოეწონა ზომავე მეტად მოკრძალებული ჰაბუქი, გამოელაპარაკა და სიმღერის თქმა სთხოვა.

და ის იყო თურმანმა ებანი მომართა, რომ დარბაზში თამთა შემოვიდა. იმ წამსვე ყველაფერი უჩვეულო შექით განათდა, ჰაბუქისათვის მანამდის უცნობი, სულის რომელიღაც კუნჭული შეირხა, გული საგულიდან ამოფრანდა და სამღერლად გამზადებული მგოსანი მიწას მოსწყდა. გონიბილილი იჯდა ჰაბუქი და თვითონაც აღარ იცოდა, აქ, ახალციხელების პალატებში იჯდა მართლა, თუ ფრთაშესხმული მიფრინავდა საღდაც, უსაზღვროდ მალდა და შორს, დამბარმავებული სინათ-

ლისა და მომზიბველი ხმების სამყაროში.

თავით არ ესმოდა, რას, ან როგორ მღეროდა ალტაცებისაგან მთვრალი და ფეხის ფრჩხილებამდის გაბრუნებული, ღრუბელივით ამჩატებული და ზმანებაში თუ ოცნებაში გადასული თორელი. მღეროდა თავისთვის და თავის თავად, მარტო იმ ხმით კი არა, რომლითაც მანამდისაც უმღერია. ახლა ამ ხმას კიდევ სხვა, შინაგანი ხმაც, მისი წრფელი გულის გაღვიძებული ხმაც შეერთებოდა და, ალბათ, ძალიან მომჯადოებელი უნდა ყოფილიყო ეს თავდავიწყებული სიმღერა, რომ დასრულებისთანავე ტაშმა იქუხა.

თორელი მხოლოდ ახლა გამოერკვა ზმანებიდან თუ ოცნებიდან.

თავი აიღო და იქ მყოფთა თვალებზე აციმციმებული ცრემლები დაინახა.

თამთა და შალვა ერთურთს შეკეპურებდნენ ფართო გაბრწყინებული თვალებით. სიმღერის ჯადოთი ერთ არსებად შეკრულები, ისინი იქ მყოფთაგან სხვებს ვეღარ ხედავდნენ და უხმოდ, მხოლოდ ერთიმეორის დასანახავად და გასაგონად ისევ აგრძელებდნენ სიყვარულის წმინდა სიმღერას.

ერთ წამს მისწვდა თორელი შეკვარებულთა გულის პასუხს, თავისი ალტაცებული სიმღერის უღბლობასა და თავის პირველ უბედურებას.

ებანი გაბრაზებულმა დაავდო და თვალცრემლიანი პალატიდან გავარდა.

ორ დღეს დაჰყვეს მხარგრძელებმა ახალციხელების სტუმრად და ისე აიყარნენ, რომ თორელი თვალით აღარ სჩვენებიათ. იმ დღიდან აღარც თავისიანებს უნახავთ თურმანი.

თორიდან — თავისი პატარა ბუდიდან იმ ბარტყივით აფრინდა იგი, რომელსაც ჯერ კიდევ ფრთები სუსტი და შეუშთსავი ჰქონდა, მაგრამ ძლიერი ქარის მობერვამ თუ მყარის შენძრევამ ხიდან გადმოტყორცნა და შორს უგზო-უკვლოდ გააფრინა. ამ უფროს ფრენასა და უგზო-უკვლო ქროლვაში უნდა

დაეცეკვებოდა ფრთა და გაკვლეოდა ცხოვრების გზა ულონო მართებს.

სიყვარულის ისრით პირველადვე ებრე უწყალოდ დაკოდილი ქაბუკი ტირილისა და ოზვრისაგან რომ გამოერკვა, თავის მდგომარეობას ჩაუტვირდა:

— ახალციხელსა და თამთას უშეკველად ერთიმეორე უყვართ, — სჯიდა თავის გულში თორელი, — ბიძაჩემს მამულიც საკმაოდ გააჩნია და სახელიც დიდი აქვს, მე წრფელი სიყვარულისა და უხეირო ლექსების მეტი არა მამა-დია რა. სად გავუტოლდები ახოვანს, მდიდარსა და გავლენიან ახალციხელს სუსტი, უქონელი და უბირი ახალგაზრდა. მამათა შვილები ვართ თორელები. მამაჩემი ომში დაიღუპა და ჩემს წილ მამულებსაც ჩემი ბიძები დაეპატრონენ. მე სულ მათ ჩრდილში უნდა ვიყო, მათი ხელისა და წყალობის შემყურე. ყველაზე უკეთესი, რასაც მომავალი მიმზადებს, დიდი ახალციხელების მსლებლობაა. არა, ამას კი ვერ შევტრივდები, რომ ყოველდღე თამთასა და შალვას ბედნიერებას ვუცქირო და მათი უბედური მსახური ვიყო. ამაზე უარესი აფარა მომივა რა, ხოლო უკეთესი კი ქვეყნად ათასი რამ არის.

ასე გადაწყვიტა გულში საკუთარ ბედზე ამხედრებულმა ქაბუკმა, ერთ ჩუმ ღამეს თორი დატოვა და დედაქალაქს მიაშურა.

კითხვა-კითხვით, როგორც იყო, თბილისს მიაღწია.

მშვიერ-მწყურვალი, გარეუბნის ერთ ფუნდუკში შევიდა.

ფუნდუკი მდიდრულად იყო მოწყობილი, სუფრებს კარგად ჩაცმული შეინახებები უსხდნენ. ეტყობოდა, მაღალი წრის შეძლებული ხალხისათვის უნდა ყოფილიყო ეს სასტუმრო და ყველაფერს დიდი ფასი უნდა ჰქონოდა. ის იყო, შეყოყმანდა თორელი და უკან გამობრუნება დააპირა, რომ კარში მსახური შემოეგება, ხელბარგი თითქმის ძალით ჩამოართვა და სასაიდლო დარბაზში შეიწვია.

თორელმა იმსტიქტურად ფული მოი-



ძია ჯიბეში. რამდენიმე ვეცხლს ხელი მაგრად მოუჭირა და, ცნობისმოყვარეობით გათამამებულმა, დარბაზში გაბედულად შედგა ფეხი.

განმარტოებულ სუფრას მიუჯდა და თითქოს სინამდვილის შემოწმება სურდა, ფული ფარულად ამოიღო, პეშვი ოდნავ გაშალა, რომ სხვას არავის დაენახა და ხელისგულზე მდებარე სამიოდ ვეცხლს სათითაოდ დააცქერდა.

წვირლ ჩუქურთმიან ჩარჩოს შუაში თამარის ვენზელი იყო მოთავსებული. ჩუქურთმის გარშემო წარწერა წაიკითხა თორელმა: „სახელითა ღვთისათა იქნა ჰედაი ვეცხლისი ამის...“ წარწერა ქორანიკონით თავედებოდა.

თამარის ვეცხლი ფრთხილად აიღო თორელმა, გადმოაბრუნა და მეორე მხარეს დააცქერდა: „ღედოფალი დიდებული, მშვენიება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, თამარ, ასული გიორგისა, მესიის თაყვანისმცემელი, განადიდოს ღმერთმან ძლევათი მისი“, ამბობდა მეორე, არაბული წარწერა. ვეცხლზე მესამე წარწერაც იყო, ისიც პირველი რკალის ირგვლივ რკალისებურადვე გამოყვანილი: „განადიდოს ღმერთმან დიდება მისი, განაგრძოს ჩრდილი მისი და განამტკიცოს კეთილდღეობა მისი“.

ახლა მეორე ვეცხლს დახედა თორელმა: ვეცხლს ზურგზე, ვარდის ფურცლოვან ჩუქურთმაში არაბული წარწერა ჰქონდა: „მეფეთა მეფე გიორგი ძე თამარისა, მახელი მესიისა“.

ხმარებისაგან გაცვეთილი ვეცხლის შუბლზე გარკვევით ჩანდა საქართველოს ტახტისმემკვიდრისა და თამარის თანამოსაყდრის ლაშა-გიორგის გამოხატულება, სახის დამაბნობელი ნაკეთებითა და თითქოს ოდნავ დამცინავი მზერით.

ქარაგმის ამოკითხვით გართულ თორელს თავს მსახური დაადგა.

— რას იწებებს სტუმარი? — კრძალვით იკითხა წელში მოხრილმა მსახურმა.

თორელი შეკრთა, თითქო ნაპარავი ჰქონოდა, ფული უცებ მუკში დამალა

და, აღელვებულმა, დაუფიქრებლად უთხრა:

— რაცა ოდენ კარგი და რჩეული იყოს.

მსახურმა თავი დაუკრა და ცოტა ხნის შემდეგ თორელის სუფრას სავსე თეფშებითა და სინებით მოადგა.

რალა არ მოუტანა: ქორფა მწვენილი და თუშური ყველი, ცივად მოხარშული თიკანი და ქინძმძარში ჩაწყობილი კალმახი.

დამწეული თორელი ხარბად მიადგა საკმელს და ცოტა სტული რომ მოითქვა, ზედ კახური ღვინოც დააყოლა.

საკმელი და ღვინო ეამა. ერთი ხელადა რომ დაცალა, მეორეც მოითხოვა და მალე შეზარბოშდა.

ღამდებოდა, ცარიელი სუფრები თანდათან ივსებოდა ბრწყინვალედ აღკაზმული ქაბუკებითა და მდიდრულად ჩაცმული მოჭიფვეებით.

თორელის მეზობლად მსხდომმა ახალგაზრდებმა ყურადღება მიაქციეს სუფრასთან მარტო მჯდომარე ჩაფიქრებულ ქაბუკს, დრო და დრო რომ ოხრავდა, საფიქრალს თავს აღწევდა და დიდრონ სასმისებს ცლიდა. აღღებრძელეს, გამოელაპარაკენ, ვინაობა გამოკითხეს და თავიანთ სუფრაზე მიიწვიეს. თორელს თავისი სამიოდე ვეცხლი გაახსენდა, მალე უნდა წავიდეო, მოიმიზეხა და ისევ მარტოკა დარჩა.

თაღის ქვემოთ, შემალღებულ ადგილზე ღიპიანი მედოლე დაჯდა, დოლი გაახურა და სიმღერა დასძახა. გამყვიანი, ძლიერი ხმით მღეროდა მედოლე, საზე უწითლდებოდა და ყელზე გაბერილი ძარღვები ასკდებოდა.

თავის სიკაბუკეში პირველად სვამდა თორელი ამდენ ღვინოს. კახურმა დარდი გადაავიწყა, სიმღერის მოსმენამ თავდაც სიმღერის გუნებაზე დააყენა, ძლივს წამოდგა და მედოლისკენ ფეხის ბანდალით წავიდა.

მედოლე მოჭიფვეებისაგან მისთვის ჯილდოდ ვაგზავნილ პურ-ღვინოს შეეპქეოდა.

თორელი მიუახლოვდა და, დოლი თუ შეიძლება, მობოდიშებით სთხოვა.

საკმლით პირგამოტენილმა ფუნდუკის მომღერალმა ხელით ანიშნა, აიღეთ, თორელი სკამზე ჩამოჯდა, დოლი მუხლებზე დაიდო და დაკრა.

დარბაზში საოცრად ტკბილი და მიმზიდველი ხმა გაისმა.

მოქეიფეებმა სმა-კამა და საუბარი შეწყვიტეს, თავი მისკენ მოიბრუნეს და მოჯადოებულებივით მიუპყრეს ყური უცნობ ვაბუქს.

სიმღერა რომ ჩამოათავა, დარბაზი ტაშმა და ვაშას გუგუნმა შეაზანზარა.

თორელის სუფრის მეზობლად მსხდარი ახალგაზრდები ფეხზე წამოცივდნენ, თურმანთან მიიჭრნენ, სავსე სასმისები შალა ასწიეს და მათმა თამბაქამ თელი დარბაზის გასაგონად გამოაცხადა:

— ვადღეგრძელოთ საქართველოს ახალი, ნიჭიერი მგოსანი, თურმან თორელი, შალვა ახალციხელის ნათესავი, საქართველოს მეფის სამსახურად და ფათერაკების საძიებლად სატაბტო ქაღალქს პირველად ჩამოსული! გაუმარჯოს თურმან თორელს, ვაშა!

მთელმა დარბაზმა ერთი კაცივით გაიმეორა ვაშა.

თამბაქოს სიტყვებზე ფუნდუკის კართან მოდგა ლაშა. სადღეგრძელო ზღურბლზე შეჩერებულმა მოისმინა და ცნობისმოყვარეობით მიაჩერდა ალტაცებული მოქეიფეებით გარშემორტყმულ უცნობ ვაბუქს.

თორელმა მთხოვნელებს ბევრი აღარ ახევეწინა, დოლი ისევ მუხლზე დაიდო, თვალზე კერს მიაპყრო და სიმღერა წამოიწყო.

ლაშა ყურს არ უჯერებდა. ესოდენ საამო, ძლიერი და მიმზიდველი ტკბილი ხმა თავის დღეში არ მოესმინა.

თავაწეული, მხრებზე ქალიშვილივით კულულებდაყრილი თორელი შთაგონებული მღეროდა და ღრმა, გონიერი თვალებით საღდაც შორს, მიუწოდომისკენ იხედებოდა.

ლაშამ ამ უცნობ ვაბუქთან უცრად რაღაც სულიერი ნათესაობა და სიხალვე იგრძნო, ალტაცებული შეწყურებდა სიმღერად ქცეულ თორელს და სულგანაბელი უსმენდა.

მღეროდა თორელი საკუთარ სამღერალს თუ სატირალს, პირველი სიყვარულის უიღბლობას და ვაბუქური ოცნების უნიადაგობას, გასაფრენად გაშლილი ფრთების დამსხვრევასა და მაღალი ღრუბლებიდან ძირს დაცემას, ადრე განცილდ სოფლის უზანობას, სიცოცხლის არარაობასა და ამაოებათა ამაოებას.

სიმღერა რომ გათავდა, კართან მომდგარმა მეფემ და მისმა ამაღამ ერთხმად შესძახეს.

— ვაშა! გაუმარჯოს მეფის კარის მგოსანს! — მეფის ნათქვამი ვაშა დარბაზმა დაიტაცა და გუგუნით სამგზის გაიმეორეს:

— გაუმარჯოს საქართველოს მეფეთა-მეფეს ლაშა-გიორგის და მეფისკარის მგოსანს, თურმან თორელს!

თორელს თავი სიზმარში ეგონა. იგი მიხვდა, რომ ფუნდუკში მცირე ამალით შემოსული, ერთი დიდებულთაგანის მსგავსად გამოწყობილი ვაბუქი საქართველოს ხელმწიფე უნდა ყოფილიყო. ინსტიქტურად ჯიბისკენ წაიღო ხელი, ლაშას ვეცხლი ამოიღო, ზედ თამარას ძის გამოხატულებას დახედა და რაღაც დარწმუნდა, რომ მეფის ძის პირისპირ იდგა, მუხლზე დაემხო მის წინაშე.

მეფემ წამოაყენა, საკუთარ სუფრაზე მიიყვანა, გვერდით მოისვა. მთელი ღამე ამღერა და თავისი თავგადასავალი ამბობინა მეფემ თორელს, დილა-მდე ერთად იქეიფეს და დილით სასაბუღოში თან წაიყვანა.

იმ დღიდან თურმან თორელი კირსა და ლხინში მეფის განუყრელი და უახლოესი მეგობარი გახდა.

თორელის კარის მგოსნად გამოცხადება და უფლისწულთან მისი დაახლოება შალვა ახალციხელს არ სწყენია, მაგრამ არც დიდად გაბარებია.



მეფის კარზე ბევრი სახელმოხვეჭილი, მაღალნიჭიერი მგოსანი იყო. შალვას ევეჭვებოდა, რომ მისი ბიძაშვილი დანარჩენებზე მაღლა დადგებოდა თავისი ნიჭით, ზოლო ჩვეულებრივი, საშუალო მგოსნის სახელს, მისი რწმენით, ისევე უცნობ მეომრად და ღარიბ მემამულედ დარჩენა სჯობდა.

საბედნიეროდ, შალვას ეჭვი არ გამართლდა. თორელმა, სხვა მგოსნების მსგავსად, შოთასა და თმოგველის პოემების მიმბაძველობა კი არ განაგრძო, პატარა ლირიკული ლექსების წერა დაიწყო. ეს ლექსები ღრმა ფილოსოფიური შინაარსისა იყო და მგოსნის პირად განცდებს გამოხატავდა. უთვალავი მეზობლების მაღალფარდოვანი შესხმებითა და ეპროგონური რომანტიკული პოემებით თავმოებზერებულმა ლაშამ და მთელმა სამეფო კარმა თორელის პოეზია ახალ სიტყვად მიიღეს, და შეითვისეს, მწუხარებასა და სიხარულში მოუცილებელ თანამგზავრად გაიხადეს, ზოლო თავად თორელი ყველასათვის სასურველ და საყვარელ მოყმედ და მგოსნად აღიარეს.

თორელი მეფის კარზე დრო და დრო ხედავდა თამთას. ღამეებს კვლავ თამთაზე ფიქრით ათენებდა, მაგრამ მასთან შეხვედრას მაინც ცეცხლივით გაურბოდა. იმ ლექსებს, რომელთაც უკვე მთელი საქართველო მღეროდა, თამთასათვის თხზავდა, მაგრამ თამთამ არაფერი იცოდა და ჭაბუკი მგოსნის ზომაზე მეტი კრძალვა და მორიდება, ცოტა არ იყოს. უცნაურადაც ეჩვენებოდა.

თამთას ხლათში გამზითვება და დედოფლად გასტუმრება თორელისათვის ყველაზე უბედური დღე იყო. ერთხანს ყველაფერზე ხელი აიღო და ბნელში ჩაექტილი ოხერასა და ურვას მიეცა. მერე თავისი უბედური ბიძის, ახალციხელის ველად გაპრა რომ გაიგო, მისი და საკუთარი უიღბლობა ლექსებით გამოიტორა, ეს ლექსები წიგნად შეკრა და მხეცებთან და ნადირებთან, ქვაბებსა და ტყეებში გახიზნულ შალვას თვითონვე ააბლა.

წიგნის პირველმავე ლექსმა დაიპყრო შალვა:

მე იმ დღეებს ვერ ვივწყებ, იმ გაფრენილ წამთა,
როცა ცაში მიუწდომლის სიხლოვე მწამდა.

ახლა ელგავარ შავ უფსკრულთან,
პირდაღებულ ზრამთან.

თამთა, საღ ხარ, საოცნებო, გაფრენილო
თამთა?!

გაზაფხული ვეღარა სძლევს სულში ჩამდგარ ზამთარს,

მე უშენოდ დარწმოდ მყინავს თამთა, თამთა,
თამთა...

შენ საძებრად ღრუბელივით ხეც-ზევ ვიელო,
მთა-მთა,
ცხრა მთას იქით დაკარგულო, თამთა თამთა,
თამთა...

მთელი ღამე ლექსების კითხვაში გაატარა შალვამ და როცა წიგნი დახტრა, მაშინ მიხვდა, რომ ეს ლექსები მარტო მგოსნის ბიძის უბედურებას კი არ დასტროდნენ, არამედ მისი შემთხვევის უნეტევშობასა და სასოწარკვეთასაც გამოხატავდნენ.

ახალციხელმა ახლო წარსული გაიხსენა, თორში მზარგრძელების სტუმრობა და თურმანის უჩვეულო ქცევა, შემდეგ მისი უეცარი გადაკარგვა და ბოლოს მეფის კარზე თამთას მიმართ უცნაურად თავის დაქერა მოაგონდა. მისთვის ყოველივე ნათელი გახდა: მისი უმტროსი ბიძაშვილიც ისევე უიმედოდ იყო შეყვარებული თამთაზე, და ისევე უბედური ამ სიყვარულით, როგორც თვითონ ახალციხელი.

საერთო სიყვარულმა და უბედურებამ ეს ორი ადამიანი სულეიკრად დაანათესავა და ერთიმეორესთან მეგობრობის უნაზესი ძაფებით დააკავშირა. მათ იშვიათად თუ ვინმე ნახავდა უერთმანეთოდ და ახლაც განძის გარემოცვისას ერთ კარავში ცხოვრობდნენ.

— როდის იყრება ლაშქარი, ივანე, რას ამბობს ამირსპასალარი? — იკითხა შალვამ.

— ალბათ, კიდევ ერთხანს დავყოფთ განძის ალყაში. ათაბაგი ქუშხარა ხარკის ძლევის შემოიხვეწა ძველებურად და ახლა მხარგრძელს მეფისაგან საიდუმლოდ მოლაპარაკება აქვს გამართული, თუ რაოდენ უნდა უჩინოს ხარკი და რაოდენ უნდა მიითვლოს ალაფი. მეფემ ამ მოლაპარაკების არა იცის რა და ჰგონია, თუ დამარცხებული იყრება ქართველთა ლაშქარი განძის ალყისაგან.

— მეფის იერიშმა გასტეხა განძელთა სიმტკიცე. მხარგრძელს რომ ჩვენი გამარჯვებით ესარგებლა და მეფესთან ჩხუბის ნაცვლად მთელი ლაშქრით მშინვე ციხეზე მიეტანა იერიში, დამარცხებისაგან ზარდაცემული განძელები ციხის კარს გაგვიღებდნენ და მორჩილებას შემოგვეხვეწებოდნენ ძველებურად.

— შეიძლება ეგრე ყოფილიყო, მაგრამ მეფის წინდაუხედაობის დაუსჯელობა არ შეეძლო ამირსპასალარს, კნინდა სასიკვდილოდ გასწირა თავი თვისი და საიციცხლე სპასათა რჩეულთა.

— ქეშმარიტს უბნობ, ივანე, მაგრამ გამარჯვება ხომ მეფეს დარჩა!

— არც გამარჯვება იქნებოდა სრული და საწადელი, თუ ხელმწიფე და ქართველთა უკეთესი სპა ამირსპასალარის წინაშე მეფის თავნებობით და ურჩობით განადგურდებოდა. არ გსმენია, შალვა? როგორ მკაცრად საჯა ზაქარია ამირსპასალარმა თაყაიდინ თმოგველი, კაცი მხნე და წყობასა შინა უსწორო, მტერთან უცნობლად შებმისათვის.

— მსმენია, მაგრამ ისიც კარგად მახსოვს, თუ როგორ აღიმხედრა მთვრალმა მხარგრძელმა ივანემ ხლათის ციხესთან თავისი ძმის ზაქარია ამირსპასალარის უცნობლად. ისიც კარგად მახსოვს, თუ რა ძვირად დაუჯდათ ქართველთა ივანეს თავნებობა.

ხლათის ამბის გახსენებაზე თორელს საზე წამოუწითლდა და ჩუმი ოხვრა აღმოხდა.

— ეგ ამბავი მომაგონდა სწორედ მაშინ, მეფეს რომ ტუქსავდა მხარგრძელი, მის უცნობლად ციხის შემოვლისა

და განძელებთან შებმისათვის. სისხლისაგან დაცლილს მაგის გახსენებაში მაკლდა, მოგონების სიმწარემ და ამირსპასალარის რისხვამ გონი დამაყარვინა და ის იყო ცხენიდან გადმოვეარილი...

შალვამ ტუქზე იკბინა და ამოიოხრა. თორელი ებანს მისწვდა, ძალებს ჩამოჰკრა და მწუხარედ წამოიწყო:

განა მისთვის დამგდია სახლობა და ტაძრეული, რომ განძიდან გავირგყო მტერი ხმალი

დალევული,

ოხრად დარჩეს განძის ფარხაც, განძის ციხეც დაქუთული.

სხვაგან არის ზემო ფიჭვი, სიმდიდრე და განძეული.

მე რად მინდა განძის ციხე, თუ ვინღა ჰქონდეს კარი ღია,

სხვაგან არის ჩემი ციხე, ოცნებაში ამიგია, ციხეა თუ ქალის გული, ვეღარც თავათ გამოვიცა...

შენი გულის დაბურობა მსურს, თავზე ხელი ამილია!

ას წელზე მეტი ხნის განმავლობაში ქართველთა ლაშქარი შიშის ზარს სცემდა მთელს წინა აზიასა და ახლო აღმოსავლეთს. იერიშით იღებდა ციხე-ქალაქებს, ყმად იხდიდა და ხარკს ადებდა საქართველოს მტრებს — აღმოსავლეთის უძლიერეს სულტნებსა და ათაბაგებს.

ლაშქრობიდან მობრუნებულ ქართველებს წინ ამაყად მოუძღოდნენ ხოლმე ძლევათა მდიდარი გორგასლიანი და დავითიანი დროშები.

ფეხზე დამდგარი დედაქალაქი ყიყინითა და გუგუნით ხედებოდა ყალყზე შემართულ ბაგრატიონთა ლომებს.

დიდი დავითის შემდეგ ბევრჯერ გამდგარა განძა, მაგრამ ქართველებს ყოველთვის დროზე მოუწყვიათ ალგირი განძის თავგასული ამირებისა და ათაბაგებისათვის. განძის გაამპარტავენებული მმართველები უკანვე, საქართველოს სამეფოს ყმებელ მოუქცევიათ და თბილისში აურაცხელი ტყვითა და ალაფით დაბრუნებულან.

პირველი ომიდან შემოქცეული მე-

ფისათვის რომ დედაქალაქში ტრიუმფით შესვლა ჩაეშალა, მხარგრძელმა განძის ათაბაგისაგან ლაშას უცნობლად მიღებული დიდძალი ალაფი უკან ჩამოიტოვა. ლაშქარსმყოფთაგან მხარგრძელის საიდუმლო ცოტამ იცოდა და ხელცარიელი ჯარი დამარცხებისა და შერცხვენის განწყობილებით ბრუნდებოდა. ჩვეულებრივად არც ჯოგსა და ტყვეებს მოერეკებოდნენ, არც აქლემებზე აკიდებული საქვეყნოდ განთქმული განძის აბრეშუმი მოჰქონდათ.

შესახვედრად შორს გამოსული მოსახლეობა გააცხებული შეპყრუბდა თავჩაღუნულსა და მოწყენილ მეფეს, სახემოღუშულსა და შებლშეკრულ სარდლებს.

ჩვეულებრივ თამამ-თამამით როდი მოჰყავდათ დარახტული მერნები, გრძელი გზით დაღლილი ცხენებისათვის ნებაზე მიეშვათ სადაეები და მუდამ მალა აწეული შუბებიც კი თითქოს ოდნე დაეხარათ.

ბავშვებს შანც თვალს ქრიდა ცხენთა კაზმულობა, მუხარადებისა და ფარშუბების ლაპლაპი და თეთრი და მეწაბული დროშების მალა ფრაილი. ყვავილებს ესროდნენ, ცხენებს ხელით ეხებოდნენ, ნაცინობებს უღიმოდნენ და შორიდან ესალმებოდნენ.

გზის ორივე მხარეს ამართულ ხალხის ცოცხალ კედლებს შორის უხმოდ მოდიოდა ლაშქარი. ადრინდებურად ოქროსა და ვეცხლს არ ისროდნენ მარჯვნივ და მარცხნივ ქართველთა მეფე და ამირსპასალარი.

ხალხიც გულგრილად ატარებდა თავის წინ ომიდან უხალისოდ დაბრუნებულ მხედრობას, არც სასიხარულო შეძახილები ისმოდა, არც ტაში და ვაშა გუგუნებდა.

— გაუმარჯოს ქართველთა ძლევა-მოსილ მეფეს, ვაშააა!... — დაიძახა, რომელიღაც სარდალმა და შამინევე რაზმიდან რაზმში დაირხა, ერთიმეორეს მიმყოლი ტალღებივით გადავიდა ეაყაცური ვაშის ძახილი. ხალხმა არ

აიტაცა ეს ვაშა და თავისი მტლავრი ხმა არ შეუერთა მხედრობის გუგუნს. ლაშამ თავი აიღო, მეტიჩარა სარდალს მრისხანედ შეხედა. სარდალმა ცხენი შეაყენა, მეფის ამაღას ჩამორჩა და თავჩაღუნული მწყობრს შეერია.

ჩუმად, სირცხვილუელი დაბრუნდა ქართველთა მეფე პირველი ომიდან. სასახლეში შესვლისთანავე პირს ცეცხლი ეცა. მხატვრებს უკვე მოესწროთ ახლადმოშენებული პალატების დიდი კედლის მოხატვა: თეთრ ცხენზე ამხედრებულ ლაშას ერთ მხარეს მხარგრძელი ედგა, მეორეს — შალვა ახალციხელი, უკან მებრძოლთა უთვალავი მხიარული სახეები, დროშებისა და შუბების ტყე მოსდგომოდა. მეფის ცხენს ფერხთ ჩაეარდნოდა პატიების მთხოვნელი განძის ათაბაგი. ათაბაგის უკან განძელი დიდებულები იდგნენ მეფისათვის მორთმეული ცხენ-ქალაქის ვეებერთელა კლიტეებით, თვალმარგალიტით, სტავრა-აბრეშუმისა და ნოხების გორებით.

მეფემ მხარგრძელის გამოხედვაში რაღაც დამცინავი დაიჭირა, მუხლზე დაჩოქილ განძის ათაბაგში მხარგრძელის ცხენქვეშ ჩაეარდნილი საყუთარი თავი დაინახა და სახე სირცხვილისა და ბრახისაგან აელეწა.

— მოშალეთ! თვალით აღარ დამანახოთ! — ერთი განწირულად შეპყვირა და იქაურობას გაეცალა.

ქალაქში ამდენ მიმსვლელ-მომსვლელის ყურებას ვეღარ გაუძლო; ცხენზე შეჯდა და მეფეთა საზაფხულო სამყოფელისკენ — ტაბახმელისკენ გასწია.

ლაშას ძლიერ უყვარდა თბილისის ზემოთ, ქალაქის ირგვლივ ასე აზლო გამართული ავარები. ქოჩორა ტყეებიდან დაძრულმა კოჯრის ნიაგმა შუბლი გაუგრილა მეფეს და თითქოს სევდაც უქუ უყარა.

თავთ ტაბახმელის სამეფო სადგომში იყო დაბადებული ლაშა. დიდი თამარი გამუდმებით უმატებდა და ამშვენიერებდა თავის საზაფხულო სამ-

ყოფელს, შორიდან გამოჰყავდა ცივი წყაროები და ხილის ბაღებსა და სავარდოებს აფართოებდა. ორივე უფლისწული უმთავრესად აქ ტაბახმელის ბაღებსა და მინდერებში იზრდებოდა. ქალაქში რომ საშინლად ცხელოდა, ტაბახმელაში ამოდ გრილოდა ხოლმე და ლაშას ჭაბუკობაშიც გული მუდამ აქეთ მოუწევდა.

მარტო შევიდა იგი იმ ნათელ პალატში, სადაც პირველად თვალი გაახილა. უნდოდა ჩაეკეტა და განმარტოებით განესვენებინა.

დარბაზი მთლად ძოწისფრად იყო შეღებილი, კედლებით მოყოლებული და იატაკითა და ჰერით გათავებული. წითელი ფერი იმას ნიშნავდა, რომ ძოწისფერ დარბაზში დაბადებულები მთფეთა შთამომავლები იყვნენ, შემდეგში ხელმწიფეები უნდა გამხდარიყვნენ და სამეფო ძოწეული უნდა ეტარებინათ.

ფართო ტახტზე რბილად წამოწვა მეფე. მოპირდაპირე კედელს მიაპყრო თვალი. კედელზე ლაშას დაბადება იყო დახატული.

მხატვარს საქართველოს სამეფოს უსაზღვრო სიხარული გადმოეცა ტახტის მემკვიდრის დაბადებით გამოწვეული. თამარის სახისათვის ღვთისობის სათნოება და ჰაეროვნება მიეცა და პატარა ყრმა უფლისწული ონავარი ამურისათვის დაემგვანებინა.

მეორე კედელზე არზრუმის აღების სცენა დაეხატათ: თორმეტი წლის ტახტის მემკვიდრე ნამდვილი მხედარივით აღჭურვილი იდგა. ფეხქვეშ არზრუმის სულტანი ჩავარდნოდა და ციხისთავისაგან არზრუმის კლიტეებს იბარებდა ამაყი უფლისწული.

მემკვიდრის გვერდით სახეგაბრწყინებული სოსლანი იდგა, ხოლო უკან—სიხარულითა და მომავლის რწმენით სახეგასიხივოსნებული მთელი ქართველი მხედრობა.

— ვაგლახ, რომ ვერ გავუმართლე! — აღმოხდა ლაშას და თვალზე ცრემლი მოერიდა.

ნეთუ არზრუმის კლიტეების მიღება იყო ლაშას პირველი და უკანასკნელი გამირობა! მაშინ ხომ ბავშვი იყო იგი და არაფერი ესმოდა, რა ხდებოდა მის ირგვლივ. ესოდენ მცირე ყრმას ომში არაერთიანი მონაწილეობა არ მოუღია და ისე, სათამაშოსავით ჩამოართვა არზრუმის ციხისთავს კლიტეები.

ახლა, როცა იგი ტახტისა და სკიპტრის მფლობელი გახდა, როცა ჯანითა და ღონით სავსეა და საგმიროს საკმეებისკენ მიუწევს გული, იგი ისევ იმ ბაღლად თუ ტიკინად რჩება, რომელსაც უნდათ გადასცემენ გამარჯვებას, უნდათ ხელიდან გამოაცლიან.

იგი ისევ ბავშვად უნდათ იყოლიონ, სამეფოს ნებიერ ბავშვად, რომელსაც თამაშსა და დროსტარებას არ უშლიან, მაგრამ არც ჭკუას ჰკითხავენ, არც არაფერს უჯერებენ...

— რათა? რას მერჩიან? როდემდის უნდა ვიყო ასე? — აღმოხდა ლაშას, ბაღლივით აქვითინდა და ბალიშში ჩარგო თავი. ლაშა გრძნობდა, რომ პასაკითაც და გონებითაც მომწიფებული იყო, დამოუკიდებლად შეეძლო ქვეყნის მართვა და ლაშქრის გაძღოლა. მაგრამ დიდგვაროვანი დიდებულები ვერ ხედავდნენ მის ასაკსრულობას და კვლავინდებურად ყრმასავით ექცეოდნენ. არა, ხედავდნენ, მაგრამ არ უნდოდათ დაენახათ, არ სურდათ ეცნოთ იგი ქვეყნის მეთაურად და სახელმწიფოს მესაქედ. და განა მარტო მხარგრძელს, საქართველოს დანარჩენ დიდებულებსაც არაფრად მოსწონდათ მეფის ძაღლისა და თაოსნობის გამოჩენა. ავი დამატკიცეს კიდევაც განძაში, როცა ბრძოლიდან გამარჯვებით შემოქცეულ მეფეს განუდგნენ და ერთხმად დაემუქრნენ, აღარ თავს ვიდებთ შენს მეფობასო.

მერე-და ისეთი რა ჩაიდინა ჭაბუკმა მეფემ, რომ ქართველთა ლაშქრისათვის ასეთი უჩვეულო და მომაცრებელი ყოფილიყო?! — სციროს რაზმით განძის ციხეს შემოუტარა, მისიდაღნ-ბურად განძელებმა ბრძოლა გაუმართეს

და ამ ბრძოლაში მეფემ სახელოვნად გაიმარჯვა: უწყვეტულ მტერს ციხედლის სდია და ცოტადა აკლდა ციხესიმაგრეშიაც არ შეუვარდა. განძის დამცველებს ზარი დასცა, უამრავი მოსრა და ურიცხვი ტყვედ წამოასხა.

განა მეფის მამზილებელ ამირსპასალარ ივანეს უარესი არ მოსვლია? მერე რა ძვირად დაუჯდა მამის საქართველოს ივანეს დახსნა ხლათის მელიქის ტყვეობისაგან! რამდენი ტყვე დაუბრუნეს და რამდენი ფული გადაუხადეს ხლათის მბრძანებელს ივანეს გამოსახსნელად.

ალბათ, კარგად ახსოვს ივანეს არცთუ ისე დიდი ხნის ამბავი. სახელმწიფოს ზიანი რომ დავიწყებოდა, საკუთარი შვილი არ დაავიწყდებოდა — მამის გამოსახსნელად გაყიდული თამთა! ახსოვს, მაგრამ, როდი უნდა გაიხსენოს და მეფის თაოსნობის ამ პატარა შემთხვევას განგებ ბერავს და აზვიადებს, თითქოს ლაშას თავისი თავნებობით ქვეყანა შეერცხვინოს, განძაში საქართველოს სიძლიერისა და ქართველი მხედრობის უძლეველობისათვის სახელი გაეტეხოს!

მერე რად ჩადის ამას ათაბაგი? — მხოლოდ იმიტომ, რომ მეფეს გაუტეხოს სახელი, თავნება და თავქარიან ყრმად წარმოუდგინოს. მთელ ქვეყანას, რათა შემდეგშიაც მის დაუკითხავად მართოს სახელმწიფოს საქმეები.

საქართველოს დანარჩენ დიდებულებსაც ეგ უნდათ, მეფის ხელისუფლების გაძლიერება არც მათ მოსწონთ და ისევე თვითნებური პარპაშისა და მოსაჩვენარი „ერთნებაობის“ შენარჩუნება ურჩევიათ.

განა ცოტა სიმწარე აწენიეს დიდ თამარს ქართველმა დიდებულებმა ტახტზე ასვლის პირველი დღიდანვე? რამდენჯერ განუდგნენ და მოახვიეს თავს დიდებულ მეფეს სახელმწიფოს ძლიერებისათვის მავნე და საზიანო ღონისძიება! სიმდიდრითა და ხელისუფლებით გაამაყებულმა ყუთლუ არსლანმა ისანში კარავის დადგმაც კი მოითხოვა.

2. „მნათობა“, № 3.

ყუთლუ არსლანს რომ წადილისათვის მიეღწია, თამარს ისღა რჩებოდა, ამ კარვის დადგენილებები შემოეკრებინა და ზედ ბეჭედი დაესვა.

არ ინება თამარმა სამეფო ხელისუფლების ესოდენ დამცირება. პატიმარყო კიდევაც ყუთლუ არსლანი, მაგრამ თავგასული მექურქლეთუხუცესის თანამოაზრეებმა მეფეს ტუსადი გააშვებინეს და ხელმწიფის უფლების ერთგვარ შეზღუდვას მაინც მიიღწიეს.

ასე დაიწყო თამარის მეფობა, ამ უბრძენისი მეფისა და ულამაზესი ქალის მმართველობის ბრწყინვალეობას შემდეგშიაც არა ერთხელ გადაძვარეობია ქართველ დიდებულთა ღალატისა და განდგომის შავი ღრუბელი.

ასაკით სუსტი ქალი გონების სიღრმითა და პირადი მომზიბველობის ძალით აბამდა მუდამ აწყვეტილ, ან ახაწყვეტად გამზადებულ ზვიად მთავრებსა და ერისთავთ ერისთავებს.

ძლიერსა და შემმართველ მეფეს, თამარის მამას გიორგისაც ბევრჯერ აწყველინეს თავბედი ქართველმა დიდებულებმა გამუდმებული ღალატითა და შეთქმულებით, გაუთავებელი გამცემობითა და დაუოკებელი თავნებობით.

დემეტრეს ხანმოკლე მეფობაც დიდებულთა მტრობითა და აშლილობით იყო ამღვრელი.

ხოლო დავით აღმაშენებლის მთელი სიცოცხლე ერისთავთა მოთოკვისა და კალაპოტში ჩაგდებას შეეწირა. ბოლოზე მაინც შეძლო დიდმა დავითმა მიზნებ მიღწევა, დიდ-დიდ მთავრებს ლაგამი ამოსდო, უძლიერესნი თავიდან მოიცილა, უფრო სუსტნი დააჩოქა და ერთგულ ყმებად გაიხადა.

უზომოდ განდიდებულსა და აღზევებულ ქართველ დიდებულებს არ სურთ მეფის ხელისუფლების მორჩილება. ქართველი მეფის ძალისა და უფლებებისაკენ კანონიერი სწრაფვა რომ შენიშნეს, სადავე მოსწიეს და გასაშლელად გამზადებული ფრთები შეაკვეციეს.

მეფე არ ურიგდებოდა დიდებულთა

თავნებობას. ქვეყნის მომავალი ძლიერების პირველ პირობად მან დიდებულთა ამ უფლებების შეზღუდვა და ტაბტიზალში დამორჩილება ჩათვალა. ამ მიზნით სამტროდ გამდგარ დიდებულთა უცნობლად ჩრდილოეთიდან ყივჩაღთა დიდი ლაშქარი მოიწვია.

და როცა მეფე ასე ახლო იყო განზრახულის განხორციელებასთან, სწორედ მაშინ შეემთხვა ის უბედური ხიფათი — სიკვდილს გადაჩენილი ლოგინად ჩავარდა და დიდებულებმა მათ შესამუსრად აღმართული ლახვარი უსისხლოდ გამოაცალეს ხელიდან, გამოაცალეს და უგუნურებმა საქართველოს ფართულ მტერს, განძის თავგასულ ათაბაგს ჩაუტღეს ხელთ.

იმის მაგივრად, რომ ყივჩაღთა ლაშქრით საქართველოს მეფეს ქვეყნის გარეშე და შინაური მტრები ემუსრია, ლაშა იძულებული გახადეს სწორედ ამ ყივჩაღებთან ომში ჩაბმულიყო. სახელმწიფოსათვის მათ მიერვე გამზადებული განსაცდელი ისევე მეფეს გადააბრალეს და ხალხისაგან ამოღენა უბედურების დასაფარავად განძაში მომხდარი შემთხვევა უზომოდ გაბერეს და გააზვიადეს.

მეფის ერთადერთი ძლიერი და გონიერი თანამდგომელი — შალვა ახალციხელი დაკარგო იწვა სასნეულოში. თურმან თორელსა და ბიბლა გურკელს, ბექა ჯაყელსა და მეშნი ბოცოსძეს არც ძალა ჰქონდათ და არც გავლენა.

ყივჩაღთა ლაშქრის გამოსვლის ჩაშლის შემდეგ მეფე ველარ ხედავდა სხვა ახალ გზას, ახალ საშუალებას, რომლითაც თავზე დამსხდარ დიდებულებს მოთოკავდა, ან სრულიად მოცილებდა თავიდან.

იგი დაბნეული იყო, მარტოობისა და უმწიკობის განცდამ მეფეს სასო წარულო, კვლავ საკუთარი უღონობისა და მეფობისათვის შეუფერებლობის შეგნება თუ განცდა დაეუფლა.

ის იყო, მეფეს ცრემლი მოაწვა და ტირილი უნდა წასკდომოდა, რომ უცებ ნაცნობი ტყბილი ხმა ჩაესმა:

წარმავალი ნათელი,

სულ მოსავენარად ბრწყინდებო
ბინდის ფერია სოფელი, ბიზლირთხა
უფრო და უფრო ბინდდება,
რა არი ჩვენი სიციცხლე,
ჩიტებით გაგვიფრინდება,
ჩვენს ნასახლარზეც ოდესმე
ბალახი აბიზინდება...

სიმღერა სულ ახლო ისმოდა. უცებ კარი გაიღო და ზღურბლზე თურმან თორელი, ბექა ჯაყელი, ბიბლა გურკელი და მეშნი ბოცოსძე აღიმართნენ. თორელს ხელთ ებანი ეპყრა, დანარჩენებს ყანწები და წვაღწამოგებული შამფურები დროშებივით მაღლა აღმართათ და ალაყღაყებუი სახეები უღარდელად უცინოდათ.

— მეფეს გაუმარჯოს!

— მეფემ ილღეგრძელოს!

შესძახეს შეზარბოშებულმა ქაბუკებმა და მეფის საწოლში შემოკვიცდნენ. სატირლად გამზადებულ ლაშას გუნება უცებ გადაეშინდა, მეგობრების დანახვამ სიზარულის ღიმილი მოკვარა. მოწოდებული ყანწი უსიტყვოდ გადაკრა, ჰაერში აავლო და ფეხზე წამოიჭრა.

და ისევე დროს ტარებასა და უზომო ქეიფს მიჰყვა დიდებულთაგან დამცობი და შეურაცხყოფილი, საკუთარი უღონობით გულგატეხილი ქაბუკი მეფე.

ქალაქში და ქალაქგარეთ, მინდორზე და ტივზე, ტყეთა ჩრდილში და ჟინტილებს შუქზე, დღისით და ღამით გაბზით ქეიფობდა მეფე თავის თანამოსაკეებთან.

სასახლეში ლამაზი ქალები და მოქეიფე ქაბუკები გამრავლდნენ. მეფე ან სუფრაზე იჯდა თავის თანამეინახეებთან, ან ლოგინში ნებიერობდა ლამაზ საყვარლებთან.

მზარგრძელსა და სხვა დიდგვარიან დიდებულებს ფზიზელსა და მომთხოვნ მეფეს მთვრალი და უზრუნველი ქაბუკი ერთიანთ, ქეიფსა და დროსტარებას არ უშლიდნენ და სახელმწიფოს ისევე თავიანთ ნება-სურვილზე მართავდნენ.



თავი მეთორმეტე

საშინელი აჩრდილი

ზოგ ბავრატონთ ასე სკრით,
 არ ახსოვთ სამსახურია,
 რადგან რომ ბევრი ამო,
 ბოლოს არ გვიღონ ყურია.
 ო. თბილელი

სასწრაფოდან გამოსული ლუხუმის დანახვამ ლაშა შეჭზარა: მარჯვენა თვალის ადგილზე ცარიელი ორმო აჩნდა მიგრიაულს. შუბლისა და ლოყის მიჯნაზე ირიბი ნახმლევი აღბეჭდვოდა.

ეს საოცარი სფერო თუ სიღრმე ფერფლწაყრილი ნაკვერცხალივით თეთრწითლად ანთებოდა და ვაკეცის ისედაც მკაცრსა და კუმტ შეხედულებას რაღაც იღუმალსა და საშინელ იერს აძლევდა.

შეფემ ნაძალადევად გაუღიმა მისი გადარჩენისათვის ასე დასახიჩრებულსა და დაგონჯებულ მიგრიაულს.

ტყბილი სიტყვის თქმა სურდა, მაგრამ ენა ჩაუვარდა, უნებური სიცივე მოერია და თვალამოცილი ფოსოების ქაჯურ ცქერას თვალი ვერ გაუსწორა.



ზაფხული იყო.

სამეფო კარი კოლას იდგა. მეფე კოლას გაუვალ ტყეებში ნადირობდა და ყმაღნაფიცო ქვეყნების მთაეართა მიღებითა და ხარკის მითვლით იყო გართულო.

ჯერ ზღათის მელიქისაგან მოუვიდა მეფეს ხარკი და მდიდარი ძღვენი. შემდეგ არზრუმის მმარქანებელი, სელჩუქიანი ტოლრულ შაჰი ეახლა.

ერთ დროს უძლეველი თურქი სულთნების შთამომავლის, აწ ქართველთა ყმაღნაფიცის მაჰმადიანი ტოლრულ შაჰის დროშის თავს ჯვარი ამშვენებდა, ხოლო თავათ კილიჯ არსლანის ვაჟს

ტანთ საქართველოს მეფეთ მეფის ნაწყალობევი ხალათი ეცვა.

რაკი ტოლრულ შაჰის მრავალმა ცდამ მის სამფლობელოს თავისუფლება და საქართველოსაგან დამოუკიდებლობა ვერ დაუბრუნა, ახლა ტოლრული სრული მორჩილების გზას დადგომოდა და ძლიერი საქართველოს სამეფო კართან კეთილი განწყობილებით სურდა თავისი მდგომარეობის შენარჩუნება და ქვეყნის მტერთაგან დაცვა.

არზრუმის სულთანს თამარის ასულისა და ლაშა გიორგის დის სილამაზეზე ბევრი სმენოდა, მისი სურათიც ენახა და ახლა საკუთარი თვალით სურდა უკვე გასათხოვრად მოწიფული რუსუდანის ნახვა.

ტოლრულ შაჰს საცოლე ვაჟი ჰყავდა— მოღსედიდინი და არზრუმის მფლობელი საქართველოს სამეფო კართან დამოყვრებას ოცნებობდა.

მეფე რომ ტოლრულ შაჰის მასპინძლობას მორჩა და მოხარკე გაისტუმრა, კოლას ფარულად ტრაპიზონის იმპერატორი ალექსი კომნენი ეწვია ამალით.

მეფე გზად გაეგება ბერძენ იმპერატორს, გადაეხვია და ძმურად მოიკითხა. კომნენმა მეფის ამალას ჩამრუარა, ყველას შინაურულად მიესალმა და ხელი ჩამოართვა.

უცებ ლუხუმს წაადგა. მის შეხედვაზე შეკრთა და უამურად გააფრგოლა. წამსვე შებრუნდა, ცხენზე შეჯდა და ლაშას მხარდამხარ მეფის სამყოფელისაკენ გასწია.

კომნენი გარეგნულ ბრწყინვალეობას არ თმობდა, თორემ იხტიბარი გატეხილი

ჰქონდა და ის კომენი აღარ იყო, ლაშას მეფობის პირველ წელს რომ იმოგზაურა საქართველოში.

ძველი მდგომარეობის აღდგენისა და თურქთა მოხარკეობისაგან განთავისუფლების ერთადერთ იმედს კომენი საქართველოს მეფის დახმარებაზეა ამყარებდა. ფარულად ლაშას ელჩებსა და ძვირფას ძღვენს უგზავნიდა ხოლმე და ახლა თავათაც საიდუმლოდ ეახლა, რომ თავისი გვირგვინოსანი ნათესავისა და მეგობრისათვის შეეღა და შეწევნა ეთხოვა.

სინობის მარცხის შემდეგ ალექსის დიდი გული აღარ უნდა ჰქონოდა, მაგრამ კომენი ჩვეულ ქედმაღლობას მაინც არ იშლიდა და თავი ისე ეპირა, თითქოს ქეი ქაუსის მოხარკე კი არა, კონსტანტინოპოლის ტახტზე მჯდომელი ყოფილიყოს.

ლაშას, ცოტა არ იყოს, აღიზიანებდა კომენის უკულო ამპარტავნობა და დამცინავი ღიმილით შეჰყურებდა თურქთა უღელში თავგაყოფილი იმპერატორის უღონო ფაფხურს.

პურობაზე ისევ შეხვდა მეფის უკან ფეხზე მდგარ ლუხუმს კომენი, ისევ ცივმა ქრუანტილმა დაუარა საშინლად დასახირებული ვაჟკაცის დანახვაზე და იმპერატორს ჰამის მადა დაეკარგა.

თავჩაღუნული ჰამდა და სვამდა ბერძენთა მეფე, კვლავ ლაშას მცველს არ შეეხედო, მეფის უკან გახედვისა ეშინოდა, მონუსხულივით იჯდა და თავს ძალას ატანდა, რომ მზიარულ მეფეს აპყოლოდა და უგუნებობა არ შეენიშნათ.

მეფემ ლუხუმში მოიხბო, ჩუმად ყურში რაღაც უჩუტრჩულა და მიგრიაული მამინვე დარბაზიდან გავიდა.

— ეს საფრთხობელა სად იშოვე, მეფე? — ღიმილით უთხრა კომენმა და პასუხს არ დაუცადა, თვითონვე დაუმატა — ღმერთო, რა მახინჯია! როგორ უტყერი ყოველდღე?!

— ეგ ის მცველია, შენ რომ ტახისაგან სიკვდილს გადაგარჩინა და კონსტანტინოპოლის ფორუმზე ძეგლის დადგმას

ჰპირდებოდი. — დამცინავად მიუვო შეფემ.

ეპრენუსი

— ღმერთო, ნუთუ ისპარინ? სკი შეტანურა ოდნავ, მაგრამ ასეთი რა დამართია, რომ კაცს აღარა ჰგავს! — შეიცხადა კომენმა.

— ორგზის მე მიხსნა სიკვდილისაგან უბედურმა, ჩემი მოსახვედრი მაგან მოიხვედრა და ხმლით სახე დაეჩეხა, მე ცოცხალი გადამარჩინა და თავათ ეგრე დაგონჯდა.

— ერთგულებისთვის ჯილდო იცოდით ქართველმა მეფეებმა. ალბათ, ძალიან გებრალემა, რომ თავიდან ვერ მოიშორე. პურის ჰამაზე მაინც როგორ იტან მაგის ყურებას! გულს მიირევდა მისი გამოხედვა და შენი დიდი კრძალვა რომ არ მქონოდა, მე თვითონ გავიქცეოდი სუფრიდან ამდენხანს.

მეფე დუმდა და სახე მოღუშვოდა. ეტყობოდა, არ მოსწონდა კომენის ესოდენი კადნიერება, მაგრამ რაკი იმპერატორი მის გულისპასუხსაც ამბობდა, საწინააღმდეგო ვეღარაფერი ეთქვა.

— ქართველთა მოდგმა სილამაზით მთელ ქვეყანაზეა განთქმული, მაგრამ მე რომ ქართველებს არ ვიცნობდე, შენი მცველის მნახველი სხვა შეხედულებილა ვიქნებოდი. — სიცილით თქვა კომენმა და ლაშას სასამისს ღვინო დაუშმატა.

— რას ჩაფიქრებულხარ, მეფე? — ენამზეობდა ისევ კომენი, — ნუთუ აგრე გაგიჭირდა ერთი ნამსახური ყმის თავიდან მოშორება. იცოდე, გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს, ყველა სიმავრეს შემოვევლება და ყველა ციხეს ზერელი აქვს. ყველაზე დიდი საფიქრალი კაცმა თურმე დამშვიდებით უნდა იფიქრო და ყველაზე ძნელ საზრუნავი უნდა გაიიოლო. ნეტარი შენი ბიძა და პაპაჩემი — დიდი ანდრონიკე კომენი, არათუ ესოდენ უმნიშვნელო საზრუნავით იფუქებდა გუნებას, უდიდეს გაქრევებასაც არბეინად ხედებოდა და განსაცდელის დროსტარებდა აქცევდა. როცა მისოელ იმპერატორმა კონსტანტინოპოლის სასახლის ერთ-ერთ ციხე-

კოშკში შეაგდო ბორკილგაყრილი ანდრონიკე, დიდებულმა პაპაჩემმა სასოება კი არ წარიწორა, დატუსაღების დღიდან იმაზე დაიწყო ფიქრი, თუ როგორ გაქცეულიყო ციხიდან. ერთ მშვენიერ დღეს პატიმარმა შენიშნა, რომ მისი სამყოფელი კოშკის ქვეშ წყალსადენის ძველი, უკვე გაუქმებული მილი გადიოდა. გამჭრიახმა და გაბედულმა პაპამ იატაკი ამოთხარა, წყლის მილს ჩაჰყვა, რომ არავის შეემჩნია, ხერგელს ქვის დაფები ისევ ძველებურად დააფარა და დაიშალა. შუადღისას გუშაგებმა შენიშნეს, რომ ტუსაღი აღარ ჩანდა და ელდა ეცათ. ანდრონიკეს საკანი გადაატრიალეს, მაგრამ ყველაფერი თავის ადგილზე იყო, ძვირფასი პატიმრის გარდა. ტუსაღის აგრე წყალწმინდად გაქრობამ უაღრესად შეაშფოთა ციხისთავი. იცოდნენ, რომ დაუსჯელად არ ჩაუვლიდათ ეს დანაშაული, მაგრამ მაინც მაშინვე მანოელს აცნობეს მომხდარი ამბავი. მთელს იმპერიაში ძიება გამოცხადდა, ნუსადგურები დახურეს და ხომალდებს აღარ უშვებდნენ გაუჩხრეკავად, გზები და გასასვლელები შეკრეს და მთელი ქვეყანა ფეხზე დააყენეს „გაქცეული ტყვის“ შესაპყრობად.

„ლტოლეილის“ ამდენ მძებნელს ფიქრადაც არ მოსვლია, რომ ტუსაღი არსადაც არ წასულა და ისევ მათ ხელთ იყო. სხვას რომ ვერაფერს გახდნენ, დაკარგულის ახლობლების ჩხრეკა და დაკავება დაიწყეს. პირველად ყოვლისა ანდრონიკეს თანამეცხედრეზე მიიტანეს ეჭვი, რომ იგი იქნებოდა ქმრის გაქცევის მონაწილე. იმავე დღეს დააპატიმრეს და იმავე საკანში დამწყვდიეს, სადაც ანდრონიკე ჰყავდათ დატუსაღებული.

იმ დღეს, გარეთ რომ ამდენი ალიაქოთი იყო, ანდრონიკე არხეინად იჯდა თავის ჯურღმულში, როცა კარგად დაღამდა, ისევ მალლა ამოძვრა და თავის ცოლს გამოეცხადა. შეშინებულ ცოლს მოჩვენება ეგონა, მაგრამ პაპაჩემმა მაშინვე დაუმტკიცა, თუ რა უხორცო აჩრდილოც იყო. ამის შედეგი ის გახლდათ, რომ ცხრა თვის თავზე ანდრონიკეს თა-

ნამეცხედრეს ბიძა ჩემი იოანე შეემჩნია. მიუხედავად იმისა, რომ ფიქრადებით სავსე ანდრონიკეს თავგადასავალი ყველა იქ მყოფმა იცოდა, მაინც ყურადღებით მოისმინეს დიდი იმპერატორის შვილიშვილის ნაამბობი და გულიანადაც იცინეს.

მეფემ თავს ძალა დაატანა, რომ ენაზე მომდგარი სათქმელი არ ეთქვა. — შენ თუ იჩენდი შენი პაპის მსგავს სიმშვილეს, სინაპის წინ რომ ეკიდე თავდაღამო. ისედაც დამცირებელი, ბაქია ბერძენთა იმპერატორი შეებრალა, ერთი დამცინავად გადახედა და სასმისი სასმისზე მიუჯახუნა, რომ სტუმარს აზარფეშაში მოტოვებული ღვინო ბოლომდე დაეღია.



იმ დღიდან თბილისში დაბრუნებული მეფისთავის ლუხუმი წამებად იქცა. მის ყოველ დანახვაზე ლაშას კომნენის სიტყვები ახსენდებოდა, ტანში აქრიალებდა, გუნება ეწამლებოდა და თვალთ უზნელდებოდა.

სილამაზისა და მშვენიერების მოყვარულ ლაშას ეს შემზარავად დაგონებელი ვაჟაკი ჩრდილივით სულ თან დასდევდა და სულსა და გულს უმღერევდა.

ლაშა ყოველნაირად ცდილობდა ამ საშინელი აჩრდილის მოშორებას, ეპარებოდა, ან მიზეზს ეძებდა, რომ რამე დაესაქმებინა და თავიდან მოეცილებინა, მაგრამ ერთგული მეფის მცველი დავალებას სწრაფად ასრულებდა და თვალსა და ხელსშუა გამჭრალ მეფეს ხელად პოულობდა.

ვერ იქნა და ვერ მიეჩვია მეფე ლუხუმის სიმბაზინჯეს, ცდილობდა თავისათვის ჩაეგონებინა ამ ვაჟაკისადმი სიბრალული, იმის გამო, რომ ეს თვალი და კინაღამ სიცოცხლეს, მიგრიაულმა ლაშას შესწირა. მეფის გონება ლუხუმს ერთგულ, თავგანწირულ მოყმედ სახავდა, გული და თვალი კი თანდათან უფრო

უფროსი და მის სიახლოვეს ვერ იტანდა.

ბოლოს ეს გრძნობა ლაშას ლუხუმი-სადმი აუხსნელ შიშად ექცა და ხშირად მთელ დღეს საწოლიდან გამოუსვლელი-ბას არჩევდა კართან მდგარი მცველის დანახვას.

კარისკაცები და შიმუწნეარებიც პირს არიდებდნენ ღუბუბორ შესახედვას და საშინლად დაგონებულ მეფის მცველს, მასთან შეხვედრას გაუბრუნდნენ და აუცილებელ საქმეზე თავდახრილი ელაპარაკებოდნენ, რომ პირდაპირ სახეში არ შეეხებოდათ.

მხოლოდ მეფის და რუსუდანი იქცეოდა ყველასგან გამორჩეულად. მას ახლა უფრო თვალში მოსდიოდა ამაზრუნენად დამახინჯებული, ტანბრგე და მოუხეშავი ღუბუბორი. საშინელი ნახმლევი რუსუდანის თვალში მიგრიაულს ვაჟკაცურ სიმკაცრეს ჰმატებდა, ხოლო სახიჩარის ტლანქი მოძრაობა პირველყოფილი მამაკაცის ძალღონითა და სქესის სიჭარბით იზიდავდა. მალალი წრის ნატიფი ვაჟკაცებით თავმოებზრებული რუსუდანის თამამი ცქერა აფრთხობდა და აწითლებდა ბუნებით მორცხვას და გულბრწყვილო მიგრიაულს. რაც უფრო ერიდებოდა და ეკრძალებოდა ღუბუბორი მეფის დას, მით უფრო ეტანებოდა და უთამამდებოდა რუსუდანი. მეფისა და საკუთარი ცოლის ერთგულსა და პატიოსან ვაჟკაცს ხელმწიფის დას სიახლოვეც კი აშინებდა.

გაუძნელდა მეფეს ღუბუბორის სიახლოვე. გაუქირდა ღუბუბორს მეფის დასის რიგებში. უთუოდ დიდ ხიფათს გადაეყრები და მეფის რისხვას ვერ აცდებო, დაასვენა და გადაწყვიტა დროებით სასახლიდან წასვლა.

გადაწყვიტა და კრძალვით შეჰბედა მეფეს:

— რაც დავიკერი, ცოლი და დედა არ მინახავს, მეფე ბატონი თუ ნებავს დამრთავს, რამდენიმე დღით სახლ-კარს მოვიწახლავ.

მეფემ გაიხარა, რომ ასე კარგი შემთხვევა ეძლეოდა საშინელი აჩრდილის თავიდან მოსაშორებლად.

— რამდენიმე დღე კი არა, თუ გინდა, რამდენიმე თვით წადი, ნაქრილობევი ხარ, დაისვენე და ოჯახსაც მიხედე! უთხრა ღუბუბორსაგან სახეშეკეთულმა ლაშამ.

მადლიერი მიგრიაული სიხარულით დაეთხოვა მეფეს.

• •

ქეთევანის სახლის წინ ცხენოსანი შეჩერდა. ძალღმა ერთი შეყვება და მერე წკმუტუნითა და კულის ქნევით გაიქცა ქიშკრისაკენ.

თონებზე გადაყუდებული ქეთევანი წელში გაიმართა, ქიშკრისაკენ მოტრიალდა და ცხენოსანს გაოცებით შეხედა. ერთი შეხედვით უცხოოდ მოეჩვენა თავპირგაჩხილი, ცალთვალა ცხენოსანი.

ცხენოსანმა ქეთევანისკენ იბრუნა პირი.

— მგონი, ვერ მიცანი, დედილო! — ალაღად გაუღიმა ცხენოსანმა და ქიშკართან დაიქვეითა. ქეთევანს უცებ თვალღდან ცრემლი მოსწყდა და მაშინვე თავსაფრის ყურით მოიწმინდა.

— ღუბუბორ, შეილო! — სიხარულით თუ შეშფოთებით შესძახა ქეთევანმა და გულამოვარდნილი გაიქცა შევილისაკენ.

დედამ ერთი კი შეველო ღუბუბორის ნახმლევს თვალღ, შეტოკდა, მაგრამ არ შეიძინია, შევილს მოეხვია, ჩაკოცნა და გულში ჩაიკრა.

— შოღო, შეილო, შოღო, დედა გენაცვალოს! ძლივს ვეღირსე შენს ნახვას... მადლობა ღმერთს, რომ ცოცხალი გადამიჩინა... დღეს დიღიღან ჩიტი დამძახოდა და აკი ამხინდა! — ლაპარაკობდა ქეთევანი და თვითონაც არ იცოდა, რად ევსებოდა თვალღ ცრემლებით, ნანატრი

შვილის ნახვით თუ დასახიჩრებულის ცქერითა და სიბრაღულით.

— როგორა ხარ, დედი, ხომ კარგად?! მოიკითხა ლუხუმმა და თვალი ეზო-გარემოს მოავლო.

— კარგად, შვილო, ჩვენ რა გვიშავს, ოღონდ შენმა ჯავრმა გადამიყოლა მეცა და ის საწყალი შენი ქალიც.

ლუხუმი სახლის წინ პატარა სამფეხა სკამზე ჩამოჯდა. სახლს ახედა, თვალი ისევ გარემოს მოავლო და ხმადაბლა იკითხა:

— ლილე სად არის, დედი?

— ლილე, შვილო? ახლავე! მეზობლებში გადავიდოდა. — აფუსფუსდა დედა.

— თანდო! — გასძახა ქეთევანმა.

თონესთან ლოყებაწითლებული, ფეხშიშველა ბიჭი იდგა, პატარა ბიჭი ქეთევანის დაძახილზე შეკრთა, მაგრამ ადგილიდან არ დაძრულა.

— თანდო, შვილო, მოდი, ლუხუმს ეჩვენე... — მოიწვია ქეთევანმა ბალღი და თან შვილს გადაულაპარაკა: ჩვენ-ბიანთ ლევანს ობოლია, კი ბიჭია, დაუხარელი.

თანდო ადგილიდან არ დაძრა.

— მოდი, ბიჭო, რისა გრცხვენია? — წაათამაშა ქეთევანმა, მაგრამ ბიჭი ადგილიდან არ იმძრეოდა, შეშინებული დედა-შვილს თვალს არიდებდა და ეტყობოდა, მოძალებული ცრემლის შემაგრებას ცდილობდა.

— თანდოს გაუმარჯოს! — წამოდგა ლუხუმი და ბიჭისაკენ ღიმილით დაძრა, — რაკი შენ არ მკადრულობ, მე თავად უნდა გაეხლო და გააცენო, — ხუმრობდა ლუხუმი და თანდოს უახლოვდებოდა.

თანდომ წამით მოიხედა და მისკენ მომავალ ლუხუმს რომ შეხედა, შეზბლავლა შიშით გულგახეთქილმა:

— არა, არ მინდა... — ამდენხანს შეკავებული ცრემლი წასკდა შეშინებულ ბიჭს და ღრიალით გაიქცა.

— მოდი, ბიჭო, რისა გეშინია? — მისძახოდა ლუხუმი და ღიმილით აყო-

ლებდა თვალს ეზოდან გაეპარდნოლ თანდოს.

დედა მიხვდა, რისაც შეეშინდა ლუხუნას ობოლს. ერთი თავისთვის ჩაიგმინა გულდათუთქულმა, — ვაი, შვილო, შენს შემხედავ დედას!.. — და ლილეს გასძახა.

— დედა, რა ამბავია? — გადმოსძახა აიენიდან ხმაურზე გამოსულმა ლილემ.

— შინა ხარ, შვილო? მეზობლებში მეგონე... ლუხუმი მოვიდა, ჩამო! — შეპლიმა დაბლიდან ქეთევანმა.

ლილემ ხელსაქნარი გააგდო და მოაჯირიდან გადმოიხედა.

— გამარჯობა, ლილე! — შესძახა დაბლიდან ლუხუმმა, ყელი გვერდზე მოიქცია და სიხარულით სახეგაბადრული შეაქერდა.

ქროლა საღი თვალი სიხარულით უბრაწყინავდა ლუხუმს, მეორე თვალის მაგივრად, რალაც უტყვი, მაგრამ საშინელი, თეთრ-წითლად დანაოკებელი სიღრმე შეკუყრებდა ლილეს.

სახის ცალი მხარე უცინოდა და ნერვიულად უთამაშებდა მიგრიალს, ხოლო მეორე გაყინულივით ცივად და უძრავად, იდუმალეზებით საესე, მაგრამ ამოზრუნენი ცქერით მიქცეულიყო ლილესკენ.

ლილეს ორჯერ ჰყავდა ნახული თბილისის სასნეულოში დაქრილი ლუხუმი. მაშინ თვალი ახვეული ჰქონდა მეფის მცველს და თუმცა ეჭიმებმა გააფრთხილეს, ცალთვლი დარჩებო, ცოლს მაინც ვერ წარმოედგინა ქმრის ესოდენ დასახიჩრება და დაგონჯება.

ქალს წამით ერუანტელმა დაჰკრა და თმებიდან ფეხის ფრჩხილებამდე სიცივე იგრძნო, კინალამ სახე იბრუნა, მაგრამ დედის ხეწწანარევემა ძახილმა გამოარკვია.

— ჩამო, შვილო, ჩამო... — დედის ხმაში დამწვარი გულის ძახილი გაიგონა ლილემ. შეეცოდა ქალს უბედური ვაეკაცი, თავს ძალა დაატანა, სატირლად გამზადებულ სახეზე ღიმი მოიფინა და კიბეზე დაეშვა.

ლუხუმისათვის პირდაპირ აღარ შეუ-
ნდავს, ზსე მიიბრინა, მოეხვია და თავი
ვაეკაცის მკერდში ჩამალა.

ეზო მნახველებით გაივსო, მოდიოდ-
ნენ მეზობლები, ახლობლები და შორე-
ულები. მეასეჯერ აყოლებდნენ და უს-
მენდნენ მეფის მცველს განძის ბრძო-
ლის, ლუხუმისაგან მეფის გადარჩენის,
მისი დაქრისა და მკურნალობის ამბავს.

ერთხელ შემხედანნი სახეში ველარ
უყურებდნენ, თავდახრით ელაპარაკე-
ბოდნენ და უსმენდნენ.

ეზოდან გასულები თავის ქნევით და

ოხებით მიდიოდნენ და ორლობებში
ხმადაბლა ლაპარაკი ისმოდა.

— როგორ დაგონებულა ბედშაჰი!

— ან კი როგორ გადარჩა?!

— კაცს აღარა ჰგავს და, ეგეთ გადარ-
ჩენას სიკვდილი არ ერჩია?!

— ვაი მაგის უბედური დედისა და
ცოლის ბრალი!

იტყოდა რომელიმე დედაკაცი და
ცხოვრების სიმკაცრეგამოცდილი ბერი-
კაცი იქვე მოუჭრიდა:

— თავათ იკითხოს უბედურმა, თორემ
ლამაზ ქალს ქმრის სიგონჯით თავი რო-
დის დაუჩაგრავს?!

თავი მცხამებთ

ხარბი სტუმარი

ნუ ისერებ კაცისა თანა მოშურნისა, ნუცა გულო
გიოქვამს საჭმელსა მისსა... ნუცა მოიყვანებ
შენთან მას და შვამ შენ ბურსა მისთანა...

ივანე

მთელ ღამეს მეფის ამბავს აყოლებდა
ლილე ლუხუმს. მის გარეგნობასა და ხა-
სიათზე, ზნესა და წესზე ათასგვარ რას-
მე ეკითხებოდა.

პირდაპირ კედელზე, ლილეს საწოლ-
თან, ოთახში ეკიდა ღამის სურათი: პა-
ტიოსანი თვალებით მოკვდილ ოქროს
ტახტზე იჯდა მეფე. აბრეშუმის თეთრი
ყელმოჭრილი პერანგისა და თეთრი ატ-
ლასის ახალუხის ზემოთ ღამის ლაყვარ-
დი კაბა ემოსა. მოკლე, ენებიან კაბაზე
სარტყელი შეხსნილი ჰქონდა. ფერხთ
ოქროს წინწკლებიანი მწვანე პაიჭები და
წვეტიანი, ქუსლმალალი მაშეები ეცვა.
მხრებზე ოქროს ყვავილებით მოჭარგუ-
ლი ფარჩის ღართი ჰქონდა მოსხმული.
მარჯვენა ხელს ნაკაბით დაყრდნობოდა,
ხოლო მარცხენაში მცირე გრაგნილი
გეყრა.

პატიოსანი თვლებით შემკული ოქ-
როს გვირგვინი და სკოპტრა გვერდით
იღო, პატარა ტაბლაზე. მეფის გამოხედვა
ძალისა და სიმდიდრის ამ ნიშნებისადმი
სულ გულგრილობასა და განურჩევლო-

ბას ამქდანებდა, ხოლო ოცნებაში წასუ-
ლი ღრმა, ცისფერი თვალები მეფის სა-
ხეს უაღრესად დაფიქრებულსა და აძალ-
ლებულ იერს ანიჭებდა.

სურათში ღამა უფრო ნაზსა და განე-
ბივრებულს, სოფლის ამოებაზე ადრე
დაფიქრებულ უფლისწულს ჰგავდა.

იგი ლილესათვის კეთილი ნერგი, ყო-
ველთა ფერთაგან შემკობილი მოზარდი
ყვავილი იყო, მშვიდი და განურისხებე-
ლი.

ქმარი თითქოს იმას მოუთხოვობდა ლი-
ლეს, რაც მან უკვე იცოდა ამ სურათის
გამუდმებული ცქერით, მასთან უხმო
საუბრითა და ჩუმი სულიერი კავშირით.

— უბრალო მონა რა არი, იმასაც არ
დაკრავს ერთ მათრახს. ყოველი კაცის
მოყვარულია დიდისა და მცირესი. გონე-
ბით უმანკო, გაჭირებულთ განმკითხ-
ველი, ბჭე და მოსამართლეა ჩვენი ხელ-
მწიფე, — მოწინებით ამბობდა ლუხუმი
მეფეზე და ლილეს შინაგანად სწამდა,
რომ მეფე სწორედ ასეთი უნდა ყოფი-
ლიყო.

არ სჯეროდა და მის წარმოდგენას არ ეგუებოდა ლუხუმის ნათქვამი ლაშას ლომგულობასა და ოშში მხეცქმნილობაზე, მეფის უებრო ძალოვნებასა და შემართებაზე. ვერ წარმოედგინა ლილეს, რომ ესოდენ ნახსა და ლომობიერს, მაღალი ფიქრითა და ოცნებით გატაცებულ ქაბუჯ მეფეს კაცის კვლა შეძლებოდა, თუნდაც გაცხარებულ ოშში.

ამიტომ ყოველივე ის, რასაც ლუხუმი განვიღო ბრძოლასა და მეფის გმირობაზე უამბობდა, ლილეს გულს არ სწვდებოდა, მის წარმოდგენას არ ავსებდა თავის სათაყვანებელ ლაშაზე და მისი ფიქრისა და გონების გარეშე რჩებოდა, თითქოს იმ ადამიანს არც კი ეხებოდა, რომლის ცხოვრების ყოველი წვრილმანი ასე ანდამატებით იზიდავდა ბავშვობიდან მასზე მეოცნებე ლილეს.

ლუხუმი გლეხური გულუბრყვილობით და აღტაცებით უამბობდა ლილეს კარის ცხოვრებაზე, მეფის თანამოასავე მგებობების სიმდიდრესა და ბრწყინვალეობაზე, მაგრამ ლილეს წარმოდგენაში ვერც ერთი უღამაზესი და უბრწყინვალესი დიდებული ლაშამდე ვერ მალდებოდა და მის გონებას კეთილშობილ ლაშასთან შედარებით სხვა ყველა უბრალო პირუტყვებად ესახებოდა.

— მეფეზე ამბობენ, დედათა მოყვარე არისო. მართალია, ლუხუმ? — იკითხა ლილემ და თავისივე ნათქვამის გამო თვითონვე შერცხვა და გაწითლდა.

— არა უმეტეს სხვათა მეფეთა გონიერთა და პატიოსანთა... — მიუგო ლუხუმმა და ახლა იგი გაწითლდა იმის გამო, რომ იცრუა.

ლუხუმს თვალწინ დაუდგა დედათა გარდამეტებით მოყვარე ლაშა, რომელსაც სასახლის პალატებში თუ ქალაქის მოედნებზე, ბაღებსა თუ განსასვენებლებში შუდამ ლაშაზე სიძვის დიაცებისა და ხარკების გუნდი დასდევდა განუყრელად, როგორც ღეზებიან მამალს დაჰყვება დედლების გუნდი, ან წვერიან ვაცს თხების არევე.

— ეს თუა მართალი, ლუხუმ, მეფე ბეერსა სვამს და მემთვრალეთა თანა გა-

ნისვენებსო... — კვლავ იკითხა ლილემ. — სმით სვამს დიდებული მეფე, მაგრამ არც იმდენს, რამდენსაც ბოროტი მექორენი ლაპარაკობენ... ამბობენ, ჯავრით სვამსო, ჩვენი ხელმწიფე.

— საჯავრებელი რა უნდა ჰქონდეს ეგოდენ ბედნიერსა და ძლიერ მეფეს? — გაიკვირვა შეწუხებულმა ლილემ.

— მაგას ჩვენ ვერ გავიგებთ, ლილე, ჩვენისთანა უბირები ვერ მისწვდებიან მეფის მაღალ განზრახვასა და საზრუნავს...

ორივე დადუმდა და ფიქრმა წაიღო. უცბე ლილემ მძიმედ ამოიოხრა.

— რათ ოხრავ, ჩემო ანგელოზო? რამ დაგაღონა? — ჩაჰკითხა ლუხუმმა.

— ერთი ხეაშიადი მაქვს, ლუხუმ და ვერ კი მითქვამს.

— რა ხეაშიადი, ლილე? ისეთი რა იქნება, რომ მე ვერ გამიზილო?

— არა, გაუმხელი რა არის, მაგრამ ვშიშობ, შენ არ მომიწონო.

— შენ ისეთი რა უნდა იფიქრო, რომ მე არ მომიწონოს, საყვარელო?!

— მეფე ვაწვიოთ, ლუხუმ.

— ააა? — გაოცებისაგან გაშტერდა ლუხუმი.

— მეფე ვაწვიოთ სტუმრად.

— სადა, აქ, ჩვენ სახლში?

— აქ, ჩვენ სახლში.

— მერე რით გინდა მეფეს დაუხვდე? შევძლებთ კია მეფის გამასპინძლებას?!

— შევძლებთ, ლუხუმ, შეუძლებელი რა არის. ღეთისა და მეფის წყალობით ფრინველი ბევრი გვყავს და ოთხფეხი, ბედელი საცხე გვაქვს და მარანი..

— ვაითუ საკადრისად ვერ დახვდეთ მეფეს. — წაილულულა ფიქრში წასულმა ლუხუმმა.

— მაგისა ნუ გეფიქრება, ლუხუმ, ეგ მე მომანდე და ჩემზე იყოს, მეფეს ისეთი პატივი ვცე, სამუდამოდ დაამახსოვრდეს. არაფერზე შენ არ გაგარჯი და შეგაწუხებ, შენ ოლონდ ერთი გააკეთე, მეფე აწვიე.

— მეფის წვევა ადვილია, ლილე, მაგრამ...

— სხვა ჩემზე იყოს-მეთქი, განა ჩემი არ გჯერა? ხომ იცი, რომ არ შეგარცნვენ, — დაუტკბა და მოეხვია ლილე.

საყვარელი ცოლის ალერსით დამდნარი ლუხუში თავდავიწყებით კოცნიდა მის მონატრებულ გულ-მკერდს და ნაწყვეტ-ნაწყვეტად ლუღლუღებდა:

— ეგრე იყოს... შენს სურვილზე იყოს, ჩემო სულისდგამე!..

*
*
*

შუალამე გადასული იყო. ლუხუმს უკვე ჯანმრთელი ვაჟაკის ნებიერი ძლით ეძინა.

ლილე სიბნელეში ქმრის დაგონჯებულ სახეს ვედარ ხედავდა, სამაგიეროდ, მის ძლიერ სუნთქვას და გოლიათურ სხეულს გრძნობდა. ომიდან სახელითა და ჯილდოებით დბრუნებული მეფის მცველი უძლეველი და ყოვლისშემძლე ეგონა და დიდი, თავდავიწყებული სიყვარულის ღირსად მიაჩნდა. ხედავდა ლილე, რომ იგი ესოდენ სუსტი და პატარა ქალი ამ დღეისოდენა კაცის სულისა და ხორკის სრული ბატონ-პატრონი იყო. მისდამი ქმრის უსაზღვრო სიყვარული საამაყოდ ეჩვენებოდა და თვითონაც გრძნობდა ამ წმინდა სიყვარულის წინაშე თავს ვალდებულად. იგი ახლა ისე ახლობლად თვლიდა თავის ართვალს, მაგრამ ალაღსა და ღონერს ქმარს, ესოდენ გულით უნდოდა მასთან ასე გონუერლად ყოფნა, რომ მისი მკერდიდან ძალითაც ვერავინ ააგლეჯდა. ბურანში წასულისთვის რომ გვეითხათ, ქმარი თუ გიყვარს, ან ბედნიერი ხარ თუ არაო, ალბათ, „ჰოს“ მეტს ვერაფერს გეტყვიათ. ყოველ შემთხვევაში, იგი გრძნობდა, რომ რამდენიმე ასეთი ბედნიერი ღამე საქმარისი იქნებოდა, რათა ქმარი საბოლოოდ და გულწრფელად შეჰყვარებოდა. მძინარ ლუხუმს ზედ ეკვროდა და ალერსითა და ფიქრით დაღვალს ნეტარი რული ერეოდა.



მეორე დღეს ლუხუმმა დედას გაუზიარა განზრახული. ქეთევანი უარზე დადგა, მეფის წვევა რა ჩვენი საქმეა, ხელმწიფის სტუმრობით კარგი ვის მოსელიათ.

ლილე დემდა. იგი გუმანით ხედებოდა, რომ დედა მართალი იყო. წუხანდელი განცდისა და ფიქრის შემდეგ მასაც ზედმეტად და სახიფათოდ ეჩვენებოდა მათ მყუდრო ოჯახურ ცხოვრებაში მეფის წვევით მოსალოდნელი არეუ-დარევა. მას უკვე ადრინდებულად აღარ აღელვებდა მეფის სტუმრობა. ამიტომ გულგრილად ისმენდა ლუხუმისა და ქეთევანის საუბარს. გრძნობდა, რომ ლუხუში მის საამებლად არწმუნებდა დედას მეფის წვევის სიყვეთეში, გრძნობდა, მაგრამ თავისივე განზრახვის წინააღმდეგ ხმას არ იღებდა. ლუხუმმა თავი გამოიღო, დედას ყური არ უგდო და თავისი დაიყინა — გინდა, არ გინდა, მეფე უნდა გაწვიოთო.

იმ დღეებში კახეთის ერისთავი ბაკური ემზადებოდა თბილისისკენ გასამგზავრებლად და ლუხუში საგულდაგულოდ ეახლა ერისთავს.

— ამდენი ხანია შენს საეროსთავოში ვსახლობ, ჩემსას ერთხელაც არ ბრძანებულხარ, ღირს მყავ და სტუმრად მეწვიე. სთხოვა ლუხუმმა.

ბაკურის დიდი ხანია თვალში ეკლად ჰქონდა ველისციხელი მეფის მცველის კობია სახლ-კარი და მამულები. შური თ უცქერდა შორიდან, როგორ იფართოებდა მიწაწყალს მეფის ნაწყალობევიტ გვირგვინოსანის უახლოესი მსახური.

სხვას მის ადგილზე ამდენხანს წაგლეჯდა რასმე ხარბი ერისთავი, მაგრამ ხელმწიფის შიშით ლუხუმს ბუხსაც ვერ უფრენდა და შორიდან თავისსავე გულს ასკდებოდა.

კარგა ხანია მიგრიაულის ბალ-ვენახისა და სახლ-კარის ქება ესმოდა ერისთავს. თავათ სურდა საკუთარი თვალთ შეეთვალიერებინა ახლად გააზნაურებული

გლუხის დოვლათი, მაგრამ აქამდე შესაფერისი შემთხვევა არ მისცემოდა, ხოლო დაუპატრიებლად კარზე მიდგომა, ცოტა არ იყოს, ენათიერებოდა ამ ყერისთავს.

დედათა გადამეტებით მოყვარულსა და ქალების წუწკ ერისთავს მიგრიაულის ცოლის საზღაპრო სილამაზეც ჰქონდა გავონილი და მისი თვალის ერთი შეველებისათვის სული მისდიოდა.

— ფრიად მიაბება შენი წვევა, ჩემო ლუხუმ, — გაიხარა ერისთავმა, — სხვა არა იყოს რა, მეზობლები ვართ და არ ვარგა ასე შორიშორს ყოფნა. მე თვითონ უნდა მეწვიე აქამდისაც, მაგრამ რაკი ნავსი შენ გასტეხე, ამიერიდან ერთი მეორესთან მისვლა-მოსვლასა და სტუმრობას ნულარ მოვეშლით. — თავპატრიგაუდებლად უთხრა ბაკურმა და იმ დღესვე კახეთის ერისთავი ველისციხელ აზნაურს ესტუმრა.

ბაკურის საამებლად და დროს გასატარებლად ლუხუმმა ორიოდე სხვა საპატიო სტუმარიც იწვია.

ლილე და ქეთევანი დილიდანვე დატრიალდნენ და ხელმწიფის საკადრისი მასპინძლობა მოამზადეს.

ხარბ ბაკურს გზაზევე, ჭიშკართან მისვლამდე დაუყენა თვალი მიგრიაულის ეზო-გარემომ.

ცხენდაცხენ მიმავალი ბაკურის შური ჯერ კიდევ ლუხუმის ზვარმა აღძრა, კარგად შეკრული ზვარის ღობე გრძლად გაიქიმა და არ იქნა, აღარ გათავდა. ზვარს დახუნძლული ხეხილით სავსე ბაღი მოჰყვა და ბოლოს სუფრასავით სუფთა, მწვანით დაფარული ეზოც გამოჩნდა.

დიდი ალაცუდის კარი კაცს ქალაქის შესასვლელს მოაგონებდა. ეზოს მეორე მხარეს, ხეხილის იქით, პირუტყვით სავსე დიდი საჩხეხე ოდნავ ჩანდა და გრძლად გაბმული თავლებიდან ცხენების ჭიხვინი ისმოდა.

მაღალმა ქორედმა სახლმა და გემოვნებით გაშლილმა სუფრამ ხომ მთლად თვალი დაუბრმავეს გულხარბ ერისთავს.

ჯერ კიდევ ყველაფრის თვალის მოვლება და აწონ-დაწონა ვერ მოესწრა ბაკურს, დარბაზში რომ ლილე შემოცქრიალდა.

დარბაზს შუქი მოემატა და ქერმა მალდა აიწვია.

ბაკურს თავი სიზმარში ეგონა, სახტად დარჩენილმა დანახულს არ დაუჯერა. ფეხზე მოჯადოებულებით წამოდგა, ბიჯი მთვარალებით წადგა და დიასახლისის რეტდასხმული მიეგება.

„ამისთანა ანგელოზი ამ ვირისთავს ვინ მისცა?!“ გაიფრქვა დიასახლისის პირველი დანახვისთანავე ერისთავმა და სისხლიანი თვალები მშვიერი პირუტყვით მიაშტერა მასპინძლის ცოლს.

ლილე ბაკურის პირველმადე გამოხედვამ შეაკრთო. ერისთავის გაუმაძლარი, დაეინებული მზერა თითქოს ტანთ ხდიდა და ტანსაცმელს იქით ხედავდა. დიასახლისი წამოწითლდა, თავისდა უნებურად გულისპირისკენ წაიღო ხელი და ძვირფასი მოსასხამი სხეულზე უფრო მკვიდროდ შემოიხვია.

სტუმრები სუფრაზე მოიწვიეს.

ბაკურის სუფრაზე მის მეტი თამადად თავის დღეში არავინ ყოფილა და ახლაც ერისთავმა მასპინძელს ბევრი არ ახვეწინა.

დიდი სასმისები მოითხოვა, განჯინისკენ რხევით წასულ ლილეს თვალი მოზვერივით გააყოლა და ეშხში მოსული ქეიფს შეუღდა.

სამი კაცის ზომას სვამდა და ჭამდა ჯანმრთელი, ლოყებლაცდავა ერისთავი. დარიბი კაცის სუფრას მისი სტუმრობა კბილის ერთ გაკვრანევე შეეტყობოდა, მაგრამ შეძლებული აზნაურის ცოლს კერძი კერძზე მოჰქონდა და უხვ მასპინძლობას დასასრული არ უჩანდა.

ერისთავის პირდაპირ, სუფრის ბოლოს იჯდა ლუხუმი. ბაკური სახეს არიდებდა დაგონებულ მეფის მცველს და თვალი უფრო თავის გვერდით მოღუღუნე მტრედისკენ ჰქონდა.

ლაპარაკობდა თამადა ცისას და ბარიასს, მეფისა და ქვეყნის, ღვინისა და საქმლის, ნადირობისა და შექცევის ამ-

ბებს, მაგრამ რაზეც უნდა ელაპარაკა, გული მიანიც მართო ერთზე ფიქრობდა — გვერდით მზეთუნახავი მყოლია და რატომ ამღენხანს არ ვნახე, რა ვქნა, ზელთ როგორ ვიგდოო.

ამ ფიქრსა და საგონებელში რომ იყო, ლუხუმმა დიდი ბოდიშით და კრძალვით, ხმადაბლა, თავაუღებლად ჰკადრა:

— ერისთავთ ერისთავთან მე და ჩემს ცოლს ერთი თხოვნა გვაქვს და არ ვიცი, შევებდო, თუ არა. ლილემ თავი ჩაღუნა და გულმა ბაგაბუგით უწყო ცემა.

— თქვი, ლუხუმ, თქვი! — თქვენ ისეთი რა უნდა მთხოვოთ, რომ მისი ასრულება სასიხარულოდ და საამაყოდ არ შეჩვენოს. — მიუგო ერისთავმა და პირი ლილესკენ იბრუნა.

ვაკაცის ცხოველური სუნთქვა მისწვდა ლილეს. ქალმა სკამი უკან დასწია. სახეწამოწითლებულმა ლუხუმმა ენის ბორბიკით განავკრო:

— მეფის წვევა განვიზრახეთ, ბაკურ ბატონო...

— მეფის წვევა? — განცვიფრდა ერისთავი.

— დიახ, მეფის წვევა! — დადასტურა ლუხუმმა, — ხელმწიფემ ადრე აღმითქვა, შენს სახლ-კარში გეწვევიო და ახლა, რაკი წელი წამოვიღეთ და შერცხვენის შიში არა გვაქვს, გადავწყვიტეთ, მეფე ვაწვიოთ.

სახტად მჯდარი ბაკური ლილეს შეპყურებდა და ხმას არ იღებდა. იგვ თავის ფიქრს წაეღო:

„ამ ქალს რომ მეფე ნახავს, მერე იგი ჩემთვის დაკარგულია. მაგრამ არც უამისოდ არის ნაღდი საქმე მისი ხელში ჩაგდება და შეიძლება დიდ ხიფათსაც გადავეყარო, — ფიქრობდა თავისთვის ერისთავი. — მეფის ამბავი რომ ვიცი, ლილეს თუ ერთი თვალი მოჰკრა, მერე ვიდრე საწაღელს არ აისრულებს, აღარ ჩამოეხსნება და ვინ იცის, რა ამბავი დატრიალდეს! იქნებ მიგრიაული მთლად განდიდდეს და ერისთავობამდე აღზევდეს. თუ თავმოყვარეობა არ გააჩნია და ცოლის გაბახებას არაფრად ჩააგდებს, უთუოდ ასეც მოხდება. მაგრამ თუ ცო-

ლი ძალიან უყვარს და ასეთი ცოლი ან კი როგორ არ ეყვარება, მის შეგინებას ვერ შეურიგდება და დრღ ფანტურას რასმე გადაეყრება. თუ ასე მოხდა, ერისთავისთვის ეს აჯობებს. მეფე თავისი სურვილის წინააღმდეგომ მსახურს შერისხავს, მაშინ ეს მშვენიერი ზეარი და სახლ-კარი, ურიცხვი ჯოგი და დოვლათი სხვას ვის დარჩება, თუ არ მეფის ერთგულ კახეთის ერისთავს? არა, რა დროს პირად სიამოვნებაზე ფიქრია, როცა მეფის გულის მოგება და შორს აუცდენლად დამინება შეიძლება? ბაკურს სხვა საქმეც რომ არ ჰქონოდა თბილისში, ხვალვე უნდა წავიდეს და მეფეს პირველმა აუწეროს ლილეს უბადლო სიტურფე და მშვენიერება...

ამ უკანასკნელ აზრს რომ დაადგა ერისთავი, ლილესკენ სკამი კიდევ უფრო მისწია და სათხოვარი არ გადათქვანო, შემინებულმა ჩაჰკითხა:

— როდის ინებებთ მეფის წვევას? — ერისთავი სუფრაზე ნახევრად გადაწევა და სახე ლილეს სულ ახლოს მიუტანა. ლილემ სკამი უკან დასწია, აიღეწა და საფრთხე მიახლოებული ხოხობივით გაიტრუნა.

— დღეისწორებზე, მეფე-ბატონი თუ მოიცლის. — ლილეს მაგივრად უბასუხა ლუხუმმა.

— მოიცლის, როგორ არ მოიცლის! რაც უნდა საშური საქმე ჰქონდეს, გადავადებინებ და დღეისწორს აქ ვიქნებოთ. თუ ასე არ იქნეს, ეს უღვაში შერცხვეს! — დაიქადა ნათქვამის ასრულებაში დაჯერებულმა ერისთავმა და ყანწივით დაგრეხილ გრძელ უღვაშზე ჩოტივით გაშვერილი ოთხი თითი დაისვა.

*
*
*

მეორე დღეს თბილისისაკენ მიმავალმა ბაკურმა ლუხუმს გამოუარა. მის ცოლს ერთხელ კიდევ მსუნაგად შეავლო თვალი, მეფის მცველს ხელმწიფის წვევის ბარათი ჩამოართვა და დედაქალაქსკენ გასწია.

სატახტოში ჩასვლისთანავე ბაკურმა

მეფე ინახულა და მიგრიაულების წერი-
ლი მიართვა.

მეფემ ბარათი ჩამოართვა და სახეზე
ღიმილმა გადაურბინა.

— კახეთში მპატიეებს ჩემი მცველი,
მასპინძლობით უნდა გამაყვიროს! —
ავდებულად გადაულაპარაკა მეფემ
ერისთავს.

— მასპინძლობით ჩვენს მეფეს ვინ
გააკვირებს, მაგრამ ცოლი კი ისეთი
პყავს, რომ ხელმწიფესაც გააკვირებს
და ათქმევეინებს, აქამდე ქალის მნახვე-
ლი არ ვყოფილვარო! არცთუ ცოცხა-
ლი, არც ხატი და სურათი მსგავსი მშვე-
ნიერებისა არ მინახავს.

ნერწყვის ყლაპვით თქვა ბაკურმა.

— ერთი ლუხუმს დამიხედეთ! ვინ წა-
პყვა მაგ...

მეფეს კინალამ წამოსცდა, „მახინჯ-
სო“, მაგრამ თავი შეიკავა.

შემდეგ მდივანი იზმო და ლუხუმისა-
თვის გასაგზავნი წერილი უქარნახა.

რაც დასანახავად საზარელი მცველი
თბილისიდან მოიშორა ლაშამ, შვება
იგრძნო და ახლა მის სანახავად ველის-
ციხეს რა წაიყვანდა! კახეთის ერისთა-
ვის ნათქვამმა ლუხუმის ცოლის იშვიათ
სილამაზეზე, საღერღელი აუშალა, მაგ-
რამ ქალებისადმი ბაკურის განურჩე-
ლობა იცოდა და მის გემოვნებას დი-
დად არ ენდობოდა.

მეფის მცველის ცოლი ისეთი რა უნ-
და ყოფილიყო, რომ მისი სიახლოვის
სიამოვნებას ლუხუმის ცქერის სატანჯ-
ველი აენახლაურებინა!

მეფემ გაურკვეველი პასუხი მისწერა
მიგრიაულს — თბილისში დაბრუნებას
ნუ იჩქარებ, ახლა ზაფხულია და რო-
გორც სამეფოს საქმეებისაგან მოვიცილი,
შემოდგომის ბოლომდის უთუოდ გეწ-
ვევიო.

მეფის ბუნდოვანმა პასუხმა ცოლ-ქმა-
რი ჩაადიქრა: იგი უარიც იყო და თანხ-
მობაც. რამდენიმე თვის განმავლობაში
ლუხუმი მეფის სამსახურს უნდა ჩამო-
შორებოდა, შინ უნდა დარჩენილიყო და

თვალი გზისკენ ჰქონოდა, როდის გამო-
ჩნდებოდა საპატრო სტუმარნი, ენესული

ხელმწიფის ბრძანება კანონი იყო და
მიგრიაულებს მეტი რა დარჩენოდათ.
გაურკვეველი დღისათვის საშხადისს შე-
უდგნენ, საკლავი და სურსათი მოიმარა-
გეს, ტან-ფეხი გაიხალეს და ეზო-მიდა-
მოს კიდევ უფრო გამშვენიერებას მი-
ყვეს ხელი.



ქართველთაგან განძის აუღებლობით
წათამამებულმა, განძში დასახლებულ
ყივჩაღთა ბელადმა საქართველოს მორ-
ბევა განიზრახა.

განძის ამირამ ქუშხარამ კარგად იცო-
და ქართველთაგან განძის აუღებლო-
ბის ფასი. საქართველოს ძლიერების ში-
ში წინანდებურად ჰქონდა და ყივჩაღებს
ლაშქრობაზე ხელის აღებას ურჩევდა.

ყივჩაღებმა ქუშხარას რჩევას ყური არ
ათხოვეს, ქართველთა მხედრობის ამბე-
ბი წინასწარ არ გამოიძიეს და საქართვე-
ლოს განაპირა სამთავროებს შეესივნენ.

მენაპირეებმა მაშინვე ამირსპასალარს
შეატყობინეს და ივანემ ლაშას ყივჩაღ-
თა ლაშქრის მიერ სამეფოს სანაპიროე-
ბის რბევისა და აკლემის ამბავი აცნობა.

— ყივჩაღებთან ბრძოლაში მე უმე-
ცარ და უიღბლო ვარ, თანაც შეუძლო.
ლაშქარს ამირსპასალარმა უთავოს! —
გადაქრით განუცხადა მეფემ ათაბაგს
და საწოლში ჩაიკეტა.

მხარგრძელი კარგად მიხვდა მეფის
პასუხის გადაკრულ აზრს, მაგრამ მტერი
სამეფო საზღვრებში იყო შემოჭრილი.
ხალხისა და ქვეყნის დაცვისათვის
ზრუნვა გადადებდასა და მეფესთან კა-
მათს ველარ ითმენდა.

მხარგრძელმა სახელდახელოდ შეკრი-
ბა ჯარი და ყივჩაღების წინააღმდეგ წა-
რუძღვა.

თავმოავადმყოფებული მეფე იმ
დღესვე ცხენზე შეჯდა და კახეთისაკენ
სანადიროდ გაუდგა გზას.

თავი მეთოთხმეტი



ერთ სულ და ერთ ხორც

იმ დღეს უღიბლოდ იარეს მონადირე-ებმა. სამხრობამ ისე მოატანა, მეფემ ერთი ხოხბის მეტი ვერა ინადირა რა.

სოფლის განაპირას კაკლოვანში ჩამოსხდნენ და მწვეანზე სუფრა გაშალეს. ლაშამ ერთადერთი ნანადირევის შეწვა მოინება და მხლებლები სოფლისკენ აფრინა.

პირველსავე სახლთან შეჩერდნენ გაგზავნილები.

ჭიშკართან დაბმულმა ნაგაზმა ცხენოსნების დანახვაზე ყფა ატეხა, ყალყზე შედგა და ჯაჭვს გასაწყვეტად გასწია.

ძალის ყფაზე სამზადიდან ქეთევანმა გამოიხედა.

— ვინ გნებავთ? — იკითხა და თან ძალს შეუტაცხანა.

— მეფის მსახურნი ვართ, ჭიშკარი გაგვიღეთ...

ლილეს „მეფის მსახურნი“ ჩაესმა, ზომ არ მომეყუარო, გაიფიქრა და ისიც გარეთ გამოვიდა.

— მეფის მსახურნი? — გაიოცა ქეთევანმა და ჭიშკარისაკენ წავიდა. — ალბათ, ლუხუმი გინდათ, მაგრამ შინ რომ არ არის?!

— ეს ლუხუმის სახლია? მიგრიაულის? — იკითხეს მსახურებმა.

— ჰო, ლუხუმის სახლია, შვილო, მეფის მცველ მიგრიაულის. დაუდასტურა ქეთევანმა და საუბარში დაქვეითებულ მეფის მხლებლებს ჭიშკარი გაუღო.

— კარგი იყო, რომ ლუხუმი შინ დაგვხედროდა, მაგრამ ჩვენ ლუხუმთან როდი გვაქვს საქმე. ქალაში მეფემ ხოხობი მოკლა და ნანადირევის შეწვა გვინდა.

ვითამცა ორსა ტანსა შიგან ერთი სული სდგომოდა ეგრე შეირთნეს... აგრე დაუამდა ერთგან ყოფნა, თათი ფეხამდის ერთმანერთსა არ მოეშორებოდეს, არცა მათ შუა ბეწვეთ გვიარებოდა.

„ვის რამიანი“

მოახსენეს მეფის მსახურებმა და ქეთევანს ყელგაგლეჯილი ლამაზი ხოხობი გაუწოდეს.

— ახლავე, ბატონო... აქეთ მობრძანდით... ახლავე შეეწვავ... —

— შენ არ გაგრჯით, დედილო, ჩვენ თვითონ შეეწვავთ, ოღონდ ცეცხლი დაგვინთე. — უთხრეს აფუსფუსებულ მოხუცს მსახურებმა და უკან მიჰყვენენ. ქეთევანმა სტუმრები ქორედში აიყვანა.

აივანზე მდგარი ლილე გაოცებით შესცქეროდა კიბზე ამომავალ უცნობ სტუმრებს.

მეფის მსახურნი ლილეს დანახვაზე გაშტერდნენ. ადგილზე გაქევებულოვით გაჩერდნენ და თვალი ვერ მოაშორეს უცნობი ქალის უცხო მშვენიერებას.

— ლილე, შვილო, მეფის მსახურნი გვეწვივნენ, ხელმწიფეს ხოხობი უნადირია და სასწრაფოდ უნდა შეუწვან... მობრძანდით, ეს ჩემი რძალია, ლუხუმის ცოლი... — სხაპასტუბით დააყარა მღელვარებისაგან აფუსფუსებულმა ქეთევანმა და სტუმრებს დარბაზში შეუძღვა.

მსახურები თავდახრით მიესალმნენ ლილეს და ქეთევანს მიჰყვენენ.

დიდ დარბაზში საამოდ ღუღუნებდა ანთებული ბუხარი.

ქეთევანმა სტუმრებს სკამები შესთავაზა.

— ლილე, მოხედე შვილო სტუმრებს, სანამ მე ხოხობს გაებრღვენი... უკაცრავად ვარ... ახლავე იქნება... — ბოდიშით გავიდა ქეთევანი და დარბაზში ლილე შემოვიდა.

სტუმრები ისევ ფეხზე იდგნენ.

— დაბრძანდით! — სთხოვა ლილემ.

— თქვენც დაბრძანდით! — თავის

მხრივ სტუმრებმაც შეჰპატივეს დასაჯ-
დომად და ლილეს სკამი შესთავაზეს.

ლილე სკამზე დაჯდა და სტუმრებიც
ბუხარს შემოუსხდნენ.

მზე ჩასული იყო. ოთახში შემოპა-
რულ საღამოს ბინდ-ბუნდს ცეცხლის
ალი ებრძოდა. კედლებზე აღბეჭდილი
გოლიათური აჩრდილები ალის მოძრაო-
ბის შესაბამისად გრძელდებოდნენ და
ფართოვდებოდნენ, ცახცახით მაღლა მი-
იწეოდნენ და იფოფებოდნენ.

მეფის მსახურებს თვალები გადმო-
ფარდნაზე ჰქონდათ, მოჯადოებულები-
ვით შეჰპყრებდნენ ლილეს და ცქერით
ვერ გამძვარავყვნენ. ცეცხლის ალი თა-
მაშით ანათებდა ლილეს შაქრისფერ სა-
ხეს. მიწურულ შავ თვალებზე გრძელი
წამწამების ჩრდილი ხატვებელას ფრთე-
ბივით ერხეოდა. ოდნავ ამობურცულ
ლოყებზე პატარა ფოსოები უცინოდა
და მარტო ფოსოები კი არა, მთელი სა-
ხე, კოკორი ტუჩები და მიჯრით მიწყო-
ბილი კბილები, ფრიალო შუბლი და პა-
ტარა ყურები, ყველაფერი სილამაზითა
და სიცოცხლის ხალისით უცინოდა. სა-
შუალო სიმაღლის ლილე, მხრებში ოდ-
ნავ მოშვეებული იჯდა, ისე თავისუფ-
ლად, თითქო მარტოდმარტო ყოფილი-
ყოს. მის მოძრაობასა და თავის დაქერა-
ში ოდნავი დაძაბულობა და ნაძალადე-
ვობაც არ იგრძნობოდა, ვითომ მისთვის
სულერთი ყოფილიყოს, თუ როგორ
შთაბეჭდილებას მოახდენდა იქ მყო-
ფებზე. სწორედ ეს დაუდევრობა და
მოძრაობის ბუნებრივობა კიდევ უფრო
მეტად მომხიბვლელს ხდიდა მეფის
ცალთვალა მცველის ცოლს.

მაჯის სისხო ყორნისფერ ნაწნავთა-
გან ცალი ზურგზე გადაეგლო და იატაკ-
ზე სკემდა. მეორე მკერდზე ჩამოეშვა
და გრძელ, ლამაზ თითებზე დაეხვია.

უხერხული სიჩუმე მეფის მსახურთა-
განმა დაარღვია:

- ლუხუმი სად არის?
- კალზე გახლავთ, ორი დღეა, შინ
არ მობრუნებულა.
- ჯანზე ხომ კარგად არის, ნაკრი-
ლობევი ხომ არ აწუხებს?

— არა, არ აწუხებს... — ხმადალა
უბასუხა ლილემ, სახე წამოუწყოთლდა და
ლუხუმის ნახმლევეზე რომსიტყვეს არ გა-
ეგრძელებინა, თავათ იკითხა:

— მეფე როდის წამობრძანდა სანა-
ღიროდ?

- ამ დილით ინება.
- ამაღა დიდი ახლავს?
- არა, უცებ გადაწყვიტა წამოსვლა,
თან მონადირეთუხუცესი და ბაზიერე-
ბიც არ იახლა.

— ახლა სად ბრძანდება ხელმწიფე?
ლამის გათევას სად აპირებს?

- ლამეს, ალბათ, მინდორში გაათევს.
- მინდორში? — გაიოცა ლილემ.
- ჰო, მინდორში ხის ქვეშ ძილი ურ-
ჩენია მეფე-ბატონს სასახლის ბუმბუ-
ლებში წოლას.

— იქნებ ჩვენთან ინებებდა მობრძა-
ნებას, ვუმასპინძლებდით და კარგადაც
მოუხსევნებდით. დაუფიქრებლად წამო-
ცდა ლილეს და ნათქვამი თვითონვე ეუ-
ხერხულა.

— არ ვიცით, არა უბრძანებია რა, —
მხრების აჩეჩვით თქვა მეფის მსა-
ხურმა.

ღარბაზში ქეთევანი შემოვიდა და
თხილის გათლილ ჯოხზე წამოცმული,
გასუფთავებული ხოხობი შემოიტანა.

— ხომ არ დამიგვიანდა? — იკითხა
ქეთევანმა.

— რასა ბრძანებთ, ძალიან ჩქარაც
არი, — მიუგო მსახურმა და შამფურის
ჩამოსართმევად მისწვდა.

— თქვენ როგორ გაკადრებთ, მე თა-
ვით შევწვავ.

არ დანება შამფური ქეთევანმა.
— არა, დედი, ჩვენ მიჩვეული ვართ,
მეფის პირის გემო ვიცით... — გაჯიუტ-
და მსახური, ქეთევანს შამფური ჩამო-
ართვა და ცეცხლთან ჩაიჩოქა.

ქეთევანმა ცეცხლი მოხსროკა, ნაკერ-
ცხლები წინ გამოჰყარა და მსახურმა
ხოხობი ცეცხლს მიუშვია.

- რა ექნა, ლილე! წავალ, ლუხუმთან
კაცს ვისმეს გავგზავნი. — გადაულაპა-
რაკა ქეთევანმა რძალს.
- კარგი იქნება, დედა. შეუთვალე,

ახლავ ამოვიდეს. — მოუწონა ლილემ და ქეთევანი ისევ ბოდვის მოხდით გავიდა. სიხუმე ჩამოვარდა. დრო და დრო მხოლოდ შეშის ტკაცუნი და ხოხბის შიშინი ისმოდა.

— მეფე ვაწვიეთ და სტუმრობა აღგვიტქვა! — დაარღვია დუმილი ლილემ და ისევ თვითონვე შეწუხდა ზედმეტი გულახდილობისაგან.

— სტუმრად მობრძანება აღგვიტქვათ? — იკითხა ჩაჩოქილმა მსახურმა და დანარჩენებს გადახედა, თითქო უნდოდა ეთქვა, შენისთანა ქალების სტუმრობაზე მეფე უარს არასდროს არ ამბობსო.

მსახურებს. თვალები ლილესკენ მოჯადოებულებივით მიეპყროთ, მისი ცქერით ვერ გამძლარიყვნენ და მის მეტს ველარაფერს ხედავდნენ.

— აღგვიტქვა და ეს ერთი ხანია მოველით. ყველაფრით მზადა ვართ. რაკი გზადაც აქეთ გამოუვლია, იქნებ ინებოს და გაგვბედნიეროს, — თითქოსდა თავის უნებურად, ანგარიშმიუცემლად განაგრო, როგორცაღ შინაგანად წათამამებულმა ლილემ.

— აღვილად შეიძლება, — დაუდასტურა მსახურმა, — თუ თქვენი ნებაც იქნება, თქვენს სურვილს მოვახსენებ და აღთქმასაც მოვაგონებ.

— დიდად დაგიმადლებთ. — წამოწითლდა ლილე და მერე უცებ დაუმატა: — ლუხუმი ახლოა, ისიც მალე გამოჩნდება.

დამწვერის სუნი დადგა.

— ხოხობი იწვის ნამდვილად. — შენიშნა ლილემ.

მსახურმა წამით თვალი მოაცილა ლამაზი ქალის სახეს, შამფური გადმოატრიალა და ხოხობის დამწვეარი, თითქმის დანახშირებული ცალი გვერდი გამოჩნდა.

— დამწვია/როგორ მომივიდა! — იტკიცა მსახურმა.

— მეფეს როგორ მივართვით?! — აწრიალდნენ სხვებიც.

— არ დაგვიჯერეთ, ჩვენ უკეთ შევწევადით, — დანანებით თქვა ლილემ, —

მიბოძეთ, იქნებ, ნახევარმა კიდე ივარგოს.

— არა, ბატონო, მე თვითონ, ^{მეტი} დაანება შამფური მსახურმა, — ეს როგორ მომივიდა, სხვა რა საქმე მქონდა!

ახლა კი აღარ მოუშორებია თვალი შამფურისათვის მსახურს. შუბლზე ცეცხლის მბურვალებისა თუ სირცხვილისაგან ოფლის დიდრონი წვეთები დასხდომოდა და თავს აღარ იღებდა.

ხოხბის მეორე გვერდი უცებ შეწითლდა, მსახურმა შამფური მალა აიტაცა.

— წავიდეთ! — უთხრა ამხანაგებს.

ლილეს მადლობა გადაუხადა და კარისკენ გაემართა.

— ეგ ხოხობი ხელმწიფისათვის მიინც აღარ ვარგა. ჩემი თხოვნა მოახსენეთ მეფეს და თუ ინებებს ღირსეულ ვახშამს დავახვედრებთ, — დაადევნა ლილემ ეზოში გასულ მსახურებს.

მსახურები ცხენებს მოახტნენ და როგორც ლუხუმის კარმიდამოს გასცდნენ, აბუზღუნდნენ.

— ერთხელ მიინც ველარ დახედე მაგ დალოცვილს? — უსაყვედურა ერთმა მათგანმა.

— სუნი მიინც არ გეცა? — დაუმატა მეორემ.

— რატომ თქვენ არ გეცათ სუნი, ან თვალები სად გქონდათ? — შეუტია ხოხბის დამწველმა გაგულისებულმა მსახურმა.

— თვალი ჩვენც იმან დაგვიბნელა, რამაც შენ დაგაბრძანა. — სიცილით თქვა პირველმა.

— ეგეთი ქალი ჩემს დღეში არ მიწახავს! ჰო, ჰო, ჰო!.. ლუხუმს როგორ წაჰყვია, იმ ლეთის გლახას, ამისთანა ანგელოზი!

— მაშ... მაშ... რა ქალი ჰყოლია იმ გონჯ ლუხუმას!

— გონჯი ახლა არი, რაც ომში დაიჭრა, თორემ მანამდე ვისზე ნაკლები ვაუკაცი იყო!

— ნეტავი თქვენ გუნებას, მაგ ქალის ცქერა იქნებ სიცოცხლედაც დაგვიჯდეს! რა უნდა ვუთხრათ მეფეს, ამ შამ-

ფურს თავზე გადაგვამტვრევს, ცუდ გუნებაზე თუ დაგვხვდა.

— რა უნდა ვუთხრაო და რაც დაგვემართა, იმას ვეტყვიო. მაგ ქალის სილამაზეს რომ ვუამბობთ, ხოხობიყ დაავიწყდება და თავიცი. ნახავ, თუ მაშინვე აქ არ მოირბენს.

— ჰოდა, ჩვენც ეგ გერნდა, დამე მანდორში გდებას, კაი ვახშამი და რბილი ლოგინი გვირჩევინია!

დაიმედებული მსახურები კარგ გუნებაზე დადგნენ და ცხენებს აუჩქარეს.

მეფესთან დარჩენილ მსახურებს მწვანეზე უკვე გაეშალათ სუფრა და ლაშა ხოხობს-ლა ელოდა, რომ სამხრობას შესდგომოდა.

სოფლიდან მობრუნებულმა მსახურებმა დამწვარი ხოხობი შიართვეს მეფეს. ლაშამ ცალ გვერდდანახშირებულ ხოხობს რომ დახედა, გაოცდა.

— ეს რა გეჩნიათ, როგორ დაგიწვავთ ხოხობი? — ჰკითხა-გაბრაზებულმა მსახურებს.

— რა გვექნა, მეფეც ბატონო! ოქვენი მცველის, ლუხუმის სახლში მოვხვდით. გვეხვეწნენ, მეფეს ჩვენთან სტუმრობა აღთქმული აქვს, აქ მობრძანდეს, ხოხობსაც აქ შევუწვავთო, მაგრამ არ დავთანხმდით, დაგიწყეთ ხოხობის შეწვა. ლუხუმას იგეთი ცოლი ჰყოლია, ვერც ერთმა თვალი ვერ მოვაშორეთ ჯაფგი; ხოხობიყ დაგვეწვა!

თავუღებლად მოახსენა დარცხვენილმა მსახურმა და თან ქვეშ-ქვეშ გახედა მეფეს, როგორ შთაბეჭდილებას მოახდენს ნათქვამიო.

— მაშ ეგეთი ლამაზია ლუხუმის ცოლი? ბაკურმაყ მითხრა და არ დავიჯერე. — ჩაფიქრებით თქვა მეფემ.

— ჩემს სიცოცხლეში მაგისთანა ლამაზი ქალის მნახველი არა ვარ!

— ნამდვილი მზეთუნახავია, ბატონო, კალმით ნახატი.

— ეგრე ლამაზი ანგელოზი თუ იქნება, თორემ საქალეთში მსგავსი არ მოიძებნება...

ზედოზედ დააყარეს აღტაცებულმა მსახურებმა.

— გულით მაწვიეს? — იკითხა ფიქრში წასულმა მეფემ.

— გულით, წირფელი გულით, ბატონო. დიდი ხანია მეფე სტუმრობას შეგვიპირდა და ყოველის სანოვაგით მზავართო.

— ლუხუმი შინ იყო? — იკითხა მეფემ.

— არა, ბატონო, კალოზე გხლებიათ. — მიუგო მსახურმა.

— მაშ მივდივართ მიგრაიულთან! — უცებ გადაწყვიტა მეფემ და მსახურებმა სუფრის აშლა ვერ მოასწრეს, რომ ლაშა უკვე ლურჯაზე იჯდა და ველიციხისკენ მიქროდა.



მოახლოებული ცხენების ფეხის ხმაზე ლუხუმის ეზოში ისევ გამწარებით აყუფდა ძაღლი.

ქეთევანი სამზადის კართან იდგა და ცუდის მოლოდინით გახევებული გამყურებდა შარას.

ცხენოსნები გამოჩნდნენ. ლილე კიბეზე დაეშვა.

— ნამდვილად მეფე მობრძანდება! — გახარებულმა თუ შეშინებულმა შესძახა ქეთევანს და ჰიშკრისკენ სირბილით წავიდა.

ღილიდან თავი უბრუოდა მეფეს და გული ერეოდა. ახლა, როგორც კი ცხენზე შეჯდა, რაღაც შიგანში ეტკინა მწარედ და ჰიროს ცეცმა ოფლმა დაასხა. რაც უფრო ანჯღრედა ჩორთით მიმავალი ცხენი, ტკივილი უფრო უმატებდა, გრძობდა, რომ სხეული თანდათან უცოდებოდა და ღონეს კარგავდა, მაგრამ ვერც ვისმე დაძახებდას ახერხებდა და ვერც ცხენისთვის მოეწია სადაფე შესაჩერებლად.

ლილე და ქეთევანი ეზოდან გამოსულიყვნენ ჰიშკრის წინ, შარაზე იდგა ლილე — მორჩი ალვასავით ტანაყრილი, სახემშვენიერი, მკერეტელთა დამაბრმავებელი.

— ეგ არი ლუხუმის ცოლი. ხმა-
მაღლა უთხრა მსახურმა მეფეს, მაგ-
რამ ლაშას აღარაფერი ესმოდა. იყი
ტკივილისაგან გონწართმეული იჯდა აღ-
ვირმიშვებულ ცხენზე და როგორც სი-
ნათლის დიდ წყაროსთან მიხლოებისა
ხდება ხოლმე, რაც უფრო უახლოვდე-
ბოდა ლილეს, მით უფრო უბნელდებო-
და თვალთ.

ლილესაგან ორიოდ ნაბიჯზე მთვრა-
ლივით გადმოეშვა ცხენიდან ლაშა.

ფეხის წინ წადგმა სცადა, მაგრამ ღონე
აღარ ეყო, უცებ შეტორტმანდა, თვალთ
დაუღამდა და მშველელის დამახებაც
ვერ მოაწრო, უგონოდ ძირს დაეცა.

მსახურები მეფეს მისცივიდნენ, ხელთ
აიტაცეს და ეზოში შეიყვანეს.

შიშისაგან დაბნეული ლილე ენის მო-
ტრიალებას ვეღარ ახერხებდა, მეფე
მკედარი ეგონა, ყელში მოხკენილ ტი-
რილს იკავებდა და თვალთაგან ცრემლი
დაძაღუპით სდიოდა.

— ქორედში აიყვანეთ, დარბაზში მო-
ასვენეთ... — შესძახა ქეთევანმა, ქორედ-
ში მსახურებს აასწრო და დარბაზი სა-
ხელდახელოდ მიილაგ-მოალაგა.

აბრეშუმის ბალიშებზე მიასვენეს მე-
ფე.

ტახტის სასთუმალთან ლილე დაუჯდა
და აკანკალებული ხელით გაუხსნა სა-
კინძი. მსახურმა წყალი მოიტანა. მკერდ-
ზე და სახეზე ასხურეს მეფეს, მაგრამ
გულწასული ლაშა არც შენძრეულა.

— ექიმთან, ჩქარა მკურნალთან გა-
იჭეცით! — იძლეოდა განკარგულებას
ქეთევანი და მეფის მსახურები გარეთ
გამოცივიდნენ.

ქეთევანი კიშკრამდის მიჰყვა მსახურ-
ებს.

— სხვა დროს თუ მოსვლია მეფეს? —
იკითხა ქეთევანმა.

— ჩვენ არ შევსწრებივართ და არც
გვსმენია! — მიუგეს მსახურებმა.

— ვაითუ ბნელა აქეს. — გულში
მჯიღის ცემით თქვა ქეთევანმა.

— მტერთა დაცემას ჰგავს, მაგრამ
სხვა დროს არ დაჰმართნია! — დაამტ-
კიცა მსახურთაგანმა.

მსახურები ამხედრდნენ და ზოგმა
მარჯვნივ, ზოგმა მარცხნივ, ზოგმა ზე-
მოდ და ზოგმა ქვემოთ ქეთევანის ნაი-
ვენები გზით გაქროლეს ერთდროუ-
ლად რამდენიმე მკურნალისაკენ.

ქეთევანი ქორედში დაბრუნდა, ფეხ-
აკრეფით დარბაზში შევიდა, გულწასულ
მეფეს დახედა და სიციხის ნიშანი
რომ ვერ შეატყო, ლილეს ჰკითხა ჩურ-
ჩულით:

— სულ არ მოიხედა?

ლილემ უარის ნიშნად თავი გააქნია და
ცრემლები გადმოსცივიდა.

— დავიღუპეთ, რაღა ჩვენსას მოუვი-
და, ვინ იცის, რას იტყვიან და დაგვაბ-
რალბენ... — მუხლებზე ხელისცემით
თქვა ქეთევანმა და დარბაზიდან კვლავ
ფეხაკრეფით გამოვიდა.

ლილე გაფითრებული დაჰყურებდა და
თმებზე ხელს ფრთხილად უსვამდა
მკედარივით უგრძნობელ ლაშას.

უცებ გაიჟმდა ქალი. მეფეს შემკრ-
თალმა დახედა და ერთი დარგმინა:

— ნეთუ გათავდა! — ამდენხანს შე-
მაგრებული ცრემლი წასკდა და ხმამალ-
ლა აქვითინდა.

ლოყაზე პირველი ცრემლის დაცემის-
თანავე შეინძრა ლაშა, სახე შეერხა და
თვალი გაახილა.

— ლაშა... ლაშარელავ... ხელმწი-
ფევი! — ჩასძახოდა სიხარულით გონდა-
კარგული ქალი.

მეფემ უცებ თითქო გაიხშორა, მკლა-
ვები გაშალა და ზედ დაკრულ ლილეს
შემოაქლო ირგვლივ. ლილე შეკრთა,
თავის დახსნა უნდოდა, მაგრამ ტანი არ
აჰყვა, არ იცოდა, რა ხდებოდა, ნებ-
მოდუნებული მიჰყვა და ლაშას მკერდ-
ზე დაემხო.

— ჩემო ანგელოზო... ღვთაებავ! —
ამოიჩურჩულა მეფემ და ვნებიანი კოც-
ნით დაეწაფა ლილეს ბაგეებს.

ერთხანს ასე იყვნენ ამ ქვეყნის ზრუნ-
ვისაგან გასულნი და ნეტარების სიტყ-
ბოში ჩაძირულნი.

კიბეზე ფეხის ხმა გაისმა. ლილე

უცებ გონს მოევო, მეფის მკლავებს გაუსხლტა და ფეხზე წამოდგა.

გაწეწილმა უმაღლესმა გაისწორა, მღელვარე სუნთქვა დაიოკა და შემოსულებსკენ გაიხედა.

დარბაზში ქეთევანი შემოუძღვა მკურნალს.

— ისევ ისეა? — იკითხა ჩურჩულით ქეთევანმა. ლილემ ხმის ამოუღებლად, თავის ქნევით დაუდასტურა დედამთილს.

უცებ გონს მოსული ლაშა ახალი მდგომარეობის შესაფერისად კვლავ თვალდახუჭული და კრიჭაშეკრული იწვა.

მკურნალმა ხელსაწყოები მაგიდაზე დააწყო და ტახტთან სკამზე ჩამოჯდა. მეფის მაჯა აიღო ექიმმა, ლილე სულგანაბული შესცქეროდა მკურნალის სახის ყოველ მოძრაობას...

ექიმს ჩაფიქრებული სახე გამოუცოცხლდა, თანდათან გაუბრწყინდა და ბოლოს ზედ ღიმი მოეფინა.

— ცოცხალია? — თითქმის ერთდროულად იკითხეს იქ მყოფებმა.

— ცოცხალია... — დაასვენა მკურნალმა და ყველამ შევებით ამოისუნთქა.



ექიმმა გულის გასამაგრებელი წამლები მისცა მეფეს, ლეიღლისაგან მოსვლია, სამიში არაფერიაო, ანუ გეშა მეფის შემფოთებული მასპინძლები და მსლებლები.

მეფეს შშვიდად ჩაეძინა და ყველანი ფეხაკრეფით გამოვიდნენ დარბაზიდან.

ფრთაშესხმული ლილე ისე დადიოდა, თითქოს მიწას ფეხს არ აკარებდესო, რა ახარებდა ესოდენ, თავათაც არ იცოდა — მეფის მომჯობინება თუ... ტუჩებზე, თვალბსა და ლოყებზე ისევ ცეცხლი ეკიდა ლილეს. მეფის თავდავიწყებული კოცნა ჯერ კიდევ არ განელებოდა და სახე ნეტარებისა თუ სირცხვილის აღმურით ალეწოდა. დადიოდა და არ იცოდა — რისთვის, ხელს რასა. მე ახლებდა და არ იცოდა — რატომ...

ქეთევანი ფეხზღობდა ისევ, მეფის მსახურები და მეზობლები დაეხმარებინა, საკლავი დაეკლა, თონე გაეხურებინა და მეფის სამასპინძლო თადარიგს შესდგომოდა.



ლილეს საწოლი იმ ოთახის გვერდით იყო, სადაც ახლა მეფე განისვენებდა.

შუალამე გადასული იყო, არ ეძინა ლილეს, ეტყობოდა, არც მეფეს ეძინა, კედლის მეორე მხარეს ტახტი ხშირად ჭრიალებდა და ზოგჯერ ჩუმი ჩახველებაც ისმოდა.

ფიქრობდა ლილე და ვერ გაეგო, რა დამართოდა მეფეს: მართლა ბნედა იყო, როგორც ქეთევანს დასცდა თუ ლეიღლის ტყენისაგან გულის უეცარი შეღონება, როგორც მკურნალმა ახსნა. ვერც ის გაეგო ლილეს, თუ მეფის უეცარი მობრუნება რას ნიშნავდა, უცებ რომ მოჰხვია ხელი უცხო ქალს. ნუთუ მეფემ გულის შეღონება მოიგონა, რომ ლილე ახლო მიეშვა და მოულოდნელად დასცხრომოდა თავს.

არა, ამას როგორ შეძლებდა და იკადრებდა მეფე, სიკვდილს როგორ მოიგონებდა, სუნთქვა აღარ ჰქონდა და ფერი ან მისი გამოცდა რად უნდოდა ლაშას, ქალის უნახავი ხომ არ იყო, სამეფოს უღამაზესი ასულებით თავმოებზრებული მეფე.

არა, რალაც სხვა მოხდა და იქნებ მეფესაც ისევე მოუვიდა, როგორც თვითონ ლილეს. რად ჰკოცნიდა ლილე, რად ეხვეოდა მეფეს, რა ანგარიშით და რა უფლებით? მაშინ ხომ არც უფიქრია ამაზე ლილეს, ხომ არ მოუკითხავს თავისი თავისთვის, ტუჩებისა და თვალებისთვის მეფის ხვევნისა და კოცნის უფლება? ხომ ყველაფერი თავისთავად მოხდა მისი გონების განუსჯელად და დაუკითხავად!

და იქნებ მეფესაც ასე მოუვიდა, თავისდაუნებურად და გონების განუსჯე-

ლად... ისიც ხომ ადამიანია და მასაც ხომ გული აქვს?!

ჭვემო სართულზე კიდევ ერთ ადამიანს არ ეძინა. ეახშმის მზადებითა და ამდენი შფოთით დაღლილი ქეთევანი ძილს ძალით ერეკებოდა თვალთაგან... ტანი მთელ დღეს ცუდს უახრებდა, ეზოში ძალი ყმუოდა...

გრძნობდა, რომ კარგი არაფერი ელოდა, მაგრამ არ იცოდა, რა და საიდან. ლუხუმი არ დაბრუნდა. დედის ფიქრი პირველად შევიღს მისწედა: ხომ არაფერი უქირს ლუხუმს? ალბათ, რამე შეეძებოდა, თორემ მეფის სტუმრობას რომ გაიგებდა, შინ როგორ არ მოვიდოდა? მაინც რა უნდა გასპირებოდა ორი დღის წინ საღ-საღამათად წასულ ვაჟკაცს? ეს მეფის სტუმრობა არ მოსწონს ქეთევანს. თავიდან არ ექაზნიკა დედას შევიღისა და რძლის განზრახვა, მეფის წვევა რა მათი საქმე იყო, გუშინდელი ყმა გლეხების?

გრძნობდა დედის გული, რომ კარგი არაფერი ელოდა ამ სტუმრობით მის ოჯახს, გრძნობდა, მაგრამ კი ვერაფერი მოეფიქრა მომავალი უბედურების თავიდან ასაცილებლად. ერთი იცოდა ქეთევანმა, რომ უნდა ფიზიკლად ყოფილიყო, ძილი თვალთან ახლო არ უნდა მიეშვა და ყური არ უნდა დაეხმო. იცოდა და აკი დიდხანს კერპობდა კიდევ, ნაშუალამევი იყო და ჯერ კიდევ არ ეძინა.

ბოლოს აყმუვლებული ძალიც გაჩუმდა, თავლაში დაბმული ცხენების ფრუტუნიც მიწყდა და დაღლილმა სხეულმა თავისი გაიტანა — ქეთევანს ჩაეძინა.

*
* *

მეფე ფეხაკრავით წამოდგა, ფეხშიშველმა ნახზე ფრთხილად გაიარ-გამოიარა. არ ეძინებოდა მეფეს, გული მეზობელი ოთახისკენ მიუწევდა. თავითაც არ იცოდა, რა უნდოდა იმ ოთახში — უბრალო, ჩვეული ნდომა ხორცი-

ელი, თუ სხვა რამ უფრო ამაღლებული? არა, ხორციელი არ იყო. ეს სწრაფვა, იგი უფრო სულის სწრაფვა იყო ტყუპის ცალის მეორე ცალისკენ, ნაწილის მიზიდულობა მეორე, ოდესღაც მისგან მოკვეთილი ნაწილისაკენ — კვლავ მთლიანობის აღდგენისა და ერთ არსებად ქცევისათვის.

ბევრი ქალი უნახავს ლაშას, მას ადრე ჰქონდა დაწყებული ჯერაც უსაკოს სქესობრივი ცხოვრება, ბევრი ლამაზი მოსწონებია, ყვარებია კიდევ, მაგრამ ეს გრძნობა, რომელსაც იგი ახლა განიცდიდა, არ ჰგავდა ადრე განცდილს, იგი სხვა იყო — წმინდა და წრფელი, სათუთი და ბიწმიუწმიდელი.

ძილი არ ეკარებოდა ლაშას. ოთახში ყოფნა აღარ შეეძლო, მაგრამ არც სხვაგან წასვლის ძალა ჰქონდა.

გული გვერდით, მეზობელი ოთახისკენ მიუწევდა და მარტოდენ გული კი არა, ფიქრითა და გონებაც, სულიცა და ხორციც.

ლაშა კარის ზღურბლთან მივიდა, მთვემარე მცველი ფრთხილად გააღვიძა და ჩურჩულით ჰკითხა:

— ლუხუმი არ მოსულა?

— არ გზღებიათ, მეფევ! — ჩურჩულითვე მიუგო ფეხზე წამომხტარმა მცველმა.

მეფემ ტუნზე თითი მიიდო და მცველი დემილისა თუ საიდუმლოს შენახვისათვის უსიტყვოდ გააფრთხილა.

ნათელი დამე იყო. მთვარის თეთრი შუქი სარკმელებიდან უხვად იფრქვეოდა ლილეს ოთახში.

რიკლდდარჩენილ კარში შემოსული მთვარის ნათელი თეთრი თხელი კედელივით კვეთდა ოთახს და ლილემ მხოლოდ ახლა შეამჩნია, რომ კარი ჩაურახავი დარჩენოდა.

ჩვეულებრივ, დაწოლის წინ კარს მუდამ რაზავდა ლილე, მაშინაც კი, როცა მისი ქმარი შინ, გვერდით ჰყავდა.

ახლა რად დაუტოვებია დაუკეტავი, როცა სახლი ამდენი უცნობი მამაკაცით იყო სავსე და ლუხუმიც შინ არ ჰყავდა?

იქნებ შემთხვევით? მაშინ ადგეს და ჩარაზოს კარი, მაგრამ ლილეს ადგომა უზარება, არა, იმდენად არც უზარება, უფრო არ უნდა კარის დაკეტვა და თვითონაც ვერ გატყდომია თავის თავს, თუ რატომ.

კარი ნელა გაიღო და ზღურბლზე კაცის ლანდი აღიმართა.

— ლუხუმი ხარ? — ეკითხა ჩურჩულთ ლოგინზე წამოწოლილმა, შეშინებულმა ლილემ.

კარი უხმოდევ მიიხურა და კაცის ლანდი ლილესკენ წამოვიდა.

— ლუხუმი ხარ? ხმა გამე! — კიდევ გაიმეორა ჩურჩულთ ლილემ და პასუხი რომ არაეინ გასცა, ლოგინზე წამოდგა და შიშით აცახცახებულ კედელს მიეკრა.

— ვინა ხარ?

— მე ვარ, მეფე... — მშვიდად თქვა ლაშამ და ლილეს ლოგინს მიუახლოვდა. მას ახლა, მთვარის მკრთალ შუქზე კიდევ უფრო ლამაზი ეჩვენა ლუხუმის ცოლი, შიშველი მკერდის დამალვას რომ ცდილობდა ჩამოშლილი თმებითა და საბნის კუთხით.

— მეფე, აქ რა გინდა?! — კანკალითა და შეშფოთებით შესჩურჩულა ლილემ.

— შენი სიყვარული, ლილე... შენი... მეფე მუბლზე დავარდა და ლილეს მოეხეია. — მაგას რას ჩადი, მეფე?!.. ადექი... გაიგონებენ... მიბრძანდი... გადი... თორემ...

— იყვირე, დაუძახე... ვისაც გინდა, დაუძახე, მე აქედან წასვლა არ შემიძლია... კარგი იყო, სულ არ მენახე, ან იმ ერთი დანახვისთანავე მოვმკვდარიყავი. ახლა უშენობა აღარ შემიძლია... რაც გინდა მიყავი... თუნდა აქვე მომკალი... — სუნთქვააჩქარებული ჩურჩულებდა მეფე, ლილეს ხელებს უკოცნიდა და თავი მისი მკერდისკენ მიჰქონდა.

აქანკალებული, ენაჩავარდნილი ლილემ თავგამეტებით იგერიებდა მეფის ხელებს, მაგრამ ღონე არ ყოფნიდა.

თავად მისი სხეული კვლავ გონების დაუკითხავად მიიწეოდა ლაშამს. წინააღმდეგობის გაწევის შალა შინაგანად წართმეოდა და მთელი სხეულით უცნაურად მოშვებულმა, თვითონაც ვერ გაიგო იმ წამის დადგომა, როცა თავის თავს აღარ ეკუთვნოდა.

მთვრალივით, თუ ზმანების ბურანში წასულივით, გონების განსჯისა თუ ნებისყოფისაგან მიტოვებული ლილემ უღონოდ მიიხვეწა ეაეკაცის ცეცხლმოდებულ მკერდს.

კოცნით გახურებულ ბაგეებს სალაპარაკოდ აღარ ეცალათ, მხოლოდ ორი სიტყვაღა წყდებოდათ უანგარიშოდ:

— ლაშა... ლაშარელა...

•
•

ჯერ პირველ მამალს არ ეყილა.

ლაშა ფრთხილად წამოდგა, ერთი უხმოდ აკოცა მძინარე ლილეს და მისთვის განკუთვნილ ოთახს ფეხაყრფით მიამურა.

იწვა ლაშა უჩვეულოდ აღფრთოვანებული და აღტაცებული. რამდენ ქალთან ყოფილა იგი და აღტაცების ასეთა გრძნობა ეინის მოკვლის შემდეგ არასოდეს გაპყოლია.

აქამდის მხოლოდ ხორციტ ერთვოდა ქაბუკი მეფე ქალებს, სული კი ისევ მარტო რჩებოდა უგრძნობელი და დაუკმაყოფილებელი, რადგან თავის ჯუფთასა და ნაწილს ვერ პოულობდა.

ამიტომ ხორციტ ტკობის სიამოვნებაც ხანმოკლე იყო ხოლმე და მეტწილად ეინის დაცხრომასთან ერთად თავდებოდა.

მეფე ახლა პირველად განიცდიდა იმ ნეტარებას, რომელსაც ბოლო არა აქვს, რომელიც განგებისაგან შენთვის წყვილად დათქმული ადამიანის შეხვედრით იწყება და სიკვდილამდის არ თავდება. მან ახლა გაიგო წიგნებში ამოკითხული, თავიანთ პირველ არსებაში თუ სტიქიაში ამ ქვეყნად გათიშული ორი სულის ერთარსებადევ ქცევისაკენ, კვლავ

ღვთაებასთან დაბრუნებისაკენ სწრაფვის შესახებ.

თურმე მისი სულიც ამაოდ დაეხეტებოდა ამდენ ხანს მსგავსისა და ნათესავის უშედეგოდ ძებნელი.

ლაშა გრძნობდა, რომ ეულად მოარულმა მისმა სულმა ოდესღაც დაკარგულ თავის ნახევარს მიაგნო, მაგნიტით მიეზიდა და ცეცხლის ალივით წაესწრაფა მასთან სამუდამოდ და საბოლოოდ შეერთებას.

სული კაცისა ლამაზია, მას ყოველივე ლამაზი და სრულყოფილი იზიდავს. როგორც კი სული ლამაზსა და სრულყოფილს ხედავს, მას ახლო აკვირდება. და თუ გარეგნობის მიღმა თავის მსგავსებასაც პოუვებს, დაუყოვნებლივ უერთდება. — ამას ჰქვია ნამდვილი ტრფობა და ქეშმარიტი სიყვარული. როცა სული კაცისა გარეგნობის მიღმა ვერაფერს თავის მსგავსს ვერ ნახულობს, მისი ტრფობა გარეგნობით გატაცებას არ სცილდება და ასეთი ტრფობა მხოლოდ ეინსა და ვნებას წარმოშობს.

რამდენჯერ მოსვლია ეგრე ლაშას, ლამაზი გარეგნობით მიზიდულს, თავი თავდაფიწყებამდე შეყვარებული ჰგონებია, მაგრამ სატრფოს გარეგნობის მიღმა მის სულს მირიად სივრცეებში დაკარგული თავისი ნახევრის მსგავსება და ნათესაობა ვერ უპოვნია და ყველაზე დიდი გატაცებაც ისევე მალე ჩამქრალა, როგორც უეცრად აღგზნებულა.

საოცარი იყო ეს გააზნაურებული გლეხის ცოლი. პირველი დანახვისთანავე აღძრული გრძნობა საწოლმა არა თუ გაანეღა, კიდევ უფრო გააძლიერა.

მისი სხეულის უჩვეულო სურნელო ახლაც თავისკენ ემაზდა, აბრუებდა ნელსაცხებელსა და სურნელებამოყიჩებულ მეფეს.

როგორი ნატიფი იყო მისი ყოველი მოძრაობა, როგორი ზომიერი და რჩეული ყოველი სიტყვა!

ასეთი სისუფთავე ლაშას სამეფო პალატებშიც არ უნახავს! როგორი უბიწოებისა და შეურყენელობის ბეჭედი ჰქონდა ყველაფერს ლილეს ოთახებში!

არასოდეს ლაშა ასეთი ბედნიერი არ ყოფილა, არც ერთ სამეფო სასახლის პალატში, როგორც ახლა იყო აქ, თავისი ყმის, ველისციხელი გლეხის ქორედი სახლის ამ პატარა, ნათელ ოთახებში!

უკვე მამლები ყიოდნენ, ეზოში ვილაც დააბიჯებდა.

ბედნიერებით პირთამდე სავსე მეფეს მკედარივით ჩაეჭინა.

•
•

ლილეს რომ გაეღვიძა, მზე უკვე კარგა შემადლებული იყო.

ერთ წამს ყველაფერი მოიგონა, მხოლოდ ის აღარ ახსოვდა, როდის და როგორ დატოვა ლაშამ მისი ლოგინი და ოთახი.

მთელი სხეული რაღაც უჩვეულო კმაყოფილებითა და სიმშვიდით ავსებოდა ლილეს. ასე ეგონა, იმ დამეს პირველად იყო მამაკაცთან.

როგორ არ ჰგავდა ტლანქსა და მოუხეშავს, გაუთლელსა და გამოუცდელ ლეხუმს ლაშა!

როგორი რჩეული იყო და ნატიფი ჰაბუკი მეფის ალერსი, რამდენი ხალისი, ნეტარება და სიცოცხლის სიხარული იყო ჩაქსოვილი მის მოთირიბაში, სხეულის ყოველი ნაკეთის მოძრაობაში!

ლაშასთან შედარებით პირუტყვს ჰგავდა ლოგინში მიგრიაული და ლილეს ისე ეჩვენებოდა, თითქოს ნამდვილად მხოლოდ წუხელ დაკარგა ქალწულობა, რადგან მხოლოდ წუხელ განიცადა მთელი არსებით კაცისა და საკუთარი ქალობაც.

— როგორც იქნა პოვა იგი, ვრსთანაც ერთსულ და ერთხორც ცხოვრება თვით განგებისაგან ჰქონდა განკუთვნილი.

ორი არსების ეს შეერთება ორი მდინარის შეერთებას, ყოველი წვეთით ერთი მეორეში შერევას და ერთდინებად ქცევას უფრო ჰგავდა. წარსული ცხოვრება მისი სულისა და სხეულისა

დავიწყების ბინდებულს ეძლეოდა და წინ ახალი სიციცხლე იწყებოდა, ერთნაკადად მიმდინარე ორი ადამიანის ნათელი და ბედნიერი სიციცხლე.

გონების თვალთ უკან მიჰხედა ლუხუმთან ერთად გატარებულ დღეებს და ღამეებს. უფერული და უღიმღამო ეჩვევნა განვლილი და თვითონვე გაუკვირდა, როგორ შეეძლო ის ადრინდელი ცხოვრება ოდესმე ბედნიერებად დაესახა, ან ლუხუმისადმი თავისი ერთგულებისათვის სიყვარული ეწოდებინა: მას წუხანდლამდე, ლაშასთან შეხვედრამდე არც სიყვარულზე ჰქონია წარმოდგენა და არც ბედნიერებაზე. ახლა ერთიც კარგად იცოდა და მეორეც და ორივესაგან განუთხოველ ნეტარებას განიცდიდა.

დადლისა და სიამით საცე სხეულს კიდევ დიდხანს უნდოდა ლოგინში ნებავრობა, მაგრამ უკვე გვიან იყო, ეზოსა და სამზადში ხალხი დაფუსფუსებდა, შემის ჩეხვისა და დანების ლესეის ხმა ისმოდა.

ლილემ ტანთ სწრაფად ჩაიკვა და ფეხაქრფით გაიარა აივანზე.

მეფე ჯერ არ ამდგარიყო, ალბათ, ეძინა.

მსახურები ეზოში ტრიალებდნენ. მეფეს რომ არ გააღვიძებოდა, ერთმანეთს ხმადაბლა ელაპარაკებოდნენ.

ლუხუმი დილაადრიან ამოსულიყო, ოჯახში დატრიალებულიყო და ახლა კაკლის ტოტზე ფეხებით დაკიდებულ უშობელს ატყავებდა.

ლილემ პირი დაიბანა და სარკესთან ჩვეულებრივზე მეტხანს იჯდა.

იგი ახლა განსაკუთრებული ყურადღებით სინჯავდა თავისი სახის ყოველ ნაკეთს, უნდოდა მეფეს უნაკლო და სრულქმნილი წარსდგომოდა, რომ ღამის შთაბეჭდილება ლაშას მკირედ და მკრთალად ჩეენებოდა.

ლილემ ერთხელ კიდევ კმაყოფილებით შეჰხედა თავის ორეულს სარკეში და ფარჩის კაბის შრიალით ამაყად გააბიჯა კიბისაკენ.

ლილეს გამოჩენაზე მეფის მსლებლებმა ხმა გაკმიდეს, ეზოში მიმსულ ქალს ალტაცებით მიაჩერდნენ, თითქოს ფერდობში მოკვრივალე უცხო ფრინველს შეჰყურებდნენ.

სამზადთან ქეთევანი შეეფთვა რძალს. ლილემ პირდაპირ შეხედვა ვერ გაბედა. დამნაშავესავით თვალი ააჩრდა დედამთილს და, თავდახრილი, მისკენ მიუხედავად მიესალმა.

— დილამშვიდობისა, დედა-ბატონო!
— გაიხარე, შვალო! ლუხუმი მოვიდა, არ ნახე?

ლუხუმი ლილესკენ მობრუნებულიყო. გაბრწყინებული ცალი თვალითა და სახის ნახევრით ცოლს შეჰყურებდა და უცინოდა.

დამკლავულ ხელებზე და ბანჯგვლიან მკლავებზე სისხლი ეცხო ლუხუმს. ხელში წვეტიანი დანა ეჭირა და იმ დანასაც სისხლი სწვეთავდა.

სისხლიან ველურად, პირველყოფილ მბეც-ადამიანად ეჩვენა ლილეს თავისი ქმარი და მაშინვე წუხანდელი შედარება დაუდგა თვალწინ, კვლავ პირუტყვად. განუვითარებელ ცხოველად ეჩვენა იგი უნატიფესსა და უფაქიზეს ლაშასთან შედარებით.

ლილეს უნდოდა ქმარს შორიდებოდა. მაგრამ საით წასულიყო, ისიც აღარ იცოდა და თავისდაუნებურად ლუხუმისკენ გაემართა.

— ახლო ნუ მოხვალ, გენაცვალე, სისხლი არ მოგეცხოს. — ალერსით უთხარა ქმარმა.

ლილე არც თავთ ფიქრობდა ქმრის მოხვევას. შორი-ახლო დადგა და თავაულებლად იკითხა:

— წუხელ რათ არ ამოხველ?

ამ სიტყვებში ლუხუმს მონატრული ცოლის საყვედური მოესმა, ხოლო თვით ლილეს ისე მოეჩვენა, თითქოს ქმარს ნიშნი მიუფო — ახია შენზე, რაც მოხდა, რატომ არ ამოხველო!

— მხოლოდ ამ დილას შევიტყე მეფის შობრძანება და მაშინვე აქ გავჩნდი. — იმართლა თავი ლუხუმმა, მერე

ლილესთან ახლო მივიდა და თითქოს ყურთან, ხმადაბლა უთხრა:

— ხომ აიხდინე საწადელი!..

ლილე შეკრთა, დანაშაულზე დაკვირვებით ახედა ლუხუმს, გადაკრულად ხომ არ მეუბნება, წუხანდელი ხომ არა იცის რაო.

ლუხუმის სახის ნახევარი ისევ გულუბრყვილოდ იღიმებოდა.

— მალე აგიხდა მეფის სტუმრობის ნატერა, ლილე, საწადელი აგისრულდა და ვინმელო ხელმწიფეს კარგად ვუმასპინძლოთ.

ლილემ შევებით ამოისუნთქა, რაკი დარწმუნდა რომ მის ქმარს ექვიც არაფრისა ჰქონდა, ნაძალადევად გაუღიმა და კაბის შრიალით გაშორდა.

* *

იმ დღეს დიდი პურობა გამართა ლუხუმმა. კახეთის ყველა წარჩინებული იწვია, თამადად ბაკური იყო, კახეთის ერისთავი.

მოსვლისთანავე გუმანით გაერკვა გამოცდილი ბაკური მომხდარ ამბებში. ერისთავმა იცოდა, რომ მეფე ტყუილად არ გაათევდა ღამეს ველისციხელი ყმის ოჯახში. ისიც იცოდა, რომ ლუხუმი იმ ღამეს შინ არ იყო. მაგრამ ან ამის ცოდნა რად უნდოდა, როცა მეფისა და ლილეს ყოველ გამოხედვაში ერთი მეორისთვის გაგიჟებული მიჯნურების ნდომითა და ვნებით საესე ცქერას იჭერდა.

ბაკური უთქმელად მიხვდა მეფის საწადელს, თამადის თანაშემწეობა ლუხუმს დააკისრა და ზედინედ დიდრონი ყანწები და აზარტეშები დააყარა.

მეფის სტუმრობით უზომოდ გაზარებული ლუხუმი ალტაცებრსაგან ისევ მთვრალივით იყო, ღვინოს ზარივით ეწაფებოდა და სასმისის ძირამდე ცლიდა.

დაზარებულ ვაჟაკს ღვინო მალე მოეკიდა, ისედაც წითელი სახე სულ ატლასივით გაუხვდა, საღი ჭროლა თვალი უარესად აემღვრა და ვერცხლის წყალივით აუთამაშდა.

იგი თამადისა და მოწოდებული სასმისის მეტს ველარაფერს უყურებდა და ვერ ამჩნევდა, თუ როგორ ჭამდნენ თვალებით ერთიმეორეს მისი სათაყვანებელი მეფე და მისი საოცნებო ცოლი, როგორ მიდიოდით ფერფური და როგორ ესაუბრებოდნენ ერთი მეორეს მიჯნურების ტკბილსა და საიდუმლო ენაზე.

ბაკურ ერისთავმა მეფისა და მისი დიდი წინაპრების, რუსუდანისა და ქართველი ერის სადღეგრძელოებს მასპინძლის დედის დღეგრძელობა მოაყოლა.

მთელ დღეს ცეცხლთან ჯარასავით მბრუნავი ქეთევანი სამადლობელსათვის სუფრასთან მივიდა და პირველი გახედვისთანავე ის დაინახა, რასაც ალტაცებისა და ღვინოსაგან დაბრმავებული ლუხუმი ვერ ამჩნევდა.

ცეცხლი მოეკიდა ქეთევანს, მაგრამ რა ექნა. აწრიალდა, სუფრას აღარ მოცილდა, რამდენიმეჯერ ლილე დაასაქმა, კერძი და ღვინო მოატანინა.

უშველებელი სასმისით შესვა ლილეს სადღეგრძელო ერისთავმა, გრძლად ილაპარაკა დიასახლისის პატიოსნებასა და ქმრის ერთგულებაზე, განათლებულობასა და ხელმარჯვეობაზე.

— ამისთანა ცოლი, ჩემო ლუხუმ, შენკი არა, ერისთავებსა და მეფეებს დაამწვენებდა, — იხუმრა ბაკურმა და ამ ხუმრობით თავისი თუ არა, მეფის გულისნადები მაინც თქვა.

მეფემ დაცლილი სასმისი ჩამოართვა. ერთი მრავლისმთქმელი მზერით შეხედა ლილეს და თვალაპყრობილმა ხმადაბლა უთხრა:

— ყველა საწადელი მალე აგსრულებოდეს, ბედნიერი ყოფილიყო!

მეფე სასმისს დაეწაფა, დაცალა და ცარიელი ლუხუმს ესროლა.

უკვე სიმთვრალისაგან ატორტმანებულმა ლუხუმმა სასმისი ჰაერში დაიჭირა, ზედ აკოცა და გულში ჩაიხუტა.

დაღევა და ლუხუმის დაზარბაცება ერთი იყო.

მოწყვეტილი თავი სუფრაზე დასდო და გრძელი ხვრინვა ამოუშვა.

ლილემ ზიზლით გახედა მსვრინავ ქმარს, სუფრიდან წამოდგა და ოთახიდან გავიდა, ცოტა ხნის მერე ლაშაც ადგა, ჯერ ვითომ აივანზე დაიწყო ბოლთის ცემა, მერე მოჭეიფეთა თვალს მიეფარა და იმ ოთახში შევიდა, სადაც წუხელ ესოდენ სახსოვარი ნეტარება განიცადა.

სარკესთან იდგა ლილე და თმებს ივარცხნიდა.

ლაშა უკნიდან მიეპარა და მოეხვია. ქალმა სარკეში გაუცინა ვნებიანი სიცილით, მუხლებში მოეშვა და მთელი ტანით ვაჟაკის მკერდს მიეყარნო. მეფემ თვალები და ყელ-ყური დაუკოცნა ლილეს.

— დღესვე თბილისს უნდა წავიდე და შენც თან უნდა წაგიყვანო! — განუცხადა ლაშამ სატრფოს.

— დღეს არა, მეფევ, დღეს არ მოხერხდება.

— მე უშენოდ წასვლა არ შემიძლია, ლილე და დღეის მეტი აქ დარჩენა შეუძლებელია.

— მეც ვერ გავძლებ უშენოდ, ლაშა... ლაშარელა!... — მიეაღერსა ქალი და მკერდში უფრო მაგრად ჩაეკრა.

— დღეს... დღესვე უნდა წაგიყვანო, ლილე. უშენოდ წასვლა არ შემიძლია... ვერ გავძლებ...

— არა, ჩემო სიცოცხლევ... დღეს რა საჩქაროა, მოიფიქრე, მეფურად გამოარჩიე უმჯობესი. ხალხისა და ღვთის საგმობს სჯიმეს ნუ ვიხამთ, ქვეყანას ნუ ააღაპარავებ... მეფე ხარ, შენი ყმები შენს ხელთ არიან. საქმე ისე მოაწყე, არც ჩემი ქცევა იყოს გასაკიცხი, არც შენი გამორჩევა აუგად სახსენებელი.

— ლილე... ლილე... შეილო! — გაისმა ქეთევანის ხმა და ლილე უკიდარე გამოერკვა, ლაშას ხელიდან დაუსხლტა და თმების სწორებით ოთახიდან გავარდა.

სასადილოში ქეთევანი შემოსულყო, სუფრაზე დაძინებული ლუხუმი რომ დაენახა, გულს შემოპყროდა, მაგრამ ლილე და მეფე იქ რომ აღარ დახვედროდნენ, ამაზე მეტი ელდა სცემოდა.

— რა იყო, დედავ? — შემოსვლისთანავე იკითხა დაბნეულმა ლილემ ქეთევანს. ქეთევანმა მკაცრად, ეჭვიანობით გახედა რძალს და ცივად უთხრა:

— ამ შენს კაცს რად არ მიხედე, რომ სუფრაზე დასძინებია! მიშველეთ, ავაყენოთ, ოთახში გავიყვანოთ და დავაწვიანოთ.

რომა ქალმა ვაჟაკების დახმარებით ძლივს ააყენა მძინარე ლუხუმი და ვი-ვაგლახით გაიყვანა ოთახიდან.

*
*
*

თბილისში დაბრუნებული მეფე მალე მიხვდა, რომ გული ველისციხეში დარჩა და ლილესაგან მოშორებით ცხოვრება აღარ შეეძლო.

დღისით ჩვეულებრივად ღვინისა და ქეიფზე, მოგზაურობასა და ნადირობაზე გული აღარ მიუდიოდა მეფეს, ღამით თვალზე რული არ ეკიდებოდა.

გახდა და დაჯავრიანდა უსმელ-უკმელი მეფე.

სასახლეში წუბნდნენ ხელმწიფის უგუნებობას, მაგრამ თავათ მეფე გულს არავეს უხსნიდა, სევდისა და მოწყენის მიზეზის კითხვას ვერავინ უბედავდა.

რამდენჯერმე მოინდომა ველისციხისკენ ჩუმად გაპარვა, მაგრამ აჩრდილით მუდამ თან ადევნებულ ლუხუმს ვერაფერი მოუხერხა, მცველი ვერსად გაიტყუა და თავიდან ვერ მოიცილა.

რაკი გული აღარაფერზე მიუწევდა, სასახლეში ჩაკეტილი მეფე დროს წიგნების კითხვით კლავდა.

ლეილისა და მეჯუნუნის, ვისისა და რამინის, ტარიელისა და ნესტანის მოჯუნრობის ამბებში საკუთარი უნუგურობის მსგავსებას პოულობდა და ძნელი მდგომარეობიდან გამოსავალს ეძებდა.

სამიჯუნურო წიგნების კითხვამ, დამწვიდების მაგივრად, კიდევ უფრო გაამაგა მეფე.

ლაშა გრძნობდა, რომ ლილესაგან შორს ყოფნა, უმისოდ ცხოვრება აღარ შეეძლო. მაგრამ წადილის ასასრულებ-

ლად თავით ვერაფერი მოეფიქრებინა და ვერც ზეაშიადი გაენდო ვისმესთვის.

დაუმძიმდა, გაუძნელდა ლაშას სატრფოს სიშორე. ლუბუმს დასანახავად ველარ იტანდა. მისი ყოველი შეხედვა თავის უღონობასა და უმოქმედობას

აგონებდა, აანხლებდა და ბოლომდე აგსებდა.

მეფის უგუნებობით გულუბრყვილო მცველი კიდევ უფრო მორჩილი, მეფის სურვილის შესრულების კიდევ მეტად მოსწრაფე ხდებოდა და ამით მეფეს თავს უფრო აბეზრებდა.

თავი მეთხუთმეტი

ფსიქიკური და ფსიქიკური დედაბოლო

ლაშაში ქალის პატრონსა
უნდა ძალი ჰყავდეს ფრთხილი,
ან ძალი უნდა ფიზიკობდეს,
ანდა რძალის დედამთილი.
ხალხური

ნაშუალამევს იძრა მიწა თბილისში. მიწისძვრა ძლიერი იყო, ქალაქში მრავალი სახლი დაინგრა და მსხვერპლიც ბევრი მოჰყვა.

მეფეს არ ეძინა. მყარის პირველი შერყევითანავე ფეხზე წამოდგა, სარკმელი გააღო და გარეთ გაიხედა. ახალმა ბიძგმა გემივით შეატორტმანა სასახლე და მეფის ყურამდე განწირულმა კივილმა მოაღწია.

მტკვარგალმა სახლები ინგროდა. მცხოვრებნი გარეთ ასწრებდნენ და ეინჯლილების შექმნე ქორისაგან დაწოკებული წიწილებივით დარბოდნენ ნახევრად ტან-ფეხშიშველები.

იმ ღამესვე დაიარა ლაშამ მიწისძვრისაგან დაზარალებული უბნები. საბოძვარი გასცა, უსახლ-კაროდ დარჩენილთ თავშესაფარი უჩინა, დაღუპულთა ჭირისუფლები ანუგეშა და გაამხნევა.

მიწისძვრისაგან დაზარალებული უბნის თავში ახალმა მძლავრმა წყარომ ამოხეთქა. მდულარესავით ცხელი და სხვა წყაროთაგან უმეტესად გოგირდოვანი იყო ახალი წყარო.

თბილისი ისევ მდიდარი იყო სამკურნალო აბანოებით. თამარის მეფობიდან მოკიდებული, აგერ ამ დრომდე, აბანოში ბანება ყველასათვის უფასო იყო თბილისში. შორიდან წამოსული მოქა-

რავნები სიხარულით ელოდნენ თბილისში შემოსვლას, მარმარილოს ჭრელ აბანანებში ჭუჭყისაგან გაწმენდასა და ამოდმჩქეფარე წყალში განსვენებას.

მეფემ ქალაქის სრულიად დანგრევისაგან გადარჩენა ახალი წყაროს ამოსვლას მიაწერა. მაშინვე აკურთხებინა და ახალი აბანოს აშენება ბრძანა.

მეორე დღეს მანდატურთუხუცესმა აცნობა მეფეს, დიდი პაპის დავით აღმაშენებლის სასახლის პალატები დაუზიანებია მიწისძვრასა.

დავით აღმაშენებლის სასახლე დიდი ხანია არ ენახა მეფეს. დავითის შემდეგ, ჯერ კიდევ გიორგი მესამემ და მერე თამარმა ახალი, უფრო კეთილად მოწყობილი სასახლეები ააშენეს და მდიდარული პალატებით შეამკეს. დავითისეული პალატები უმეტესად დაწმული იყო და იშვიათად, რაიმე განსაკუთრებული შემთხვევისათვის თუ გააღებდნენ ზოლმე.

მეფემ დაზიანებული პალატების ნახვა მოისურვა და თან თურმან თორელიც იახლა.

გარედანვე მოჩანდა: დიდი დარბაზის ზღუდე შუა გამსკდარიყო და კედელს პირი დაეღო.

მეფე დარბაზში შევიდა. კარის ზღურბლთან გაქვედა ლაშა: ირგვლივ ყოველივე საოცარი სილამაზითა და ხა-

ლისით სუნთქავდა. გემოვნებით განაწილებული ძვირფასი ავეჯი, ფართო სარკმლიდან უხვად შემოსული შუქი და ბოლოს — ცოცხალი, მიმზიდველი და მეტყველი ფერებით მოხატული დიდი კედლები.

მეფე თვალს ველარ ამორებდა მოპირდაპირე კედელს: ფუნჯის დიდოსტატს მწუხრის ბინდბუნდი გამოეხატა კედელზე. სამეფო სახლის ერდოზე წელში მოხრილი, უკვე მოუძღვრებელი მოხუცი იდგა საცვლების ამარა. მოხუცის სხეულის მოძრაობა დაღლილობასა და უღონობას ამკლავებდა. ხოლო სახე გაძლიერებული ცეცხლივით აღზნებული ჰქონდა. თვალნი გასაქრობად თიდრეკილი ნაკვერცხლებივით უკანასკნელი გზნების ძალასა და მცხუნვარებას, დაფერფლვის განცდის ნეტარებას გადმოსცემდნენ. მოხუცის თვალები ხარბად, ალტაცებულნი მიპყრობოდნენ მდინარეში მოხანავე ქალის ვნებით დაყურსულ შიშველ ტანს.

საოცარი სილამაზით აემეტყველებინა ფერი და ხაზი მხატვარს. შემოსული ვენახივით სავსე ქალის სხეულის არა მარტო ყოველი ნაკეთი მოუხმობდა ხორცის ტკობის ნეტარებისაკენ, არამედ ჰაერიც, ქალის გარშემო განაბული ჰაერიც, ახალგაზრდა ჯანლონით სავსე სხეულით თრობასა და მაჭრობას გადმოსცემდა.

— იყო წინა მწუხრის... — ჩაესმა, ლაშას და მოიხედა.

თურმანი კედლის მხატვრობას გაპყურებდა და ძველი აღთქმიდან დავით წინასწარმეტყველის ცდუნების ამბავს ზეპირად კითხულობდა. ლაშამ თორელისკენ ახლო მიიწია და ყური მიუდგო. თურმანი განავრძობდა:

— და აღდგა დავითი საწოლისაგან თვისისა და ვიდოდა ერდოსა ზედა სახლისა სამეფოსა და იხილა დედაკაცი ერდოით რომელი იხნებოდა: ხოლო დედაკაცი იგი იყო შესახედავად ფრიად კეთილი და წარავლინა დავით და იძია დედაკაცი და თქვა: არა ესრე არსა ბერსაზე ასული ელიაბისა, ცოლი ჰუ-

რია ქეტელისა და წარავლინა დავით მსახურნი და მოიყვანეს იგი და შევიდა მისდა და დიძინა მისთანა.

თორელი შემობრუნდა და მეორე კედელს მიაპყრო თვალი — მიუწერა დავით წიგნი იოაბს, მხედართმთავარს თვისსა: შეიყვანე ჰურია პირისპირ ბრძოლისა ძლიერისა და უკუნ იქეციოთ მისგან, რათა იწყლას იგი და მოკვდეს...

ლაშა შეტოკდა. თვალი დაქინებით მიაშტერა დავითის მხედართმთავრის იოაბის მკაცრ სახეს.

— დაადგინა იოაბ ჰურიაი იგი ქეტელი ადგილისა ზედა განსაცდელთასა. გამოვიდნენ კაცი ძლიერი ბრძოლად და მოკლეს მუნ ჰურია ქეტელი.

თორელი წამით შეყოვნდა.

სწორედ იმ ადგილას გამსკდარიყო კედელი მიწისძვრისაგან, სადაც მოკლული ჰურია იყო დახატული.

კედლის ნარღვევი შუაზე ჰყოფდა ქეტელის სახეს. სახის ნახევარი დაზიანებულიყო და საღებავი მოშორებოდა. ლაშას კედლიდან ჰურია ქეტელის ცალი თვალი-ლა უყურებდა. მეორე თვალი დავსილივით ძლივს-ლა ჩანდა და სახის მთელი ნახევარი საღებავისა და გრუნტის ურთიერთ გათქეფვისა და ჩამოშლის შედეგად უცნაურად და შემაზრზენად გამოიყურებოდა.

მეფეს თვალი აერიბ. წამით ქეტელი ჰურიას სახე სადღაც მიეფარა და მისი ადგილზე კედელზე ლეხუმ მიგრიაულის ცალთვალა დასახიჩრებულმა სახემ დაიკაპა.

— ვითარ მიუწერა დავითმა იოაბს? — ჩაკითხა ლაშამ თორელს და თან ფიქრში წასული თვალები კედლს იმ ნახატს მიაშტერა, სადაც ლაშამ ბერსაზეს ქმრის დარღვეული სახის ადგილას ლილეს ცალთვალა ქმარს ხედავდა.

— მიუწერა დავით წიგნი იოაბს, მხედართმთავარს თვისსა: შეიყვანე ჰურია პირისპირ ბრძოლისა ძლიერისა და უკუნ იქეციოთ მისგან, რათა იწყლას იგი და მოკვდეს. დაადგინა იოაბ ჰურია იგი ქეტელი ადგილისა ზედა განსაცდელისა,

გამოვიდნენ კაცნი ძლიერი ბრძოლად და მოკლეს მუნ ჰერია ქეტელი.

მეტეს სახე გაუნათლა. იმ წამს სრულიად მოულოდნელად იპოვა იმის პასუხი, რაც ამდენხანს ასე სტანჯავდა და აწუხებდა.

ლაშასთვის ყოველივე ნათელი იყო. მან უკვე იცოდა, თუ როგორ ემოქმედა. ლუხუმის ბედი გადაწყვეტილად მიაჩნდა და თავის გონებაში უკვე განუყოფლად ფლობდა ცალთვალა მცველის უმშვენიერეს ცოლს.

კარის შგოსნის უკანასკნელი სიტყვები იმის გამჟღავნებად მოისმოდა, რაც ხვალ თვითონ უნდა მოემოქმედა:

— წარავლინა დავით და მოიყვანა იგი სახლსა შინა თვისსა და იქმნა მისა ცოლ და უშვა ძე...



იმ დღეს სასიხარულო ამბავი მოვიდა. მხარგრძელს საქართველოს საზღვრებში შემოჭრილი ყივჩაღთა ჯარი სრულიად გაენადგურებინა. ძლევამოსილი ქართველთა ლაშქარი უამრავი ტყვიითა და ალაფით დედაქალაქისაკენ დაბრუნებულ იყო.

სასიხარულო ცნობამ ყველა გაახარა, მხოლოდ მეტეს არ ეამა ასე უცებ და მოულოდნელად ომის დამთავრება, მას ხელიდან ეცლებოდა საუკეთესო შემთხვევა განზრახულის განსახორციელებლად.

ომი დამთავრებული იყო და მეტე იძულებული ხდებოდა კვლავ ეთმინა ლუხუმის აბეზარი სიახლოვე და ლილეს აუტანელი სიწორე. მეტეს თავისი გეგმის შესრულება მომავალი ხელსაყრელი შემთხვევისათვის უნდა გადაედო და ვინ იცის, კიდევ რამდენხანს გაგრძელდებოდა ეს გაუთავებელი მოლოდინი.

მეტეს საბედნიეროდ, მისთვის სანატრელმა ახალმა შემთხვევამაც არ დაიგვიანა.

ლაშა ჯერ კიდევ რევე ალაფისა და ყივჩაღი ტყვეების მითვლასა და გაყე-

მაში იყო, რომ საქართველოს სამეფო კარს ახალი საზრუნავი გამოუჩნდა.

განძის შემდეგ ახლა მეორე ყმადნაფიცო ქვეყანა — ნახჭევანი გასდგომოდა საქართველოს სამეფოს დამორჩილებაზე და ხარკის მოცემაზე უარს აცხადებდა.

სამეფოს მესვეურები მიხვდნენ, რომ განძის შემდგომ ნახჭევანის განდგომა საქართველოს სახელმწიფო ცხოვრების უბრალო ეპიზოდი კი აღარ იყო, არამედ იმ ჯაქვის ერთ-ერთ რგოლს წარმოადგენდა, რომელიც სამეფოს ძლიერებას დამხობას უქადდა.

ამდენხანს ერთგული საქართველოს ყმადნაფიცო ქვეყნები, ხელაფონი რა სამეფოს შინა აღრევას და ერთ მთავრობის სისუსტეს, ზედიზედ, ერთიმეორის მიყოლებით ამბობდნენ უარს ხარკის ძლევასა და მორჩილებაზე.

დავით აღმაშენებლის დროიდან მოყოლებული, საქართველოს სამეფოს საგარეო პოლიტიკა მოსაზღვრე ქვეყნების მიმართ მუდამ აქტიური იყო. სამხრეთისაკენ შორს წაწეულ საქართველოს ძლევამოსილ მხედრობას თავის მეზობელ და ყმადნაფიცო ქვეყნები შიშსა და მორჩილებაში ჰყავდა.

თამარის სეკელილის შემდეგ საქართველოს სამეფოს ეს ნაცადი პოლიტიკა თანდათან შესუსტდა. მხარგრძელი ახალი ომების წინააღმდეგი იყო და ახალგაზრდულ შფოთიან ცხოვრებას დაწყნარებულსა და მშვიდობიან სიბერეს არჩევდა.

შალვა და ივანე ახალციხელები ნაცადი საგარეო პოლიტიკის აღდგენისა და ახალი დაპყრობითი ომების გაგრძელებას თხოულობდნენ. ამ ბრძოლაში მეტე მათთან იყო, მაგრამ ლაშას ხასიათის სიმტკიცე სწორედ გადამწყვეტ შეჯახებაში ლალატობდა. საქვეყნო საქმეს ივიწყებდა და ქეიფს გადაყოლილი, სასიყვარულო ინტრიგების ხლართში გახვეული ქაბუკი ყოვლისშემძლე ათაბაგის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამიმდევრობასა და ნებისყოფას ვერ იჩენდა.

მხარგრძელს მეტისმეტი სიმდიდრე ხელს უშლიდა ქარმაგობაშიც ისეთივე გულწრფელი მამულიშვილი დარჩენილიყო, როგორც სიჭაბუკეში იყო. მის მამულებსა და სამფლობელოებს საზღვრები აღარ ჰქონდა, მისი საქონლით დატვირთული ქარავენები კიევამდე და ბაღდადამდე, ხვარაზმამდე და ინდოეთამდე მოგზაურობდნენ. ათაბაგს დიდი ხნის შრომითა და ბრძოლით შექმნილი უზომო სიმდიდრის საფრთხეში ჩაგდებისა ეშინოდა და ფრთხილად იქცეოდა. აკოციხეებსა და სადარაჯოებს ამრავლებდა, შიგ ძლიერ განიზონებს აყენებდა და ამით ფიქრობდა ქვეყნის დაცვასა და ძლიერების განმტკიცებას.

მეფე და ახალციხელები საქართველოს სახელმწიფოს ძლიერებას მისი ხმლის ძალაში ხედავდნენ. ისინი კვლავ ძლევამოსილი ომების გაგრძელებასა და ახალი ქვეყნების დაპყრობას მოითხოვდნენ და ლაშქრობას ჩვეული მხედრობის უქმად ყოფნა სახელმწიფოს მომავლისათვის საზიანოდ მიაჩნდათ.

ნახტევნის განდგომამ ახალციხელს კადევე ერთი საბუთი მისცა სამეფო კარის საგარეო პოლიტიკის წინააღმდეგ გასალაშქრებლად.

— იმის ნაცვლად, რომ ჩვენ კვლავ ხორასანსა და რუმში ვლაშქრობდეთ, შეშინებულეებივით შინ ჩავეკტილვართ და გათამამებული ყმადნაფიცების დაშროშინებასა და დასჯაზე ვხარჯავთ ღონესა და საჭურჭლეს. იმის ნაცვლად, რომ სამეფო დაპყრობილი ქვეყნების ნადავლითა და მოხებით ივსებოდეს, სახელმწიფოს საღარო თაედასაცავი ბრძოლებისათვის ცარიელდება და ქართველი მხედრობა განძასა და ნახკევანს აწყდებაო. — განაცხადა დარბაზის სხდომაზე ახალციხელმა და ბრალი საქართველოს ამ მდგომარეობამდე მიყვანაში მხარგრძელს დასდო.

საქართველოს სხვა დიდებულებმა კვლავაც გაჩუმება არჩიეს, მხოლოდ

მეფის გონება სულ სხვა განზრახვის განხორციელებით იყო გატაცებული. ლაშას ათაბაგთან სამეფოს პოლიტიკაზე კამათისათვის არც დრო ჰქონდა და არც განწყობილება. მეფე ლუხუმის თავიდან მოცილებისა და სატრფოს სასახლეში მოყვანის ფიქრით იყო გარემოცული და მხარგრძელთან კინკლაობისათვის არ ეცალა.

დარბაზი მით დასრულდა, რომ მეფის წინადადებით, თავგასული ნახტევნელების ჭკუის სასწავლებლად, ლაშქარი გაგზავნეს და ქართველთა მხედრობას შალვა ახალციხელი უსარდლეს.

ლაშქრის გასტუმრების წინ მეფე წინამბრძოლთა სარდლად დანიშნულ ბიბლა გურკელს ესაუბრა დიდხანს.

ბიბლა მეფის ახლობელი და ახალგაზრდა სარდალთაგან ყველაზე მისანდო იყო.

ბიბლას შემდეგ ლუხუმი მოიხმო. პირდაპირ თვალში არ შეუხედავს, დაყვავებით ელაპარაკა ერთგულ ყმას:

— შენი დიდი ვალი მაღევს. ჩემი სიცოცხლე მრავალგზის დაგიცავს და ბევრი ერთგულება გამოგიჩენია. მე შეუძლობის გამო ომში ვერ მივდივარ, შენ, ალბათ, გული სამამაცო და საგმირო საქმისკენ მიგიწევს. აქ რად დაგტოვო და ამხანაგებს რად გამოგწყვიტო. წადი ლაშქრად, ბრძოლაში თავს გამოიჩენ, სახელოვანი და ნადავლიანი დაბრუნდები. მე შენი სამსახურის სამუქფოდ შენი წარჩინება მსურს. მხედრობაში დაწინაურდები, ჯილდო და მამული მოგემატება, ახალ პატივსაცემოვნი და მეფის ერთგულ დიდებულებებს მხარში ამოუდგები, — უთხრა მეფემ და ცალი თვალთ გამომცდელად შეჰხედა მიგრიაულს.

— როგორც თქვენი ნება იყოს! თავდახრით მოახსენა ლუხუმმა მეფეს, კალთაზე ემთხვია და ბიბლა გურკელს მიჰყვა მორჩილად.

შემოდგომა იდგა კახეთში, უბეი და ბარაქიანი შემოდგომა.

ყურძენი უკვე მოსაკრეფად იყო შემოსული. ეზოებიდან ქვევრების შხუილი და მრეცხავეების ლილინი ისმოდა.

ლობეებზე გადმოკიდებულ ბროწეულებს ყბები დახეთქოდით და მიჯრით მიწყობილი კბილები გამოეჩინათ. მწიფე ლულებს ყურწები მისუსტებოდით და მისკვნობოდით, კომშები ზაფრანისფერად გაყვითლებულიყვნენ და წენგო-შემომხმარი კაკლები ბუდიდან გადმოსახტომად გამზადებულოყვნენ.

ქარეთა და ლალით დამძიმებულიყო მიგრიაულების ეზო-გარემოც.

მამაკაცი — ოჯახის თავი შორს, ომში იყო წასული. კარზე მომდგარ მოსავალს დაბინავება და პატრონობა უნდოდა. ქეთევანი მარტო იყო და ყველაფერს ვერ სწვდებოდა. რამდენიმე ყმა ჰყავდა გააზნაურებულ მეფის მცველს, მაგრამ თვითონ გუშინდელი ნაყმევი ქეთევანი ჯერ კიდევ არ იყო შეჩვეული ყმების დასაქმებას და ყველა საჭირო შემთხვევაში მათი დაძახება ეჩოთირებოდა.

ლილეს მოხმარება ერთ რამედ უღირსადა ქეთევანს, მაგრამ რძალი თავათ არ ეკარებოდა ოჯახის საქმეს და დედამთილსაც ეხათრებოდა ყოველ წუთში მისი შეწუხება.

ეს ერთი ხანი ქეთევანი ცვლილებას ატყობდა რძალს. ლილე მზიარულ გუნებაზე იყო და ერთავად სულ ლილინებადა, მღეროდა თავისთვის გატაცებით, რალაცას თუ ვილაცას შეჰმღეროდა. ზოგჯერ ფიქრში წავიდოდა, ვილაცას თუ რალაცას უღიმოდა და ეჩურჩულებოდა, თვალებგამოშტერებული ირგვლივ ველარავის ამჩნევდა და აღარაფერი ესმოდა.

უმეტესად ქორედის აივანზე იდგა ლილე და მოაჯირსგადაყრდნობილი შორს, დასავლეთისკენ გაჰყურებდა მეოცნებე თვალებით.

ბოლო ხანს ესეც შენიშნა. ქეთევანმა: დრო და დრო რძალს ფერს მისდიოდა და გულს აზიდებდა. დედამთილისაგან ფარულად რძალი მკვახე ხილსა და ბროწეულს, დამწიფებულ კიტრსა და კომბოსტოს ეტანებოდა. ერიდებოდა ქეთევანს ლილე, მაგრამ გამოცდილი დედამთილის თვალს რა გამოეპარებოდა. ხედავდა ქეთევანი რძლის გუნების შეცვლას და უხაროდა, რომ მალე მის სახლშიაც დაირწოდა აყვანი, მის ეზოსაც აავსებდნენ ეკვილ-ხივილით ოქროს ქორიანი შვილიშვილები.

ეს კი იყო, რომ ლილეს პირიდან ლუხუმის ხსენება არ ამოდიოდა. გამვლელ-გამომვლელს თბილისის ამბებს ეკითხებოდა, მეფის ჯანმრთელობასა და კარგად ყოფნას შეიტყობდა და თავის ქმარზე ენასაც არ დაძრავდა.

თუ აივანზე არ იყო ლილე, თავის საწოლ ოთახში მუთაქებზე წამოწოლილი ისევნებდა, კედელზე დაკიდებულ ლაშას ვეებერთელა სურათს შეჰყურებდა და თვალმოუცილებლად, უღიმოდა, ეალერსებოდა და ეჩურჩულებოდა.

რამდენჯერ შეუსწრია თვალი ამ მდგომარეობაში ქეთევანს რძლისთვის. არ მოსწონებია, მაგრამ ვერაფერი უთქვამს. შავი ფიქრები აშლია, მაგრამ შეუძლებლის ეჭვი დიდხანს არ გაჰყოლია და, საქმიანობით გართულს, უმალვე დავიწყებია.

ლუხუმის ლაშქრად წასვლის ამბავი რომ მოვიდა, ლილემ დედამთილს მიღებული გრძელი ბართოდან მხოლოდ შვილის ომში წასვლა აცნობა. დანარჩენი თავისთვის წაიკითხა, უზომო სიხარულისაგან სახეაღწილმა.

დედას რომ შვილის ომში წასვლის გამო თვალიდან ცრემლი სდიოდა, ცოლს სიხარულისაგან ცას ხელი უწვდებოდა.

ტაშის დამკერელი რომ ვინმე ყოფილიყო, ლილე, ალბათ, ცეკვას ჩამოუქვლიდა. უნდოდა ვისმესთვის გაეზიარებინა თავისი აღფრთოვანება, მეტი რომ ვერაფერი მოიგონა, სიხარულისაგან

ფრთაშესხმული დედამთილს ეცა, გულში ჩაიკრა და სახე დაუკონა.

მოულოდნელობისაგან გაშტერებულმა ქეთევანმა რძალს გაოცებით შეხედა: ლილე გამოერკვა, ბარათი უბეში ჩაიღო და დედამთილს ვითომ დასამშვიდებლად უთხრა: ნუ სტირი, დედა, მეფე ლუხუმს არაფერს გაუტკირებს, ომიდან მალე ნადავლიანი და სახელიანი დაგვიბრუნდება.

ადრეც შენიშნა ქეთევანმა: ბაკურ ერისთავმა რამდენიმეჯერ გამოიარა გზად, ლილეს ხმადაბლა რაღაცას ეუბნებოდა. ერისთავის წასვლის შემდეგ ქეთევანს მხოლოდ იმას ეტყოდა რძალი, ლუხუმის ამბავი მომიტანა, კარგად ყოფილაო. გრძელ ბარათს ჩაუჯდებოდა და დიდხანს თვალეგაბარწყინებული კითხულობდა.

გუმანი რაღაც ცუდს უწინასწარმეტყველებდა ქეთევანს, მაგრამ ხმაშალა ვერაფერი ეთქვა მორიდებულ დედას, კითხვა ვერ შეებედა რძლისათვის, რაკი თვითონ ლილე არ თვლიდა საჭიროდ, რომ იმ ბარათში დაწერილი ეამბა.

უკანასკნელი ბარათის შემდეგ სულ ვეღარ სცნობდა ქეთევანი რძალს. დილით უთენია დგებოდა, სარკესთან ტრიალებდა, ბოხხეში ტანსაცმელს ალაგებდა და მთელი დღე აივანზე მღეროდა.

მღეროდა და თვალი გზისკენ, თბილისიდან მომავალი გზისკენ ჰქონდა.

ღამე, ყველა სულიერი რომ დაბინავდებოდა და დაიძინებდა, შარაზე რომ ჩამიჩუმე მიწყდებოდა, მხოლოდ მაშინ შემოვიდოდა შინ ლილე და გაუხდელად წვებოდა, თითქოს ვისმეს დაძახილის მოლოდინში ყოფილიყოს.

•
•

მარანში საწნახლის რეცხვაზე გაცივდა ფეხშიშველა ქეთევანი, ძელების მტკრევა და ზმორება დააწყებინა, თავის ტკივილმა შემოუტტია და ლოგინში ჩავარდა. ლილე ისევ აივანზე იყო. მძიმე

ოხერასა და კენესას რომ გაიგონებდა, ავადმყოფი მაშინ გაახსენდებოდა წამით ოთახში შევიდოდა, დახედავდა, წყალს დააღვეინებდა ან საქმელს მიასწოდებდა და კვლავ აივანისკენ მიბრბოდა.

სალამოს, კარგად რომ შებინდდა, ქეთევანს ჯერ ცხენების ფეხის ხმა მოესმა, მერე ძალის გაბმული ყეფა და ბოლოს ისე მოეჩვენა, თითქოს ვილაყამ კიბე ჩაირბინა.

— ყურშა... გაჩუმდი... — მოესმა, თუ მოეყურა ქეთევანს ლილეს ჩურჩულო.

— ლილე... ლილე, შვილო! — გასძახა ქეთევანმა, მაგრამ არავინ გააგონა.

— ლილე!.. ლილე! — ახლა მთელი ხმით გასძახა მისუსტებულმა სნეულმა, მაგრამ ხმა კვლავ არავინ გასცა.

ქეთევანი შეწუხდა. ათასი შავი ფიქრი ერთად აეშალა, აწრიალდა და ლოგინში ვეღარ გაჩერდა. საწოლის თავს მოეკიდა და ძლივსძლიობით წამოდგა. ხელს ფათურითა და ბარბაცით ფეხშიშველა, კარამდის ძლივს მივიდა. უკანასკნელი ღონე მოიკრთა და მისუსტებული ხმით გასძახა ღამეში:

— ლილეე!.. ლილეეე!..
თავბრუ მოეძალა ქეთევანს და თვალები დაუბნელდა. იქვე მოაჯირთან ჩაიკეცა და მოცელილივით დაეცა.

სადედოფლოდ შეკაზმულ ცხენზე შემჯდარ ლილეს ყრუდ მოესმა დედამთილის ძახილი. ბედნიერებისაგან თავდავიწყებულს მაინც შეებრაღა უპატრონო ავადმყოფი. მეფეს პატიება სთხოვა, წამით მეზობლის კიშკართან შეაჩერა ცხენი, ვილაც ქალი მოიხშო და შეეხეწა:

— შენი კირიმი, ასინეთ, ჩემს დედამთილს მიმიხედე. მე გაღმა მხარს მივდივარ, ქმრის ამბის გასაგებად. ლუხუმთან ომში ნამყოფი კაცი მოსულა.— იცრუა ლილემ და ვიდრე გაოცებისაგან გაოგნებული მეზობლის ქალი პასუხს ეტყოდა, მუკში ფული ჩაუტენა, ცხენს მათრახი უშხველა და წინწასული ცხენოსნებრსკენ გაქროლა.

სასახლეში ლილეს მოყვანა არაყის გაჰყვრებია. ლაშას ადრეც არა ერთხელ მოუყვანია ლამაზი ხარკები, კვირაობრივ და ზოგჯერ თვეობითაც ჰყოლია სასახლეში, მერე მობეზრებია და უკანვე გაუშვია. ახლაც, გაიგეს თუ არა, მეფემ ახალი ხარკა მოიყვანაო, სასახლეში ხმა დაირბა, მსგავსი მშვენიების ქალი ჯერ მეფის პალატებში არ ყოფილაო.

ამ ხმამ რუსუდანამდი იმ დოღსაი მი-აღწია, მეფის პალატებში შემოირბინა და ხეირიანად არც მისალმებია ლაშას, უცნობ ქალს ახლად ნაყიდი ნივთივით დაუწყო მუშტრის თვალით სინჯვა რა თავით ფეხამდე თვალიერება. ლაშამ რუსუდანის მაღალი გემოვნება კაოგად იცოდა და ამიტომ მის მოწონებას განსაკუთრებული მღელვარებით მოელოდა.

— როგორია, რუსუდან? — შეეკითხა, როგორც კი განმარტოვდნენ.

— ლამაზია... ზომაზე მეტად ლამაზი, მაგრამ... — შეყოყმანდა რუსუდანი.

— მაგრამ რა? — მოუთმენლად ჰკითხა მეფემ.

— მაგრამ... ესეც მალე მოგწყინდება, — გადაიყისისა რუსუდანმა.

— ეს კი უკვე აღარ მომწყინდება, არასოდეს აღარ მომწყინდება. — დაბეჯითებით თქვა ლაშამ.

— ვნახოთ... ვნახოთ! — დაქადნებით უთხრა რუსუდანმა და მეფის პალატი-

დან ისევე სირბილით წავიდა, როგორც შემოვიდა.

სადედოფლო ტანსაცმელით შემოსა მეფემ ლილე. თავს გვირგვინი არ დაუდგამს, თორემ აღარაფერი დაუქლია, ქალაქში თუ სასახლეში გვერდით არ იცილებდა, მუდამ თან დაჰყავდა და მეფური პატივით ეპყრობოდა.

მეფე იქამდის მივიდა, რომ უცხო დესპანების მიღებრსას ლილე გვერდით მოისება და ელჩები დედოფალსავით ათაყვანა.

რუსუდანი თავდაპირველად ყურადღებას არ აქცევდა მეფის ამ მოქმედებას. ლილეს მოწყალედ ელაპარაკებოდა და თავს არ უყადრებდა. მაგრამ სამეფოში სილამაზითა და მდგომარეობათ სწორუპოვარ ქალს ლილესთან ერთად შეკრებლობაში პირველგამოსვლისთანავე უკბინა შურის ქიამ.

დიდებულები და კარისკაცები მისკენ მხოლოდ ვალდებულების გამო იხედებოდნენ, სამაგიეროდ, ლილეს აღტაცებითა და შეფრთხნით შეჰყურებდნენ.

ლილეს სილამაზის უპირატესობა უცხო დესპანების მიღებისას კიდევ უფრო დამამცირებლად იგრძნო თავარის ასულმა, როცა ელჩებმა მას მხოლოდ თავაზიანობის აუცილებელი სალამი მიართვეს, ხოლო ლილეს მოჯადობებულივით დაუწყეს ცქერა.

ის ღამე ტირილით გაათენა რუსუდანმა. მეორე დღიდან ლილეს მტერივით დაუწყო ყურება, ახლო არ იკარებდა და მედიდური ცქერითა თუ აგდებულობენებით, ყველგან ცდილობდა თავის უპირატესი მდგომარეობის ხაზგასმას.

თავი მეთექვსმეტი

ზამარჯვების მახარობელი

ქართველთა ლაშქარი ბრძოლით მიიწევდა სამხრეთისაკენ. ადრე აღებული და შემომტკიცებული ციხეებრსა და ქალაქების აღება ხელახალი ბრძოლებით უხდებოდა შალვა ახალციხელს.

ნახევრის გზაზე პირველი დიდი ბრძოლა ქართველებმა ორატის აღებისას გადაიხადეს.

ბიბლა გურკელი ციხის იერიშს ხელმძღვანელობდა. მეფის დავალების შესრულებისათვის გურკელს სწორედ აქ ჰქონდა შესაფერისი შემთხვევა.

ლუხუმ მიგრიაული იმ რაზმს უთავა, რომელიც ციხის ყველაზე კარგად დაცულ ნაწილს უტევდა. შორიანლო, მაღლობზე მდგარი ბიბლა მიგრიაულას

რაზმის გააფთრებულ იერაშს უცქერდა. მეციხოვნეები სეტყეასავით აყრიდნენ ისარს მოიერიშეებს. ეპვი არ იყო, რომ ქართველთა რაზმის თავზეხელაღებული მეთაური ამ ფიცხელ ომს ვერ გადაჩეზბოდა, გურკელი მეფის დაეალებას შეასრულებდა და პირნათლად წარდგებოდა ლაშას წინაშე.

მაგრამ სწორედ ის მოხდა, რასაც მეფის ერთგული დიდებული სრულიად არ ელოდა: მეციხოვნეებმა მადლობზე მღვარი სარდალი შენიშნეს, მიზანში ამორღეს და ბიბლა გურკელი მძიმედ დასჭრეს.

ციხის კართან ოროტელებმა გააფთრებით შემოუტიეს. მოიერიშეები შედრკნენ და აირივნენ. ის იყო, ზურგი აქციეს მტერს, რომ მიგრიალმა დასწყვილა, ქორცივით თავს დაუარა და სილტოლვად მიქცეული მეომრები ისევ წინ გაირეკა. სწორედ ამ დროს შალვა ახალციხელმა მოიერიშეებს დამხმარე ჯარი მიაშველა, ციხეს სხვა მხრიდანაც მხედ შეუტია და სიმაგრე ოთხივე კუთხივ შეღწეეს ქართველებმა.

ციხე-სიმაგრეში პირველი ლუხუმ მიგრიაული შევარდა, ციხისთავი ცოცხალი შეიპყრო და ახალციხელს წარუდგნა.

ქართველებმა ოროტი მოარღვიეს და მოსწვეს, ციხისკედლები მიწასთან გაასწორეს.

ოროტელ მეციხოვნეთა ერთ ჯგუფს განგებ ბრძოლით გასვლის საშუალება მისცეს, რომ ნახჭევანში ქართველთა ძლევამოსილების ამბავი ჩაეტანათ.

ახალციხელმა მძიმედ დაჭრილი გურკელი ოროტში დატოვა სამკურნალოდ და თვითონ მთელი ლაშქრით ნახჭევანსკენ დაიძრა.

ახალციხელისაგან განზრახ უენებლად გამეხებულ ოროტელ მეციხოვნეების ჯგუფს მთელ ნახჭევანში ქართველთა ძლიერებისა და სისასტიკის ხმა დაერხიათ.

ნახჭევანელებმა იცოდნენ, რომ ქართველთა მხედრობას სახელგანთქმული სარდალი შალვა ახალციხელი მიუძღო-

და. ახალციხელის სახელი, ისევე როგორც ზაქარია და ივანე მხარგრძელის სახელები, შიშის ზარს სცემდა მთელს ახლო სამამუდიანოს.

იგი თავის დროზე ნახჭევანის აღებაში მონაწილეობდა და ნახჭევანის სამხრეთითაც არა ერთი უმაგრესი ციხე-ქალაქი ჰქონდა აკლებული და მიხგრეული.

ნახჭევანზე პირველი ძლიერი იერიშისთანავე შეშინებულმა ამირამ წინააღმდეგობის გაწევა შეუძლებლად სცნო, ქართველებს მორჩილებას შემოეხვეწა და წინანდელი ხარკის ძლევა აღუთქვა.

ახალციხელმა მორჩილების პირობები მიიღო და ციხის კლიტეები მიითვალა. ვიდრე ალაფისა და ხარკის გაწესრიგებას მორჩებოდა, ქართველთა ლაშქარი ნახჭევანში უნდა დარჩენილიყო. სარდალს მეფისათვის გამარჯვების მახარობელი უნდა გაეგზავნა და ახალციხელმა ლუხუმზე შესაფერისი ვერავან მონახა.

შალვას იმთავითვე მოსწონდა მიგრიაული, ბრძოლაში მისი თავგანწირვა და მეფისადმი ერთგულება მუდამ სამაგალითოდ მიაჩნდა. ახლაც, ამ ბრძოლებში ლუხუმმა სხვაზე მეტი გმრობა და თავდადება გამოიჩინა და გამარჯვების სასიხარულო ამბის მაყენდ, მასზე უკეთესი მეფისათვის ვინ უნდა გაეგზავნა!

უხვად დასაჩუქრებულ ლუხუმს მცირე რაზმი აახლა, საუკეთესო ცხენები მისცა და გამარჯვების სახარებლად თბილისისაკენ აფრინა.

• •

იმ დღიდან, რაც ლილე სასახლეში დამკვიდრდა, ლაშას ცხოვრება ბედნიერებით გაბრწყინდა და ზაფხულის უღრუბლო ცას დაემგვანა.

მათი შეერთება მზისა და მთვარის შეყრას ჰგავდა, დღე და ღამე ერთი მეორეს ეჯიბრებოდნენ, რომელი მეტს იამოვნებასა და სიხარულს მიეცემთ ერთმანეთის კვრეტითა და აღერსით გა-

უმაღლარ მიჯნურთო. მათი ერთად ყოფნა დაუსრულებელი ვარდებულბულიანი იყო. ბუნებით ცხოვრების მომღერალი ლაშა სიცოცხლის სადიდებელს დაჰგალობდა სიყვარულის სიმღერაში გაშლილ ვარდის კოკორას.

ქვეყანა ერთურთის სიყვარულით მოიზღუდეს, ერთიმეორის იქით საფიქრალი ამოიკვეთეს და ქვეყნის საზრუნავი მოიძულეს.

ლილემ იმ დღიდან დაიწყო ნამდვილი ცხოვრება, განიცადა და შეიტკბო სიცოცხლის ნიჭი და სიხარული, რაც სასახლეში მივიდა. თითქოს მანამდის არც ეცხოვროს, თავისი წარსულისა აღარაფერი ახსოვდა, არც გაწამებული ბაღლობის, არც პირველი გათხოვებისა და ცოლქმრული სარეცელის. ყოველივე ბედნიერების მოზღვავებულ ნათელს დაებინდა და ლილეს თვალი უკან მიხედვისათვის დაებრმავებინა.

დრო და დრო, რაიმე შემთხვევის გამო, უამური სიზმარებით თულა გაახსენდებოდა ლუხუმი. მაშინვე აბეზარ ჩვენებასავით თავიდან იცილებდა ქმარზე ფიქრს და გალიიდან გამოსული ჩიტრებით აღფრთოვანებული ეწაფებოდა სიყვარულის თავისუფლებისა და მიღწეული ბედნიერების ნეტარებას.

ძლიერი მეფისა და თავდავიწყებამდე მოყვარული რაინდის ფრთისქვეშ შეფარებული ლილე ბედნიერებით გატრუნულიყო. შიში არაფრისა ჰქონდა — ირველივ ციხე-გალავანი და ჯარი ერთყა სასახლეს, სინდისი არ აწუხებდა — მიჯნურთან შეერთება ღვთისა და ადამიანისათვის ბუნებრივ და სათნო საქმედ მიიჩნდა.

ერთადერთი, რაც ლილეს გულსა სწყევტდა და თავისი განვლილი გზაიკენ სინანულით ახედებდა, ციციონის მოგონება იყო. როგორ ახდა და ასარულდა რუმენად ქვეული ღედის ოცნება! რატომ ცოცხალი აღარ არი, რომ ერთხელ მარცხ დიანახოს მისი შვილის ბედნიერება, მისი ანდერძისა და საზრუნავის ესოდენ კეთილად აღსრულება.

ვერ იტყოდი, ვინ უფრო ბედნიერი

იყო, ჰაბუცი მეფე თუ მზეთუნახავი ლილე. ისინი ერთმანეთს სხვებდნენ ტრფობის სიხარულითა და ნეტარებით და ერთმანეთსვე ეცილებოდნენ აღერსითა და ალტაცებით ერთი მეორის ვადამეტებაში.

ლაშამ მხოლოდ ახლა, ლილესთან ერთად ცხოვრებით იგრძნო და განიცადა თავისი მდგომარეობის მთელი სიკეთე, მეფობის ძალა, ცხოვრების მადლი და სიხარული. იგი ბუნებით უზრუნველი იყო და ახლა ხომ აღარავითარი საზრუნავი აღარ ახსოვდა. ხანდახან, ტრფობის ბურანიდან წამით გამოფიზლებულ მეფეს თვითონვე უკვირდა, თუ რად არ სწყინდებოდა ლილე, რათ არ აღიესო მისი სიყვარულის საწყაული და რატომ ასე დამშეულივით ეტანებოდა მასთან განუყრელ ყოფნასა და დაუსრულებელ აღერსს.

მაგრამ განსჯის ნებას არც გული აძლევდა მეფეს და არც გონება. ერთიც და მეორეც სიყვარულის ჯადოსნური ღვინით იყო მთვრალი და არც ერთს გამოფიზლება არ ეწერა. გულიც და გონებაც, სულიც და სხეულიც ლილესკენ მიიწევდა, მასთან სიახლოვეს ეძებდა და ასე ანდამატივით ერთიმეორისკენ მიზიდულნი, ფიქრითა და სურვილით, სულითა და ხორციით ერთ არსებად ქცეულნი სიზმარეულებივით დადიოდნენ და სხვას ვეღარავის ამჩნევდნენ.

სასახლეში ხედავდნენ მეფის ესოდენ ძლიერ სიყვარულს. ამ ცხოვრებიდან გასულნი მოხუცნი და სამღვდლონი, ლაშას აშკარა და ფარული მტრები გმობდნენ მეფის საქციელს და მისი გონების დაბნელებას მეფის ხარკის ეშმაკეულ სილაშაზეს აწერდნენ.

— მშვენებითა სახისა და ქმნულ კეთილობითა ფრიადითა აცდუნა გველმან ევა და ადამი და მოიკვეთა მათი მოღგმა სამოთხისაგან.

ჩურჩულებდნენ ცხოვრების სიტკბო-საგან დაშრეტილი ბერები და ღვთიური სასაჯელის შიშით სახეს არიდებდნენ ლილეს, ვითარცა ეშმაკეულსა და უწმინდურს, პირჯვარს იწერდნენ მის

დანახვაზე და მისგან გაცლას ჩქარობდნენ.

ისინი, ვისაც ჯერ კიდევ სიცოცხლის სურვილი არ დათრგუნვოდა, თვალში ვნების შექი კიდევ ენთო და ძარღვებში სითბოს განცდა შერჩენოდა, სიყვარულით მეფის ესოდენ გატაცებას ბუნებრივად და კანონიერად თვლიდნენ.

— არცა ჩვენ და არცა ჩვენამდის ვინმე კაცთაგანი ყოფილა მსგავსი მშვე-

ნების მზილველი და ვითარ უძღლოს გულმან კაცისამან და მთვალმან მხედველმან ქმნულ კეთილობასა მისსა, ვითარ დაავსოს გულისთქმის მიერ შემწველობა დედაკაცისა მის მიმართ...

იტყოდნენ ლილესა და ლაშას ერთად მზილველნი და ერთხმად ამტკიცებდნენ ცოცხალი კაცის უძღურებას ესოდენ მიუწვდომელი მშვენების წინაშე.

(გაგრძელება იქნება)

ნიკოლოზ ზინოვიძე

★

უცნობ კმოზილს

ქვეყნად გაზაფხული კვლავ ბევრჯერ დადგება
შორეულ, მომავალ წლების,
მზისგულზე ყინულის ზეავეები დადნება,
ტყე გამოიღვიძებს და ამრიალდება,
კვლავ მოდიდდებიან წყლები.

უცნობო კმოზილო, მზით სახედამწვარი,
წერაყინს ჩაბლუჯავ ისევ
და გეგულებოდეს იქ, თითქოს სახლ-კარი,
ციცაბოს აპყვები ისე.
ყინვარის იღუმალ სიჩუმეს დაარღვევ,
ნაკვალევს ვერ ნახავ ამ გზით,
და ტვირთის სიმძიმეს არაფრად ჩააგდებ,
თოკს გასკვნი გამყოლის კვანძით.
და მთის სიხარული შენს გულშიც იკვესებს,
აგიტანს, როგორც მე, ერთ დროს,
მთის ძირში ჩამოხვალ, დაანთებ იქვე ცეცხლს,
რომ გათენებამდე ენთოს.
ახსენებ, ვინც მჯდარა, ისე ვით ახლა შენ,
ნამგზავრი ცეცხლის პირს მთაში,
იმათი ხსოვნისას გამოსკლი ზედაშეს,
და ვიცი, მოეხედები მათში.
შენ სახეს სიამის ღიმილი გადურბენს,
კმაყოფილს სიმაღლის ძლევით,
ხმელ პურზე ქართული ღვინის წვეთს აკურებ
და სასმისს აზიდავ ზევით.
გოგონას, — ღვინის წვეთს პურზე რად ასხამო,
თვალეები უსიტყვოდ ეტყვის,
რომ მარადიული და დაუსაბამო.
ასეა ტრიალი ქვეყნის;
ხვალ დილით ხელახლა რიერაჟზე მოგვლით
ჭიდილი კლდეებთან მთაში;
და მთელი სამყაროს იქნებით მფლობელი,
როგორც ჩვენ ვიყავით მაშინ.



ერთი ღამე „ინტურისტის“ სასტუმროში

ამ ოთახებში ძინავთ ამაღამ
უცხოელ სტუმრებს... ღამეა წყნარი...
ყველას დედა ჰყავს, ყველას მამა ჰყავს,
ყველას აქვს თავის სახლი და კარი,
თბილისში ძინავთ ამაღამ მხოლოდ.

მამადავითმა ააგდო მთვარე
და ცას მიაკრა.. ღამეა წყნარი...
დაცარიელდა პროსპექტი გარეთ,
ჩაივლის ვინმე გვიანი მგზავრი
და ისმის მისი ფეხის ხმა მხოლოდ.

სასტუმროს ფანჯრებს რტობდაყრილი
ქაღარი კრძალვით ეპოტინება...
და სიარულით მთელ დღეს დაღლილი,
წვანან სტუმრები... შეფოთლილებმა
ქადრებმა ნანა უმღერეს მხოლოდ.

და, ჰე, ვინ იცის, ვინ რასა ხედავს
ამ ოთახებში სიზმარში ახლა,
ზოგს იქნებ თვალწინ დაუდგა დედა,
ზოგმა კი იქნებ ცოლ-შვილი ნახა,
აქ, „ინტურისტის“ მყუდრო ოთახში.

ზოგს ესიზმრება დიდი პარიზი,
ან ეიფელის ღვას კოშკის წინა
და ახლა, ამ წუთს, იმან არ იცის,
რომ რუსთაველის პროსპექტზე ძინავს,
აქ, „ინტურისტის“ მყუდრო ოთახში.

ზოგს საბერძნეთის, ზოგს არგენტინის,
ზოგს ინდოეთის და ზოგს ჩინეთის
მთები, ველები, ხალხი კეთილი
თვალწინ დაუდგათ და საძილეთი
იმათთვის ახლა ცხადია, თითქოს.

და მე მგონია, მსოფლიო მთელი
ჩასახლებულა აქ ერთი ღამით, —
ქადარმა მიტომ ამართა ხელი,
რომ ჩამოართვას სხვა ქადრებს წამით
და მეგობრულად გადაეხვიოს.

და მშვიდად ძინავთ სტუმრებს ამაღამ,
ასევე მშვიდად ეძინათ წუხელ...
ყველას დედა ჰყავს, ყველას მამა ჰყავს,
ყველას აქვს მყუდრო მშობელი კუთხე,
თბილისში ძინავთ ამაღამ მხოლოდ.

შენ და ლექსები

ნინო მაყაშვილს

მისი გზა-კვალი ვეღარსად ჰპოვე,
მუნჯი საფლავი გენახა მაინც,
დაიტირებდი შენს ალალ პოეტს
და თამუნია წერეთლის რაინდს.
შენ დარჩი ცალად და მის მაგიდას
კვლავ ფეხაკრეფით მიეპარები,
აქ მან გულიდან, ვით არაგვიდან
კალმახებივით აწყო პუკარები.
დღეს მაგიდასთან ზის მისი ლანდი,
ვერ გაგაშორა იგი ვერავინ,
გედის ფრთასავით დევს ზედ ქალაღი,
იმას რომ დარჩა დაუწერავი.
შენ კარებისკენ მიაპყრობ თვალებს,
ეს მოლოდინი უსაზღვრო გახდა,

ასე გგონია, კვლავ მოვა მალე, —
პაოლოს შერჩა იქნება ბალთან.
პროსპექტზე გუშინ შეგხვდი ქადარას,
სახლიდან მარტო გამოხველ დილით.
ქარმა ხმელი ბზე შემოგაყარა,
ოქროყანიდან წამოხვეტილი.
მოგესმა მისი ლექსები კვალად,
მის გარდამოხსნის დღეებს ესწრები, —
თბილისელები გაძლევენდენ სალამს,
და მიდიოდით შენ და ლექსები.
დადიხარ ჩვენთან იმისი ლანდით,
ვერ გაგაშორა იგი ვერავინ...
შინ კი, შენ გელის თითქოს ქალაღი,
იმას რომ დარჩა დაუწერავი.

ღამო ბაღიანში



კაციშვილი

ეს ამბავი დიდი ხნის წინათ მოხდა. მაშინ მე ახალგაზრდა ვიყავი. ცა ქუდად არ მიმაჩნდა და დედამიწა ქალამნად. სწორედ ამ გრძნობამ ჩამადენინა ის საქმე, რის შესახებაც ახლა უნდა მოგიყვებოდეთ. ერთხელ, საზამთრო არდადეგების დროს, დედისძმებს ვესტუმრე სოფელ ინგეთში. დედისძმის შვილი, ჩემი კბილა პეტრე სიხარულით შემხვდა. მას წინასწარ მოემზადებინა ყველაფერი, რაც საჭირო იყო დროის გასატარებლად. ვლბინობდით, ვსვამდით, ვნადირობდით...

ერთ საღამოს სტუმარი გვეწვია. პეტრეს კარის მეზობელი იყო, ზედმეტსახელად კაციშვილს ვეძახდით. გულჩათხრობილი იყო, მაგრამ ჩვენს დანახვაზე კიდევ უფრო მოიწყინა.

— რა მოგივიდა, ბიჭო?! — ერთხმად შევეკითხეთ ჩვენ.

— ვერ ვიტყვი, — გვიპასუხა მან მოგვიანებით.

ბიცოლანქვში გამოექომაგა:

— გაანებეთ თავი, თქვენი გული არა აქვს: დანიშნულისაგან დღეს უარი მოუვიდა. საწყენია, — თვითონვე დაუმტაცა ბიცოლამ, — მაგრამ ქვეყანაზე ქალის მეტი რა არის, უკეთესს მოენახავთ!

— იქნება ხათუთას მოტაცება გსურს? — ჰკითხა პეტრემ კაციშვილს.

— მოტაცება? ვისი? — წამოვიძახე გახარებულმა, ვიდრე კაციშვილი რამეს იტყვოდა.

კაციშვილი მე დამაკვირდა.

— დიახ, დიახ მოვიტაცოთ! — თქვა მან.

— ხათუთა კაციშვილის დანიშნულისა, — მითხრა პეტრემ — მმ, ახლა ეუბ-

ნება უარს? რა დროს უარია! თუ შენ თანახმა იქნები, გავყვით, ბიჭები არიან და დაგვიხვდნენ, ქალს ნუ მოგვცემენ! — დიახ, დიახ, დაგვიხვდნენ... — თქვა კაციშვილმა.

ჩვენ სამზადისს შევეუდეთ.



ცივა. ქარი ქრის. სახეში გვეშლება თოვლის კორიანტელი. ბილკს მივდევთ. წაღები წარამარა სხლტება თოვლ-ყინულზე, გრძელი ფარაჯის კალთები ფეხებზე მებლანდება, ძლივს ვიმაგრებ თავს. თვალს არ ვაშორებ ბილიკზე წინ მიმავალ კაციშვილს, დინჯად მიაბოტებს, შავი კუნძივით მიგორავს მისი ჩაფსკენილი ტანი.

— ცივა, — ამბობს პეტრე.

— დიახ, ცივა! — პასუხობს კაციშვილი, სხლტება, დაღლილი ჯორივით ბორავს, ფრუტუნებს.

— კიდევ შორს არის შენი ხათუთას სოფელი? — ვეკითხები კაციშვილს.

— დიახ, შორს!

— ხათუთა?

— ხათუთა...

— ახლოს არის, ახლოს! — აგრძელებს პეტრე პასუხს.

კაციშვილი რალაცას ჯიშჯიშებს თავისთვის, იწყევლება.

— გაგიხარდება ხათუთას ნახვა, კაციშვილო?

— დიახ...

— თუ არ წამოგყვები?..

პასუხი არ არის, სამაგიეროდ, თოვლი გვეშლება სახეში. შორიდან ისმის

მთვრალი ზევსურების ალიაქოთი, ნაგაზების ყეფა.

ფეხაკრებით შევდივართ სოფელში.

— ვინ იქნება ჩვენი მასპინძელი? — ვეკითხები პეტრეს.

— ხახონა კინჭარაული.

— შენ რცნობ ხახონას, კაციშვილო?

— დიახ, ვიცნობ.

— არ გაგცემს?

კაციშვილი პასუხს არ მაძლევს. მოახლოებული ნაგაზი აფრთხობს, პეტრეს ეფარება.

— წინ გაგვიძენი, კაციშვილო! — ეუბნება პეტრე კაციშვილს.

— ეს სამგლე? — ნაგაზს თვალს არ ამორებს თავზე ხელაღებული სასიძო.

მე თავებდს ვიწყევლი: რამ წამომიყვანა ამ ყიამეთში, რა მსჯიდა!

— ნუ ბრაზობ, — მამშვიდებს პეტრე და ხმამალა უმატებს: — ნახე როგორ დატრიალდება კაციშვილი ხათუთას და ნახეაზე!

— მართლა, კაციშვილო?

— დიახ, დაეტრიალდები!

— მასპინძელი! — ჩუმად იძახის პეტრე თოვლში ამოგანჯღულ ქოხის კართან. ქარი ქრის. ქოხი შავი გოდორივით მოჩანს თოვლში და ნამქერში.

— მასპინძელი! — უფრო უწევს ხმას პეტრე. კარს აჯანჯღარებს.

— ჰეი, ვინა ხარ? რა გინდა? — მოისმის პასუხად.

— სტუმრები ვართ, ხახონა კინჭარაული, კარი გაგვიღე.

წივა ზარმაცად ხრჩოლავს ბუხარში, ქოხი მწარე ბოლით ივსება. ხახონა ნაცარში აწიტებს.

— ავი ძაღლები ჰყავთ, მამაც სახლშია. ბიძაც, ძმებიც, ბიძაშვილებიც. კარს მაგრად კეტავენ, ხელი არ მოგვემართების, — ამბობს ხახონა.

კაციშვილი დამნაშავესავით შემოგვცქერის.

— შენ რას იტყვი, კაციშვილო. — ვეკითხები სასიძოს.

— კაციშვილი რას იტყვის, რა უნდა თქვას კაციშვილმა! — იცეცებს ხახონა და ნაცარში აწიტებს, — ქალს არ გამოგატანენ.

კაციშვილი მე არ მაშორებს თვალს.

— არა, ხათუთა უნდა მოვიტაცოთ, — გადაწყვეტით ვამბობ მე.

— დიახ, მოვიტაცოთ! — მიდასტურებს კაციშვილი. ხახონა იცინის.

წივა ბოლავს, შავი დიაცო ბუზღუნებს. გაცრეცილი, სახედაუბანელი ბავშვები გაკვირვებით მიცქერიან, ქალაქელის ტანისამოსი უკვირთ... კუთხეში ატუზული თვალურელი გოგონა წარბების ქვეშიდან მიშურს — ჩანს, მოვწონვარ.

— წავიდეთ! — ვეუბნები პეტრეს.

— დაგვეხმარე, ხახონა, სამაგიეროს გადაგიხდით, — არ ეშვება პეტრე გულცივ მასპინძელს. ხახონა თავჩაღუნული დგას.

ქარი ქრის, თოვლის კორიანტელი იშლება. ღამე ცივია. ხათუთას ავი მამა ჰყავს, უფრო ავი ძაღლები, მამაც შინაა, ძმებიც, კარი ჩაკეტილია. რა ქნას ხახონამ!

ქურდულად გამოვდივართ ბოლით სავესე ქოხიდან. შავი ნაგაზები დაქრიან ღამეში, წინ და უკან გვივლიან. კაციშვილი მე შეფარება, მე პეტრეს, ძლივს ვაგერიებთ გააფთრებულ მყეფარებს.

როგორც იყო, მოვალწიეთ ხათუთას სახლამდე. გრძელ დერეფანში შევიჩიზნეთ და გავჩუმდით. ჩვენ გარშემო სიწყნარე ჩამოვარდა. ქარ-თოვა აბნელებს ყველაფერს.

— კარი ჩაკეტილია! გვამცნო პეტრემ.

— არც სინათლე ჩანს ხათუთას სახლში, არც ადამიანის ხმა ისმის, სძინავთ! — ვეუბნები ჩუმად დახვერვიდან დაბრუნებულთ და კაციშვილს ვუახლოვდებით: — აი, კაციშვილო, იქ, იმ კედლის იქით სძინავს ხათუთას!

— დიახ...

— მერე რაღას უდგებარ, მის მოსატაცებლად არ მოხვედნი?



— დიახ, მოვედი...
 — მაშ ეს კარი გააღე!
 — კარი?.. არ იღება, გავტეხოთ?
 — სხვა გზა რომ არ არის?
 — გაიგებენ, — მესმის კაციშვილის მიჩნევებული ხმა.
 — შეგცივდა, კაციშვილო?
 — დიახ, მცივა.
 — მეც ძალიან მცივა, კაციშვილო. ღირს კი ამდენ ტანჯვად ის უნენი ხათუთა?

— სარკმელი ვიპოვნე! — მოირბინა ამ დროს პეტრემ, — მე გადავძვრები, ოღონდ ცოტა ხელი შემაშველეთ.

— მერე, მერე? — ეკითხება ხალისდაკარგული კაციშვილი.

— მერე-და, გადავძვრები!

— გაიგებენ...

— გაიგონ, კაციშვილო, გაიგონ, — უბრაზდება პეტრე, ჩემს მხრებს ეყრდნობა და თავით მიძვრება სარკმელში. ყავარი ტყდება, ნაგაზები კვლავ გვიტევენ, მალლა, მერის ქვეშ ქათმები კრიახობენ. პეტრე ფეხებს იქნევს, სარკმელში მიძვრება. სადაცაა კარი უნდა გაიღოს.

— კაციშვილო! — ვეჩურჩულები ხათუთას მოტრფიალეს, — კარი რომ გაიღება, მე შიგ შევალ, შენ კი, აი, ეს კეტი დაიკავე, ხედავ?

— კეტი?.. ვხედავ.

— მაგრად დაიკავე. თუ საჭირო გახდა, ხომ იცი, რა უნდა გააკეთო?

— რა?

მეც არ ვიცი, რა უნდა გააკეთოს კაციშვილმა, მაგრამ გონებას ძალას ვატან.

— თუ ვინიცობაა, ხათუთამ აურზაური ატეხა, შემოდი შიგნით, დატრიალდი, ხმას აუწიე: ჩემია ხათუთა-თქო, ხარჯი გამიწევია-თქო, ფიქრით დავლილვარ-თქო.

— დიახ...

— დამაცალე, კაციშვილო! ცოცხალი თავათ აქედან ხელცარიელი არ წავალ-თქო, მოვკვდები, ალალი იყოს ჩემი სიცოცხლე ხათუთასთვის-თქო.

— დიახ, ალალი...

— ჰო, აგრე, აგრე, კაციშვილო, გესმის?

— დიახ!
 — დაიყვირებ?
 — ძალიან!
 — აბა შენ იცი, შენ იცი, კაციშვილო, თუ საჭირო იქნეს, იყვირე, გესმის? რაც ძალი და ღონე გაქვს, იყვირე!
 — შენ შიგნით შედიხარ?
 — გააღებს თუ არა, მაშინათვე!
 — მე!..

ნაგაზი სულ ახლოს მოდის. კაციშვილი კეტს იმარჯვებს. გაბედულად ეგებება.

— ჰო, აგრე, კაციშვილო! აბა შენ იცი! საცაა კარი გაიღება და... კბილებში ჩასცხე, კბილებში!

— დიახ, ჩაცხებ...

ბნელ სივრცეში მიყვები პეტრეს, ძლივსძლიობით მივიწევი წინ. გარშემო მძაღვ სუნი ტრიალებს, თბილი ორთქლით გაელენილი მეჩვენება ყველაფერი. სამარისებურ სიჩუმეში მშვიდი სუნთქვა მესმის ვიღაცისა თუ რაღაცისა. პეტრე ჩერდება, მიახლოვდება.

— მე სინათლეს ავანთებ, მზად იყავი! — მეჩურჩულება იგი. იარაღს ვიმარჯვებ, ტანისამოსს ვისწორებ, პეტრე რაღაცას ჩალიჩობს.

— დავიგვიანეთ! — ვეჩურჩულები მე.

— მოიცა, ამას მოვეუკიდოთ!

ასანთის ნაპერწკლები იშლება პაერში. ბნელი ირხევა და ჩალას წაყიდებულ ცეცხლი ანათებს ოთახს.

საერთო გაშლილ ლოგინზე ჩალაგებულ აღამიანებს ვაკვირდები.

— რომელია ხათუთა?

— უთუოდ ეს იქნება!

— ეს არ უნდა იყოს.

— მაშ ესა?

— არ ვიცი.

— ეს?

— ჰო, მგონი ეს!

— რას აპირებ?

— ახლავე გიჩვენებ, რასაც ვაპირებ! ხათუთას ვაღვიძებთ. აი, გამოვლენიძა. ძილით დამძიმებული თვალები მოგვაპყრო, შეკრეკილ თმას ისწორებს, თავიდან ფეხებამდე გვათვალაიერებს.

— ადექი! — ვანიშნებ ხელით.

ქალი ფრთხილად დგება. ფეხსაცმელებზე ვლუთითებ. იღებს, იკაზმება.

პეტრე გაკვირვებულია, ჩუმად ეცი-ნება. ჩვენ გარშემო სრული სიმშვიდეა, ჩამბრუნებული არ ისმის, ერთი წუთიც და მშვიდობით გავალთ ხათუთასთან ერთად, მაგრამ... სიჩუმის ქაშის კარებში შემოდის ხელკეტიანი, აღელვებული კაციშვილი და ყვირის, ღრიალებს, სიტყვასიტყვით იმეორებს ჩემს დავალებას.

— ჩემია ხათუთა! ხარჯი გამიწვევია! ვერ წამართმევთ, ვერა! მოვკვდები... ჩემია, ჩემი, ამოგზოცაეთ!.. — აღშფოთებული კეტს ატრიალებს, ხათუთა კივას, ზიზანი ფეხზე დგება, მამაკაცები ჭერს ანგრევენ მეორე სართულში!

— ახ, კაციშვილო! კაციშვილო! — კბილებს ვაღრქვილებ სიბრაზისაგან.

— დიახ, დიახ, ჩემია ხათუთა... დაგზოცაეთ! — განაგრძობს კაციშვილი.

მე და პეტრე ქალს ვაკაევებთ, კარისა-კენ მიგვეყავს. კაციშვილი წინ გარბის ბრაზიანი ყვირით. უკან გნისაბია ატეხილი: ქალები, ყმაწვილები, მამაკაცები, ნაგაზები...

თოვლი გვეშლება სახეში, ნაგაზები გვეტანებინან, კაციშვილი წინ გარბის, მე და ხათუთა ერთიმეორეს ვეჭვიდებით, ვსხლტებით დაქანებულ ფერდობზე და თავდაყირა გადავდივართ ნაშქერში. პეტრე ძლივს იგერებებს ნაგაზებს. კაციშვილი უწინდებურად გარბის წინ და ღამეს გაჰკივის:

— ჩემია ხათუთა... ვერ წამართმევთ, ვერა!..

— კაციშვილო, კაციშვილო! მოგვიცადე ერთ წუთს! იგი ჩერდება.

— გეყოფა, კაციშვილო!

— დიახ, მეყოფა!

— საქმე ცუდად არის, მღევარი მოგვდევს, კაციშვილო!

— დიახ, ჩემია ხათუთა!.. — კვლავ ომბახიანობს კაციშვილი და კეტს ჰაერში ატრიალებს.

— ჰოპ! კმარა, კაციშვილო, აგერ არის ხათუთა, მომყავს, შენთვის მომყავს, კაციშვილო, რას გვიშვრები, დალუპვა გინდა ჩვენი?

— დაგზოცაეთ, ყველას, ამოგეუფაეთ!

— მოიცა, გეყოფა, ხმა, ჩაიკმდე! აგერ პეტრეც მოვიდა, მღევარს ცვალი დაუქარავს, ფრთხილად, ჩუმად, ჩქარა!

— დიახ, ჩქარა...

ხეების შუა და შუა მივიპარებით, პეტრე გზას მიიკვლევს, მე და ხათუთას კვლავ გვიჭირს სიარული, ფეხი გვისხლტება, ხან მე ვარ ქვეშ, ხან ხათუთა. კაციშვილი მოშორებით მიჩანჩალებს და მე კიდევ ჩამსმის მისი ხმა:

— დაგზოცაეთ... ჩემია ხათუთა!

• •

— სად გირჩევნია მისვლა, შენს სახლში თუ მეზობლისას?

— ჩემს სახლში, — რიბი ემატება კაციშვილის ხმას.

— არაყი გაქვს?

— მაქვს.

— ჩამორჩა, დიახ.

— ხათუთას ხედავ?

— ვხედავ.

— პირველად რომ დამინახა, პოლიციელი ვეგონე.

— ეგონე, ჰო...

— მაგრამ საქმე მაინც ცუდად არის: მღევარი თუ დავეწვია, შეტაკება მოგვიხდება.

— შეტაკება? დიახ.

— ჩუმად იყავი. ხომ ხედავ, პეტრე როგორ ჩუმად მიჰყვება ხათუთას.

— ჩუმად, ჩუმად, მამ...

— მამ ჩვენც გაეჩუმდეთ.

— გავჩუმდეთ.

ვხედავ, ბილიკზე სინათლეები დაქრის. ზევსურები გვეჭებენ. წყევლა, მუქარა. ხმაური თანდათან გვიახლოვდება. კიდევ კარგი, რომ სოფელი ინგეთი სულ ახლოს მოჩანს, მაგრამ... თოვლი და თოვლიან ღამეში ანთებული სინათლე ხომ არ გვატყუებს?

— რად გაგარძელდა გზა, კაციშვილო?

— დიახ, გაგარძელდა.

— გეჩქარება?

— ჰა?

- გეჩქარება-მეთქი?
- დიახ...
- ეჰ, კაციშვილო, კაციშვილო! ამოწყვდი შენ, ამოწყვდი!



სოფელ ინგეთში შევედივართ, მდევა-რი ფეხდაფეხ მოგვდევს, კაციშვილი თვალწინ მჩქრება. მარტოდ დარჩენილს ხათუთა მრჩება ხელში. კაციშვილის დედა მეგებება. იგი ფქვილს აშლის კარებში შესულ ხათუთას, ულოცავს მათ ოჯახში თეთრად აყვავებას და მოახლოებული ხმაურით შემკრთალი პეტრესთან ერთად გადის ქაზხიდან.

ვუმზერათ ერთიმეორეს მე და ხათუთა. მას ჩემი ბარელობა აკვირვებს, მე... მისი შავი, შემკრთალად მზირალი თვალები, უსწორმასწორო სახე, თოვლში და ფქვილში ამოგანგლული ტანისამოსი. მინდა საჩქაროდ წავიდეთ.

— კაციშვილო! — ვეძახი მასპინძელს. ჩამჩხუმი არ ისმის.

— ბაღილო, შენი შვილის საცოლე მოვიყვანე, გამოჩნდი, სადა ხარ, სადა!

— კიდევ სიჩუმე.

— ნინო ქალო, დედამთილობა გაუწყვი ხათუთას! ხათუთა!

— სიკვდილი შენ!

— არა, ხათუთა, მე ბარელი ნუ გგონივარ, არხოტელი ვარ, ქალო, არხოტელი. მე რომ არა, შენ ეს ბედნიერება არ გელირსებოდა, მაგრამ რა იქნა ეს ხალხი, პეტრე მაინც სად წავიდა!

— წყალსამც წაუღია ყველა.

— ნუ, ნუ იწყევლები, ხათუთა, შენ ამ ოჯახში უნდა გაბედნიერდე, აქ უნდა აყვავდე, აი, მაგ ფქვილივით თეთრად! ხათუთა ზიზოთ მიცქერის. მდეგრების ხმაურით ივსება სოფელი ინგეთი.

— ბეღიავ, კაცო, მოხედე მტერს და მოყვარეს, სად მიიმალე, სად? ხმა გამეცი!

ჩამჩხუმი არ ისმის.

— ნინო! კაციშვილო! მოდი, თორემ მეც წავალ, მივატოვებ და მერე ეძებთ.

ჩამჩხუმი არ ისმის. სამაგიეროდ, მდეგრის ხმაური გვიახლოვდება.

— გესმის, ხათუთა?

ახოვანი ტანის ხევსური ქარიშხალივით შემორბის სახლში, მის ხმაზე სახლი ხანხარებს. ერთიმეორეზე მოსდევენ სხვებიც, ვინ იცის, რამდენი... შემკრთალი ხათუთა მათში ერევა და ქრება.

ხევსურები ბორბავენ, აქეთ-იქით აწყვდებიან, ქალის მომტაცებლებს და მასპინძელს ეძებენ. ჩემ გარშემო სიცივე და აბჯრის სუნი ტრიალებს. მე გაჩუმებული ვადევნებ თვალყურს: რა საქმე მაქვს ბარელს ქალის მოტაცებასთან, რა ხათუთა, რისი ხათუთა, ვინ კაციშვილი, ვინ პეტრე, ვინ ბაღილო.

— ქალი ჩაგვაბარეთ! — ყვირიან ხევსურები.

— ქალი? ხათუთა? ახლავე, ამ წუთში! — ვათვლიერებ იქ მყოფთ, ვაწყვდები ოთახის კუნჭულებს, მაგრამ... საღარის ხათუთა!..

— ხათუთავ! სად წახვედი, სად? — ეტრიალებ, ეძებ, მაგრამ...

გაქრა ხათუთა.

გაქრა კაციშვილი.

გაქრა მამამთილი ბაღილო.

გაქრა ნინო დედამთილი... და მე... ერთადერთი მე...

— ქალი, ქალი! ჩაგვაბარეთ! — ანგრევა სახლი დეცაკების ხმაურში.

— მოიკადეთ, მოიკადეთ! ნუ გინდათ ცული საქმე, ახლავე მოვძებნი ხათუთას, ახლავე! — სასწრაფოდ გავედი ოთახიდან, კართან ბიეოლას წავაწყდი.

— მალეობა დმერთს, რომ გადავრჩიო რისთვის დაანგრით ქვეყანა! შიშმა გამათავა, პეტრეს კარები ჩაფუტევე შენ, შენთან გამოვიჭეცი.

— მიშველე, ნანა, მომეხმარე, ხათუთა მოვძებნოთ, მივცეთ, წაიყვანონ.

— სად არის ხათუთა?

— არ ვიცი, არა!

— ხათუთა!

გაქრა ხათუთა.

— ბაღილო! არ გესმის, ბაღილო!

გაქრა ბაღილო.

— ნინო ქალო, ნინო!

გაქრა ნინოც!

კაციშვილი ხომ არა ჩანს და არა.

ეზო-კარი მოვიარეთ მე და ჩემმა ბი-
ცოლამ, ბოლოს საჩალეში შევედით და
რასა ვხედავთ:

თოვლში ამოგანგლული კაციშვილი
კუთხეში მიწოლილა, ბადილოს მხოლოდ
თავზე დაუფარებია ჩალა და მის გვერ-
დით გაშხლართულა. ნინო კანკალებს
და... კარის მახლობლად თვალი მოვკარი
ხათუთას. მას ვერ მოუსწრია ჩალაში
ჩაძრომა.

— ეს ვინ არის? — მეკითხება ბიცო-
ლა.

— ხათუთა, ჩვენი პატარძალი! ხათუ-
თა! ხედავ მის ტანისამოსზე ფქვილს?
ვგ ფქვილი წედან მისმა დედამთილმა
გადააშალა, — ვეუბნები ბიცოლას და
ხათუთას ვუახლოვდები, — აღეჭი, ხა-
თუთა, აღეჭი! ბედი არ გქონია, თქვე-
ნები გეძებენ!

ხათუთა უხმოდ დგება, ბიცოლას გაპ-
ყავს საჩალიდან. მე არ მინდა! ცეჩვენს!
ხეცსურებს.

— კაციშვილო!

კაციშვილი ხმას არ იღებს.

— ბიჭო, კაციშვილო!

— თავი გამანებე! — ბუზღუნებს იგი.

— გესმის? ხათუთა წაიყვანეს!

— დიახ, წაიყვანეს!

— რა ვქნათ, კაციშვილო, ეგეთი ყო-
ფილა შენი ბედი!

— დიახ... ესეთი ყოფილა ჩემი ბე-
დი...

და მესმის რაღაც უჩვეულო ხმა, სლო-
კუნით თუ რაღაც ამის მსგავსი. კაცი-
შვილს ვუახლოვდები და ვხედავ: ტირის
საბრალო სახით, ჩალის კონას დამზობია
და ტირის... გული მეწვიის. არ ვიცი, რა
ვქნა. ნეტავი სულ არ გამომეხედა წელს
აქეთ, რად მინდოდა, ამ ხათაბალაში
რომ გავეხვიე! საცოდავი კაციშვილის
ცრემლები მაინც არ დამენახა...

აქაო შენგალია

★

ხვალ კარგი დარი იქნება

...როცა ღრუბლებში დაიშხვრა ელვა
და ვარსკვლავებად ცას მიეყარა,
ზღვისაე მოსწყინდა შფოთი და ღელვა,
დაცხრა, დადუმდა ტალღა კალარა.

მთვარე გამოჩნდა ღრუბლის ქულებთან,
ზღვისკენ აფრინა შუქი ფრთამალი
და კარგი დარის დადასტურებად
ზედ დაახატა ვერცხლის ქამარი.

ღამეა. მინავს სოფელს ღრმა ძილით,
ნაწეიშარ ველებს სიომ დაჰბერა,
ისე დამოკლდა ცისკენ მანძილი,
მსუბუქ ჰაერში გინდა გაფრენა.



მე სუსტი ხმა ვარ,
შენ კი ჩემი ეხო და სივრცე,
შენით ვიზრდები

და ჩურჩულიც ქუხილად ისმის.
საწვიმარ ღრუბლად მე შენით ვიქეც,
როცა ვიყავი პატარა ნისლი.

სათაფლია

ისე როგორ გავიზარდე,
არ მინახავს სათაფლია,
სადაც იდგა სახლიკაცი —
პაპას ძელები სად დაფლია.
ნისლი ვიყავე — მსიზმრებია —
სათაფლია მიძებნია.
სადაც ჩემი მამულია,
დაკარგული ბიძებია.
ვენახებზე გავწოლილვარ,
დაცურავდი ჩაღებშუა,
დაკარგული ხბოსავითა
გებლახობდი ჭაღებშია.
ერთი მუქა ბალ-ვენახი
გულში ჩამიკონებია.
კრამიტებზე მიტირია —
პაპის სახლი მგონებია.

ღრუბელივით გავგუდულვარ —
ნისლი ვიყავე ფარატირა.
წვიმა გავხდი ხმაელურტულა —
შენმა ნახეამ ამატირა.
ალეძებდა წვიმის ეშხი
დაყვითლებულ ყანას ხშირად.
ეფათქუნობდი სიმინდებში,
ეჩურჩულედი ბალახშიაც.
ვაი, განა დაკარგულვარ,
განა ყოფნა განახევრდა? —
ტანი მექცეს ნაკადულად,
ფოთლებად და ბალახებად.
ცოცხალი ვარ თუ მკედარი ვარ,
რა დამკარგავს ადამიანს.
შენი მიწის ფუტყარი ვარ,
ჩემო დედა სათაფლია.

სიმინდის რჩევა

მოდის ღამე ნაბდიანი,
მთვარის ყაბალახიანი.
ეზოში რომ ნადი არი,
მადლიანი ხალხი არი,
ჩემი კარის მეზობელი,
მოყვარე და ახლობელი,
სტუმარი თუ მასპინძელი
ერთმანეთის მადლობელი.

სიმინდს არჩევს ბერიკაცი, სიმინდს არჩევს შვილიშვილი,
მიირწევა, მოირწევა კოინდარზე ჩრდილი ხშირი.
სიმღერა და სიცილია, ხუმრობა და ოხუნჯობა,
შაირობა, პაექრობა, შეძახილი: — ოხ, აჯობა.

- ასე მალე რად გათხოვდი, ჭალო, მოგეთმინა ცოტა.
- რატომ დღემდე არ მითხარი, შენ მოგეცა ჩემი ცოდვა.
- ცოლიანი რომ არ ვიყო, მხოლოდ შენ ერთს შეგირთავდი,
- რატომ ადრე არ ვიცოდი, შენ მოგიკვდა ჩემი თავი.

მადლიანი
ნადი არი,



შემოდგომა — აღრიანი.
 ნიჩბისტოლა სიმინდები
 ტაროები აღლიანი.
 ტაროები აღლიანი
 წყაროებისმადლი არი.
 ტანთ იხდიან ტაროები
 ტანადები, საროები,
 ბოჩოლასთან მიაქვთ ბავშვებს
 ფუჩჩებების სამოსელი.
 ტანთ იხდიან ტაროები,
 წერწეტები, საროები,
 მარცვლებია თუ განგებით
 ვაყინული რძის წვეთები,
 მუგუზალი გეგონება,
 ურევია ისეთებიც.
 ...წალდიანი მასპინძელი შინდის ტოტებს აშამფურებს,
 შუაცეცხლზე დაბრაწულებს
 ეცინებათ ხაჭაპურებს.
 ჩინჩხლებს გაყრის ნაკვერჩხალი დაჟღაჟა და ძოწეული,
 კუნძია თუ გაპობილა ვებერთელა ბროწეული,
 ბროლისფერა ტაროებმა წამოიწყეს ტკაცატყუცი.
 — აბა ხელი წამოავლეთ, პატარებო, რაღას უცდით.
 ბეუტავს კრაქი ფხალეულის ოხშივარით ჩანისლული,
 მურას ცხვირში ულიტინებს ახლადდამჯღარ კადის სუნი.
 — წელან ტკბილ-დ რომ მღეროდა გოგონა და კობტა ბიჭი,
 ვაპარულან.
 — უი ბეჩა...
 ქე ვატყობდი, მქონდა იჭვი.
 — რას ფრუტუნებთ, გოგოებო,
 თქვე ორლობის აღქაჯებო,
 ქორიკანას ყურს ნუ უგდებთ,
 არაფერში დაგაჯეროთ.
 — ქალი აგრონომი არი, ვაჟი კომბაინერია,
 დილით ადრე უნდა ადგნენ, ველ-მინდვრები მიელიან...
 მიდის ღამე ნაბდიანი
 მთვარის ყაბალახიანი,
 ეზოში რომ ხალხი არი
 მადლიანი
 ნადი არი.
 პალეზისკენ ვიცქირები
 და პატარა წისქვილები
 ჩანან, როგორც წვიმისაგან გაწუწული წიწილები,
 მაგრამ ხვალით მოიმედე ვხედავ, ფიქრში მოლანდებით
 ელემტრონით ანთებულნი ბულრაობენ დოლაბები.
 დე იმატოს ოჭროს ხევის სივანემ და სიფართემა,
 მაუ, მთვარეც დოლჭბივით ღამეს ფქვავს და იბადრება...

ირაკლი არაგვი

★

წისქვილში

დგას ჩემი ქოხი მთაზე მიკრული,
იქვე წყარო და ჩერო იფანთა,
ბაბუაჩემი მხარზე თიკრუნით¹
წისქვილისაკენ - ჩამოიბრუნდა...

არაგვის ტოტი წისქვილში ხვივის,
ბორბალზე წყალი ცვივა თქარუნით,
მიეჭადლება ბაბუა ხვიმირს,
თვლემს სარეკელას იაენანურით.

როცა ინათებს ვარსკვლავი ცისკრის,
ქაუხზე დნება ღამე მთებური, —
მაშინ დატოვებს ბაბუა წისქვილს
და შინ ბრუნდება გათეთრებული.

ორი არაგვი

შავი არაგვი გუდამაყართ
მოედინება თვალამღვრეული,
შავია, მაგრამ მუდამ ახალი,
წინანდებურად გალაღებული.

მას თურმე გულში დარდი აქვს ერთი,
ამ იღუმალმა ფიქრმა დაღალა:
შეუერთდება არაგვი თეთრი
და გამოუჩრევს უცებ ქალარას!

¹ თიკრუნი — თხის ტყევისაგან გაყოფილი
ლი ტომარისმაგვარია ფქვილისა და ხორბლის
ჩასაწრელი (სიტყვა წარმომდგარია თიკრუ-
საგან).



მეცხრე ტალღა

დიდძალი ხალხი მოაწყდა იმ დღეს გუდაუთის სანაპირო ბულვარს. მახლობელი სოფლებიდან ხუთასზე მეტი კაცი ჩამოსულიყო. წინ მიმავალი მარსელი-ეზას მღეროდნენ, ხელში დროშებს აფრიალებდნენ, რომლებზედაც დიდი თეთრი ასობით იყო გამოყვანილი: „პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა შეერთდით! გაუმარჯოს რევოლუციას! გაუმარჯოს რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას!“

თითქოს გეში აუღო, ქენებით მოგრიალდა სოხუმის ოლქის უფროსი ჯანდიერი. კაზაკი მებადრაგენი ფიცხ ცხენებს მოაგლეხებდნენ. ეტლიდან გადმომდგარი ჯანდიერი გაპყვიროდა: „ვისა სურს მოისმინოს ჩემი სიტყვა?“ თითო-ორღლა კაცი მიუხალოვდა მას, დანარჩენი, ასობით ამბოხებული კი ორჯონიკიძეს შემოერთკვა ირგვლივ. აქ პირველად გამოდიოდა ხალხის წინაშე სერგო. მისი სიტყვა გავარჯერებული ფოლადის ნაკადსა ჰგავდა. განა შეიძლებოდა მოგეძებნათ ისეთი ვინმე, რომლის გულის ძარღვსაც არ შეატოკებდა თვითმპყრობელობისადმი სიძულელითა და უბრალო ადამიანებისადმი მხურვალე სიყვარულით გაქლენილი მისი სიტყვები! კუდამოძებული ოლქის უფროსი ცვლავ ჩაჯდა ეტლში, მეეტლეს ზურგში მუშტი უთაქა დათხილმა ცხენებმაც გაინავარდეს. ეტლს ისევ ქენებით გაპყენენ მებადრაგენი. სერგომ მეორე დღესაც წარმოთქვა სიტყვა. ლაპარაკი რომ დაამთავრა, ესაული გამოეცხადა წინ, დაიშალენითო, უბრძანა, თუ არ დაშლილხართ, ჩემს ასეულს მოვიყვან და უფრო ძვირად დავისვამთ ამ

თავხედობასო. „უფრო ძვირად თქვენ დაგიჯდებათ, თქვენო კეთილშობილებავ, — შეესიტყვა სერგო, — აქედან გამეტალე, სანამ თავი მთელი გაქვს“. იმას ნაცვლად, რომ კაზაკ ოფიცერს იხტიბარი არ გაეტეხა, პირიქით მოიქცა: თავისი ასეული იმ არემარეს გააცრა და გუდაუთის მოშორებით დაბანაყდა. განა რამდენი წლისა უნდა ყოფილიყო სერგო! ოცისა თუ იქნებოდა. სწორედ-ახლა ეღერებოდა წვერ-ულვაში, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჰადარა გლეხებიც კი პატრვისცემით უსმენდნენ მას, იმდენად დამაჯერებელი და სულში ჩამწვდომი იყო ხალხის გამარჯვებისადმი უძლეველი რწმენით გამსჭვალული მისი სიტყვები. სერგომ აფხაზეთის ბევრ კუთხეში შექქმნა „წითელი რაზმეულები“. გუდაუთის მებრძოლ ჯგუფში ვასილ კონჯარიაც შევიდა.

ერთხელ, ნავსადგურში კონჯარიასთან მივიდა ორჯონიკიძე. ვასილი მაშინ საბაეოს მეზღვაურად მუშაობდა. „ყური დამიგდე, ვასო, — უთხრა სერგომ, — აქედან საშოც მიღზე ღია ზღვაში დგას საზღვარგარეთიდან ჩამოტანილი თოფიარალით დატვირთული გემი. როგორ მოვიქცეთ, როგორ გადმოვიტანოთ ნაპირზე ეს ყველაფერი, ვერ მტყვი?“

— რატომაც ვერ გეტყვი, — დაიძედა კონჯარიამ, — ოჩამჩირეში ერთი კაცი მეგულემა, რევოლუციას თანაუგრძნობს. საკუთარი ნავი აქვს, მე გვონი უარს არ გვეტყვის ამ სამსახურზე.

— ეგ კარგი, ამხანაგო ვასო, მაგრამ როგორ უნდა გადმოვიტანოთ თოფიარალი ნაპირზე, როცა აქ მუდამ საბაეოს მცველები დგანან?

— შენ ნება მომეცი და ერთ წუთში ამოველიტავ მაგათ.

— არა, ჩვენს პარტიას ჯერ არ გაუცია ასეთი განკარგულება. — შეაგება ორჯონიძემ.

ამაზე კიდევ ბევრი იფიქრეს, ბოლოს კი კონჯარიამ გამოთქვა თავისი აზრი, რაც სერგომ ძლიერ მოიწონა. ოჩამჩირეში გაგზავნილი შუაქაცები ნავის პატრონს მოელაპარაკნენ. იმანაც აფრები აბა ნავს და ღია ზღვაში გავიდა. საბაქოს რიგრიგობით ოთხი მეზღვაური დარაჯობდა, ამ მრისხანე დღეებში კი ვახტზე ორ-ორნი გადიოდნენ. იმის წინა ღამეს, როცა გუდაუთში უნდა მოეყენებინათ იარაღით დატვირთული ნავი, კონჯარია სანაპიროს გაბარდნილ ბუნქებში შეიპარა და სროლა ატეხა. ვახტორები დაფრთხნენ, გორაკზე აიქრნენ და საურმე გზით ბირდაპირ საბაქოს კანტორას მიაწყდნენ. თხუთმეტი წუთის შემდეგ საბაქოში კონჯარიაც მივარდა. „ისერიანო“, — დაიძაბა მან შემოსვლის თანავე. გაფითრებული უფროსი ფანჯარასთან მიმდგარიყო, მას გვერდში ამოტუზვოდა ოთხივე ვახტორი, ერთი ავადმყოფობას უჩიოდა და სამსახურიდან განთავსუფლებას ითხოვდა, მეორე სოფელში გამიშვიო, ეხვეწებოდა, მამა მიკვდებაო, ორნი კი, რომლებმაც სადარაჯოდან ესე-ესე იყო მოიბრინეს, ხმა გაკმენდილი იღვნენ.

— იციო, რა უნდა გითხრაო, თქვენო კეთილშობილებავ, ბატონო პოპოვ? — დაიწყო კონჯარიამ, — ღამის მორიგეობიდან გაათავისუფლეთ ეს ორი, დაე, მაგათ დღით იმორიგეონ. ცოლ-შვილიანები არიან, ვინ არჩენს მაგათ ბაღებს. ღმერთმა დაიფაროს და რაიმე რომ აუტეხოს ვინმემ?

— შე აღარ გავალ სამორიგეოდ, — ჩაუერთო ერთმა მოღუშულმა ვახტორმა.

— ნუკი გამიწყრებით, თქვენო კეთილშობილებავ და, თქვენ თვითონ კარგად მოგეხსენებათ, რომ ამას წინათ სოხუმის ხაზინას დაეცნენ. — დაუმატა მეორემ.

— მე ვიმორიგეებ მაგათ მაგიერ, — შეჰპირდა უფროსს კონჯარია.

— ჰო, მართლა, ისინი ზომ გიცნობენ, ნუ გეშინია, შეებრალები და ხელს არ გახლებენ. მე კიდევ ამ სამსახურისათვის მადლობას გამოგიცხადებ, გამაზნევა ვასილი საბაქოს უფროსმა.

მეორე ღამეს გუდაუთას რეიდზე ნავი გამოჩნდა. ქიმიდან წითელი ფანრით ნიშანს იძლეოდნენ. კონჯარიამაც ორჯერ აღმართა პაერში წითელი ფანარი. იარაღი მალზე ბევრი იყო და ნავმა ერთჯერად ვერ შეძლო მიხი გადმოტანა. გემზე კიდევ სამასზე მეტი შაშხანა რჩებოდა. გადაწყვიტეს, ნავი მეორე რეიდზე გაეგზავნათ. მაგრამ აბა, ვის მოუვიდოდა აზრად, რომ მეორე დღეს ქარიშხალი ამოვარდებოდა და გუდაუთას ნაპირს ვერ მიადგებოდა პატარა იალქნიანი ნავი?! ამიტომ ნავმა გეზი ჩრდილოეთისკენ აიღო გაგრის მახლობლად სოფელ ახალაქსთან ჩაუშვა ღუზა. სწორედ აქ დახვდა მათ სერგო. ტყვია-წამალი, შაშხანები და ხიშტები სერგომ ბომბორში მიზიდა. ბომბორა გუდაუთას მახლობლად მდებარეობდა. სანდო კაცმა მიწაში ჩამარბა იარაღი.

დღეებმერი იღვა. აფხაზეთამდე მოაწვდინა ხმამ: მოსკოვში შეიარაღებული აჯანყება დაიწყო, პრენსიაში ბრძოლები მიმდინარეობსო.

სერგო თივით დატვირთული ორი ურით წავიდა ბომბორაში. იქით დაიძრა ის ხალხიც, რომელსაც იარაღი უნდა მიეღო. ზოგი ფეხით მიდიოდა, ზოგი ცხენით. ორჯონიძემ კონჯარიას მათი პლრიცხვა დაავალა. ნაწილი შაშხანებსა ურემზე დაყარა, ზედ თივა დააფარა და გუდაუთისაკენ გასწია. კონჯარია ზღვის ნაპირას დარჩა. მაცვლის ბუნქებს ამოფარებული იარაღს არიგებდა. აი, მან, ის იყო, უკანასკნელი კაცი ჩაწერა, რომ კახაყებს შეასწრო თვალი. კახაყები ყიყინით, ხმლების ტრიალით მოაგელვებდნენ ცხენებს. „ვისროლო?“ — ეს იყო პირველი აზრი, რამაც კონჯარიას გაუელვა თავში. „ისინი იმ ხრიდან მოაქეზებენ, საითყენაც სერგო წავიდა“.—მო-

ესმა ვასილს ბენო დარჩიას შეშფოთებულ-
ლი ხმა. კონჯარიას გული ჩასწყდა. მამ,
სერგო დაივირეს?! კაზაკების დახოცვა
უნდადი მას, მაგრამ კარგად იცოდა, რომ
ერთი კაზაკის მოკვლაც კი სერგოს ბედ-
ზე იმოქმედებდა, ჯავრით ლუქმა-ლუქ-
მად აქცევდნენ ისინი: „ისევ სჯობს
თავს ვუშველოთ“ — ჩაიხლიჩინა კონ-
ჯარიამ და თავქუდმოგლეჯილებმა მა-
ყვლის ბარდებში მოკურცხლეს. უქნი-
დან სროლა ატეხეს კაზაკებმა. „ტყუი-
ლია, ამით ჩვენ ვერსად წაუვალთ“, —
გაიფიქრა კონჯარიამ. მაგრამ უცებ სია
გაახსენდა, სია რომ ჩავარდნოდა კაზა-
კებს ხელში, რევოლუციისათვის თავდა-
დებული სამასი კაცი დაიღუპებოდა. ეს
აზრი თავზარსა სცემდა მას და თავგამე-
ტებით გარბოდა. როცა უკვე მოესმა წა-
მოწეული ცხენის ფთხვინვა, მეტი გზა
ალარ იყო, მთელი ძალით ეძებრა მაყვ-
ლის ბარდს, შიგ გაძვრა, ლუქმა-ლუქმად
აქცია სია, მერე ისევ გამოძვრა ბილიკზე
და ეკლებსაგან მთლად სახედაკაწრული
კაზაკებს დაუდგა წინ.

საბრძოლო ჯგუფის თორმეტი წევრი
დააპატიმრეს, მათ შორის სერგოც იყო.
ისინი სოხუმის ციხის ერთსართულიანი
კორპუსის საკანში ერთად ჩაყარეს. მე-
ზობელ საკანში გიფი იჯდა. ისე ბორ-
გავდა საცოდავი, ისე აწყდებოდა რკი-
ნის ჩარჩოებს და ისე ვაკიოდა, რომ
ერთი წუთითაც არ შეიძლებოდა ამ
აუარზაურში ჩაეთვლიმა კაცს. მეორე
დღეს ზედამხედველმა ერთი ევდრო
მდულარე წყალი მოიტანა და ფანჯრის
რაფაზე შემოადგა. კიქაც იქვე იდგა. ზე-
დამხედველი ერთ წუთს მიიმალა, შემ-
დეგ ისევ დაბრუნდა, ჯიბიდან ცხვირსა-
ხოცი ამოიღო და ოფლიანი შუბლის
წმენდა დაიწყო:

— დავილაღე, — დაიწყო მან და თან
გვერდზე გამოხედა მათ, — ბოძებისა-
თვის ორმოებს ვთხრიდი.

— მერე რისთვის გინდათ ეს ორმოე-
ბი? — ცნობისმოყვარეობამ სძლია კონ-
ჯარიას, რომელიც ვერ მიხვედრილი-
ყო, თუ სად ურტყამდა ზედამხედველი.

— ზვალ უნდა ჩამოგადროთ. —
უპასუხა მან და დეარძლიანად ჩაიხლი-
ჩითა.

ვასილ კონჯარია ფანჯარასთან იდგა.
თვალის დახამხამებზე ტუცა მან მდუ-
ლარეში კიქა, მერე რკინის ჩარჩოში
გაპყო მკლავი და ხელის ძლიერი მოქნე-
ვით შიგ სახეში სთხლინა ზედამხედ-
ველს. ზედამხედველმა დაიღრიალა, ხე-
ლები სისხლით შეღებულ სახეზე იტაცა
და გაიქცა.

— ჩქარა გაიხადე ხალათი და პიჯა-
კი — უბრძანა სერგომ, — ვინმემ შეუ-
ცვალეთ ტანსაცმელი ვასოს, ზედამხედ-
ველმა რომ ვეღარ იცნოს!

მაღე ციხის უფროსიც გამოჩნდა.

— ვინ ჩაიღინა ეს? — იკითხა მან.

— ჩვენ, ყველამ, — ხმამალა განაც-
ხადა ორჯონიკიძემ, — ახლაც დაიკვე-
ხებს, სახარზობელის ბოძებისთვის
ვთხრიდი ორმოებსო? ფიქრი ნუ გაქვთ.
ის დროც დადგება, რომ თქვენ ყანყა-
ლებდეთ იმ ბოძებზე.

ციხის უფროსმა ნიშანი მისცა. საკა-
ნის კარი, როგორც ძველებური სკივრის
სახურავი, ღრჭილით გაიღო და საკან-
ში რამდენიმე მათარხმომარჯვებული
პოლიციელი შემოვარდა.

— არ დაგნებდებით! — და სერგომ
პირველმა მიიტანა მათზე იერიში. და-
ნარჩენებმაც მიბაძეს. პოლიციელები სა-
კანიდან გაცვივდნენ.

პოლიტიკურ პატიმრებს მაშინ უდიე-
რად ექცეოდნენ. ნახევარ გირვანქა და-
ობებულ პურს და ადუღებულ წყალს ამ-
ლევდნენ, ხუთი წუთით ასეირნებდნენ
გარეთ. თუ ვინმე ფანჯარას მიუახლოვ-
დებოდა, დარაჯი არც გაათრთხილებდა,
ისე ესროდა.

სერგომ ციხის ადმინისტრაციას თა-
ვისი მოთხოვნილება წაუყენა: კვება გა-
გვიუმჯობესეთ, ნახევარი საათით გაგ-
ვასეირნეთ და გიფი საავადმყოფოში გა-
ისტუმრეთო. ორჯონიკიძემ და მისმა
ამხანაგებმა იცოდნენ, რომ მათ გვერ-
დით იტანჯებოდნენ უპასპორტო ადამი-
ანები. თავის მოთხოვნილებას მათი სამ-
შობლოში დაბრუნების საკითხიც მიუმა-



ტა. ციხის უფროსმა უარი განაცხადა ამ ულტიმატუმის შესრულებაზე. მაშინ ორჯონიკიძის წინადადებით საკანში მოთავსებულმა პატიმრებმა შიმშილობა გამოაცხადეს, ფანჯრიდან მღელვარე წყალი გადალვარეს, პური გადაყარეს. მტკიცედ იდგნენ ისინი თავისაზე; მეექვსე დღეს კი, მთელი ციხის პოლიტიკურმა პატიმრებმა პირი შეჰკრეს და ერთდროულად ჩაამსხვრიეს ყველა ფანჯრის მიწა. ამას რევოლუციური სიმღერები მოჰყვა. პოლიტიკურ პატიმრებს სისხლის სამართლის დამნაშავეებმაც დაუჭირეს მხარი. გაისმა დაფდაფების ხმა და ციხის ეზოში ერთი ასეული ჯარი შემოვიდა.

ჯარისკაცებმა შამხანები ფანჯრისკენ შემოატრიალეს.

— პატიმრებს კი ნუ ეომებით, შორეულ აღმოსავლეთში ივაკეაკეთ! უკეთესი იქნებოდა პორტ-არტური დაგბრუნებინათ! — გაჰყვიროდნენ პატიმრები.

ამ სიტყვებს სროლა არ მოჰყოლია. იმავე ღამეს ოქქის უფროსი თავადი ჯანდიერი მოვიდა.

— შეწყვიტეთ შფოთი, თქვენს მოთხოვნებს შევასრულებთ, — ეს სიტყვები ისე წარმოთქვა, რომ პოლიტიკური პატიმრებისათვის არც კი შეუხედავს.

ამრიგად, სერგოს ხელმძღვანელობით უიარაღო, მშვიდმა, საკანში გამოკეტილმა ბოლშევიკებმა გაიმარჯვეს, იმიტომ, რომ სულიერად ძლიერნი იყვნენ.

მეგობრებმა მოახერხეს ციხეში მარქსისტული ლიტერატურის შეგზავნა. სერგო ყველაფერს ხმაშაღლა კითხულობდა, დაუცხრომლად ლაპარაკობდა იმ დღეზე, რომელიც აუცილებლად დადგებოდა ხალხისათვის. ნერგავდა მათში მტკიცე იმედს მშრომელების საბოლოო გამარჯვებაში.

პირველი სახელმწიფო სათათბიროს გახსნასთან დაკავშირებით მეფის მანიფესტის თანახმად პოლიტიკური პატიმრები 1906 წლის აპრილის თვეში ციხიდან გაანთავისუფლეს და პოლიციას გადასცეს სათვალთვალოდ. მაგრამ მეფის მანიფესტიც ტყუილი გამოდგა. პანტა-

პუნტიტ ჰყრიდა ციხეში ეანდარმერია პოლიტიკურ პატიმრებს, კატორღაში აგზავნიდა, ათასი კილომეტრების მანძილზე განაპირა მხარეებში ეტაპით ერეკებოდა მათ.

კონჯარია ოდესაში გაიპარა. გემ „გიორგი ცესარევიჩზე“ დაიწყო მუშაობა. ეს გემი ოდესა-ბათუმის გზაზე დადიოდა. გემის ექიმი ყოველთვის გაკვირვებული იყო იმით, რომ ტროიკული მალაჩის შეტევა კონჯარიას მხოლოდ მაშინ ემართებოდა, როცა გემი გუდაუთასა და სუხუმთან უშვებდა ლუხას. თუმცა, რა იცოდა ექიმმა მისი ავადმყოფობის მიზეზი. ვასილი კი ცდილობდა თვალში არ ჩაეარდნოდა აქაურ პოლიციას. შემდეგ გემ „ვლადიმირზე“ გადავიდა. ეს გემი ოდესიდან ვლადივოსტოკში დადიოდა. იაპონიის ნავსადგურ ნავასაქში ვასილ კონჯარია შემთხვევით დაუკავშირდა რუსეთიდან ჩამოსულ რევოლუციონერ ემიგრანტებს, მათგან ლებულობდა არალეგალურ ლიტერატურას, რასაც შემდეგ ოდესაში მტვირთავებსა და ნავსადგურის მუშებს შორის ანაწილებდა.

გაუფრთხილებლობამ კონჯარია მაინც მიიყვანა სასამართლოს კარამდე. ოდესის ქუჩაზე ის შეხვდა თავის თანასოფელს, გააჩერა, მოიკითხა, შემდეგ თავის გემზე წაიყვანა. თანასოფელში უამბო, რომ სერგო და აჯანყების სხვა მონაწილეები აფხაზეთში დაიჭირესო. კონჯარიამაც თავის მხრივ გაანდო თავისი მდგომარეობა და გამომშვიდობებისას კოსტუმი აჩუქა, რომელიც საზღვარგარეთ ეყიდა. შინ დაბრუნებულმა თანასოფელმა სიმთვრალეში წამოროშა ყველაფერი, დაივიწყა მიცემული დაპირება. მართალია, ეს „საიდუმლო“ შინაურებს გაანდო, მაგრამ პოლიციელებსათვისაც ცნობილი გახდა. როცა გემი „ვლადიმირი“ მორიგი რედილიდან ბრუნდებოდა, ოდესის ნავსადგურში კონჯარიას უკვე ელოდა ციხის კარეტა.

1911 წელს თბილისის სასამართლო პალატამ მეზღვაურ ვასილ კონჯარიას და მეწაღე ბენო დარჩიას ციხიბრში სამუდამო გადასახლება მიუთხოვა. მხოლოდ

ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ გაანთავისუფლა ისინი.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ორჯონიძე და კონჯარია ბევრჯერ შეხვედრიან ერთმანეთს. სერგო კვლავ მის მგობრად რჩებოდა...

* * *

გულდაუთმაში რომ ჩავედი, ნავსადგურისაკენ გავემართე. ნავსადგურის უფროსად მუშაობდა კონჯარია. შესვენება იყო, როცა იქ მივედი. ცოტა ხანს მოიცადეთო, მითხრეს. იქვე შემთხვევით შემოსწრებული ჭალარაწვერებიანი კაფანდარა მოხუცი გამომელაპარაკა: «ვახსილ კონჯარიასთან მე მივიყვან, შვილო». მე გამიყვირდა, როცა ჩემმა გამყოლმა ნავსადგურის მახლობლად გამლილ პარკში შემიყვანა.

გვიანი, მაგრამ თბილი შემოდგომა იდგა. სკრიდა. ზღვა აჩოფურავებულიყო, ტყვიის ფერი გადაჰკრავდა. უზარმაზარი თუთის ხის ქვეშ, ფლატეზე მსუქან-მსუქანი ჩაფსკენილი მამაკაცი იდგა. თუთის ხეს თამამი ტოტები ცისთვის მიებჯინა, მის ფოთლებს ჯერ არ გადაჰკეროდა ბრინჯაოსფერი, ისევ ისე მწვანედ ხას-

ხასებდა, როგორც ზაფხულში ხის ქვერას მიწას ჯაჭვივით შემოსტდობოდა დაკორძილი ფესვები. ქვეყნად არ იყო ძალა, რომელსაც შეეძლო ამ ფესვების მიწიდან ამოგლეჯა. ფეხის ხმაზე ის კაცი შემობრუნდა და თითქოს დიდი ხნის ნაცნობები ვყოფილიყავით, გვითხრა:

— ნახევარი საუკუნის წინათ, დღევანდელ დღეს, სწორედ ამ ხის ძირას, სადაც მე და ბენო დარჩია (მან ჩემს გამყოლზე მანიშნა) ვდგავართ, სერგომ წარმოსთქვა თავისი ცნობილი სიტყვა. აი, იქ კი, სადაც ზღვისკენ ჩასასვლელი კიბე და პარკი იწყება, იარაღით დატვირთული ნავი იდგა. მახსოვს, სერგომ ზღვას გახედა და გვითხრა: მეცხრე ტალღა იცით რა არის? გაუგონარი ძალის ტალღაა. რომელიც შეუდარებელი სიმაღლის კედლად აღიმართება ხოლმე და წინ ვერაფერი გადაელობება. ეს ტალღა უკვე გვიახლოვდება, გესმით მისი შხუილი?..

ჭალარაწვერებიანი კაფანდარა მოხუცი უსიტყვოდ იქნევდა თავს, კვერს უკრავდა ვასილს, თვალებს ჭუტავდა, რადგან მთელი თავისი სიკაშკაშით წარმოსდგომოდა თვალწინ შორეული წარსული.



შემოდგომა

მოძალებული დაპქროლებს ქარი
და ყვეთელ ფოთლებს ხეებში ფანტავს;
ხეები — უხმოდ, უსიტყვოდ მდგარი.
ფრთებდაცენილი ხედებიან ზამთარს.
სოფლად ბუზრების კვამლი გახშირდა,
სოფელს სტუმარი ეწვია ბევრი.
დიდ მარანში კი წყნარად და
მშვიდად —

თავგადახდილი ამოდულს ქვევრი...
ხვავის, ბარაქის დიადი ძალა,
შრომის ხალისის სიტყბო ნაქები,
ახარებს სოფელს,
მოწყენით დგანან,
სოფლის მომლხენი ბალ-ვენახები.

წყარო ხმინობდა...
სიო გვემდა გრილი,
ბილიკს მიჰყვებოდა —
მოჩურჩულე წყვილი;
სადაც ლელვებია,
სად ბალია დიდი,
სად ერთმანეთს მისდევს,
ალუჩების რიგი,
სადაც ოცნებებმა
ღამე გაათია,
სადაც ბუნო ველთა
უსმენს ღამის ნიავს,
გარდასულთა დღეთა
გყვებოდი ამბავს...

შემდეგ ჩუმი სევდა,
შემდეგ ჩუმი განცდა...
სადაც ლელვებია,
სად წყაროა გრილი,
დღემდე მომყვა მათი
მოგონება თბილი,
შენ კი...
რაზე ფიქრობ,
რამ გაგიკრთო ძილი?

...სადაც ლელვებია,
სად წყაროა გრილი...

ფიქრები საუბრეზე გავლისას

აი, მე მივდეგ იმათ ნაკვალევს,
ვის გაუვლია აქ იმედებით.
ატმებს, ალუჩებს ქარი აქანებს,
სივრცეს სერავენ ლალი ქედნები.
აქ, ცეცხლის პირას, ღამეულ ღანდებს
ქალარა პაპა ფანტავდა ფიქრით.
ეს მხარე მრავალ ოცნებას მმატებს,
ყველგან ზღაპრული ბილიკი მიდის...
და როგორც ახლა, ეს მუხა ძველი...
აქ იღვა პაპა მტკიცე, მხარგრძელი...
შემოიარა მთის ბილიკები,
ბევრჯერ უცნობი გზითაც იარა,
ვერ კი იპოვნა საქვეყნო გზები.
არ იქნა, იმ გზებს ვერ ეზიარა...

აქ იყო ქოხი, იმ ქოხში ხშირად
მეც დამინთია მრავალჯერ ცეცხლი,
მოიცნებია იმ ცეცხლის პირას, —
და მიძინა წვიმიან დღეში...
აი, აქა ვარ, ვფიქრობ რამდენი
გამოიცვალა, ვიწრო გზებს გასცდა.
აი, აქა ვარ, საურმევე, ჩემის
ყრმობის, ბავშვობის საამო განცდა...
მაგონდებიან ყველანი ერთად,
მათზე ვფიქრობ და მე შენ გენდობი.
ეს მთაც რატომ ჩანს პატარა მეტად.
უფრო პატარა შენი ფერდობი...
იქნებ ის იყო ბავშვობის განცდა
და ყველაფერი ხსოვნაში გაცვლა:

იქნებ ის იყო ოცნება ძველი,
 მხოლოდ ბავშვობის ერთ სათქმელი...
 იქნებ ის იყო უზომოდ დიდი,
 ბავშვის ოცნებით და ბავშვის ფიქრით...
 ის ყველაფერი ჩემს ბავშვობაში
 იყო და...
 შემდეგ ბევრი გზა მოველე,
 ბევრი ოცნება დავტოვე გზაში,
 ბევრი ოცნება გზაში ვიპოვე...

ახლა თქვენთან ვარ მთელი ცხოვრებით.
 ვინაც მე გზებზე გნახეთ, შემომხედეთ,
 თქვენც, ბილიკებო შემაზნოვრებით,
 ჩემს ოცნებას რომ მარად შემოარჩიოთ...
 მარად მლიმარნო და საოცნებო,
 თქვენ ჩემში დარჩიოთ, მოგონებებო.
 ტკბილო დღეებო, მთის ბილიკებო,
 საურემებო, ორღობეებო...

ხარობს ზაფხული, ხარობს...

უხარმაზარი კაკლის ჩრდილები, ბუნსოზე დაფანტული,
 ნიავს სურს ბოსტნიდან მიწის სურნელება შეგვატყობინოს,
 სიმინდებში გარბის ცელქი ნაკადული,
 ჰყვავის შეფიჩხული ლობიო...
 თოხზე დაყრდნობილა მოხუცი პაპა.
 მიწა ვარჯარებს,
 თითქოს თონიდან ამოდიან ცეცხლის ენები.
 სიცხე ცისაკენ მიისწრაფვის ზიმზიმით, სწრაფად,
 ლაფში ჩაყრილან ხარ-კამეჩები...
 თხილიანში სახლი და მარანი გრილი,
 რიყეზე მდინარე დამშრალი,
 გადაყვითლებული ფოთლები ხშირი,
 გზა ამტვერებელი, მიწა დაშაშრული...
 კომბაინი, სამკელად გასული,
 გორის ძირს პატარა ქალა,
 ქალაში წიფლები, მხრით ცამდე ასული,
 მარადეამს მდგარნი მშვიდად და წყნარად...
 წიფლებთან ხაესმოკიდებული კლდის ძირი,
 კლდიდან ლურჯად გადმომსკდარი წყარო,
 ლოდები, ხვირთქლიანი და გრილი,
 ხარობს ზაფხული, ხარობს!..

ქოსა ხათაგაროვი



იძირებოდა ლურჯ ეთერში

იძირებოდა ლურჯ ეთერში ვარსკვლავთა ჯარი,
შორს მიცურავდა მთვარე, ოქროს სხივთა მფრქვეველი.
შენოდა ბუჩქებს მწვანე ფოთოლთ თრთოლვა ნარნარი
და გაისმოდა ცელქ ტალღათა ჩურჩული ნელი.

მტრედისფერ ბინდში თვლემდა სივრცის ლაქვარდი შორი,
მღუმარე სოფელს ანათებდა შექი მბეჭუტავი,
ველს გავლებოდა მარგალიტის კაშკაშა ზოლად
მღინარის ზვირთი და მოჩანდა შორს მცირე ნავი.

შეწყდა სიმღერა სევდიანი ტკბილ სალამურის,
სიო ბუჩქნარში მიიშალა და მოისვენა,
ისმოდა მხოლოდ მომხიბლავი და საამური
ბედნიერებით ალტაცებულ ბულბულის სტკვენა.

ჩვენს მღუმარებას არ არღვევდა ფოთოლთ შრიალი,
გიძღვენ ვარდები, ნაწი კდემით ყელმონადერი,
შეგხედე კრძალვით, სიყვარულით ანთებულ თვალთ —
ნუთუ არ გჯერა!.. მუნჯი ცქერით ვთქვი ყველაფერი!

თარგმანი ხაჩიბონ შაბლოშვილისა

აზო ჩორიანი



ბურხონის მთავ...

ბურხონის მთავ ნისლიანო,
გულზეიადო ჩემო,
მსურს ჩიტვიით ვისრიალო
შენი ნისლის ზემოთ.
გახსოვს? როგორ გეამბორე,
როს გტოვებდი ბავშვი.
ისევ მწყემსად, აქ შენს გვერდით
ნეტავ ვიყო მთაში.
აქ დავტოვე მწყემსის გულა,
მწყემსის ძველი ქურჭი,

ბილიკები — მოელვარე
ყვავილების შექით...
აბლა ისევ დაგიბრუნდი,
შენთან ბაას ვებედავ,
ჩემი მწყემსი მეგობრები
მიიღებენ ნეტავ?
რა ხანია არ შეეყრილვართ,
დადნებიან სალმად?
მათაც თმაში თოვლის ფიფქი
უელვარებთ ალბათ...



სად არ ვიყავ, რა არ ვნახე,
მთაო, ჩემო დედაც,
შენზე ფიქრი, შენზე დარდი
მუდამ თანა მდევდა.

რა ყოფილა სიყვარული
მშობლიური მიწის.

ო, ეს გრძნობა მგოსნის გულში
სტრიქონივით იწვის.

შენზე კარგი და ლამაზი
მთა ველარსად ვნახე,

თავს მაშინ ვგრძნობ ბედნიერად,
შენ რომ ნისლში გამხვევ.

თავს მაშინ ვგრძნობ უძლეველად,
როს შენს ქიმზე ვდგავარ,
თითქოს ძარღვში ჰქუხს ჩანჩქერი,
თითქოს მე თვით მთა ვარ.

ცისკენ ვიწვევ ასაფრენად,
გული გრძნობით ფეთქავს,
ვარსკვლავების დასაყრდელად
მოველ, მთაო, შენთან.

ასე მაღალს, ასე დიადს,
მსურს სიმღერა გითხრა.

აქ დავიდგამ ღრუბლის კარავს,
აქ დაერჩები დიდხანს.

შორს ღრუბლები მისცურავენ,
შორს მდინარე მოსჩანს, უარყვანული
და მინდორი გადაშლილ ბიჭლიქოთქას
ნაირფერად ხონჩად.

მაგონდება ბავშვობის დრო.

თითქოს ნათლად ვხედავ:
ბილიკს მოსდევს მწყემსი ბიჭი,
ართობს რხევა ხეთა.

მხარს კომბალი გაუდვია,

გაქცევია სიცხეს,
სალამურის ნარნარი ხმით
აუესია სივრცე...

ეს ხომ მე ვარ, შენი შვილი,
ხელში ყვავილებით.

უ, რა ჩქარა გაფრენილან
ის ბავშვობის წლები!

შენ კი ისევ ისე დგახარ,
როგორც იდექ მაშინ,
ბურბუბის მთავ, ნისლიანო,
ატყორცნილო ცაში.

რა პირწმინდად შეგინახავს
ხსოვნა ნათელ დღეთა...

გულს სიმღერა მომიშვიდა,
მისთვის მოველ შენთან.

თარგმანი **ოთარ კუარაციაძე**

ილია პლივი



ხანჯალი

ეს ხანჯალი — გმირს მახსენებს
უკვდავს,
ქვაზე ვლესე, შუქი გამობრწყინდა;
კედელზე კი არ დავეიდებ უქმად —
ჩემი ქვეყნის დასაცავად მინდა.

ეს ხანჯალი გმირს ექირა ხელში,
ელვარებდა შემზარავი მტრების,
მზეს ნატრობდნენ იმ უკუნეთ ბნელში
დიდებული ჩემი წინაპრები.

და თუ ერთი, მტრისგან განა გმირი
ხელს უშვებდა ხანჯალს მოკამყაშის.
მას მეორე შემართავდა გმირი
თავგანწირვა გრძელდებოდა ასე.

ეს ხანჯალი გმირს მახსენებს უკვდავს,
ქვაზე ვლესე შუქი გამობრწყინდა,
კედელზე კი არ დავეიდებ უქმად
ჩემი ქვეყნის დასაცავად მინდა.

მთიგაჰის სიმღერა

სად ხარ, ცელო, ამ მინდვრებზე
აწკრიალდი, როგორც წყარო,
რომ ბალახში დილის ცვარმა
ცისარტყელის ფერი ჰყაროს.

რა სჯობია, ამ ბალახის
როცა მღერის ყველა ღერი,
რა სჯობია, როცა სათიბს
მიცელავ და მიიმღერი.



რა სჯობია, ამ ველებზე
როცა ზვინის ღგება მთები,
იყავ, ცელო, სხვა ცელებზე,
უფრო კარგი და საქები.

მე მთიბავი მისთვის მქვია,
შეეასრულო ჩემი ვალი, **მარკინული**
ამ ცელის ქვეშ მღერის **მარკინული**
და ბრწყინდება ზედ ცისკარი.

თარგმანი **მარი აბრაამიშვილისა**

ქოსა მარკინი



სიმღი

ბერლინის როცა შევღეწეთ ბუნეი
და შეწყდა გრგვინვა ქვემეზთა
ცეცხლის, —
მახსოვს, მოსკოვით მომესმა მწველი
ოსური „სიმღი“ — უსაყვარლესი.

და მომაგონდა სამშობლო ჩემი,
მისი მთა-ბარი, ჩანჩქერი წყალის,

პურის თავთავი ცვარდანაცემი
და საფირონის ცა გამქვირვალი.

ახლა შენთან ვარ, ჩემო ძვირფასო,
მათბობს მშობლიურ მიწის ალერსი.
შენი თვალეზი სიამით მავსებს
და ისევ სიმღის გუგუნი მესმის.

მისი სახელი

აავსეთ თასი, მეგობრებო.
წითელი ღვინით.
ვადილოთ გმირი, ჩვენი მოძმე
შესანიშნავი!
ვინც — აღზნებულმა ბრძოლის
ცეცხლით.

ვაუკაცურ ენით, —
ემსხვერპლა მამულს, დიად მიზანს

შესწირა თავი.
მშობელი კერის დასახსნელად
ვინც სისხლი ღვარა —

დაე, ჩვენს გულში მისი ხსოვნა
ცოცხლობდეს მარად!

თარგმანი **ხარიტონ ვარდოშვილისა**



ტანჯვის გზაზე*

ივან ილიჩი ვარაუდობდა საშობაოდ მოსკოვში ჩავალო, მაგრამ ნაცვლად ამა-სა, ქარხანამ შვეიციაში მიაგვლინა, იქიდან კი მხოლოდ თებერვალში დაბრუნდა, მაშინვე მიიღო შევებულება და დამას უღებემა, ოცდაექვსში გამოვდივარო.

გამომგზავრების წინ მთელ კვირას სახელოსნოებში მორიგეობდა. ივან ილიჩი განაცვიფრა მისი იქ არყოფნის დროს მომხდარმა ცვლილებამ. ქარხნის თავკაცები ისე თავაზიანი და მზრუნველი გამხდარიყვნენ, როგორც არასდროს, მუშები კი იმ ზომამდე იყვნენ გაბოროტებული, რომ, გეგონებოდათ, სადაც არის, თავს მიანებებენ ყველაფერს და აგანგავშდებიან: „ხელი აიღეთ მუშაობაზე, ქუჩაში გამოდითო...“

ამ დღეებში მათ განსაკუთრებით აღაგზნებდა სახელმწიფო სათათბიროს ანგარიშები, სადაც კამათი მიმდინარეობდა სასურსათო საკითხზე. ამ ანგარიშებიდან ნათლად ჩანდა, რომ კმთავრობა ძლივს იბრუნებდა სულს და ღირსებას. უკანასკნელ ძალებს ძაბავდა, თავდასხმის მოსაგერიებლად. მეფის მინისტრები ახლა უკვე აღარ ლაპარაკობდნენ ჯადოსნური გმირებივით, ადამიანურ ენაზე დაიწყეს ლაპარაკი, მაგრამ მათი სიტყვებიცა და სახელმწიფო სათათბიროს სიტყვებიც—ტყუილი იყო. ნამდვილი სიმართლე ყველას ეკერა პირზე: ბოროტი და ბნელი ხმები დადიოდა ყველაფერზე, უახლოეს დროში შიმშილისა და ნგრევისაგან ფრონტსა და ზურგს დაღუპვა მოელოსო.

უკანასკნელი მორიგეობის დროს ივან ილიჩმა განსაკუთრებული განგაში შენიშნა მუშებს. ისინი წამდაუწყუმ ანებებ-

დნენ თავს დაზგებს და თათბირობდნენ—ეტყობოდა, რაღაც ცნობებს ელოდნენ. როცა მან ვასილ რუბლიოვს ჰკითხა, რაზე თათბირობენო, ვასილ გული მოუვიდა, ფიცხლად წამოისხა მზრებზე დაბამბული პიჯაკი, კარი გაიჯახუნა და სახელოსნოდან გავიდა.

— საშინლად გაბოროტდა ეგ არამხადა ვასილი, — თქვა ივან რუბლიოვმა, — სადღაც რევოლუციური გამოუჩხრეკია და ახლა თან დაატარებს.

მაგრამ ვასილი კვლავ ჭქარა გამოჩნდა. სახელოსნოს ბოლოში მუშები შემოეხვივნენ, ყველა აქ მოსულიყო. „პეტერბურგის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის გენერალ-ლეიტენანტ ხაბალოვის განცხადება...“ — ხმამალა, გამოთქმით დაიწყო თეთრი აფიშის კითხვა ვასილამ. — „უკანასკნელ დღეებში პურის საცხოვრებელს იმდენივე ფქვილი ეძლევა და იმდენივე პური ცხეება. რამდენიც წინათ...“

— მიქქარავს, მიქქარავს! — მაშინვე გაისმა ხმები. — უკვე მესამე დღეა პურს არ იძლევიან...

— „გასაყიდი პურის ნაკლებობა არ შეიძლება იყოს...“

— გასცა, რაღა, განკარგულდება!

— „თუ ვინცობაა, რომელიმე დუქანში პური არ იყო საყმარისი, ეს იმიტომ, რომ უპურობის შიშით ზოგიერთები დიდი რაოდენობით ყიდულობდნენ სათადარიგოდ, ორცხობილისათვის...“

— ვინ ახმობს ორცხობილას? მიხვენეთ ეს ორცხობილები, — დაიღრიალა ვილაცამ. — თვითონ იმას უნდა ჩასჩხაროთ ყანყრატოში ორცხობილა, ვინც მამას ამბობს!

— გაჩუმდით, ამხანაგებო, — შეუტია ვასილამ. — ამხანაგებო, ქუჩაში უნდა გა-

* ნაწილები რომანიდან.

ვიდეთ... ობუბოვის ქარხნიდან ოთხი ათასი მუშა მიდის ნევესკიზე... ვიბორგს-კიდანაც მიდიან...

— სწორია! პური დაგვანახონ!

პურს ჩვენ არავინ მოგვცემს, ამხანაგებო. ქალაქში მხოლოდ სამი დღის საკმარი პურია, ამის მეტი არც პური და არც ფქვილი არ იქნება. მთელი მატარებლები ურალს გადაღმა დგანან... ურალს გადაღმა ელევატორები პურით არის გატენილი... ჩელიაბინსკში სამი მილიონი ფუთი ხორცი ღებდა სადგურზე... ციმბირში ბორბლებს კარაქით ცხიმპვენ...

მთელი სახელოსნო აფუტუნდა. ვასილმა მალლა ასწია ხელი:

— ამხანაგებო... პურს მანამ არვინ მოგვცემს, სანამ ჩვენ თვითონ არ მოვიპოვებთ მას... სხვა ქარხნებთან ერთად გავდივართ, ამხანაგებო, ქუჩაში. ლოზუნგებით: „მთელი ხელისუფლება საბჭოებს...“

— ხელი აიღე!.. ხელი აიღე სამუშაოზე!.. ქურები გააქრე!.. — ალაპარაკდნენ მუშები და სახელოსნოში აწრიალდნენ. ივან ილიჩს ვასილ რუბლევი მიუახლოვდა, უღვაშები უცანცარებდა.

— წადი, — მკაფიოდ ამოილაპარაკა მან, — წადი, მიზნისაკენ გაემართე!

ივან ილიჩს ცუდად ეძინა იმ ღამეს. ვერ მოისვენა, გამოეღვიძა კიდეც. ნისლიანი დილა გათენდა. გარედან, რკინის ლავგარდანზე წვეთები ცვივოდა. ივან ილიჩი იწვა, გონებას იკრებდა. ვერა და ვერ დაიმოშმინა გული. გამალიზიანებლად, თითქოს შიგ ტენში ურტყამდნენ წვეთები. „არა, ოცდაექვსს ვერ დაველოდები, ხვალე უნდა წავიდე“, — გაიფოქრა მან, პერანგი გაიხადა, ტანშიშველი აბანანისაკენ გაემართა, შხაბი მოუშვა და უინულოვან ნაკადის ქვეშ გაიერდა.

გამომგზავრებამდე ბევრი საქმე ჰქონდა გასაქეთებელი. ივან ილიჩმა ჰაიპარად გადაჰკრა ყავა, ქუჩაში გამოვიდა და ხალხით გაქედნილ ტრამვაის შეახტა; აქაც იგივე ძრწოლა იგრძნო. როგორც ყოველთვის, ზმაგაქმენდილი მგზავრები

მოღუშული იდგნენ, თებს არ იცვლიდნენ... ფანჯრებზე წვეთავდა წვეთავდა შინებლად ელრიალებდა ზარბაზნის მუქი ქანზე. ივან ილიჩის წინ სახეშეშუბებული გაყვითლებული მოხელე იჯდა. ვაპარსულ სახეზე ცალყბა ღიმილი შეჰყინოდა მოხელეს, ამკარად, უჩვეულო სიხალისით, ცნობისმოყვარეობით გამოიყურებოდნენ მისი თვალები. კარგად რომ დაუყვირდა ხალხს, ივან ილიჩმა შენიშნა, რომ ყველა მგზავრი ასევე შეფიქრიანებული მისჩერებოდა ერთმანეთს.

დიდი პროსპექტის კუთხეში ვაგონი გაჩერდა. მგზავრები შეიშმუშუნენ, აქეთ-იქით დაიწყეს ცქერა, რამდენიმე კაცი ბაქნიდან ჩამოხტა. ვატმანმა გასაღები ამოიღო, ლურჯი ტყაბუტის ჯიბეში ჩაიღო, წინა კარი გამოაღო და გაბოროტებული შეშფოთებით თქვა:

— ვაგონი ამას იქით აღარ წავა.

კამენოვსტროვსკისა და მთელს დად პროსპექტზე, სადაც კი თვალი მიუწვდებოდა კაცს, ტრამვაის ვაგონები იდგა. ტროტუარი ჩაშავებული იყო. — ხალხი ფუსფუსებდა. ხანდახან მალაზიის ფანჯარაზე გრუხუნით ეშვებოდა დარბაზი. თოვლყვანი მოდიოდა.

ერთ-ერთი ვაგონის სახურავზე გრძელ-ლილეშეხსნილ პალტოიანი მამაკაცი გამოჩნდა. ქუდი მოეშვლია, ეტყობოდა, რალაცას ყვიროდა. ბრბომ ამოიგმინა... იმ ადამიანმა ტრამვაის სახურავზე დაიწყო თოკის გამობმა, მერე ისევ გასწორდა წელში, ისევ მოიხადა ქუდი. ო-ო-ო! — გაისმა ხალხში. ის ადამიანი ქვაფენილზე გადმოხტა. ბრბო მიაწყდა ვაგონს. ახლა უკვე კარგად მოჩანდა, როგორ მიდიოდა შემქიდროვებულ ადამიანთა ჯგუფი გაყვითლებულ, გაშუშვინებულ თოვლზე და თან ტრამვაიზე გამობმულ თოკს ეწეოდა. ვაგონმა დაიფერდა. ბრბომ გაიწია, ბიჭებმა სტვენა დაიწყეს, მაგრამ ვაგონი შეტორტმანდა და გაიერდა. კარგად ისმოდა, როგორ არაკუნდნენ ბორბლები. მაშინ ამ ჯგუფს, რომელიც ვაგონს ექანებოდა, კიდეც მოემატა ხალხი. შეშფოთებულ-

ბი მდუმარედ ექიდებოდნენ თოკს. ვაგონმა ისევ დაიფერდა და უეცრად ზღართან იმოადინა: მიწები აზრიალდა. ისევ მდუმარედ გაემართა ბრბო გადაბრუნებულ ვაგონისაკენ.

— აი, ამენდა ქვეყანა! — ივან ილიჩს უკან ჩაილაპარაკა იმავე სახეშეშუპებულმა მოხელემ და მაშინვე, რამდენიმე შეუწყობელმა ხმამ დაიწყო:

Вы жертвою пали в борьбе роковой...

ნევსკისაკენ მიმავალ გზაზე ივან ილიჩი ხედავდა იმავე გაოგნებულ თვალებს, შემფოთებულ სახეებს. ყველგან, როგორც პატარა მორცხვებთან, ახალი ამბის მაცნეთ ირგვლივ იკრიბებოდნენ ცნობისმოყვარე აღამიანები. მთავარ შესასვლელებთან იდგნენ ნასუქი ჯარისკაცები, კარში ცხვირს გამოყოფდა მოახლე და ქუჩას აფვავიერებდა. რომელიღაც პორტფელიან და ფაფუქწვერებიან ბატონს ქრცვიანის ქურჭი ჩაეხსნა და მეფოვეს ეკითხებოდა:

— ერთი მითხარით, ჩემო ძვირფასო, იქ რა ხალხი შეგროვილა, რა ამბავია?

— პურს თხოვლობენ, შფოთავენ, ბატონო.

— ჰოო?

გზაჯვარედინზე გაფითრებული მანდილოსანი იდგა, ხელში სკლეროზიანი კუდამოქუთებული აკანკალებული ძაღლი ეჭირა და გამვლელ-გამომვლელს ეკითხებოდა:

— იქ რა ხალხია?.. რა უნდათ?

— რევოლუციის სუნი ტრიალებს, ქალბატონო, — გვერდით გაუარა მას და უკვე მხიარულად ამოილაპარაკა ქრცვიანის ქურჭიანმა ბატონმა.

ტროტუარს გასწვრივ, მოკლე ქურთუკის კალთების ფართხუნით მოდიოდა მუშა, რომელსაც ავადმყოფური სახე უკანკალებდა.

— ამხანაგებო! — უცებ მოტრიალდა და ჩახლეჩილი, მტრალა ხმით დაიძაბა მან, — კიდევ დიდხანს უნდა წოვონ ჩვენი სისხლი?..

აი, ლოყებდაედაეა ყმაწვილმა ოფიცერმა ეტლი გააჩერა. მეეტლეს ქამარში ჩავლო ხელი და აღელვებულ ხალხს

სწორედ ისე დაუწყო ცქერა, თითქოს მზის დაბნელებას უყურებდა.

— უყურე, უყურე! — ჩაისლუქუთა მის გვერდით მიმავალმა მუშამ.

ბრბო იზრდებოდა, უკვე მთელი ქუჩა დაეკავებინა, შემფოთებული გუგუნებდა და ხიდისკენ მიიწევდა. სამ ადგილზე გამოეფინათ თეთრი დროშები. როგორც ნაფოტს, ისე აკავებდა ეს ტალღა ქუჩაზე მიმავალთ, ივან ილიჩი ბრბოს გამოჰყვა ხიდზე. ბურუსიანსა და თოვლიან მარსოვო პოლზე, რომელიც ადამიანთა ნაკვალევს აეჩიფურავებინა, რამდენიმე ცხენოსანმა გაიჭროლა. მხედრებმა რომ ბრბო დაიანახეს, შემოტრიალდნენ და მიუახლოვდნენ. ერთი იმათაგანი, წვერებგაყოფილი, სახედაფით-ლებული პოლკოვნიკი სიცილით, მხედრულად მიესალმა ხალხს. ლეტნი ბაღის სიბნელეში ფოთლებშემოძარცვულ ხეთა ტოტებიდან წამოიშალნენ დამფრთხალი ყვავები, ოდესღაც მათ იმპერატორ პავლეს მკვლელები შეეშინებინათ.

ივან ილიჩი წინ მიდიოდა, ბოლშევიკებს ალჩობდა, ახველებდა, კიდევ და კიდევ ეუფლებოდა მღელვარება. როცა საინჟინრო ციხე-სიმაგრესთან მივიდა, მარცხნივ გადაუხვია და ლიტინს გაჰყვა.

ლიტინზე ვიბორგის მხრიდან მათ შეორე ბრბო ერთვოდა, რომელიც ხიდზე გრძლად გაჭიმულიყო. მთელ გზაზე ჭიშკრები სახეე იყო ცნობისმოყვარეებით, ყველა ფანჯარაში მოჩანდა აღგზნებული სახეები.

ივან ილიჩი ჭიშკართან გაჩერდა მოხუცებულ მოხელის გვერდით. ძაღლივით ჩამოყვლებილი ლოყები უცახცახებდა მოხელეს. მოშორებით, მარჯვენა მხარეს, ქუჩის გარდღივარდმო გამწკრავებულიყო თოფებზე უძრავად დაყრდნობილ ჯარისკაცთა ჯაჭვი.

ბრბო ახლოვდებოდა, ნაბიჯს უნებლებდა. უეცრად მათ სიღრმეში შეშინებული ხმები გაისმა: — შეჩერდით, შეჩერდით!..

და მაშინვე აწივლდა ათასობით დედაკაცი: — პური, პური, პური!

— არ უნდა დაეფუშვათ, — ჩაილაპარაკა ჩინოვნიკმა და სათვალეებს ზემო-

დან გადმოხედა ივან ილიჩს. ამ დროს კიშკარში გამოვიდა ორი ახმახი მეგუნიკე და თავზე წამოადგა ცნობისმოყვარეებს. მოხელეს ლოყები აუთახთახდა, რომელიღაც პენსიებიანმა ქალიშვილმა წამოიძახა: „რას მიბედავ, სულელო!“ მაგრამ კიშკარი დაკეტეს. მთელს ქუჩაზე დაიწყეს კიშკარებისა და მთავარი შესასვლელების კეტვა.

— ნუ იზამთ, ნუ!.. — ისმოდა შემკრთალი ხმები.

მოგუგუნე ტალა ახლოვდებოდა. წინ გამოიჭრა ლოყებიწითლებული, სახეშეშფოთებული ქაბუცი, რომელსაც განიერფარფლებიანი ქუდი ეხურა.

— წინ დროშა, დროშა წინ! — გავრცელდა ხმა.

ამავე დროს ჯარისკაცების მწყობრის წინ გამოჩნდა აყლაყულა, წელში გალუული ოფიცერი, თავზე ჩატეხილი ბოხოხი ეხურა. ოფიცერი ხელით იმაგრებდა თეძოზე რევოლვერის ბუდეს და ყვიროდა. მისი სიტყვებიდან შეიძლებოდა გაგერჩიათ: „სროლის ბრძანება გვაქვს... არ მინდა სისხლისღვრა, დაიშალენით!“.

— პური, პური, პური! — გამხეცებით დაიღმუვლა ბრბომ და ჯარისკაცებისაკენ გაემართა. ივან ილიჩს გვერდით მხრებით მოარღვევდნენ ხალხს თვალბმეშუპებული ადამიანები...

— პური!.. ძირს!.. არაშხადები!..

ერთი დაეცა, დაპარანქულ სახეს მადლა იწყევდა და უგონოდ წამოიძახებდა ხოლმე:

— მძულს... მძულს!

უცებ, თითქოს შიტყალი გადაიფხროწაო მთელს ქუჩაზე, ყველაფერი დადუმდა. რომელიღაც გიმნაზიელმა მკლავი მოიფარა სახეზე და ბრბოში ჩაყვინთა... მოხელემ დაკორძილი ხელი აღმართა, პირჯვარი უნდა გამოესახა. ჯერ ჰაერში ისროლეს... მეორედ აღარ უსვრიათ, მაგრამ ბრბომ უკან დაიხია; ნაწილი გაიფანტა, ნაწილი დროშას გაჰყვა ზნაშენსკის მოედნისაკენ. ქუჩაში ყვითელ თოვლზე ქუდები და კალოშები დარჩა. ნეკსკრზე რომ გამოვიდა, ივან ილიჩს ისევ მოესმა ხალხის გუგუნე, ეს მესამე

ტალა მოდიოდა, რომელიც ვასილევსკი ოსტროვოდან წამოსულყო. და ხევაზე უკვე გადმოველო. ტროტუარი საკსე იყო ძვირფასად ჩაცმული ქალებით, სამხედროებით, სტუდენტებით, უცხოური შესახედაობის უცნობებით. ხესავათ იდგა ბავშვივით ვარდისფერსახიანი ინგლისელი ოფიცერი. მალაზიების კარების მიწებს ეყვროდნენ სახეშეპუდრული, შავბანტიანი ნოქარი ქალები; შუაქუჩაში, ბურუსიან სივრცეში ზმუილთ მიდიოდა მუშაქალებისა და მამაკაცების გაბორბტებული ბრბო: — პური, პური, პური!

ტროტუართან მიყენებული მარხილის კოფოზე წამოწოლილი მეეტლე მხიარულად ეუბნებოდა სახეაწითლებულ შეშინებულ ქალბატონს:

— აბა, თქვენ თვითონ განსაჯეთ, სად უნდა წავიდე, როცა აქ ბუხსაც არ ატარებენ?

— გარეკე, შე ბრიყვო, როგორ მიბედავ ლაპარაკს!..

— არა, ახლა მე უკვე ბრიყვი არა ვარ... გადმობრძანდი მარხილიდან...

ტროტუარზე გამგელთა ჩოჩქოლი იდგა, ყველგან ცხვირსა ჩრიდნენ, ყველაფერს უსმენდნენ, შეშფოთებით კითხულობდნენ:

— ლიტეინზე ასი კაცი მოუკლავთ?..

— ტყუილია... ფეხშიშვე ქალი მოკლეს და ერთი ბერიკაცი...

— ლმერთო ჩემო, მოხუცს რაღას ერჩოდნენ?

— ყველაფერს პროტოპოპოვი ხელმძღვანელობს. იმას კი, უკაცრაული პასუხია და, უქრის...

— ბატონებო, ახალი ამბავი... დაუჯერებელია! საყოველთაო გაფიცვა!

— როგორ—წყალიცა და ელექტრონიც?..

— აი, იქნება ლმერთმა გვიწყალობოს, ამ ბოლო დროს...

— ყოჩაღ, მუშებო!

— ნუ გიზარიათ — გაგუქავენ...

— უფრთხილდით, თქვენი სიფათის პატრონი ჩვენზე ადრე არ გაგუქონ... ივან ილიჩი ჯავრობდა: ბევრი დრო

დაეკარგა, საჭირო მისამართებზე არავინ დაუხვდა შინ, გულმოსული ახლა ისევ ნების პროსპექტზე მიაბოტებდა.

ქუჩაზე ისევ მარხილები მისრიალებდნენ. მეგზოვები თოვლის სახვეტად გამოსულიყვნენ. გზაჯვარედინზე შავ-მანარინი დიდი ადამიანი გამოჩნდა. ალგზნებულ თავებსა და ადამიანთა აწეწილ ფიქრებზე, წესრიგის დაცვის მაგიური კერძები — თეთრი კეტი აღმართა. ქუჩაზე გადაშავალმა გაბოროტებულმა მგზავრმა პოლიციელს მოხედა და გაიფიქრა: „ცოტაც მოიცადე, საყვარელო, თქვენი ყველიც მოვაო“. მაგრამ ვერც ვერაფერს წარმოიდგენდა, რომ ყველი უკვე გასული იყო და ეს სვეტივით აღმართული უღეაშა, ხელში კეტი რომ ეჭირა, უკვე მოჩვენებაზე უარესი იყო და, რომ ის ზვალისათვის გაქრებოდა გზაჯვარედინიდან, ცხოვრებიდან, მესხიერებიდან...

— ტელეგინ, ტელეგინ! შეჩერდი, შე ყრუჩუტავ, შენა!..

ივან ილიჩთან ინტინერმა სტრუკოვმა მიიბინა. კარტუხი კეფაზე მოეგდო ინტინერს, სიხარულისაგან თვალები უბრწყინავდა.

— საღლა მიდიხარ? მოდი, ყავახანაში შევიდეთ...

ტელეგინს მკლავზე ხელი გამოსდო და ყავახანაში შეიყვანა. თვალებსა წვადა სიგარის კვამლი. ქურთუკებგადაღეღილ ადამიანებს ბეწვიანი ქუდები ჩამოეფხატათ, დავობდნენ, ყვიროდნენ, ადგილებიდან ხტებოდნენ. სტრუკოვმა ამ პედვაში ფანჯრისკენ გაიკვლია გზა და ივან ილიჩის წინ მაგიდას მიუჯდა.

— მანეთის ფასი ეცემა! — წამოიძახა მან და ორივე ხელი მაგიდას ჩააკვლო. — ქალაღისას ხომ ჯანაბას იქით უქნია პირი! აი, სად არის ძალა!.. ერთი მიაბე, რა ნახე...

— ლიტეინზე ვეყავი, ისროდნენ, მაგრამ, მგონი, ჰაერში...

— მაინც რას იტყვი?

— არ ვიცი. მე მგონი, მთავრობამ ახლა სერიოზულად უნდა მოჰკიდოს ხე-

ლი სურსათ-სანოვების შემოტანის საქმეს.

ნიკოლოსოვი

— დააგვიანდათ! — შეჰყვირა სტრუკოვმა და მაგიდას მინას დაჰკრა ხელი. — დააგვიანდათ!.. — ჩვენი საკუთარი ხორცი ჩვენვე დავიჰამეთ... ომს ბოლო მოეღო, მორჩა!.. იცი, ქარხნებში რაებია ყვირიანი? მუშათა დემუტატების საბჭოები მოიწვიეთო — აი, რას ყვირიან. საბჭოებს გარდა არაფრის გაფონება აღარ უნდათ.

— რას ამბობ!

— აი, ახლა კი დაგვიდგა აღსასრული, ჩემო საყვარელო! თვითმპყრობელობა გასკდა... თვალები მოიფშენიცი... ეს ბუნტი არ არის, არც რევოლუციაა. ქაოსის დასაწყისია, ქაოსისა... — სტრუკოვს შუბლზე ოფლის წვეთებქვეშ ძარღვი ამოებურცა. — სამი დღის შემდეგ — აღარც საბელმწიფო რჩნება, არც არმია, არც გუბერნატორები, არც პოლიციელები... წარმოიდგინე, ას ოთხმოცი მილიონი ბანჯგვლიანი ადამიანი! რა არის ბანჯგვლიანი ადამიანი? ვეფხვები და მარტორქები საბავშვო სათამაშოებია! ის, კი, დაშლილი სხეულის უჯრედია ბანჯგვლიანი ადამიანი. ძღვერ საშიში. აი, სწორედ ის არის — ერთ წვეთ წყალში ინფუზორიები ერთმანეთს რომ ხრავენ.

— ეშმაკმა კი წაგიღოს, — უთხრა ტელეგინმა, — ამის მსგავსი არაფერია და არც იქნება. მაშ, რევოლუციაც მოვიდა. მაღლობა ღმერთს, რომ ასე მოხდა.

— არა! ეს, რაც შენ დღეს გინახავს, რევოლუცია არ არის. ეს მატერიის დაშლაა. რევოლუცია დადგება, მართლა დადგება... მაგრამ მე და შენ, ალბათ, ვერ მოვესწრებით.

— შეიძლება, — თქვა ივან ილიჩმა და ზეზე წამოდგა, — ვასკა რუბლიოვი არის ნამდვილი რევოლუცია... შენ კი — სტრუკოვო, რევოლუცია არა ხარ. ძალიან ფახიფუხობ, აქაოდა ჰკვიანნი ვარო...

ივან ილიჩი შინ ადრე დაბრუნდა და მაშინვე დაწვა დასაძინებლად. ერთი წუთით ბურანში წავიდა, — მერე ამოი-
ოხრა, ზანტად იცვალა გვერდი და თვა-
ლები გაახილა. სკამზე გადასხნილი ჩე-
მოდნის ტყავის სუნი იდგა. ჩემოდანი
სტოკჰოლმში იყო, ვერცხლით შემკუ-
ლი შესანიშნავი ტყავის ნესესერი იდგა
შიგ — ეს დამას საჩუქარი იყო. ივან
ილიჩს უყვარდა ეს ნივთი. ყოველდღე
გახსნიდა აბრეშუმისებრ ქალაღსა,
ამოიღებდა და სინჯავდა ნესესერს. აშ-
კარად წარმოიდგენდა ვაგონის კუბეს,
გრძელ ფანჯარას, არარუსულ მატარებ-
ლებს რომ აქეთ, სკამლოგინზე სამგზავ-
რო კაბით ჩამომდვარ დამას, მის მუხ-
ლებზე ტყავისა და სუნამოს სურნელებით
გაჟღერითილ უზრუნველი და სა-
უცხოო მოგზაურობის ნიშანს.

ივან ილიჩი ხედავდა, როგორ იფან-
ტებოდა ბნელ ცაში ლილისფერ-მოკუჭ-
ყისფრო ქალაქის გამოსახულება. ნათ-
ლად გრძნობდა, რა სევდიანი სიძულეა-
ლით უცქეროდა ამ შუქს ის, ვინც დღეს
პურზე ლაღადებდა. საძულელი, დამძი-
მებული, უმადური ქალაქია... ქვეყნის
ტენი და ნებისყოფა... და აი ახლა, ეს
სასიკვდილო სენით შეპყრობილი ქალა-
ქი დაძღვრებულა, სულს ლაფავს...

თორმეტი საათი იქნებოდა, ივან ილი-
ჩი რომ სახლიდან გავიდა. ბურუსიანი
ფართო პროსპექტი დაცარიელებული
იყო. ყვავილების მალაზიის ოდნავ შეო-
ფლილ ფანჯარაზე ბროლის ლარნაკში
იდგა წყლის წვეთებით შემარცვლელი
წითელი ვარდების დიდი თაიგული. ივან
ილიჩმა სიყვარულით შეაგლო თვალი ამ
თოვლაში გამომზირალ თაიგულს.

გვერდითი ქუჩიდან გამოვიდა კახაკთა
ცხენოსანი პატრული — ხუთი კაცი. ერთ-
მა, განაპირებულმა, ცხენი ასკუპა და
ტროტუართან მიაგდო, სადაც კეპებიანი
სამი კაცი ჩუმი, გაცხარებული ლაპარა-
კით მიდიოდა. კაცები გაჩერდნენ. ერთმა
იმთათაგანმა მხიარულად უთხრა რაღაცა
კახაკს და მის ცხენს აღვირში წაავლო
ბელი. ეს იმდენად უჩვეულო იყო, რომ

ივან ილიჩს გული შეუქანდა, კახაკს მერ-
ეცინა, თავი უკან გადასწია, ნებჩქვი მოღუ-
შვა აცმუკებული, ყელმოღერებული
ცხენი, ამხანაგებს დაეწია და ჭენებით
გაპქუსლა პროსპექტის ბნელ შორეთში.

სანაპიროსთან ივან ილიჩს თანდათა-
ნობით ხედებოდნენ აღელვებულ ადა-
მიანთა ჯგუფები, — ეტყობოდა გუ-
შინდელს აქეთ ვერ იყო და ვერ დაშვო-
ლებულიყვნენ: თათბირობდნენ, ერთმა-
ნეთს ატყობინებდნენ ჭორებსა და ახალ
ამბებს. დიდძალი ხალხი მოჯარებუ-
ლიყო ნევასთან. გრანიტის მოაჯირის
გასწვრივ, თოვლზე, ქიანქველებს შავ
ქარავენივით მიედინებოდა რამდენიმე
ათასი ცნობისმოყვარი ადამიანი. ზედ
ხილთან დოღრიალები შეყრილიყვნენ.
უკიყინებდნენ ჯარისკაცებს, რომლებ-
საც გზა გადაეღობათ მათთვის. ხილზე
გარდიგარდმო იდგნენ ჯარისკაცები და
მთელ მის სივრცეზე გამწყრივებულები
გადაუღებელ თოვლაში ძლივს მოჩანდნენ.

— რად შეგვიკარით ხილი! გაგვატა-
რეთ!

— ქალაქში გვიდა წასვლა.
— უმსგავსობაა მოსახლეობის შევი-
წრობა...

— თქვენი კი არ არის ეს ხილი, ყვე-
ლამ უნდა გაიაროს ზედ...

— რუსები არა ხართ? გაგვატარეთ!
ახმაზი უნტერ-ოფიცერი, მკერდზე
ვიორგის ოთხი ორდენი რომ ეკიდა, ზი-
დის ერთი მოაჯირიდან მკორემდე დიდი
დეზების წყარუნით მიმოდიოდა. როცა
ხალხმა გინება დაუწყო, დოღრიალები-
საკენ მიიბრუნა მოღუშული, ნაყვავილა-
რი ყვითელი სახე და დაგრებილი ულ-
ვაშების ცანცარით დაიწყო:

— ეპ, ბატონებო, როგორც გენებოთ,
ისე მლანძღეთ, ხილზე კი ვერ გაგვატა-
რებთ... თუ არ დამემორჩილებით, იძუ-
ლებული გავხდები იარალი ვიხმარო.

— ჯარისკაცები ჩვენ არ გვესვრი-
ან, — ისევ დაიძახეს დოღრიალებმა.

— შენც დაგაყენეს რაღა მანდ, ჩო-
ფურა ეშმაკო, ძალო...

უნტერ-ოფიცერი ისევ მიუტრიალდუ-
ბოდა და ამშუადებდა მათ, მართალია.

ჩახლეჩილი და აქანჯალბული — მხედრული ხმით ლაპარაკობდა, მაგრამ მინც, მის სიტყვებში გამოკრთოდა ის, რაც მამინე ყველას პირზე ეკერა, — შიშნარევი შეშფოთება. დოღრიალები ამას გრძნობდნენ, ილანძლებოდნენ და საგუშავგოს ეძალებოდნენ.

რომელიღაც აყლაყულა ხმელ-ხმელმა კაცმა, რომელსაც ცხვირზე პენსნე მობრეცოდა, წაგრძელებულ კისერზე კი შარფი ჰქონდა შემოხვეული, უეცრად ხმამალა, მაგრამ ყრუდ დიალაპარაკა:

— მოძრაობას აფერხებენ, ყველგან ყარაულები უყენიათ, ხიდებისათვის ალყა შემოთრტყამთ. მართლაც და, განა ეს აბუჩად აგდება არ არის? ბოლოს და ბოლოს შეგვიძლია თავისუფლად ვიპროთ ქალაქში, თუ ჩვენთვის ესეც აკრძალულია? მოქალაქენო, წინადადებას გაძღვეთ, ჯარისკაცებს ნუ მიიქცევთ ყურადღებას, ყინულზე გადავიპროთ...

— მართალია! ყინულზე ურრა!.. — და მამინე რომდენიმე კაცი მდინარეში ჩამავალ, თოვლით დაფარულ გრანიტის კიბისაკენ გაიქცა. აყლაყულა კაცი კისერზე შარფი რომ უფრიალებდა, გაბედულად გაჰყვა ხიდის გასწვრივ ყინულს. ჯარისკაცები ზემოდან გადმოუკიდნენ და იძახოდნენ:

— ჰეი, დაბრუნდი, გესვრით... დაბრუნდი, აყლაყულა ეშმაკო!..

მაგრამ ის აინუნშიაც არ აგდებდა მათ, არც იხედებოდა, ისე მიდიოდა წინ. უკან სარეცხს თოკივით გაიჭიმა ხალხა, ემატებოდნენ და ემატებოდნენ, ცუხეცუხით მიდროდნენ. ადამიანები მუხუდოებივით მიგორავდნენ სანაპიროდან ყინულზე, თოვლზე შავად მოჩანდნენ. ჯარისკაცები ხიდზე იჭებოდნენ, სირბილით მიმავალი ადამიანები კი პირზე იფარებდნენ ხელს და ისინიც ყვიროდნენ. ერთმა ჯარისკაცმა თოფი მოამარჯვა, მაგრამ მეორემ მხარში წაავლო ხელი და ძირს დაამეგებინა.

როგორც შემდეგ გამოირკვა, ქუჩაში გამოსულთაგან არავის ჰქონია გარკვეული გეგმა, მაგრამ როცა ხალხმა ხიდებ-

სა და გზაჯვარედინებზე ცხენოსანი პატრული დაინახა, მამინე ყველამ როგორც ეს ძველთაგანვე მოსდგამდათ, სწორედ ის მოინდომა, რისი გაკეთებაც ახლა არ შეიძლებოდა: ამ ხიდებზე სიარული და ჯგუფ-ჯგუფად შეკრება. უამისოდაც ლევიდებოდა ავადმყოფური ფანტარია. ქალაქში გავარდა ხმა, ამ უწესრიგობას ვიღაცა ხელმძღვანელობსო, მაგრამ კაცმა არ იცოდა, სად იყო მისი კერა და ვინ ხელმძღვანელობდა, არ იცოდა ეს ჯარების სარდალმა, არც პოლიციამ და, მით უმეტეს, დეპტატორმა და მედროვემ, სიმბირსკელმა მაუდის მეფაბრიკემ, რომელსაც თავის დროზე ტროიციის სასტუმროში, სიმბირსკეში, მემამულე ნაუშოვმა გაუბო თავი. თავის ქალისა და ტვინის დაზიანების შედეგად კი, როცა მას რუსეთის იმპერიის მართვა მიიანდევს, საბედისწეროდ დაიბნა. რევოლუციის კერა ყველგან იყო, ყოველ სახლში, ყოველი მოსახლის სიბოროტით, უკმაყოფილებითა და ფანტაზიით აღზნებულ თავში. სწორედ ეს იყო უბედურება, ვერ იქნა და ვერ აღმოაჩინეს რევოლუციის კერა. პოლიციამ თვითონაც არ იცოდა, ვის იქერდა. ბოლოს და ბოლოს პეტროგრადის ორ მილიონ ოთხასიათასი მცხოვრები ხომ უნდა დაეპატიმრებინა.

მთელი ის დღე ივან ილიჩმა ქარხანაში გაატარა. როგორც ყველას, მასაც უნდა ჰქონოდა და ჰქონდა კიდეც გამოუნელებელი თავბრუხვევის საოცარი გრძნობა. გრძნობდა ქალაქში როგორ იზრდებოდა მღელვარება. გადასარევი იყო: — მთელი ხალხი ერთიმეორეში გაითქვითა, ეს თავბრუდახვეული ლიანგი ქუჩებში დაეხეტებოდა და რაღაცადაეძებდა; სწყუროდა ნიშანი იმ ელვისა, რომელიც დააბრმავებდა მათ და ყველას ერთ გუნდად აქცევდა.

ნეცკის გამწვრივ სროლისა არავის ეშინოდა. ადამიანები მხეცებივით გროვდებოდნენ ორი ცხედარის — ჩითის ქვედატანიანი ქალისა და ენიოტის-ქურქიანი მამაკაცის ირგვლივ, რომელ-

ბიც ვლადიმირის ქუჩის კუთხეში ელაგნენ... როცა სროლა უფრო ხშირდებოდა, ხალხი აქეთ-იქით იფანტებოდა, შემდეგ ისევ მოიპარებოდნენ კედელ-კედელ...

შებინდებისას სროლა მიჩუმდა. სუსხიანმა ქარმა წამოუქროლა, ცა გადასწმინდა, ზღვის იქით გუნდებად მოხროვილ ღრუბლებში პირქუში დაფიონი ავიზიზდა. ბასრი ნამგალა მთვარე ზედ ქალაქის თავზე ამოვიდა, სწორედ იმ ადგილას, სადაც ცა ნახშირით შავი იყო.

იმ ღამეს ფანრები არ აუნთიათ. ფანჯრებში სიბნელე სუფევდა, მთავარი შესასვლელები დაკეტილი იყო. ნაცრისფრად ჩაბნელებულ ნევის პროსპექტის გაყოლებით ხარიხებზე გამართული თოფები გაემწყრივებინათ. გზაჯვარედინზე ასმახი გუშაგები იდგნენ. მთვარის შუქი ხან ფანჯრის მინაზე აელვარდებოდა, ხან ლიანდაგების ზოლზე, ხან ხიშტის ფოლადზე.

ისევე, როგორც გუშინ, ჯარისკაცები, განსაკუთრებით კი კაზაკები, ყოველის მხრიდან მოძალებულ ხალხს ნაბიჯათ უახლოვდებოდნენ, იგინებოდნენ და ილრიკებოდნენ. პოლიციელთა, წარმოსადგ და მოლუშულ ადამიანთა ჯგუფში მდუმარება და აშკარა გაუბედაობა სუფევდა. ივან ილიჩი კარგად იცნობდა ამ განგაშს, როცა ბრძოლის დაწყების ბრძანებას ელოდნენ და მტერი უკვე თავზე ჰყავდათ წამომდგარი. ყველასათვის ნათელი იყო, რა უნდა ვაეკეთებინათ, მაგრამ ბრძანებას აყოვნებდნენ, წუთები მტანჯველად იწელებოდა. უცებ ვაგზლის კარმა გაიჭრიალა და კიბეზე ქანდარმთა გაფითრებული ოფიცერი გამოჩნდა, პოლიციელების სამხრეები ეკეთა, მოკლე მაზარა ეცვა. გაიჯგომა, მრედანს გადახედა, ღია ფერის თვალები ივან ილიჩის სახეს შეავლო... ოფიცერმა მსუბუქად გაურბინა კაზაკებს, ესაულისაკენ აღაპყრო წვერები და რაღაცა უთხრა. უნაგირში ღრმად ჩამჯდარი ესაული აგდებული სიცივი.

ლით უსმენდა მას. პოლიციელებმა თავი დაანებეს ძველი ნევისისაკენ და მოკლეს. მოედანი თამაშით გადასჭრა. მასთან პრისტავმა მიიბრინა. პრისტავს უზარმაზარ ღიპზე შემოეკირა ქამარი, ქუდას საჩიბთან მიტანილი ხელი უკანკალბდა. ძველი ნევისის მხრიდან უფრო ხმაღლა ისმოდა მოახლოებული ბრბოს ყვირილი, სიმღერის გარჩევა შეძლებოდა. ივან ილიჩს ვილაცამ მაგრად წაავლო ხელი მკლავში. მის გვერდით აღზნებული ადამიანი ფორთხავდა, თავშიშველი იყო, კუჭყიან სახეზე წითელი ნაჭდევი ემინეოდა.

— ძმებო, კაზაკებო! — დაიყვირა მან იმ საშინელი, განწირულის ხმით, როგორი ხმითაც ყვირიან სიკვდილისა და სისხლისღვრის წინ, იმ ველური, შემზარავი ხმით, რომლისაგანაც გული უსკდებთ ადამიანებს, სიგიჟე ფარავს მათ თვალებს. — ძმებო, მომკლეს... ძმებო, გამოგვექომაგეთ... გვხოცავენ!

კაზაკები უნაგირზე შეტრიალდნენ და უხმოდ დაუწყეს მათ ცქერა. სახეები უფითრდებოდათ, თვალები უფართოვდებოდათ.

სწორედ ამ დროს ძველ ნევისზე შავად და მკვრივად დელავდნენ მოახლოვებული კალპინსკელი მუშების თავები. ქარი აფართხუნებდა სველ წითელ დროშას. ცხენოსანმა პოლიციელებმა, როგორც კი ჩრდილოეთის სასტუმროს ფასადს გამოირდნენ, მაშინვე იშვილეს მოელვარე ხმლები. განწირული კივილი გაისმა ხალხში. ივან ილიჩმა ისევ დანახა ქანდარმთა პოლიციეცი. პოლიციეცი გარბოდა, ცალი ხელით რევოლვერის ბუდეს იმაგრებდა, მეორე ხელს კაზაკებს უქნევდა.

კალპინსკელებმა ყინულის ნატეხები და ქვები დაუშინეს პოლიციეციასა და ცხენოსან პოლიციელებს, წვერილკოპა ოქროსფერი ცხენები უფრო ათამამდნენ, საღდაც რევოლვერმა გაიტყავუნა, ძეგლის ძირას კვამლის ბოლქვები გამოჩნდა, — პოლიციელები კალპინსკელებს ესროდნენ. კაზაკთა მწყრივში, ივან ილიჩისაგან ათ ნაბიჯზე, უეცრად

ყალბზე შედგა ცხვირკებიანი დონური თაფლა ფაშატი; კახაკი კისერზე გაეკრა, დეზები ჰკრა, რამდენიმე კამარით მიიქრა ენდარმთა პოლკოვნიკთან, გზადაგზა იშიშვლა ხმალი, ერთი მოიქნია და ისევ ყალბზე შეაყენა ცხენი. მწყობრით გაემართნენ მკვლელობის ადგილისაკენ კახაკები. ბრბომ გააჩვივა ცხენოსან პატრულთა რიგები და მოედანზე გაიშალა. აქა-იქ გაისმა სროლა, რაც საერთო ყვარილმა დაფარა: — ურა... ურა-რა...

— შენ აქ რას აკეთებ, ტელეგინ?
— რაღაც არ უნდა დამიჯდეს, დღესვე უნდა წავიდე აქედან. სატვირთო მატარებელი იქნება თუ ორთქლმავალი — ჩემთვის სულერთია...

— ნუ იხამ, ახლა არ შეიძლება მგზავრობა... ჩემო კარგო, ახლა ხომ რევოლუციია... — წვერგაუბარსავ, გაკოტრებულ ანტოშკა არნოლდოვს გადმოკარკულულ თვალებზე ქუთუთოები დასწითლებოდა. თითები ჩაცსო ივან ილიჩის პალტოს სახელოსათვის. — დაინახე, ენდარმს როგორ წააცალეს თავი?.. ბურთივით გაგორდა მიწაზე, ყოჩაღ!.. სულელი ხარ, არ გესმის? რევოლუციია! — ანტოშკა ისე ბურტყუნებდა, თითქოს ძილში აბრუნებო. ისინი ბრბოს მიეყუფა ერთ ადგილზე, ვაგზლის გასასვლელთან. — დილით ლიტოვსკისა და პოლინსკის პოლკებმა სროლაზე უარი თქვეს... პავლოვსკის პოლკის ასეული შეიარაღებული გამოვიდა ქუჩაში... ქალაქში ალიაქოთი ატყდა, არავის გაეგებოდა რა ხდებოდა... ნეესკიზე ბუზებივით დალასლასებდნენ ჯარისკაცები, ყახარამში წასვლისა ეშინოდათ...

მეორე დღე აღსანიშნავი იყო. ამ დღემ დაარწმუნა ხალხი, რომ დროება უკვე შეცვლილიყო. ასე, წელიწადნახევრის განმავლობაში დაატარებდა ივან ილიჩს შეეტლვე სასტუმროდან, ტვერსკიდან არბატის შესახვევამდე. — არა, ბატონო, წავიდა ის დრო, ათ შაურად რომ დაეპაროლებდი, — ამბობდა შეეტლვე. — პეტროგრადში ძალაუფლე-

ბა ავიდეთ. დღეს თუ არა, ხვალ მოსკოვიც ჩვენს ხელში იქნება. შეეტლვე — პოლიციელს, გინდა მივიდეთ... შეეტლვეს შეილთან და სიფათში გაეაწნა მათარაბა. ცოტა ხანიც დაგვაცადეთ, ბატონო და ყველას გაუშვასპინძლდებით.

სასადილო ოთახის კართან ივან ილიჩს დაშა შემოეგება.

დაშას ხალათი ეცვა, ფერფლისფერი თმები საჩქაროდ შეეკონა, ცივი წყლის სურნელება ასდიოდა. ზარმა დარქვა. დრო გაჩერდა. ეს დრო სულ ერთიანად გავსილი იყო დაშას სიტყვებით, სიცილით, დილის მზის სხივებზე მისი ფაფუკი თმების ციალით. ივან ილიჩი მაშინაც კი გრძნობდა მოუსვენრობას, როცა დაშა მაგიდის მეორე ბოლოს უახლოვდებოდა. დაშა ბუფეტის კარებებს აღებდა, ხელებს მალა სწევდა, მკლავებზე უტურდებოდა ხალათის განიერი მაჯები. ადამიანი და ასეთი ხელები? ფიქრობდა ივან ილიჩი. დაშა ფინჯანს იღებდა, ივან ილიჩისკენ აბრუნებდა თავს, რაღაც საკვირველს ამბობდა და იციწოდა.

მან ივან ილიჩს ძალით დაილევინა რამდენიმე ფინჯანი ყავა. დაშა ამბობდა, რაღაც სიტყვებს, ივან ილიჩიც, მაგრამ, უთუოდ, ამ ადამიანურ სიტყვებს აზრი ექნებოდათ მხოლოდ ჩვეულებრივ, სხვა დროს, — დღეს კი ეს სიტყვები აზრს იყენენ მოკლებული. ეკატერინა დიმიტრეენა იქვე, სასადილო ოთახში იჯდა, ისმენდა, როგორი საოცარი ალტაცებით და თავდავიწყებით ლაპარაკობდნენ არაჩვეულებრივ სისულელეს ყავაზე, რაღაც ტყავის ნესესერზე, პეტროგრადში მოკვეთილ თავზე, დაშას თმაზე, რომელიც საოცრად წითლდებოდა კაშკაშა მზეზე.

მოახლემ გაზეთები შემოიტანა. ეკატერინა დიმიტრეენამ „რუსიკი ვედომოსტი“ გაშალა, ამოიხზრა და ხმამაღლა დაიწყო იმპერატორის ბრძანების კითხვა. „სახელმწიფო სათათბირო დათხოვნილია!“ დაშამ და ტელეგინმა სა-

შინლად გაიკვირვეს ეს ამბავი, მაგრამ ხმამაღლა აღარ გაუგრძელებია კითხვა. „რუსივე ვედომოსტს“ ეკატერინა დიმიტრენა ახლა უკვე თავისთვის, ჩუმად კითხულობდა. დაშამ ტელეგინს უთხრა, ჩემთან წამოდით და ბნელი დერეფნით წაიყვანა თავის ოთახში. იქ რომ შევიდა, პირველმა დაშამ ჩაილაპარაკა სხაასხუპით: „მოიცა, მოიცა, აქეთ არ გამოიხედო“, და თეთრი რაღაცა ჩამოლა კომოდის უჯრაში.

თავის ცხოვრებაში პირველად ნახა ივან ილიჩმა დაშას ოთახი. ტუალეტი მისთვის გამოუცნობი ნივთებით იყო სავსე, ვიწრო თეთრ ლოგინზე ორი ბალიში იდო: დიდი და პატარა. დიდი თავქვეშ ედო დაშას, პატარა კი ძილის დროს ნიდაყუქვეშ ჰქონდა ამოდებული; საწოლს უკან, ფანჯარასთან განიერი სავარძელი იდგა, საზურგეზე მიგდებული იყო თივთიკის თავშალი.

დაშამ სთხოვა ივან ილიჩს, იმ სავარძელზე დამჯდარიყო, თვითონ ტაბურეტი მიიჩინა, მის პირდაპირ ჩამოჯდა, ნიდაყუები მუხლებს დააყრდნო, ხელებს ნიკაპი დააბჯინა და ასე, თვალის დაუხამხამებლად სახეში შეჰყურებდა ივან ილიჩს, აიძულებდა ეთქვა თუ როგორ უყვარდა მას დაშა. დროის ზარმა მეორე წუთისა დაჰკრა.

— დაშა, მე რომ მაჩუქოს ვინმემ ყველაფერი, აი, მთელი დედამიწა, არ გამიხარდებოდა, გესმის ჩემი გულისთქმა? — უთხრა ტელეგინმა. დაშამ თავი დაუკრა. — თუკი მარტოხელა ვიქნები, რაში გამოვადგები საკუთარ თავს?.. რაში ვჭირდები ჩემს თავს? — დაშამ თავი დაუქნია. — ვკამო, ვიარო, ვიძინო? რის გულისათვის? რაში მჭირდება ეს ხელები, ფეხები, რა გამოვადგე დან, ვთქვათ, ზღაპრული სიმდიდრე რა მქონდეს... მაგრამ, წარმოგიდგენია, რა სევდის მომგვრელია მარტო ყოფ-

ნა? — დაშამ თავი დაუქნია. — მაგრამ ახლა, როცა შენ ასე ზინხარ, მე უკვე აღარ ვარსებობ, მე მხოლოდ იმას ვგრძნობ, რომ შენ ბედნიერება ხარ, შენა ხარ ყველაფერი. გიყურებ და თავბრუ მესხმის, ნუთუ შენ სუნთქავ, ცოცხალი ხარ და ჩემი ხარ... დაშა, გესმის რამე?

— მახსოვს. — დაიწყო დაშამ, — გეზბანზე ვისხედით, ნიავი უბერავდა, კიქებში ღვინო ლივლივებდა, მაშინ უცერად ვიგრძენი, რომ ბედნიერებისაკენ მივცურავდით...

— არ გახსოვს ცისფერი ჩრდილები? დაშამ თავი დაუქნია და ასე ეგონა, მასაც ახსოვდა რომელიღაც ცისფერი ჩრდილები. მას გაახსენდა გემს ადევნებული თოლიები, დაბალი ნაპირი, შორს, მდინარეზე მზის მოელუჯარე გზა, რომელიც, როგორც მას ეჩვენებოდა, ბოლოს ლურჯ მოციალე ზღვად — ბედნიერებად გადაიქცეოდა. დაშამ ისიც გაიხსენა, როგორი კაბა ეცვა. მას შემდეგ რამდენმა გრძელმა წელმა განვლო...

სალამოთი ეკატერინა დიმიტრენამ იურიდიული კლუბიდან მოიბრინა, აღელვებული და გაზარებული იყო.

— პეტროგრაღში მთელი ძალაუფლება სახელმწიფო სათათბიროს კომიტეტს გადაეცა; — დაიწყო მან მოსკლისთანავე, — მინისტრები დააპატიმრეს, მაგრამ საშინლად აღმასწოთებელი ხმები დადის: ამბობენ ხელმწიფემ ფარხმალი დაყარაო, ხალხის დასამშვიდებლად ახლა გენერალი ივანოვი წასულა პეტროგრაღზე, მთელი კორპუსი ახლავს.. აქ კი ხვალისათვის იერიშით უნდა აიღონ კრემლი და არსენალი... ივან ილიჩ, მე და დაშა ზვალ დილიდანვე მოვალთ თქვენთან რევოლუციას უნდა ვუყუროთ...

თარგმანი მთმარ როსტომოვნილისა.

3. ბიღ-ბაღოსაქოვსკი



კარგი ბაკვეთილი

ქუჩაში შემხვდა ნაცნობი ბუშა და მომესალმა:

— ჰელო, ბილ!

— ჰელო, ჯონ! — ვუბასუხე და ხელი ჩამოვართვი.

— მუშაობ?

— არა, — მივუბე მოღუშულად, — უკვე მესამე თვეა აღარ ვმუშაობ.

— კარგია, რომ შეგხვდი. არის ერთგან სამუშაო. მართალია, დროებითია, ერთი თვით, მაგრამ იმედი მაქვს, უარს არ იტყვი.

— ეგ რა საკვირველია! — სიხარულით ვუბასუხე მე. — მაინც როგორი სამუშაოა?

— შენი სპეციალობისა. მრავალსართულიანი სახლის ფანჯრისმწმენდავის. მეც იქ ვმუშაობ ცეცხლფარეშად.

მან მისამართი მომცა.

— რატომ მაინცდამაინც ერთი თვით?

— იმათი ფანჯრისმწმენდავი შევბუღებაში წაყიდა.

— შევბუღება?! — გაკვირვებული შევეკითხე. — პირველად მესმის, რომ შევბუღებას აძლევენ ფანჯრისმწმენდავს. ფორმანი ალბათ, კეთილი კაცია.

— რომელ კეთილზე გელაპარაკები!.. ნამდვილი ტარტაროზია! აქ რაღაც ხაფანგია მოწყობილი.

— ტარტაროზი? — გულგატეხილმა შევეკითხე.

— მერე, შენ რას დაგაკლებს? ერთ თვეს იმუშავებ — და მერე აიყარი შენი გულანაბადი. იმედი მაქვს, ეს საქმე არ გაწყენს.

— რა თქმა უნდა, არა. ხელფასი როგორია?

— ჩვეულებრივი. ორმოცდაათი დოლარი თვეში, კარგად შეგზივდება.

— რა თქმა უნდა, მე უკვე ღამისსათევში მძინავს.

— მაშინ იჩქარე, სანამ ფორმანი შრომის ბირვას მიმართავდეს. უთხარი, რომ მე გაძლევ რეკომენდაციას.

— გმადლობ, ჯონ! მივბივიარ! მივბივიარ! გულ-ბაი! — აჩქარებით ჩამოვართვი ხელი და მხიარულად მოვქუშულე ნაჩვენები მისამართისაკენ. უმაღლესი ვიგრძენი ჰქერდში სილაღე, ფეხების სისწრაფე, თითქოს უეცრად ორმოცდაათი დოლარი მეპოვოს. ოო! ეს მე კარგად შემეშელება. გაყიდვისაგან გადავარჩენ ჩემს საგარეო კოსტუმს! ცხოვრება სასიამოვნო გამიხდება...

ფორმანი, გამხდარი ყმაწვილი იყო, უფერული თვალები ჰქონდა, ახალი მუქმოლურჯო კომბინეზონი ეცვა, საყელო და ყელსახვევი ეყვოდა, ის საკმაოდ ზრდილობიანად შემხვდა.

— კეთილი! — მოთხრა ცოტა ხნის დაფიქრების შემდეგ და რაღაც იპენეულად შემათვალიერა. — შეგიძლია ახლავე შეუდგე მუშაობას. მე მოგცემ ხელსაწყოს და გიჩვენებ — საიდან უნდა დაიწყო.

— ხელფასი როგორია? — შევეკითხე ყოველ შემთხვევისათვის.

— ჩვეულებრივი, — მიბასუხა მან და, რატომღაც თვალი ამარიდა.

... ნახევარი საათის შემდეგ უკვე ოცდამეერთე სართულზე ვეკიდე ღვედებით და გულდაგულ ვწმენდდი ფანჯარას. ეს საქმე ჩემთვის ნაცნობი იყო, მაგრამ უმუშევრად ყოფნისა და, რაც მთავარია, ცუდი კვების გამო, რამდენიმედ დავსუსტი და ამიტომ მთელი ძალების დამაბევით ვმუშაობდი. კარგი კვებით თავს ვერ გავინებივრებდი მთელი თვის მანძილზე: რადგან ავანსის მიღება ხელფასის ანგარიშში არ შეიძლებოდა. მაგრამ რაც არ უნდა ყოფილიყო, მე კმაყოფილი ვიყავი.

ამასაც გავუძლებდი, პირველად ხომ არ ვიყავი ასეთ ყოფაში!

...სწრაფად გადიოდა დღეები; კვირებები. ახლოვდებოდა თვის ბოლო, ჩემი მუშაობის დასასრული. არასოდეს ზოუპართავს ფორმანს უხეშად და ამიტომ არც მქონდა არავითარი საფუძველი. მისთვის ტარტაროზი მეწყოდებინა. პირიქით, მხოლოდ იმას ვნანობდი, რომ ასეთ ფორმანთან დიდხანს არ მიხდებოდა მუშაობა.

... დაბრუნდა იმათი ფანჯრისმწმენდავი და ფორმანმა ბარათი მომაჩეჩა ხელში:

— წადი კანტორაში და მიიღე ხელფასი. გისურვებ, რომ მალე იშოვო სამუშაო.

— გმადლობ! — მზიარულად ვუპასუხე.

ის სწრაფად მიბრუნდა, მაგრამ მე მაინც მოვასწარი შეშინიშნა (შეიძლება მომეჩვენა კიდევც) მის თვალებში ბოროტი დაცინვა. მაგრამ ამისათვის მნიშვნელობა არ მიმიცია. ზედნიერად ვთვლიდი თავს: ბოლოსდაბოლოს, შევძლებდი კუქის დაქინებული მოთხოვნების დაკმაყოფილებას; მაძღრისად შევკამდი.

კანტორაში ბუხპალტერმა ჩამომართვა ბარათი და ჩემს სახელზე გამოსწერა ჩემი.

— ბანკში მიიღებ. მოაწერე ხელი. სწრაფად ზოვაწერე ხელი, მადლობა გადაუხადე და კარისაკენ გავემართე. მაგრამ იქვე შევეყვირე. ოფლმა დამსხა...

— რა ამბავია? — გაკვირვებით მომაპყრო ბუხპალტერმა სათვალის შავი შინები.

— ეს რაღა არის? — ჩახშული ხმით კკითხე და გავუწოდე ის ხელი, რომელშიც ჩემი მეჭირა.

— რაშია საქმე? — კითხვა გაიმეორა ბუხპალტერმა.

— ეს ხომ ძარცვაა?

— როგორ თუ ძარცვა?

— დღისით, შვისით! მე მერგებოდა

ორმოცდაათი დოლარი, აქ კი ორმოცე წერია.

— მე არაფერ შუაში ვარ. შე ბუხპალტერი ვარ. ჩემი საქმე ჩემს გამოწერაა.

მართლაც, ბუხპალტერი აქ არაფერ შუაში იყო. ავირბინე მეოთხე სართულზე, ფორმანთან. ისეთი სისწრაფით შევევარდი ოთახში, რომ ფორმანი უნებლიედ ფეხზე წამოვარდა.

— რა ზოხდა?! — მკაცრად მკითხა დაფეთებულმა.

— არ იცი? — სირბილისა და სიბრაზისაგან აქოშინებულმა ამოვიხრანტალე. — არ იცი? მაშ, ეს რა არის? რა არის? — და ცხვირში ვჩრიდი ჩემს ძლივს შევიკავე თავი, კინალამ გავარტყი. — აქ მხოლოდ ორმოცი დოლარია!

— ჩვეულებრივი ჯამაგირია. — ფორმანი უკან იხევდა, მაგრამ საკმაოდ მშვიდად მიპასუხა.

— სტყუი! ჩვეულებრივი ჯამაგირი ორმოცდაათი დოლარია. რას აძლევ ფანჯრისმწმენდავს, რომელიც მე შევცვალე? რატომია ასეთი განსხვავება ჩვენს შორის?

— იმიტომ, რომ ის აშერიცელია, — იყო პასუხი.

— მერე და, რა განსხვავებაა.

— იქ, თქვენს სამშობლოში, შენ ამაზე მეტს გაძლევდნენ? — მზაკვრულად ჩაიციხა მან.

— რა შენი საქმეა? მე ამერიკაში ვმუშაობ და ჯამაგირიც ადგილობრივი განაკვეთის მიხედვით უნდა მივიღო, როგორც ზუღამ ვლებულობდი.

— განსაზღვრული განაკვეთი არ არსებობს.

— მაშ, რატომ იძლევიან სხვები მეტს?

— მე მეგონა ჩემი მადლობელი იქნებოდი და ამასაც დაჯერდებოდი! შენ ხომ უმუშევრად იყავი!

— მერე, სად წერია, რომ უმუშევრებს შემციარებული განაკვეთი მიეცითო? მე შეგაკითხე, შენ კი მიპასუხე: ხელფასი ჩვეულებრივიყო.

— ჰოდა, ჩვეულებრივია... შენისთანებისათვის... — ისევ გაიღიმა მან.

— ეს უნამუსობაა! — დავიყვირე. — უნამუსობა!

— აბა, აბა! ხმას მოუკელი, თორემ მე შენ გიჩვენებ გზას! — და დამუშტა ხელები.

— ეს უნამუსობაა და ვერაგობა. — კიდევ უფრო მკვახედ და ხმაძალა გავიმეორე. — შენ გინდა მიითვისო ის ათი დოლარი.

— არაფერიც. მე ეს კანტორაში გავტარე.

ის სიამოვნებით მიჩვენებდა გზას, მაგრამ ჩემი მძევინვარება, ჩანდა, აკრთობდა მას.

— მაშინ, რა ინტერესი გაქვს, რომ მძარცვავ? ვეკვობ, რომ ღირქციას რამეში მაინც სჭირდებოდეს შენი ამგვარი სამსახური.

— მე ეს პრინციპისათვის ვქენი.

— პრინციპისათვის?

— ჰო, პრინციპისათვის!

— აი, რაში ყოფილა საქმე! ეს ხომ კუ-კლუქს-კლანის პრინციპია! — მივახალე მას პირში ბევრისათვის შეურაცხყოფელი ფრაზა და ხელები დავმუშტე... მაგრამ, ჩემდა გასაკვირად, ფორმანმა იმავე დამცინავი ღიმილით მიპასუხა:

— თუნდაც აგრე იყოს...

— წუთით ჩვენ მძევინვარედ ვუტყეოდი ერთმანეთს. არ ვიცო, რასა ფიქრობდა ის იმ წუთას, მაგრამ მე ცოცხლად წარმომიდგა... კუ-კლუქს-კლანის ჯგუფი ტრიბუნაზე გრძელ თეთრ ხალათებსა და წვეტიან კაპიუშონებში, რომელთაც თვალებისათვის საცქერეტი პრილები ჰქონდათ დატანებული. ჯგუფის ორატორი, რომელიც მკვდარ თავს ატრიალებდა და ხელებს იქნევდა, ხმის ჩახლენამდე ღრიალებდა, რომ გამეფელთა ყურადღება მიექცია: „მისი იმპერატორებითი უდიდებულესობისაგან ყველა სულეებს, ურჩხულებს, გველ-ეშაპებს, დიდ ეშმაკებსა და აესულეებს, უდიდეს ტიტანებსა და აჯილდებს, გიგანტ-ციკლოპებს, საშინელებებს და ხილული და უხილავი იმპერიის ყველა მოქალაქეებს, კუ-კლუქს-კლანის

რაინდებს! ჩვენ ჩვენს ორგანიზაციაში ვლებულობთ ყველას, ვინც ერთგულუბანს შეფიცავს ჩვენს იდეებს. ჩვენი წესდებაა: რაინდობა, კეთილშობილება, ოჯახური კერის დაცვა, ქალების უბიწოება, პატრიოტიზმი და პეგემონია თეთრებისა...“ ეს იყო კუ-კლუქს-კლანის ორგანიზაციაში წევრების მიზიდვის ცერემონია... ხომ არ იყო ეს ტიპი ამ ორგანიზაციის წევრი?

თითქოს ჩემი აზრები გამოიცინო, ფორმანმა ხმაძალა წამოიძახა:

— თუნდაც აგრე იყოს...

მივხვდი, რომ მასთან ლაპარაკი ზედმეტი იყო. სხვა რაიმე ზომები უნდა მიმეღო. მაგრამ ისე წასვლა, რომ არ გამექარებებინა ჩემი აღმფთვების ნაწილი მაინც, შეუძლებელი იყო. ჩუმად, მაგრამ გასაგებად ვთქვი, ის, რაც ასე აუტანელია კუ-კლუქს-კლანელებისათვის, რაც სახეს უცვლის ყველა მათგანს:

— შენ არა ღირხარ ბებერი ზანგის უკანალათ...

ფორმანს მართლაც სახე ეცვალა, გაფითრდა, მოიკაკვა.

— ახლა კი წავალ. — წავედი... ის არ დამდევნებია უკან.

ცოტაოდენი მორალური კმაყოფილება ვიგრძენი, მაგრამ ნივთიერად აქედან არაფერი მომიგია. ათი დოლარი! უმუშევრისათვის ეს დიდი სიმდიდრეა. და რა თავხედობაა! არა, მე ჩემი შრომის საფასური მთლიანად უნდა მივიღო! და შეურაცხყოფისა და სიმწარის გრძნობით გამძვინვარებული უშიშრად გავემართე მმართველის კაბინეტისაკენ. მმართველი „დიდი კაცია“, და რამდენადაც მე ვიცო, ისეთ წვრილმანებში, როგორც არის კონფლიქტების გარჩევა, არ ერევა. მაგრამ რას გვარავად!

დარბაისელი მოხუცი, ფანქრით ხელში ჩემს გვერდით იდგა და ყურადღებით ათვალეირებდა კედელზე ჩამოკიდებულ სახლის გეგმას. ჩემს მისალმებაზე მან მხოლოდ გაკვირვებით მოაბრუნა თავი. არ დავუცადე მის შეკითხვას და მოკლედ ავეუხსენი ჩემი მისვლის მიზეზი. მისმენდა პოზის შეუცვლელად.

— ეს მე არ მეხება, — წყნარად თქვა მმართველმა.

— ფორმანი ზომ თქვენ გექვემდებარებათ?

— მექვემდებარება, მაგრამ მე არ ვერევი მის ფუნქციებში. სწორეთ ამიტომაა ის ფორმანი.

— საოცარია! მაშ, ვის უნდა მივმართოთ?

— მე ეს სრულიად არ მეხება.

მმართველი ლაპარაკობდა წყნარად, მაგრამ ისე კატეგორიულად, რომ დავრწმუნდი: ამასთან ზედმეტი იყო ლაპარაკი. რუსულად შევიგინე და კაბინეტიდან გამოვედი.

მთელი დღე რეტიანივით დავეხეტებოდი. ათი დოლარი — თითქმის ექვსი დღის ხელფასს უდრიდა. უფსკრულის თავზე ღვედებზე დაკიდებული, ცხრა საათი იმუშაო დღეში და გაწმინდო ოცდაათექვსმეტი ფანჯარა, — არა, ამას ვერ მოვიტყვი კარგი, მაგრამ, რა უნდა ვქნა? მთელი დღის განმავლობაში თითქმის არაფერი მიქამია, მაგრამ შიმშილს მაინც არ ვგრძნობდი. ღამით ვერ შევძელი დაძინება, ღოგინში ვბორბავდი, საწოლის ქრიალმა ჩემი მგზობელი გამოაღვიძა.

— რატომ არ გძინავს? ავად ხარ? — ჩურჩულით მკითხა მან.

პასუხის ნაცვლად, მძიმედ ამოვიხვნეშე. მან ოდნავ ასწია თავი და ყურადღებით შემათვალისწინა, რამდენადაც ეს შეიძლებოდა სიბნელეში.

— რა უბედურება მოგივიდა?

— გამძარცვეს!

— გაგძარცვეს? რა გქონდა გასაძარცვი? მას ვერ წარმოედგინა თუ შეიძლებოდა უმუშევრის გაძარცვა.

— შენ წარმოიდგინე! — და მე ჩურჩულით მოვუყვიე ჩემი უბედურების შესახებ.

ამხანაგი რამდენიმე წამის განმავლობაში დუმდა. ფიქრობდა.

— იცი, რა, — წაიჩურჩულა მან, — რომ არსებობდეს შავ მუშათა კავშირი, კიდევ შეიძლებოდა მერჩია რაიმე, მაგრამ ახლა რა უნდა გირჩიო? იქნებ შრო-

მის რწმუნებულს მოელაპარაკო! — მან რწმუნებულის მისამართი მომცა, შერეულაპარაკე... სცადე...

— გმადლობ, ვცდი...

— ახლა კი დაძინე! — მან თავი დალო ბალიშზე და მალე ზერინვა ამოუშვა. მეც დამძინა, მაგრამ მოუსვენრად. ხან მესიზმრა ფორმანი, რომელსაც შევექიდე ჩხუბში, ხან — რწმუნებული. ის ყურადღებით მომეპყრო და დახმარება აღმითქვა.

დილით, ყველაზე ადრე გამეღვიძა, საწოლიდან წამოვვარდი, სწრაფად ჩავაცვი, ხელპირი დავიბანე, სწრაფად დავლიე ფინჯანი ყავა, პური შევატანე და დროს მოგების მიზნით, რწმუნებულსაკენ გავეშარათე. თუცა გზა გრძელი იყო, მაინც ადრე მივედი და დიდხანს ველოდე. გამოჩნდა მალალი, კარგი შესახედავი ჯენტლმენი, სენატორივით სერიოზული გამომეტყველება ჰქონდა. ის მოწიწებით და პატივისცემით პირველი მომესალმა.

— კეთილი ინებეთ და ერთი წუთით დამიცადეთ!

მისი რბილი ბარიტონი სასიამოვნოდ გაისმა. ამ მოხელის ზრდილობიანმა ქცევამ ჩემზე მომხიბვლელად იმოქმედა და ჩემი განწყობილება აამალა. „ახლა სიზმარი“, — გავიფიქრე გულში.

როცა რწმუნებულის კაბინეტში შევედი, უშალ თვალში მეცა, რომ აქ მომსვლელთათვის დასაჯდომი სკამი არ ყოფილა მიღებული. ერთადერთი სკამი კაბინეტში იყო ის, რომელზედაც თვითონ რწმუნებული იჯდა. ეს, როგორც არ შეესაბამებოდა რწმუნებულის ზრდილობიან მანერებს! და ჩემი აღელვების მიუხედავად, ვერ შევძელი ჩემს არსებაში ჩემი და ჩემისთანების შეურაცხყოფილი ღირსების დაძლევა. მაგრამ როცა მაგიდასთან მივედი, სენატორული გამომეტყველების კაცი ფეხზე წამოდგა და მისდამი სიმათისა და პატივისცემის გრძობა კვლავ აღეძრა გულში.

— რას გვეტყვით, გისმენთ! — თქვა მან და ოდნავ დამიკრა თავი.

ეს კაცი აშკარად განწყობილი იყო ინტიმური საუბრისათვის. აღმეძრა სურვილი მელაპარაკა მასთან არა მარტო იმ კონფლიქტის შესახებ, რომელიც მოხდა ფორმანსა და ჩემს შორის, არამედ დაწვრილებით და გულლიად გამეხსნა ჩემი სულიერი ვითარება. მე დაეიწყე. მაგრამ უცნაურად... არაფერი გამოდიოდა. მე მივხვდი ამის მიზეზს: ხელს მიშლიდა სკამის უქონლობა და ისიც, რომ კაცი სენატორის გამომეტყველებით, ჩემს წინ იდგა მომლოდინე პოზაში და აგრეთვე ისიც, რომ რწმუნებულის თვალეში ცივი და უსიციოებლონი გახდნენ. მაგრამ, როგორც არ უნდა იყოს, მე გავათავე ლაპარაკი. ახლა რწმუნებულის ჯერი დავა.

— კი... უსამართლოა, — დაიწყო რწმუნებულმა, — მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, ვერაფრით ვერ დაგეხმარებით. უნდა დაგედოთ ხელშეკრულება, ანდა გელაპარაკათ მოწმეების თანდასწრებით.

„ესეც შენი სიზმრის ახდენა!“ — ვაფიქრე.

— მაგრამ თრმოცდაათი დოლარი ხომ ჩვეულებრივი ხელფასია!

— ჩვეულებრივი არ ნიშნავს, რომ დამტკიცებულია.

— მაშ, ჩვენთვის კანონი არ არსებობს?

— სამწუხაროდ, მე არ ვწერ კანონებს!

— მაგრამ, ეს ხომ ძალმოძრებია! — წამოვიძახე.

— მიმართეთ სასამართლოს.

— სასამართლოს! ადვოკატის გარეშე საქმე დაღუპულია.

— თქვენც აიყვანეთ ადვოკატი.

— ამას ხომ ფული უნდა!

— სამწუხაროდ, არაფრით შემიძლია დაგეხმაროთ. გთხოვთ მაპატიოთ! — ოდნავ დამიკრა თავი და დაჯდა.

მე მივხვდი, რომ საუბარი ჩვენს შორის გათავებული იყო.

ქუჩაში, წინ და უკან, ერთმანეთზე მიჯრით, კისრისტეხით დაქროდნენ ტრამვაის ვაგონები, ავტობუსები; ნიშან-

სვეტი, რომელიც აწესრიგებდა მოძრაობას, განუწყვეტლივ ისარტან თავის ბრტყელ ხელებს. ხმაურმა, ლაპარაკი, ყვირილი, ზარის ხმა, საყვირი, საგანგაშო ღრიალი. და ყოველივე ამასთან ერთად ზევით ცამდე აწვდილი მაღალი, გიგანტური შენობები. და ამ ქაოსში ერთბაშად ვიგრძენი თავი მარტოდმარტო, უძლურად და მიკროსკოპულად მცირედ... და დაბნეულად დავეშვი პირველსავე კვარცხლბეკზე.

მრავალი წუთი გავიდა, სანამ გონს მოვიდოდი. აზრები კვლავ აფორიაქდა ჩემს თავში. ადვოკატი! ადვოკატი როგორ უნდა ავიყვანო ის? ადვილი სათქმელია! მართლა, სადღაც გამოგონია, ყოფილა შემთხვევები, როცა ახალგაზრდა დამწყები ადვოკატები, პრაქტიკისა და რეკლამისათვის უფასოდ იცავდნენ ღირებ კლიენტებს. მაგრამ სად იყვნენ ასეთი ადვოკატები?.. უიმედოდ ჩაეიქნე ხელი. ხოლო გონება ძალუმაღ მუშაობდა, წყდებოდა და ისევ ტრიალებდა ერთი და იმავე თემის — მითითური ადვოკატის — გარშემო. და უცხად მთელი ქუჩა თავისი მოძრაობით, ხმაურებით, ბრბოს ღრიანცელით, მაღალი სახლებით გაქრნენ და მის ადგილას ჩემს თვალწინ წარმოისახა სხვა ქუჩა: ნ-ე ავენიუ, გამოჩენილი ადვოკატის კანტორა მეთექვსმეტე სართულზე. ამ კანტორაში იმ ფანჯარასთან, რომელსაც მე ვწმენდდი, მაგიდასთან ზის ახალგაზრდა კლერკი-იურისტი. ის ცნობისმოყვარეობით აღფრენებს თვალყურს ჩემს მუშაობას.

— შენ ისე თავისუფლად ფათურობ რაფაზე, თითქოს მტრედი იყო, — მეუბნება ის. მან ხუმრობით „ფანჯრის-მწმენდავთა ჩემპიონი“ შემარქვა.

ეს კლერკი თავმდაბალი და გულლია კაცი იყო, ანტიტერესებდა ჩემი წარსული და მიაზნობდა თავის თავის შესახებ. ერთი-ორი თვის შემდეგ თავისი კანტორის გახსნას აპირებს — და მაშინ — მობრძანდით. მე მაშინ მნიშვნელობა არ მიმიცია მისი სიტყვებისათვის და ისე გავიგე ის, როგორც ჩვეულებრივი რეკლამა. მაგრამ ახლა სიხარულითა და იმედით

გამახსენდა ეს სიტყვები. ახალგაზრდა იურისტი მელაპარაკებოდა უბრალოდ, ისე კი არა, როგორც ის ზრდილობიანი ბიუროკრატი — რწმუნებული. მე ამ კლერკის გვარიც კი მახსოვს: მისტერ კორნერი. დარწმუნებული ვარ, მისი მისამართის გაგება შეიძლებოდა იმ კანტონარში, სადაც ის მსახურობდა კლერკად, ანდა საცნობარო ბიუროში. და, მე, დრო რომ არ დამეკარგა, მკვირიცხლად წამოვარდი ზეზე და გაბედულად ჩაეყვინთე ქუჩის მორევში, რომ ერთი საათის შემდეგ ამოვეყვინთა მისტერ კორნერის კანტორის კარებთან.

— შემოდით! — მომესმა ნაცნობი ხმა. მისტერ კორნერს ჩაედუნა თავი და გულდაგულ მუშაობდა. კედლის გასწვრივ მოთავსებული კარადები მკიდროდ იყო გამოტენილი წიგნებითა და საქმის ყუდებით. მაგიდაზე გროვ-გროვად ეყარა ქალაღის ოზმები, საქმის ყუდები და წიგნები. ყველაზე უფრო თვალსაჩინო ადგილას იდო ორი სქელი წიგნი. ეტყობოდა, რომ ეს იყო კანონთა კრებული. გეგონებოდა, რომ მაგიდასთან იჯდა საქმეებში ყელამდე ჩაფლული მოხუცი, გამოქნილი ადვოკატი.

— ჰელო, ბილ! — მხიარულად მომეგება ის. — როგორ ცხოვრობს ფანჯრისმწმენდავთა ჩემპიონი? ძლიერ გამეხარდა თქვენი ნახვა. დაბრძანდით.

მე პირველად გამეღიმა ამ უკანასკნელ დღეებში.

— როგორ ბრძანდება მისტერ კორნერი? როგორაა საქმეები?

— დიდებულად! როგორც ზედავთ... და დიდი ფართი-ფურთით მიმითითა საქმის ქალაღების შეკვრებზე, რომლებითაც გაქვდილი იყო მაგიდა და კარადები. — ყელამდე ვარ ჩაფლული. ცოლის შესართავადაც არა მცალია. — ჩაიხითხითა მან. — კლიენტები მთავასებენ.

ვბაასობდი მასთან და გაკვირვებით ვათვალიერებდი მის თავს; რაღაც რვა თვის განმავლობაში მისი პატარა შუბლი ორჯერ გაზრდილა. როგორ უნდა მომხდარიყო ეს? სიქაჩლის კვალიც კი

არსად ჩანდა. იგივე მწითური ზმირი თმა ღამაზად ჰქონდა გაღებურცხნილი უკან. როცა კარგად დაეუკვირდი, მივხვდი. მას პირდაპირ საგულდაგულოდ მოეპარსა თმის ნაწილი შუბლსზევით და მოაზროვნის შუბლს დამგვანებოდა.

„აღმათ, — გავითქვრე ჩემთვის, — ასეთივე ბუტაფორია აქვს მას მაგიდაზეც და კარადებშიაც“.

მისტერ კორნერმა ყურადღებით მომისმინა, ალღევებით გააქნ-გამოაქნია თავი, მოლუშა ბრტყელი შუბლი, მაგრამ, როცა ჩემი ამბავი დავამთავრე, მიტხრა:

— ძვრფასო ბილ, საუბედუროდ, ვერაფრით დაგეხმარებით.

— რატომ?

— მე საქმისათვის ვიღებ არანაკლებ ოცდახუთ დოლარსა. თუხუთმეტსაც დაგვერდებოდით, მაგრამ ესეც ცხადია, დიდი იქნება თქვენთვის. მე ძლიერ, ძლიერ ვწუხვარ.

ისღა დამრჩენოდა, რომ შეთქვა მისთვის. „გულ-ბაი!“.

მიუხედავად ამისა, მაინც გადავწყვიტე საქმე ბოლომდე მიმეყვანა. ჩემი მეზობლის დახმარებით სასამართლოში თხოვნა შევიტანე და რამდენიმე დღის შემდეგ უწყება მივიღე.

სასამართლოს მისაღებ ოთახში დიდძალი ხალხი იყო შეგროვილი. ყველა ესენი უბრალო ადამიანები იყვნენ. დღვრემილმა სახეებმა და პირქუშმა სიჩუმემ სევდა მომგვარა. ჩქარ-ჩქარა გაისმოდა იქმყოფთა გვარების გამოძახება. ნუთუ ასე სწრაფად ირჩევა აქ საქმეები? მე ისიც მათცებდა, რომ ჩვენ სასამართლოს დარბაზში კი არ ვისხედით, არამედ მისაღებ ოთახში, თითქო სასამართლო წარმოებდა დახურულ კარებში და ყველა აქ დამსწრე — პასუხისგებაში იყო მიცემული. ჩურჩულით მივმართე ჩემს გვერდით კომბინიზონში გამოწყობილ კაცს:

— რა საქმისათვის ხართ გამოწვეული?

კაცმა ნელა მოაბრუნა ჩემსკენ გამხდარი, მოქანცული სახე.

— ჩემი ნივთები ტროტუარზე ყრია.

მივხვდი რაშიც იყო საქმე. კანონით სახლის პატრონს უფლება აქვს ქირას გადაუხდელობისათვის მღვმურის „ნივთები“ ქუჩაში გამოყაროს.

— სახლის პატრონმა გაგაფრთხილა წინასწარ?

მან თავი დაიქნია:

— ერთი დღე-ღამით!

— ნივთებს არ დაიტაცებენ?

— არა. იქვე არის ჩემი ცოლი და გოგონა.

— მუშაობ?

— არა.

— რის იმედი გაქვს?

— მინდა ვთხოვო მოსამართლეს — დამართოს ნება ბინაზე დაბრუნებისა. რამდენიმე დღის შემდეგ ფულს ვიშოვო.

— რომ არ დაგართოს ნება?

— ვისბდებით ნივთებზე, ვიდრე გულკეთილი გამგლელები დაგვეხმარებიან: ვინ ერთი გრომით, ვინ უხალთუნით...

— ის გაჩუმდა.

— მოსამართლე კარგი კაცია? — კვითხე ჩემს მარჯვნივ მჯდომ მოხუცს. ვილაყ კაცმა გამოყო თავი მოსამართლის ოთახიდან და ჩემი სახელი და გვარი დაიძახა.

როგორც კი შევხედე მოსამართლეს, თავი ბრალდებულად ვიგრძენი. საპატიო ხნოვანების კაცი, ვერაფერ სახისა და აბურჩვენილი თავით იდგა მაგიდასთან უბიჯაკოდ და უეილეტოდ. პიჯაკიც და ვილიეტიც მისი სავარძლის ზურგზე ეკიდდა. ისე გეჩვენებოდა, თითქოს მოსამართლე ჩემთან საჩხუბრად მომზადებულიყო.

ის მოიღუშა და მაგიდაზე აჩქარებით დაიწყო ხის ჩაქურჩის კაქუნი და ისე ბოროტად მომჩერებოდა, თითქოს დიდი ხანია თავი მომებეზრებინოს მისთვის და ახლა ჩაქურჩი უნდა ჩაერთყა თავში.

— ჩქარა! ჩქარა! ჩქარა! — დაიჩხავლა მოსამართლემ ბებერი თუთიყუშის ხმით.

მე წინ გადავდგი ნაბიჯი. მოსამართლემ ჩაქურჩი დაკრა და საქმის განხილვა დაიწყო. მდივანმა აჩქარებით დაიწყო ჩემი თხოვნის კითხვა. მარჯვნივ მდგომი კაცი მოწყენილი სახით მათვალისრებდა. როგორც ეტყობოდა, ეს იყო მაღალი სახლის დირექციის ერთ-ერთი „შტატის ადვოკატი“. მდივანმა სწრაფად დამთავრა კითხვა და ადვოკატმა მოსამართლის ნებართვით მამინვე, იმავე მოღუშული გამომეტყველებით დამაყარა კითხვები.

— გაქვთ თქვენ რაიმე წერილობითი საბუთი იმ ხელფასის დასადასტურებლად, რომელსაც მოითხოვთ?

— არა! — ვუპასუხე მე.

— ესწრებოდა ვინმე თქვენი დაჭირავების დროს?

— არა...

— ნახსენები იყო თუ არა ფორმანსან თქვენ მიერ ციფრი ორმოცდაათი?

— არა... მაგრამ მან...

— მაშ, რა უფლება გაქვთ თქვენ, რომ სასამართლოს აწუხებთ?

— ფორმანმა თქვა, რომ ხელფასი ჩვეულებრივია... — პირქუშათ წავიბურტყუნე.


— ეს სიტყვა არაფერს არ ნიშნავს! — ყვირილით შემაწყვეტინა მოსამართლემ. — არაფერს არ განსაზღვრავს და იურიდიულად არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. სისულელეა! შემდეგისათვის უფრო ჰკვიანურად მოიქეცით. თავი უნდა გებათ მხრებზე და არა...

მდივანმა და ადვოკატმა გადაიხარხარეს.

— დაე, ეს გაქვეთილი იყოს თქვენთვის!

— მორჩა! — დამკრა ჩაქურჩი მაგიდაზე მოსამართლემ. — შემდეგი!

მე გამოვედი სასამართლოს შენობიდან.



დავით მინსკაძე



სოციალიზმის მშენებლობა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმი

პროლეტარული ინტერნაციონალიზმი ნიშნავს პროლეტარიატის საერთაშორისო ერთიანობას კაპიტალისტური მონობის დამპყობისა და კომუნისტური საზოგადოების ამყენებისათვის ბრძოლაში.

ინტერნაციონალიზმი პროლეტარიატის სოციალისტური იდეოლოგიის განუყოფელი ნაწილია.

მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ პროლეტარიატი მონობის უღლისაგან თავისი თავისა და ყველა მშრომელთა განთავსებულებისათვის ბრძოლაში უნდა დაირაზმოს არა მარტო საკუთარ ქვეყანაში, არამედ საერთაშორისო ასპარეზზე. „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეა გამოხატულია საყოველთაოდ ცნობილი მიწოდებით: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“.

იმპერიალისტური ბურჟუაზია ცდილობს დეჰსაქსოს მუშეები, გააძლიეროს ეროვნული შუღლი და მტრობა, რათა განამტკიცოს კაპიტალის ბატონობა. ამიტომ პროლეტარული ინტერნაციონალიზმი მოთხოვს უმკიდროვს კავშირს სხვადასხვა ქვეყნის, სხვადასხვა ერის მშრომელთა შორის.

კაპიტალი საერთაშორისო ძალაა — წერდა ვ. ი. ლენინი, — მის დასამარცხებლად საჭიროა მუშათა საერთაშორისო კავშირი; მათი საერთაშორისო ძალაა.

„ბურჟუაზიული ნაციონალიზმი და პროლეტარული ინტერნაციონალიზმი — ამ, ერთიერთობაში შეერთებულად მტრულა ლოზუნგი, რომელიც შეესაბამებინა მთელი კაპიტალისტური სამყაროს ორ დიდ კლასობრივ ბანაკს და გამოხატავს ორ პოლიტიკას (მეტეცი: ორ მსოფლმკვიდრებას) ნაციონალურ საკითხში“, (ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 20, გვ. 13).

ნაციონალიზმი წარმოადგენს იმპერიალისტური ბურჟუაზიის მოშამბულ იარაღს, რომლის ძალითაც იგი ცდილობს გაამართლოს თავისი დაპყრობითი, მტაცებლური პოლიტიკა.

ქადგებს რა ერის „ერთიანობას“, „კლასობრივ მშვიდობას“ და უნდობლობას უცხო ერ-

ბისადმი, ბურჟუაზია ცდილობს მიჩქვალის ერის შიგნით პროლეტარიატსა და ექსპლოატატორულ კლასებს შორის არსებული შეურთებელი წინააღმდეგობა, ცდილობს ეროვნული შუღლის გაღვავებით ჩამოაცილოს მუშათა კლასი კლასობრივ ბრძოლას; ამივე დროს სხვადასხვა ერის კაპიტალისტები მაქსიმალური მოგების უზრუნველყოფის მიზნით ერთობლივად იბრძვიან პროლეტარიატის წინააღმდეგ და ღალატობენ თავიანთი ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს.

პროლეტარული ინტერნაციონალიზმის განსახიერების მკაფიო მაგალითი იყო პარიზის კომუნა. პარიზის კომუნარები თავისი ქვეყნის მგზნებარე პარტიოტებიც იყვნენ და ინტერნაციონალისტებიც. ფრანგებთან ერთად გმირ კომუნარების რიცხვში იყვნენ რუსები, პოლონელები, იტალიელები და სხვა ერების წარმომადგენლები.

პარიზის კომუნის ერთ-ერთი პოლიტიკური ზემოქმედანელი იყო ფრანკელი, ეროვნებით უნგრელი. კომუნის ჯარის მეთაურობდა პოლონელი იაროსლავ დომბროვსკი, რომელიც ბარაკალებზე ბრძოლის დროს დაიღუპა. რუსი რევოლუციონერი ქალი ელისაბედ დმიტრიევა ზემოქმედებდა და ვერსალელ კონტრრევოლუციონერთა წინააღმდეგ მებრძოლ ქალთა რაზმს.

რუსეთის 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში მთელი მსოფლიოს მუშეები მხარს უჭერდნენ რუსეთის მუშათა კლასის თავდადებულ ბრძოლას შეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

დიდი ფრანგი მწერალი ანატოლ ფრანსი წერდა: „ივენმა მამებმა ევროპის ასწავლეს ბურჟუაზიული რევოლუცია, ახლა კი რუსეთის პროლეტარები გვაძლევენ სოციალური რევოლუციის გაკეთილს“.

1917 წლის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგით ახალი ერა დაიწყო ზვენი ქვეყნისა და მთელი კავშირბოლის ისტორიაში. სამუდამოდ შიგლი ბოლო იმ მდგომარეობას, როცა კაპიტალიზმი ერთად ერთი გაბატონებული ძალა იყო მსოფლიოში.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია ხა-

ერთაშორისო პროლეტარიატმა შეაფასა, როგორც მისი საკუთარი გამარჯვება, როგორც პირველი ნაბიჯი მსოფლიო მასშტაბით სოციალიზმის გამარჯვების გზაზე. ამიტომ იყო, რომ იმპერიალისტების მიერ ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ საბრძოლველად გაგზავნილი ჯარისკაცები და მებრძოლები ზმირად აწყობდნენ აჯანყებას თავიანთი მთავრობების წინააღმდეგ. ეს იყო მსოფლიო პროლეტარიატის მიერ თავისი კლასობრივი ინტერესების ერთ-ერთი გამოვლინება.

ესაწინათი კანონიერი რესპუბლიკური მთავრობის წინააღმდეგ ფაშისტების მიერ გაილაშქრებული სისხლისმღვრელი ომის დროს მრავალი ქვეყნის შშრამულია წარმომადგენლებმა ინტერნაციონალური ბრძალები შექმნეს და თავდაწირულად იბრძოდნენ იარაღით ხელში ფაშისტური რეჟიმების წინააღმდეგ.

პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დიდი იდეოლოგიის ტრიუმფია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგად სოციალიზმის აშენება საბჭოთა კავშირში, საბჭოთა ხალხისა და სხვა თავისუფლებისმოყვარე ხალხების მიერ ფაშისტური აგრესორების განადგურებაზე. მერვე მსოფლიო ომში, სახალხო რევოლუციების გამარჯვება ევროპისა და აზიის რიგ ქვეყნებში, სოციალიზმის საერთაშორისო ბანაყის წარმოქმნა და განმტკიცება.

სხვა ქვეყნებში სოციალიზმის გამარჯვებისათვის უფრო ხელსაყრელი პირობები შეიქმნა მხოლოდ იბიტომ, რომ სოციალიზმმა პირველად გაიმარჯვა საბჭოთა კავშირში. ამის თეორიულ-წინაპირობა იყო რევოლუციური მარქსიზმ-ლენინიზმის გამარჯვება, რევოლუციონური იდეოლოგია, ოპორტუნიზმის წინააღმდეგ თანამედვერულად და მტკიცედ ზატარებელი ბრძოლა.

თანამედროვე ეპოქის მთავარ ნიშანს შეადგენს ის, რომ სოციალიზმი გასცდა ერთი ქვეყნის ფარგლებს და გადაიქცა მსოფლიო სისტემად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობაზე მოყვანილ აქნა მონაცემები, რომლებიც შეაფიქრებდნენ მსოფლიოს სოციალისტური ბანაყის ქვეყნების მძლავრ ეკონომიურ აღმავლობაზე.

უკანასკნელი 26 წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირმა სამრეწველო წარმოება გააძლიერა 20-ჯერ და უფრო მეტად, მაშინ როცა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა წარმოების გაძლიერება მოახერხეს მხოლოდ ერთიორად და ოცთა მეტად. ხოლო მთლიანად კაპიტალისტური საწარმოს მრეწველობა აშენდაც კი არ გაზრდილა.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებმა მნიშვნელოვნად გაუსწრეს კაპიტალისტურ სახელმწიფოებს სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპებით. სამრეწველო წარმოების ოპტიმალური დონე გადაკეტილებულია 1955 წელს პოლონეთში ოთხჯერ და

უფრო მეტად, ბულგარეთში — ხუთჯერ და უფრო მეტად, ჩეხოსლოვაკიაში — ერთჯერად მეტად. უნგრეთში სამჯერ, კუბაში — ოთხჯერ და უფრო მეტად, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში — ერთიორად და უფრო მეტად.

ინცილის სახალხო რესპუბლიკამ, რომელიც სოციალისტური ბანაყის სხვა ქვეყნებზე უფრო გვიან შეუდგა სოციალიზმის მშენებლობას, უკვე 1955 წელს მაქსიმალურ ოპტიმალურ დონესთან შედარებით სამრეწველო პროდუქციის გამოშვები ერთიორად და უფრო მეტად გააძლიერა.

მეორე მსოფლიო ომამდე სოციალისტური სისტემის წილი მსოფლიო სამრეწველო წარმოებაში შეადგენდა 7 პროცენტს, ამჟამად კი 30 პროცენტს შეადგენს.

პირველი ორი ხუთწლეულის განხორციელების შედეგად საბჭოთა კავშირი გადაიქცა მოწინავე ინდუსტრიულ სახელმწიფოდ და სამრეწველო წარმოების სავრთო მოცულობით უკვე მაშინ მეორე ადგილზე გამოვიდა მსოფლიოში. ამით შეიქმნა პირობები, რომლებმაც შესაძლებლობა მისცა პარტიის XVIII ყრილობას, 1939 წლის პარტიში, დავსახა ამოცანა — დავეწიოთ და გავუსწრებოთ ეკონომიურად ყველაზე უფრო განვითარებულ ქვეყნებს, ესე იგი ვავეწიოთ ერთ სულ მოსახლეზე სამრეწველო პროდუქციის წარმოების მხრივ.

საბჭოთა კავშირზე პიტლერული გერმანიის თავდასხმამ 10-11 წლით შეაფერხა ჩვენი ქვეყნის ძირითადი ეკონომიური ამოცანის გადაჭრა.

ოპტიმალური დონისაგან განსხვავებით, თავის ძირითად ეკონომიურ ამოცანას საბჭოთა კავშირი ამჟამად წყვეტს დაად ისტორიულ ეპოქაში, როცა უკვე ერთი სოციალისტური ქვეყანა კი არ ევლიბრება კაპიტალისტურ საწარმოს, არამედ მიმდინარეობს ორი მსოფლიო სისტემის — სოციალისტური და კაპიტალისტური სისტემების მშვილობიანი ეკონომიური შეჯიბრება.

სოციალისტური ბანაყის სუვერენული ქვეყნების ეკონომიურ ურთიერთობას საფუძვლად უდევს ურთიერთ მეგობრული თანამშრომლობა. ეს თანამშრომლობა განპირობებულია იმით, რომ ყველა სოციალისტური ქვეყანა მიიღეს სოციალიზმისა და კომუნისტური მშენებლობის გზით. ყველა ამ ქვეყანაში ხელისუფლების სათავეში დგას მუშათა კლასი, რომელსაც კავშირი აქვს გულხობასთან და რომელსაც ხელმძღვანელობს მარქსისტული პარტია.

სოციალისტური ბანაყის ქვეყნების თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება გამოიხატება სავრთო ინტერესებისათვის ეკონომიური რესურსებისა და საწარმოო სიმძლავრეების ყველაზე რაციონალური გამოყენებით, წარმოების სპეციალიზაციითა და კოორდინირებით, მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევებისა და მოწინავე საწარმოო გამოკვლევების გაცვლით და სხვ.

კაპიტალიზმთან ეკონომიურ შეჯიბრებაში საბჭოთა კავშირს, ისევე როგორც მთელ სოციალისტურ ბანაკს, უდიდესი უპირატესობა აქვს. გადაწყვეტი უპირატესობა ის არის, რომ მეურნეობის სოციალისტური სისტემა უზრუნველყოფს საწარმოო ძალების განვითარების, საზოგადოების ყველა მატერიალური საცემისა და სულიერი ფიზიკური ჯანმრთელობის, ნიჭისა და უნარის გაზრდის უფართოეს შესაძლებლობებს.

სოციალისტური ქვეყნების შემდგომი განმტკიცებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა მოავრობის 1956 წლის 30 ოქტომბრის დეკლარაციის საბჭოთა კავშირის და სხვა სოციალისტურ სახელმწიფოთა შორის მჭიდრობისა და თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცების საფუძვლების შესახებ. იგი ერთგულ კიდევ იდუბტურებს საბჭოთა კავშირის ურყევ ერთგულებას სოციალისტური სახელმწიფოების დიადი ერთიანობის, ერების თანაშრობის საერთო ინტერესებისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის მარქსისტულ-ლენინური პრინციპებისადმი.

პროლეტარული ინტერნაციონალიზმი სრულებითაც არ გამოირჩევა, არამედ პირქით, გულისხმობს კემმარტ პარტიოტიზმს — სამშობლოს სოყარულს, სიამაყეს მისი პროგრესული რევოლუციური ტრადიციებით, სიძულვილს მისი მჩაგვრელებისადმი.

ვ. ა. ლენინმა გააცამტვერა ბერყუაზიული ნაციონალიზტების მტკიცება, თითქოს მარქსისტუბი განურჩეულად ეყოლებიან საყუთარი ქვეყრის ბედს. თავის შესანიშნავ შრომაში: „ველიკორუსების ეროვნული სიამაყის შესახებ“ იგი წერდა: „უცხო თუ არა ჩვენთვის, ველიკორუსული შეგნებული პროლეტარიატისათვის, ეროვნული სიამაყის გრწმობა? რა თქმა უნდა, არა! ჩვენ გვიყვარს ჩვენი ენი და ჩვენი სამშობლო, ჩვენ უყვარზე მეტად ვმეშობთ იმისათვის, რომ მისი მშრომელი მასები (ვ. ა. მისახლეობის 9/10) ეყამაღლოთ დემოკრატებისა და სოციალისტების შეგნებულ ცხოვრებაში“ (მხ. ტ. 21, გვ. 111).

პირველი მსოფლიო ომის დროს ბოლშევიკები წარმატადგდნენ ერთად ერთ პარტიას, რომელიც პროლეტარული ინტერნაციონალიზმის და სოციალიზმის იდეების ბოლომდე ერთგული იყო. მენშევიკებისა და მეორე ინტერნაციონალის სხვა პარტიების ლოზუნგებს „სამოქალაქო მშვიდობისა“ და „სამშობლოს დაცვის“ შესახებ, ბოლშევიკებმა დაუპირისპირეს იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევის ლოზუნგი და იმპერიალისტურ ომში საყუთარი მთაყრობის დამარცხების პოლიტყა. ბოლშევიკებმა მემობა გააიღეს კემმარტად პროლეტარული, კომუნისტური ინტერნაციონალის შესაქმნელად.

ბოლშევიკების თანმიმდევრული და ბოლომდე რევოლუციური ინტერნაციონალიზმი წარმოადგენდა ნიშნს ყველა ქვეყნის მემშობნათვის კომუნისტური პარტია თავის ინტერნაციონალურ პოლიტყას აცავდა ბერყუაზიული ნაციონალიზმისა და მისი სახესგეობის ნაციონალური ნაღილიზმის წინააღმდეგ შეურაცგებულ ბრძოლაში, ნილიონზმის, რამეციც იმპერიალიზმის ებოქაში ერების თითქოს „მოძველების საბაბით უარყოფდა ერთი თეთაგამორკვევის უჭლებას.

ნამდვილი პარტიოტიზმის, სამშობლოსადმი უსახლერი სოყარულის კემმარტიც გამოვლინება იყო ჩვენი ქვეყნის მემობა ელსისა და მისი პარტიის გმირული ბრძოლა მრავალირიცხოვანი შინაური და გარეუე მტრების წინააღმდეგ.

თავის მსოფლიო ისტორიულ გამარჯვებებს საბჭოთა კავშირის ხალხები უმაღლიან მმს, რომ ისინი იბრძოდნენ და შრომობდნენ სოციალისტური ინტერნაციონალიზმის დროში. სამოქალაქო ომისა და უცხოეთის ინტერვენციის წლებში საბჭოთა რესპუბლიყა ვერ გატლებდა განსაიდელს მისი ყველა ერთ რომ არ შეყვმირებელიც მტრის წინააღმდეგ საბრძოლველიად.

საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიყათა კავშირში საბჭოთა ხალხების ვერთიანების გარეშე შეუძლებელი იყო სოციალიზმის აშენება და ქვეყნის თავდაციუსენარიაზობის განმტკიცება.

კომუნისტური პარტია ყოველთვის ეწეოდა და ეწევა შეურაცგებულ ბრძოლას დიდმყრობული რი შოეინიზმისა და ადგილობრივი ნაციონალიზმის წინააღმდეგ.

პარტიის ამ აღმზრდელობითა მემობამ შესანიშნავი ნაყოფი გამოიღო. მეორე მსოფლიო ომის წლებში საბჭოთა ადამიანებმა გამოვლინეს მიაღალი პარტიოტული სულისკვეთება და ბრწყინვალედ შეასრულეს თავიანი ინტერნაციონალური შოეულობა სხვა ქვეყნების მშრომელთა წინაშე. მით გმირულად დიციეეს მსოფლიოში პირველი სოციალისტური სამშობლო და სხვა ქვეყნების ხალხებს გადამყვეტი დამმარება გავრცედა ფამისტრუტ ტრიაინის უღლისაგან მათს განმთავისუფლებულ ბრძოლაში.

თი რის წერდა ამის გამო ცნობილი ამერიკელი ეტრნალისტი ანა სტრონგი:

„განა ჩვენ შეგვიძლია დიციეყყოთ 1940 წლის ევრობა, როყა პიტლურმა 11 დღის განმავლობაში გაანადგურა საფრანგეთის არმია, როყა ბერლიონში ამბობდნენ: „სექტემბერში ჩვენ ლონდონში ვიქნებით“.

„...მე შევეტრებდი იმას, რომ მთელ ევრობაში სასამყარეუთილობით შეყვრობილი ადამიანები წინასწარმეტყველებდნენ კიდევ ერთი შეასაყუენობრივი ებოქის დადგომას, რომელიც 1000 წელს გაგრძელდებოდა. „რკინის ქუსლის“ ძალების წინაშე მთელი მსოფლიოს ხალხების ხანგრძლივი უყანდახევა წითელმა არმიამ შეაჩერა“.

შეორე მსოფლიო ომის წლებში საფრანგეთის, ბელგიის, პოლანდიის, ჰოლანდიის, ჩეხოსლოვაკიისა და სხვა ქვეყნების მუშათა კლასი კომუნისტური პარტიების ხელმძღვანელობით ერთობლივად იბრძოდა ფაშისტთა ოკუპანტების წინააღმდეგ.

კომუნისტები, რომლებიც თავიანთი სამშობლოს ყველაზე ერთგული და მამაცო დამცველები არიან, თანამედროვე ეტაპზე სათავეში უდგანან ხალხთა ბრძოლას ეროვნული სუვერენიტეტისათვის, ამერიკის იმპერიალიზმის პოლიტიკური და ეკონომიური ექსპანსიის წინააღმდეგ.

დემოკრატიისა და სოციალიზმის საერთაშორისო ბანაკის ძალების სისტემატური განმტკიცება ცოცხალ ღვრის დასაღებად გაწეირულ კაპიტალიზმს. ომისშემდგომ პერიოდში შეერთებული შტატების სახით კაპიტალისტურ სამყაროში არსებობს რეაქციისა და აგრესიის ახალი ცენტრი, რომელიც მთელ მსოფლიოში საფრთხეს უქმნის მშვიდობის საქმეს, ხალხთა თავისუფლებასა და ეროვნული დამოუკიდებლობის საქმეს.

მშვიდობისმოყვარულმა ხალხებმა არაგად იყინან, რომ ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტები, რომლებმაც უძივე გაოსტლეს შეორე მსოფლიო ომში და გამდიდრდნენ ხალხების სისხლით, ეწვევიან გამოღებულ შეიარაღებას და ისახევენ მთელ მსოფლიოში თავიანთი შიკაროების დამყარების გაყურ გვეგუმებს. თანამედროვე ამერიკელმა მონათმფლობელებმა დაბაყრდნო წინეთის კენჭელი ტრაფანი და ცდილობენ კიდევ უფრო გააფართოონ აგრესიის მისშტაბები. ისინი აკოწიწებენ აგრესიულ ბოლშევის, სამხედრო ბანკს აგებენ საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიული ქვეყნების გარშემო, კწმინდ მრავალმილიონიან არმიებს, ამორტივლებს დასავლეთ გერმანიისა და იაპონიის რემილიტარიზაციას, აღვივებენ ატომურ ფსიქოზს. შეერთებული შტატების სახელმწიფო ბიუჯეტის 80 პროცენტზე მეტი ხაზხედრო მიზნებისათვის იხარჯება.

ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების აგრესიულ გეგმებში განსაკუთრებული ადგილი უკავია ძირკამომხიერელ მუშაობას სამჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ. ამიტომ ისინი აფართოებენ ჯანსიერებისა და დივიდენდების მისამზადებელი სკოლების რიცხვს. ამავე მიზნით თავიანთ სამსახურში ჩაიციხეს პიტლერული და იაპონელი მწვერკავები, თავმესაფარი მისცეს სამხედრო დამანაშავეებსა და სამშობლოს მოღალატეებს, რომლებიც თავიანთი ქვეყნიებად გაიქცნენ. იმპერიალისტურა რეაქცია ფართოდ იყენებს ვატიკანის აგენტებს და მუშათა კლასის უბოროტეს შტატებს — მემარჯვენე სოციალისტებს.

ამიტომ საბჭოთა კავშირის ხალხების, ისე როგორც მთელ მსოფლიოს მშრომლების, ერთობლი ბრძოლა იმპერიალისტური და ინტერნაცი-

ონალური იმოცინა ომის თავიდან აცილება, იმპერიალისტური ბერყუაზიის აგრესიული წრეების მხოლეუბა და იზოლაცია. შტატებს მშვიდობისათვის ბრძოლა ახლა, როგორც არასდროს მკიდროდ უკავშირდება მშრომელთა ბრძოლას მათი სასიოცებო ინტერესებისათვის, თავისუფლებასა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, სოციალური პროგრესისათვის. ამ ბრძოლის წარმატება პირველყოვლისა დამოკიდებულია მთელი მსოფლიოს მუშათა კლასის, მშრომელთა ინტერნაციონალურ დარაზმელობაზე, შეგნებულობასა და ორგანიზებულობაზე, მათს აქტიურ მხარდაჭერაზე სოციალისტური ქვეყნებისადმი, რომლებიც მშვიდობისმოყვარული ანტიიმპერიალისტური ძალების ავანგარდში დგანან.

საერთაშორისო იმპერიალისტური რეაქცია შეეცადა დამეზო სახალხო დემოკრატიული წყობილება უნგრეთში და დავყარებინა იქ აშკარა ფაშისტური დიქტატურა. ეს შეგნელი ზრახვები რომ განხორციელებულიყო, შეტად სერიოზული მდგომარეობა შეიქმნებოდა ვეროპაში, აშკარა გახდებოდა მესამე მსოფლიო ომის საფრთხე.

მაგრამ უნგრეთის სოციალისტურმა ძალებმა მამაცურად გადაუღობეს გზა ფაშისტური ბრძოლებს, შექმნეს რევოლუციური მუშერ-გლეზერი მთავრობა, რომელმაც მოუწოდა უნგრეთის ხალხს დარაზმეულიყო სახალხო დემოკრატიული წყობილების მონაპოვრის დასაცავად და კონტრრევოლუციურ მემამზოთა ასალავიავდა.

საბჭოთა კავშირმა და მისმა მამაცმა შეიარაღებულმა ძალებმა ბრწყინვალედ შესასრულეს თავისი ინტერნაციონალური მოვალეობა — უნგრეთის მთავრობის თხოვნით და არსებული ხელშეკრულებისა და საერთაშორისო სამართლის სრული შესაბამისობით დაემხარნენ უნგრეთის ხალხს კონტრრევოლუციის განადგურებაში.

მსოფლიო რეაქცია იმედოვნებდა, რომ მის მიერ უნგრეთში განაღებელი ტრაგედია არა მარტო ჩამოაკილებდა უნგრეთს სოციალისტური ხალხების ოჯახს, არამედ ჩაფუშავდა მათს ერთიანობასაც. მაგრამ სოციალიზმის შტრებს იმედო აშკარადაც გაუტრუვდათ. სოციალისტური ქვეყნების მიერ უნგრეთისადმი გაწეული შტერიალური დახმარება ინტერნაციონალური სოლიდარობის მკათიო გამოვლინებაა.

უკანასკნელ ხანებში კომუნისტები ზშირად იგონებენ გერმანიის მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღაწის აგუსტ ბებელის სიტყვებს იმის შესახებ, რომ, როცა შტერი გაქვებს, საქონრო დაუფიქრებ, თუ რა შეუღობა დიუშვი.

ამისთან დავამიერებით არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ყველა ქვეყნის იმპერიალისტები დიდად ვახანარა იუგოსლავიის რესპუბლიკის პრეზიდენტის ტიტოს მიერ ამას წინათ წარმოთქმულმა სიტყვამ, რომელშიც გატარებული იყო აზრო საბჭოთა კავშირისა და მისი კომუნისტურ-

რომ პარტიისაგან სოციალისტური ქვეყნების „დამოუკიდებლობის“ შესახებ.

იმპერიალისტური პროპაგანდა ხობტას ასახვას რაღაც „ეროვნული კომუნისმის“ იფერსილადებას, რომელიც უპაიასპირებს საბჭოთა კავშირსა და სხვა ქვეყნების კომუნისტური პარტიების მარქსისტულ-ლენინურ მსოფლმშვედებლობას.

ეგრეთწოდებული „ეროვნული კომუნისმის“ ქება-დიდება იმპერიალისტებს იმისათვის სჭირდებათ, რომ ლახარი ჩასცენ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეოლოგიას, ჩაფუშონ სოციალისტური ბანაკის ქვეყნების მშერი კავშირითიერთობა, გათიშონ ისინი და ამით გზა გაუსწანნა შინაურ და უცხოურ კონტრარევილუციას. ამას გარდა „ეროვნული კომუნისმის პროპაგანდა მიმართულია დასავლეთის ქვეყნების კომუნისტური პარტიების წინააღმდეგ სისბრძნულად, პარტიებისა, რომლებიც მტკიცედ დგანან პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პოზიციებზე. იმპერიალისტება დიდი ხანია ამ პარტიებს უწოდებენ „მოსკოვის აგენტებს“, რათა სახელი გაეტეხონ მათ და შეასუსტონ მათი მზარდი გავლენა მშრომელ მსახურზე.

სამწუხაროდ, იფერსილადების გაზიზღობები ზოგიერთი ქვეყნის კომუნისტური პარტიისა და მისი ხელმძღვანელობის მიმართ ობიექტურად ხელს უწყობს იმპერიალისტებს ამ ძირგამომთხრელ შემთხვევაში.

თეტი იმპერიალისტებიც კი არ მიაღწევენ, რომ „ეროვნული კომუნისმი“ ფიქცია მათ სჭირდებათ სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ ძირგამომთხრელი, კონტრარევილუციური მოქმედებისათვის.

იფერსილადების კომუნისტების კავშირისა და მთავრობის ხელმძღვანელობის ასეთი, რბილი რომ ვთქვათ, უცნაური პოზიციის გამართლება არას გზით არ შეიძლება სოციალიზმში გადასვლის სხვადასხვა ფორმების თეზისით. ეს ფორმები არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ შეიცვალს პროლეტარიატის დიქტატურის არსა, რომლის ნიშნში მოგვცა დიდი ოქტომბრის რევილუციის ცეცხლში შობილმა საბჭოთა ქვეყანამ.



საბჭოთა პარტიოტობა, რომელიც წარმოადგენს სოციალისტური ერების ნაციონალური ტრადიციებისა და საბჭოთა კავშირის ხალხების საერთო ინტერესების შერწყმას, იღვრად ეთანაბრება ინტერნაციონალიზმს. სოციალისტური პარტიოტობისა და ინტერნაციონალიზმის ორგანული კავშირი სოციალისტური ერების მშერი ურთიერთობის განმტკიცების იდეური საფუძველია.

საბჭოთა წყობილებამ ჩვენს ქვეყანაში სამე-

დიდოდ მოსპო ეროვნული ზავება. მან წარმოქმნა ახალი, სოციალისტური ერები და მშრუნეველნი მათი სამეურნეო-კულტურული განვითარება. კომუნისტური პარტიის ბრძნული ეროვნული პოლიტიკის შედეგით ჩვენი ქვეყნის ყველა ერმა მოიპოვა არა მარტო უფლებბრები, არამედ აგრეთვე ფაქტიური თანასწორობა.

საბჭოთა სოციალისტური ერები ძირეულად განსხვავდებიან ბურჟუაზიული ერებისაგან, რავორც კლასობრივი შემადგენლობით, ისე თავიანთი მორალურ-პოლიტიკური სულისცეცებით. თე ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში ადვილი აქვს სხვა ერებისადმი უნდობლობასა და სიძულვილს, ჩვენში გაბატონებულია ინტერნაციონალიზმის, ხალხთა მშერი თანამშრომლობისა და ურდევები მეგობრობის იდეოლოგია. ესაა სოციალისტური ერების წარმატებათა და მთელი მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების წყარო.

საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის მავალითი მკაფიოდ გზედვით, თე რა ძალა აქვს ხალხთა ურდევები მეგობრობას, რომელიც ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების შედეგია.

საქართველო მრავალეროვანი რესპუბლიკაა. ქართველებთან ერთად აქ ერთიან მშერი ოჯახში ცხოვრობენ და თავდადებულად შრომობენ რუსები, სომხები, აზერბაიჯანელები, იფხაზები, ისები და სხვა ხალხები.

ქართველმა ხალხმა კარგად იცის, რომ იგი სოციალური და ეროვნული ზავებისაგან სამედამოდ გაათავისუფლა მშროლო დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევილუციამ.

ლენინებმა ეროვნულმა პოლიტიკამ, ყოფილ განაპირა მხარეებსა და ცენტრალურ რუსეთის შორის ფაქტიური უთანასწორობის მოსპობის ღონისძიებებმა და ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის შესახებ პარტიის გადაწყვეტილებათა წარმატებით რეალიზაციამ ხელე შეუწყვეს საქართველოს სახალხო მეურნეობისა და კულტურის უმავალითი ზრდის. იმ უდიდესი მშრუნეველობით, რომელიც ჩვენს რესპუბლიკას, ისევე როგორც ყველა საბჭოთა რესპუბლიკას, უწყვენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საკავშირო მთავრობა. ყველა საბჭოთა ერთან მშერი თანამშრომლობით, რუსეთის ფედერაციის შემთხვა კლასისა და სსრ კავშირის სხვა ხალხების უდიდესი დახმარებით საქართველო ჩამორჩენილი, აგრარული ქვეყნიდან გადაიქცა მსხვილ ინდუსტრიულ და განვითარებული სოფლის მეურნეობის რესპუბლიკად.

საქართველოს მრეწველობამ უკვე 1926 წელს გადაჭარბა წარმოების ობიექტულ ღონეს. საქართველოს სამეურნეო მშენებლობის დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს მძიმე ინდუსტრიის — შავი მეტალურგიის, ქვანახშირის მრე-

წყობის, მსხვილი პიდროფენერგომშენებლობის მძლავრი განვითარება.

ამჟამად საქართველოს მრეწველობა უწყვეტს კოქსს, თუჯს, ფოლადს, ნავლინს, მილბებს, რბილ ხარხინებს, ავტომობილებს, ექსკავატორებს, ჯიპორს სასუქებს; საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მეტალურგიულ მრეწველობას იგი ამარაგებს მარგანიცით და ფეროშენაღობით. რესპუბლიკის ეკონომიკაში მძიმე მრეწველობის ხედვითი წონა 1928 წლის 23,2 პროცენტთან 1950 წლისათვის გაიზარდა 45,7 პროცენტამდე, ხოლო მრეწველობის საერთო პროდუქცია 1913 წლის დონესთან შედარებით 1955 წლისათვის 27-ჯერ გაზარდა. არა მარტო საქართველოს შრომელები, არამედ მთელი საბჭოთა ხალხი ამყარებს მრეწველობის ასეთი ვიზიონით, როგორც არის სტალინის სიტყვების რესთავის მეტალურგიული ქარხანა.

რესპუბლიკის სიახვეა ოპისშემდგომ ხეივანეში აშენებული მეორე გიგანტი — ქუთაისის საავტომობილო ქარხანა. საბჭოთა ხეივანეების წლებში აშენდა რამდენიმე ასეთი მსხვილი ქარხანა და ფაბრიკა, შეიქმნა მრეწველობის ახალი კერები, თბილისის შემდეგ შერთა სამრეწველო ცენტრი გახდა ქუთაისი.

ბუნებას საქართველო წყლის ენერჯის უმდიდრესი რესურსებით დაუჯილდოვებია. მაგრამ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე არ იყო რამდენიმე განვითარებული ენერჯეტული მეურნეობა. საბჭოთა ხელისუფლებამ კი აიყვანა რამდენიმე მძლავრი პირობა და თბოელექტროსადგური. რამდენიმე ათეულჯერ გაიზარდა ელექტროენერჯის გამოშვება და მოხმარება. დამახასიათებელია, რომ მარტო რაონის პიდროელექტროსადგურის სიმძლავრე 1913 წელს მოშუშვე ყველა ელექტროსადგურის სიმძლავრეზე რამდენჯერმე მეტია.

შრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მიერ დასახული ღონისძიებების განხორციელების შედეგად, მძიმე მრეწველობის ფართოდ განვითარების საფუძველზე საქართველოში შეიქმნა და განვითარდა მძლავრი მსუბუქი, საფეიქრო და კვების მრეწველობა. წლითწლით იზრდება საერთო პროდუქციის გამოშვება ფართო მოხმარების საქონლის სფეროების მიერ.

სავალმურნეო წყობილების გამარჯვების, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის, მისი კულტურის ზრდის შედეგად საქართველოს სოფელში დამკვიდრდა ახალი, სოციალისტური ცხოვრება. ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურისათვის ფართობი საქართველოში 1913 წლის 748 ათასი ჰექტარიდან 1955 წლისათვის გაიზარდა 951 ათას ჰექტარამდე. ქართველმა გლე-

ხობამ დიდი ხანა შეიგნო საკომლმურნეო წყობილების უდიდესი უპირატესობა ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობასთან შედარებით და სამუდამოდ დადგა საკომლმურნეო წყობილების გზას. ამჟამად საქართველოში არის 2.100 კომლმურნეობა.

კვების პროდუქტებით კვების მოსახლეობის მომარაგების საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს 101 საბჭოთა მეურნეობას.

სოფლის მეურნეობის ისეთი ძვირფასი დარგების განვითარებას, როგორც არის მწვენილობა, მენიციობა, მებაღეობა, მეთამბაქობა დღემდე შეუწყო ხელი მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ფართო ქსელის შექმნამ. 1955 წელს რესპუბლიკაში იყო 103 მანქანა-ტრაქტორთა სადგური, რომლებსაც ჰქონდათ 7.300-ზე მეტი ტრაქტორი (15 ძალიანზე გადაყვანილი), 1000-მდე კომბაინი და მრავალი სხვა თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო მანქანა.

მეცნიერ რესპუბლიკაში დიდი ყურადღება ექცევა ძვირფასი ტექნიკური კულტურების განვითარებას. 1956 წელს ჩაის პლანტაციები 66 ათას ჰექტარზე იყო გადაჭიმული, ნაცვალ 894 ჰექტარისა 1913 წელს. ჩაის საერთო მოსავალი 1955 წელს თითქმის 118 ათასი ტონა შეადგინა, ნაცვალ 1913 წელს მოყვანილი 530 ტონისა.

1928 წელს ვენახის ფართობი არ აღწევდა 35.400 ჰექტარს. 1956 წლისათვის კი იგი 57 ათას ჰექტარამდე გაიზარდა. ფართოდ ვითარდება აგრეთვე კიტრების, ხილის, თამბაქოს, შაქრის ქარხლის, მწვანეხორბლის, ეთერზეთოვანი კულტურების წარმოება.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეშვეობით დიდ მუშაობას ეწევიან მეცხოველეობის მშენებლობის განვითარებისა და, განსაკუთრებით, მისი პროდუქტულობის აღმავლობის საქმეში.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში დიდი მუშაობა ჩატარდა დაქოპებული მიწების ამოსაქმრებად. ამოშრობილია თითქმის 100 ათასი ჰექტარი დაქოპებული მიწა, რომელზეც გაშენებულია მეტად ძვირფასი სასოფლო-სამეურნეო კულტურები.

სახალხო მეურნეობის ზრდის საფუძველზე განებრებულად მიღდება შრომელთა მატერიალური კეთილდღეობა, იზრდება მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასი, გაშლილი ფრონტი წარმოებს სახიზარო, კომუნალური და კულტურული მშენებლობა.

მაგრამ კომუნისტური პარტია გვასწავლის არასოდეს არ დავიკავიფილდეთ მიღწეულით. პარტია მოგვიწოდებს ვაგებდეთ და გაიდგოთ ვამხილოთ და გამოვასწოროთ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები, დაუნდობლად ევბრძოლოთ მედიდობას, პარადულ ხეიურს. ქვემოლან კრიტიკაში პარტია ხელდას მსხების შემო-

ქმედებითი თაოსნობის გამოვლენებს, ზრუნვას საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცებისათვის. ნაცლოვანებების გამოვლენება და დაძლევა იმას ნიშნავს, რომ ავამოქმედოთ ჩვენი სახალხო მეურნეობის წიაღში მიმალული უდიდესი რესურსები და ამით უფრო წინ წაწვიოთ სახალხო მეურნეობის ყველა დარგი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო ქვეყნის ეროვნული და კულტურული აყვავების ეპოქა. კომუნისტურმა პარტიამ, საბჭოთა ხელისუფლებამ განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები შექმნეს სახალხო განათლების, მეცნიერების, ხელოვნების, ლიტერატურის განვითარებისათვის. შემოღებულ იქნა ყველა საგნის სავალდებულო სწავლება შრომობილიერ ენაზე — დაწყებითი სკოლიდან უმაღლეს სკოლამდე. უკვე 1933 წელს, საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მეოთხეტი წელს, საქართველოში მიღწილად იყო განხორციელებული სავალდებულო სავალდებულო სწავლება დაწყებითი სკოლის პოეტობით. ომის წლის შემდეგ ბავშვების უმრავლესობა სწავლობდა შეიღწილიან სკოლაში, ხოლო 1941 წელს, დიდი სამამულო ომის დაწყების წინ, ქალაქებში და ქალაქის ტიპის დასახლებულ პუნქტებში შეიღწილიან სკოლის ოთქმის ყველა კურსდამთავრებული სწავლობდა სამშალო სკოლებში ან სპეციალურ სამშალო სასწავლებლებში.

სოციალისტურ მრეწველობას და სოფლის მეურნეობას დიდ დამხარებას უწევდა სამშალო კვალიფიკაციის კადრები, რომლებსაც ათასობით ამზადებენ სხვადასხვა ტექნიკუმები და სამშალო სასწავლებლები. 1955-56 სასწავლო წელს საქართველოს სსრ რესპუბლიკაში ითვლებოდა 105 ტექნიკუმი და სხვა სახის სპეციალური სამშალო სასწავლებელი, რომლებშიც სწავლობდა 30.148 კაცი.

1914 წელს საქართველოში იყო სულ 48 სახელმწიფო სამშალო სკოლა, 1955-54 წელს მართო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების რაოდენობა 4205 უღრის. საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო განათლების დარგში ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს. ყოველ ათას სულ მოსახლეზე სამშალო სკოლის უფროს კლასებში სწავლობს 22 კაცი.

სკოლების ქსელის სიხშირით და მოსწავლეთა რაოდენობით ათასწულ მოსახლეზე საქართველომ გასწორი ამერიკის შეერთებულ შტატებს, ინგლისს, საფრანგეთს.

სავაჭრობოდ მისაწვდომი და მისობრივი გახდა უმაღლესი განათლება. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე უმაღლეს სკოლაში მხოლოდ 300 კაცი სწავლობდა. ამჟამად კი რესპუბლიკის 19 უმაღლესი სასწავლებელში 38 ათასი სტუდენტი სწავლობს.

7. „მნაიბი“, № 3.

1941 წელს საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის მეცნიერებთა აკადემიის გახსნასთან დაკავშირებითი ეტაპი იყო საქართველოში მეცნიერების განვითარებისა და სამეცნიერო კადრების მომზადების საქმეში. მეცნიერებთა აკადემია გადაიჭრა დიდ სამეცნიერო დაწესებულებად, რომლის საქმიანობა ხელს უწყობს რესპუბლიკაში სამეცნიერო და კულტურულ მშენებლობას, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საბჭოთა მეცნიერების საერთო საგანძურში.

1955 წლისათვის საქართველოში ითვლებოდა 357 მეცნიერებთა დოქტორი და 2556 მეცნიერებთა კანდიდატი.

სულ უფრო ფართოვდება საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერული და კულტურული ურთიერთობა ჩვენი ქვეყნის ყველა რესპუბლიკასთან, პირველ რიგში კი რუსეთის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკასთან, რომელთანაც ქართველი ხალხი დაკავშირებულია მრავალსაუკუნოვანი ურღვევი შეგობობით.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ახალი ეპოქა დაიწყო მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის ისტორიაში. ქართული ლიტერატურა, რომელიც მრავალეროვანი სოციალისტური კულტურის შემადგენელი ნაწილი გახდა, მტკიცედ დააფუძნა ნამდვილი აღორძინებისა და გაფორმების გზას.

მსოფლიოში ყველაზე მოწინავე საბჭოთა კულტურაში ღირსეული ადგილი უჭირავს ქართულ ხელოვნებას, — თეატრს, კინოს, მუსიკას, ფერწერას, ხალხურ შემოქმედებას, არქიტექტურას. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა კიდევ უფრო აამაღლა საქართველოს კულტურის მემკვიდრეობის შენარჩუნების მიზანმიმართული აქტივობა, მალაქსატურული ნაწარმოებების შექმნისათვის აღაფრთოვანა ისინი.

პარტიის XX ყრილობამ აღნიშნა, რომ იდეოლოგიური მუშაობა პარტიის პირველხარისხოვანი მოვალეობაა და ამ მუშაობის შეუფასებლობამ შეიძლება გამოიწვიოს უზარმაზარი მთავრობის პარტიისა და სახელმწიფოს ინტერესებს.

პარტიის იდეოლოგიურმა მუშაობამ მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს კაბიტალიზმის ნიშობებისაგან, ძველი საზოგადოების ცრუმშენათი და მავნე ტრადიციათაგან აღამიანთა შეგნების გაწმენდაში. კვლავაც უნდა განვითაროთ მასებში საზოგადოებრივი მოვალეობის მაღალი შეგნება, სრულყოფილი საბჭოთა აღამიანების საუკეთესო თვისებანი — რწმენა ჩვენი საქმის გამარჯვებისათვის, მზადყოფნა და უნარი გადალახონ ყველა სიძინელი.

მედომე უნდა გვახსოვდეს დიდი ლენინის სიტყვები იმის შესახებ რომ სოციალისტური იდეოლოგიის გავლენის ყოველგვარი შესუსტება ნიშნავს ბურჟუაზიული იდეოლოგიის გავლენის გაძლიერებას.

რევოლუციური პოლიტიკური სიღვივებულე ფორმის იყო, არის და იქნება ჩვენი პარტიის ძლიერი იარაღი კომუნისტებისათვის ბრძოლაში.

არ უნდა დაევიწყოთ, რომ ცალკეული საბჭოთა ადამიანების შეგნებიდან გერ კიდევ საბოლოოდ არ არის აღმოფხვრილი კაპიტალიზმის, კერძოდ ნაციონალიზმის გადმონაშთები. ამიტომ კომუნისტური პარტია შეურაცხებელ ბრძოლას აწარმოებს ბურჟუაზიული ნაციონალიზმის — ერთი ერის მეორისადმი დაპირისპირების, ერთ-ერთი განსაკუთრებული ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ. ამასთან კომუნისტური პარტია განუხრავლად ხელმძღვანელობს გ. ო. ლენინის ბრძნული მითითებით იმის შესახებ, რომ „მხოლოდ უდიდესი უზრაველების გამაგნა სხვადასხვა ერის ინტერესებისადმი სპობს ნადავს კონფლიქტებისათვის, სპობს ურთიერთ უნდობლობას“ (თხზ., ტ. 33, გვ. 456).

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ დასაბა უმნიშვნელოვანესი ღონისძიებანი საბჭოთა ხალხის ურდვევი მეგობრობის შემდგომი განმტკიცებისათვის. პარტია იყრდნობოდა და იყრდნობა ლენინურ დებულებას, რომ სოციალიზმი არათუ არ სპობს ეროვნულ განსხვავებებსა და თავისებურებებს, არამედ, პირიქით, უზრუნველყოფს ყველა ერისა და ეროვნების ეკონომიკისა და კულტურის ყოველმხრივ განვითარება-აყვავებებს.

ყრილობის დირექტივებით სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მექვეს ხელწლანი გვემის შესახებ დასახულია ღონისძიებანი, რომლებიც თვალისწინებენ ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ აღმავლობას, რესპუბლიკების სუვერენიტეტის განმტკიცებას, ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოების უფლებათა გაფართოებას. ამ ღონისძიებათა განხორციელება ხელს შეწყობს ადგილებზე შემოქმედებითი აქტივო-

ბისა და ინიციატივის შემდგომ აღმავლობას, მსების კიდევ უფრო ფართო მონაწილეობის სახელმწიფოს მართვაში, მთელ მის ორგანიზატორულ-სამეურნეო საქმიანობაში.

კომუნისში არის კანონიერი შემყვიდრე ყოველივე საუკეთესოსი, რაც კი კაცობრიობამ მოიპოვა გავლილ ისტორიულ მანძილზე. კომუნისმის შემენებლებმა თავიანთი თავი უნდა გამაღვიდრონ ყველა ამ სიმდიდრის ცოდნით, რაც კაცობრიობამ დააგროვა. ამიტომ კომუნისტური პარტია გადაჭრით იბრძვის ეროვნული კარნავეტრობის ყოველგვარი გამოვლინებისა და ყოფობის წინააღმდეგ, იგი მოგვიწოდებს შევისწავლოთ და გამოვიყენოთ ყველა ქვეყნისა და ხალხის დადებითი გამოცდილება. ნამდვილი საბჭოთა პარტიოტა, რომელაც თავისი სოციალისტური სამშობლო უყვარს და კანონიერად იმავებს ჩვენი ხალხის მსოფლიო ისტორიული მონაპოვროთ, მონურად არ უნდა მოხაზდოს ქვედა ყოველგვარი უცხოურის წინაშე. ამავე დროს იგი არ უნდა ჩაიკეტოს თავის საკუთარ ნაქუქში და ხელალებით არ უარყოს ყოველივე უცხოური.

იმპერიალიზმის მსახურნი გაყვიან, რომ საბჭოთა ადამიანებს ინტერნაციონალიზმი თითქოს იმისათვის სურთ, რომ ჩაერიოს სხვა ქვეყნების შინაურ საქმეებში და იძულებით მოახვიონ მათ თავს სოციალისტური წყობილებაო. მაგრამ ცხოვრება მწარედ დასცინის იმათ, ვინც ასე უბადურვად მსჯელობს. სოციალისტური რევოლუცია ექსპორტით როდი ხდება, არამედ იგი კაპიტალისტურ ქვეყნებში შედგება მოსდევს შინაგან კლასობრივ წინააღმდეგობებს. მისი ნამდვილი მიზნია ბურჟუაზიის მიერ მემათა კლასისა და მშრომელთა სხვა ფენების უღობიერი ჩაგვრა. რევოლუცია იმ წინააღმდეგობათა შედეგია, რომლებიც ახალ საწარმოო ძალებსა და ძველ, დროშოქმულ საწარმოო ურთიერთობას შორის წარმოიშობა და მათ ახასიათებს.

ა. მახვილობაძე



თებერვლის რევოლუცია

1917 წლის 12 მარტს (27 თებერვალს) რუსეთში გაიმარჯვა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ, რომლის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა, პირველ ყოვლისა, ის არის, რომ მან დაამხო მეფის თეოკრატიული მონარქია.

თებერვლის რევოლუცია უმნიშვნელოვანესი ისტორიული ეტაპი იყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გზაზე.

რევოლუციამ გაიმარჯვა იმიტომ, რომ მასში გადამწყვეტი როლი შეასრულა მეშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა მილიონიანმა მასებმა, რომლებსაც ხელმძღვანელობდა ლენინის მიერ შექმნილი და ბრძოლებში გამობრძმებული კომუნისტური პარტია. თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ჰეგემონი იყო მეშათა კლასი. რევოლუცია პროლეტარიატმა მოახდინა, — წერდა ვ. ი. ლენინი, — მან გამოიწინა გმირობა, სისხლს ღვრიდა; მან გაიყოლა მშრამული და უღარაბესი მოსახლეობის უღარესად ფართო მასები“.

XX საუკუნის დამლევს რუსეთი წარმოადგენდა იმპერიალიზმის ყველა წინააღმდეგობის სიკვანძო პუნქტს. მძლავრგანეითარებული კაპიტალისტური ქვეყნებისაგან განსხვავებით რუსეთის მეშათა კლასი განიცდიდა ორმაგ ჩაგრვას: კაპიტალიზმის განვითარებით და მისი არასაკმარისი განვითარებითაც — ბატონყმური გადმონაშთების არსებობის გამო. გლეხები განიცდიდნენ ნახევრადფეოდალურ და კაპიტალისტურ ექსპლუატაციას. ცარიზმი ჯალათურად ეპყრობოდა არარუს ერთი მშრომელს, რომლებსაც ჩაგრავდა როგორც გაბატონებული ერის, ისე თავისი ტოვანული ბურჟუაზია ძველი, ფეოდალური ტიპის წინააღმდეგობებს ემართებოდა თანამედროვე ფინანსური კაპიტალის წინააღმდეგობებში. კაპიტალის ყოვლისმძლეობა უერთდებოდა ცარიზმის დესპოტიზმს. ი. ბ. სტალინი აღნიშნავდა, რომ ცარიზმი იყო იმპერიალიზმის ყველაზე უფრო უარყოფითი, კვადრატში აყვანილი თვისებების თავმოყრა. ამან გამოიწვია ის, რომ რუსეთი იყო ყველაზე უფრო სუსტი რგოლი მსოფლიო იმპერიალიზმის ჯაჭვში. რუსეთში სხვა რომელიმე ქვეყანაზე უფრო აწვრილობდა რევოლუციის ტალღა.

ხალხის შეღმევი მღელვარება, პროლეტარიატის მზარდი რევოლუციური მოძრაობა ძირს უთხრიდა დაბნელებულ მეფურ წესწყობილებას.

თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სწრაფი გამარჯვება მოაშინადა 1905 — 1907 წლების რუსეთის პირველმა რევოლუციამ. „თუ არა სამი წლის უდიდესი კლასობრივი ბრძოლები და რუსეთის პროლეტარიატის 1905 — 1907 წლების რევოლუციური ენერჯია, — აღნიშნავდა ლენინი, — ისე შეუძლებელი იქნებოდა ესოდენ სწრაფი შეიარე რევოლუცია, სწრაფი იმ აზრით, რომ მისი დაწყებითი ეტაპი რამდენიმე დღეში დაითავრდა“.

რევოლუციის სწრაფად განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ იგი დაიწყო იმპერიალისტური ომის დროს.

ცარიზმის წინააღმდეგ ხალხთა მასების რევოლუციური მოძრაობის აღვივება და ამწყვეტება მეფის არმიის დამარცხებები ფრანტზე და სახალხო მებრუნობის ზრევა ზურგში. ომმა იმსხვერპლა მილიონობით ადამიანთა სიცოცხლე. დიდ გაჭირვებასა და ტანჯვას განიცდიდნენ მეშები და გლეხები. ფაბრიკები და ქარხნები ჩერდებოდა. ომის გამო, რომ ჯანსაღი შემსხველი წაყვანილი იყო არმიამ, შემცირდა მარცვლულის ნათესი. მოსახლეობა და ჯარისკაცები შიმშილობდნენ, ხოლო ბურჟუაზია და შემამწყოლები ომის საშუალებით მდიდრდებოდნენ. ომის წლებში მეშათა მოძრაობა განუწყვეტლივ იზრდებოდა და ბოლშევიკების ხელმძღვანელობით მკვეთრად გამოცვეთილ პოლიტიკურ ხასიათს რღებდა. 1916 წელს ვაფი-ცულთა რიცხვმა 1 მილიონს გადააჭარბა.

მეშათა მოძრაობამ თან მოჰყვა გლეხთა მღელვარება. მარტო 1916 წელს ადგილი ჰქონდა გლეხთა გამოსვლების 62 შემთხვევას, ჯანყდებოდნენ რუსეთის ვანაპირა მხარეების ჩაგრული ერები. ბოლშევიკების რევოლუციურმა მეშობამ, მეშების და გლეხების მასობრივმა რევოლუციურმა გამოსვლებმა შექმნეს სამხედრო ორგანიზაციები, რომლებმაც ფართოდ გაიანდეს რევოლუციური მეშობა.

თეოკრატიული მონარქიის სავარეო და საშინო პოლიტიკა, ცარიზმის უუნარობა — ეწარმოებინა წარმატებით ომი აბრახებდა რუსეთის იმპერიალისტურ ბურჟუაზიასაც. ბურჟუაზია იმითაც იყო შემოთავებული, რომ რასბუტინის მსგავსი არამხედვენი, რომლებიც დიდი ვაგუნით სარგებლობდნენ მეფის მთავრობაში, ახადებ-

დნენ სუპრატული ზავის დადებას გერმანიასთან. ასეთი ზავის დადებით ინგლისი და საფრანგეთი დაკარგავდნენ მოკავშირეს, რომელიც თავის ფორანტებზე აბანდებდა მოწინააღმდეგის დიდ ძალებს. რუსეთის ბურჟუაზიამ ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობების მხარდაჭერით გადაწყვიტა მიხედონ სასახლის ვალდებულება — უნიჭო მინარქი ნიკოლოზ II შეეცალა მისი შვილით ალექსით, რომლის სრულწლოვანებამდე რეგენტად ე. ი. ფაქტობურ ხელმწიფედ დაეყენებინა მეფის ძმა, ბურჟუაზიასთან დაკავშირებული მხელე რომანოვი.

ამ შეთქმულების წინადატორებს უნდოდათ ნიკოლოზ II შეეპყროთ ფრანტზე წისვლის, ან პეტროგრადში ყოფნის დროს, აქძულებინათ იგი სამეფო ტახტიდან გადამდგარიყო, ძალაუფლება გადაეცათ მიხეილისათვის და ამით შეენარჩუნებინათ თვითმპყრობელობა. 1917 წლის თებერვალში გენერალი კრიშოვი ოფიცრებითურთ სპეციალურად გაემგზავრა პეტროგრადში გადატრიალების განსახორციელებლად. შეთქმულებაში ჩაბმულ იქნენ აგრეთვე გვირგვინის ოფიცრები პეტროგრადში. შეთქმულების გეგმა შემუშავდა სათათბიროს წინამძღვრებულთა მონაწილეობით და იგი ცნობილი იყო ინგლისისა და საფრანგეთის ელჩებისათვის. გადატრიალების ძირითადი მიზანი იყო არა ამის შეწყვეტა, არამედ რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლა. მეფის ხროვა თავის მხრივ ცდილობდა ერთი დარტყმით გაენადვურებინა რევოლუცია; მას ვანზარხელი ჰქონდა ყველა ბურჟუაზიული ორგანიზაციის დაშლა, სახელმწიფო სათათბიროს ვარკვევა, დარაკ მთავარი, მუშათა კვარტალებისა და ბოლშევიკური პარტიის ორგანიზაციების დაშლა.

ასე მზადდებოდა ორი შეთქმულება, რომელთა ძირითადი მიზანი იყო რევოლუციის თავიდან აცილება. მაგრამ ვიდრე ბურჟუაზია და თვითმპყრობელობა ერთმანეთს ხადანეს უგებდნენ, მათ წინააღმდეგ ბრძოლის სარბიულად გამოვიდნენ მუშები და გლეხები, რომლებმაც იერიში მიიტანეს როგორც ბურჟუაზიაზე, ისე ცარიზმზე.

1917 წლის დასაწყისში ვანსაკუთრებულ ძალით გააიღდა საგაფიცო მოპარობა.

„საყოველთაო გაფიცვის იდეა, — წერდა თავის მოხსენებაში მეგრადის პოლიცია, — დღით დღე იძენს ახალ მომხრეებს და ხდება პოპულარული, როგორც იგი 1905 წელს იყო“. 1917 წლის 18 თებერვალს დაიწყო პეტროგრადის ქაბანის მუშების გაფიცვა პეტროგრადში. ამავე დროს ქალაქში მოსახლეობის დიდი მღელვარება იყო სურსათის ნაკლებობის გამო. 13 თებერვალს (8 მარტს), მუშა ქალთა საერთაშორისო დღეს პეტროგრადის ბოლშევიკების კომიტეტის მოწოდების საპასუხოდ მუშა ქალებმა მსახობრივი პოლიტიკური დემონსტრაციები გამართეს. მათ მხარი დაუჭირა პეტროგრადის პროლეტარიატმა საერთაშორისო საგაფიცო გამოსვლით. 27 თებერვლი-

სათვის გაფიცულთა რიცხვი 500 ათასამდე გაზარდა. მუშათა დემონსტრაციის წინააღმდეგ მეფის მთავრობამ გამოიყვანა პოლიციის მთელი ძალები და ფრანტიდან გამოწვეული ცხენოსანი ნაწილები, გახშირდა მუშების შეტაკება პოლიციასთან და ჯარებთან. ბოლშევიკების პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბურომ გამოეშვა მანფესტატი, რომლითაც მუშების მოუფლო დათმობით თვითმპყრობელობა და შეექმნათ დროებითი რევოლუციური მთავრობა. 26 თებერვალს დაპეტროგრადულ იქნა ბოლშევიკების პეტროგრადის კომიტეტის 5 წევრი, ამიტომ მოპარობის ხელმძღვანელობა ხელში აიღო ეპიზორგის ბოლშევიკების რაიონულმა კომიტეტმა.

ამვე დროს ცარიზმი ემზადებოდა რევოლუციის ჩასახშობად, ნიკოლოზ შერემ პეტროგრადის სამხედრო ოლქის სარდალს, გენერალ-ხაბალოვს უბრძანა, დაეყოვნებლად შეეყვინებინა უწყისობაში სატახტო ქალაქში. უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ პუნქტებში თავმოყრილი იყო სამხედრო ნაწილები.

მაგრამ რევოლუციის ბედი სწორედ იმან გადაწყვიტა, რომ ჯარები რევოლუციური მუშების მხარეზე გადავიდნენ. 26 თებერვალს პავლოვის პოლკის სათადარიგო ათასეულის ჯარისკაცებმა სრული აუტუხეს ცხენოსანი პოლიციის რაზმებს, რომლებიც მუშებს ხერხებდნენ. 27 თებერვალს აჯანყებაში მონაწილეობას იღებდა 60 ათასზე მეტი ჯარისკაცი.

მაგრამ ცარიზმი არ ნებდებოდა. მეფემ პეტროგრადის ჯარების სარდალ დანიშნა გენერალი ივანოვი და უბრძანა მას ფრანტიდან ჯარები დაეჭრა პეტროგრადისაკენ, დაუნდობლად გაეცლიტა აჯანყებული მუშები და ჯარისკაცები. გენერალი ივანოვი თავისი ჯარებით. დაეყოვნებლივ გაემართა პეტროგრადისაკენ, მაგრამ დიდი ეპი-ვალანთ ძლივს მიადგინა ცარსკო სელომდე (ამჟამად დეტსკო სელო). როცა ივანოვის რაზმები პეტროგრადისაკენ მიმავალ გზაზე რევოლუციის მხარეზე გადასულ სამხედრო ნაწილებს შეხვდნენ, დიდი სახსარული მიჰყენენ მათს მაგალითს. გენერალს მხოლოდ ისდა დარჩა საფიცრელი, როგორც ვადეარჩინა საყოთარი თავი. აჯანყებულმა მუშებმა და ჯარისკაცებმა დააბათილეს მეფის მინისტრები, გენერლები და საპრობოლევებიდან გაათავისუფლეს პოლიტიკური პატიმრები. მეფის თვითმპყრობელობა დემხრო, რევოლუციამ გაიმარჯვა.

რუსეთის პირველი რევოლუციის მსგავსად, 1917 წლის თებერვლის რევოლუციის მსვლელობაში წარმოიქმნენ საბჭოები, მაგრამ თუ 1905 წლის რევოლუციის დროს შექმნილი იყო მხოლოდ მუშათა დებუტატების საბჭოები, აქვერად ბოლშევიკების ინიციატივით გაჩნდნენ მუშათა და ჯარისკაცთა დებუტატების საბჭოები, რომლებმაც ემყარებოდა გამარჯვებულ რევოლუციას.

მაგრამ პეტროგრადის, მოსკოვისა და ზოგიერთი სხვა მსხვილი ქალაქის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტის ზელმძღვანელობაში მოკალათებული იყვნენ შემთანხმებული პარტიების — მენშევიკებისა და ესერების წარმომადგენლები. ეს იმიტომ მოხდა, რომ მაშინ როდესაც ბოლშევიკები უშუალოდ ზელმძღვანელობდნენ რევოლუციური მასების სამკვდრო-საციცხლო ბრძოლას ქუჩებში, მენშევიკები და ესერები მხოლოდ იმაზე ზრუნავდნენ, რომ თავიანთთვის დაეტაცებინათ დებუტატთა ადგილები საბჭოებში და თავისი უმრავლესობა შეექმნათ იქ. შემთანხმებულურმა პარტიებმა ეს ვაშეცდური ზრახვა ვით უფრო ადვილად განახორციელეს, რომ ბოლშევიკური პარტიის ბრძენი ბელადი გ. ი. ლენინი ჯერ კიდევ ემზარცაში იმყოფებოდა, ხოლო პარტიის სხვა ზელმძღვანელები — ი. სტალინი, ი. სვერდლოვი, ს. ორჯონიკიძე და სხვები ჯერ კიდევ არ იყვნენ დაბრუნებული ციმბირის გადასახლებიდან და საყარობილებიდან.

მენშევიკები და ესერები იცადნენ კაპიტალისტური წყობილების ზელუხლებლობას და ცდილობდნენ ძალუფლება ბურჟუაზიისათვის გადაეცათ. მათ სურდათ ამის განგრძობა და ოდნავადღე არ ზრუნავდნენ ზალხის რევოლუციური მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე.

ესერები და მენშევიკები ფარულად შეუთანხმდნენ მემამულური და იმპერიალისტური ბურჟუაზიის პარტიების ლიდერებს — შეექმნათ რუსეთის ახალი მთავრობა — ბურჟუაზიული დროებითი მთავრობა თავად ლეოვის მეთაურობით, რომლის დანიშნვა ჯერ კიდევ თებერვლის რევოლუციამდე უნდოდა მეფეს თავისი მთავრობის პრემიერმინისტრად. დროებითი მთავრობის შემადგენლობაში შევიდნენ მემამულეთა და მსხვილ კაპიტალისტთა პარტიების კადეტებისა და ოქტაბრისტების მეთურები — მილიუკოვი, გუნკოვი და კაპიტალისტთა კლასის სხვა თვალახინი წარმომადგენლები.

ამრიგად, შეიქმნა მეტად რთული, თავისებური მდგომარეობა; ზალბთა მასებმა პროლეტარიატის ზელმძღვანელობით ზავის, პერისა და თავისუფლების ლოზუნგით დაამხეს თვითმპყრობელობა, ხოლო ძალუფლება ზელში ზაიგლო ბურჟუაზიამ. ამის მიზეზი იყო პროლეტარიატის არასაკმაო შეგნებულობა და დარაზმულიობა რევოლუციის დასაწყისში.

ამიტომ ბოლშევიკური პარტიის წინაშე იდგა

უდიდესი და უზნელესი ამოცანა, მოეყოლებინა უმრავლესობა მუშათა კლასში, საბჭოებში, სოციალისტური რევოლუციის მხარეზე გადაყვანა გლებთა მილიონები; გამოეყვანა ეს მასები წვრილბურჟუაზიული პარტიების (ესერები, მენშევიკები) გავლენისაგან; გადაეზარდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია სოციალისტურ რევოლუციად.

თებერვლის რევოლუციის შემდეგ იატაკვეშეთიდან გამოვიდნენ ბოლშევიკური პარტიის ორგანიზაციები, რომლებიც ცარიზმის უღარესად მიმე პირობებში არალეგალურად მუშაობდნენ. რსდმ(პ) ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიურომ, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ გადასახლებიდან დაბრუნებული ი. ზ. სტალინი, მ. ა. კალინინი, ვ. მ. მოლოტოვი და პარტიის სხვა გამორჩენილი მოღვაწეები, უდიდესი შრომა გასწია პარტიის პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის გასამლულად, მუშების, გლეხების და ჯარისკაცების დასარაზმებად.

რევოლუციის შემდგომი განვითარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ლენინის ზამოსვლას ემზარცებიდან 1917 წლის 3 აპრილს. რუსეთში დაბრუნებისთანავე ლენინი სათავეში წაუდგა პარტიასა და მშრომელთა მასების გამარულ რევოლუციურ ბრძოლას.

ლენინის ამრილის თეზისებში მოცემული იყო ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციიდან სოციალისტურ რევოლუციამდე გადასვლისათვის პარტიის ბრძოლის გენიალური გეგმა. ლენინი წინადადებდა იძლეოდა, პარლამენტური რესპუბლიკა შეცვლილიყო საბჭოების რესპუბლიკით, რომელიც საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის ყველაზე უფრო მიზანშეწონილი ფორმაა კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალ პერიოდში.

ბოლშევიკების პარტიის ზელმძღვანელობით რუსეთის მუშათა კლასმა დაიბა გლეხობასთან კავშირში, ჯარისკაცებისა და მუზღვაურების დახმარებით თებერვლის რევოლუციიდან რვა თვის გადის შემდეგ, 1917 წლის 25 ოქტომბერს დაამხო ბურჟუაზიის ბატონობა და დაამყარა საბჭოთა ზელისუფლება — ახალი ტიპის სოციალისტური სახელმწიფო.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ დასაბამი მისცა ახალ ერის კავშირობის ისტორიას — პროლეტარული რევოლუციების ერის.

შახნაოზ აკთაილიძე



ანდაზის ცნების საკითხისათვის

წერილში — „ქართული ანდაზების გამოცემის საკითხები“, — რომელიც „მნათობის“ მეშვედევ ნომერში დიბეჭდულია, ლია ლევაიამ მართებულად და დროულად მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, რომ ქართული ანდაზების გამოცემული „...კრებულები ვერ აკმაყოფილებენ იმ მოთხოვნალებს, რაც დღეს შეიძლება წაუყუენოთ პოპულარულ, და მით უმეტეს, მეცნიერულ გამოცემას, ხოლო ასეთი კრებულის საჭიროება დღესდღეობით განსაკუთრებით იგრძნობა“¹.

წერილში გადმოცემულია მხარათაღი პრინციპები, რომლებიც, ავტორის აზრით, „საფუძვლად უნდა დაედოს ანდაზების კრებულის მეცნიერულ თუ პოპულარულ გამოცემას“², ავტორი ეხება არა ერთსა და არ საკითხს, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია ანდაზების კრებულის შედგენისას.

მაგრამ იმისათვის, რომ ასეთი კრებული მომზადდეს, საჭიროა ბოლომდე გაირკვეს — თითქმის და უკვე გარკვეული საკითხი — რა არის ანდაზა. მოგვეპოვება თუ არა სათანადო ცნება, რომლის მიხედვით ჩვენ შევძლებდით ანდაზა სხვა სასიათის გამოჩინებამაგან გავყვებით და კრებულში შევკეტებთ? ხომ ცხადია, რომ გარკვეული ცნების უქონლობის გამოა, რომ დაიბნეოთ იმის თაობაზე — ესა და ეს გამოჩინებები კრებულის მავანსა და მავან შემდგენელს ანდაზად შეცდომით მიუჩნევიან?

წინამდებარე წერილში მოცემულია ანდაზის ცნების შემოთავაზების ცდა.

ამჟამად ანდაზის სხვადასხვაგვარი განსაზღვრანი მოგვეპოვება. აი ზოგიერთი მათგანი:

„Пословица есть краткое, чаще всего двучленное изречение фольклорного происхождения или прошедшее процесс фольклоризация, имеющее двойный смысл: прямой и переносный. Функция пословицы состоит в том, что она дает запоминающуюся, готовую наглядную и краткую фразу,

которая заменяет длинное, отвлеченное рассуждение“¹.

„ანდაზა სამავალითო ბრძნული გამოთქმაა, რომელიც მოკლე სიტყვიერ ფორმულაში წარმოგიდგენს მოქმედების, მღვრიმარეობის ან ურთიერთობის მხატვრულ განზოგადებას“².

„ანდაზა — მოკლე მხატვრული გონებასხვილური დასტრულებული გამოჩინებები (ჩვეულებრივ რატმული წყობისა და დამრიგებლობითი შინაარსისა)“³.

«Краткое народное изречение с назидательным смыслом»⁴.

«Пословицы — краткие, образные и меткие народные изречения о различных явлениях жизни, содержание, как правило, глубокий обобщающий смысл»⁵ და ა. შ.

შეიძლება სხვა განსაზღვრათა დამოწმებაც. მაგრამ ეს არ შეუძლებს ჩვენს მიზანს. სურათი ნათელია. თითოეული ავტორი თავისებურად განმარტავს ანდაზას. ზოგი ნიშანს აკლებს, ზოგი უმატებს, სხვრიოდ მისაღები, აღიარებული განსაზღვრა კი არ მოგვეპოვება. ასეთ პირობებში, ცხადია, დიდი დაბრკოლების წინაშე აღმოჩნდებიან ის პირები, რომლებიც დაიპირებენ ანდაზების მეცნიერულად დადგენილი კრებულის გამოცემას, ან მოითრევენ ანდაზების საკითხზე მსჯელობას საერთოდ. საქმე რომ გამწვანებულია, ამისი ისევ ლ. ლევაიამ შეიძლება დაეიმოწმოს, რომელმაც ქართული ანდაზების ენის სადისერტაციო ნაშრომი უქმენა.

ჩვენს მიზანს შეადგენდა ხალხური ანდაზების ენის შესწავლა. ამის გამო ვეცადეთ გამოგვეყო მისგან სხვა ყოველგვარი გამოჩინებები. უნდა აღვნიშნოთ, რომ ზმირად ქნულდება.

¹ Русское народное поэтическое творчество: Под общей редакцией профессора П. Г. Богатырева, Москва, 1954, 189.

² შ. ნიქოანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1952, 320.

³ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ა. ჩიქობავას საერთო რედაქციით, 1950, ტ. 1.

⁴ Словарь русского языка, составил С. И. Ожегов, Москва, 1952.

⁵ Энциклопедический словарь, главный редактор Б. А. Введенский, 2, Москва.

¹ ლ. ლევაიამ, ქართული ანდაზების გამოცემის საკითხები, „მნათობი“ № 7, 177.

² იქვე.

ზოგჯერ შეუძლებელიცაა ანდაზისა და სიტყვის მასალის (საანდაზო გამოთქმის) ერთმანეთის აგვან გამოჯენა! (ზაზი ჩემია, ფ. ე.). მაშინ არის ანდაზა?

ტრამინის ეტიმოლოგია, მისი დადგენა კიდევაც რომ სიზუსტით შესაძლებელი იყოს, სულ ერთია ცნების დადგენაში ამჟამად ვერაფერს გვიშველის. ჩვენთვის საინტერესოა ცნება იმი-სათვის კი რომ ცნება დადგინდეს, არსებული განსაზღვრანი ჯერჯერობით განზე დაეტოვოთ და გადავხედოთ თვით მასალას — ანდაზებს.

ანდაზებში კრებულში მოთავსებულ გამონათქვამთაგან შეიძლება გამოყოფოს ერთი ჯგუფი ანდაზებისა, რომელთა შესახებ ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს იმის თაობაზე — განეკუთვნებია ისინი ანდაზებს თუ — არა:

1. ახალი ცოცხი კარგად ჰგვის, ძველი მოატანს ქვიშასა.
2. არა შეჯღა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი.
3. ზარი ზართან დააბი, ან ფერს იცვლის ან ზნესაო.
4. ერთი შერცხლის კიკვიკი გაზაფხულს ვერ მოიყვანს.
5. ასეთმა ფურმა დამწიწლოს, რომ ჩემზე მეტს აწველდესო.
6. რასაც დისთვის, მასვე მომიკო.
7. კუდა ზარი თავისთვის არ იყო, სხვის ბუზებს უვერებდაო.

თითოეული ამ მოვანილ გამონათქვამთაგან — ანდაზაა. რა თავისებურებები ახასიათებთ მათ?

აიღოთ პირველი მაგალითი: ახალი ცოცხი კარგად ჰგვის, ძველი მოატანს ქვიშასა.

ამ ანდაზაში ლაპარაკია ცოცხზე, რომელიც შეიძლება იყოს ახალიც და ძველიც. ახალი ცოცხი კარგად ჰგვის, ძველი უარესად. ამ წინადადებით გადმოცემული აზრი სწორია, მაგრამ ამ წინადადებით მხოლოდ ეს აზრი რომ გვეძლეოდეს, ანდაზა არ გვექნებოდა. დაეარქვათ ამ აზრს პირობითად აშო ს ა ე ა ლ ი მ ნ ი შ ე ნ ე ლ ო ბ ა. ეს ამოსავალი მნიშვნელობა საფუძველია სხვა აზრისათვის, გადატანითი მნიშვნელობისათვის: ზოგიერთი თოთაბანთ ვიორჯის ერთგულ სამსახურზე ამბობდნენ — ახალი ცოცხი და კარგად ჰგვის, დაძველები და შენი მოატანს ქვიშასაო¹ — და ამბობდნენ იმიტომ, რომ ვიორჯის არჩილიან მოჯამიგრობა ახლად დაწესებული ჰქონდა.

ამოსავალი მნიშვნელობა ანდაზზე, ერთი ამგვარ მნიშვნელობის გადატანის შესაძლებლობა უნდა იქნებოდეს. ეს ანდაზა შეიძლება გამოთქმულიყო თითოეულ პირის მიმართ, რომელიც რაიმე საქმიანობას ახლად და თითქოს ამიტომ ზღლისინანდ და მონღობებით შესდგამია...

გულში პეტრე, (გლახის ნაამბობიდან) შეიღის სწავლას უშლიდა. მღვდლის შეკითხვაზე — „პართალია, შენ შეიღის შენ უშლი სწავლასა?“ პეტრე უპასუხებს:

„მართალი გახლავთ. რა მაგის საქმეა? არა შეჯღა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი, შენი კირამე!“ და მწყერისათვის ხეზე შეჯღომის შეუფერებლობას ასე ახაბუთებს: „ჩვენ გულხეცებს გვეძახიან, დღე და ღამ ოფლი უნდა ვიწეროთ და პეტრე ისე ვუპოთ...“ წიგნი რა ჩვენი საქმეა? ის ჰვენ დამწეულ კეპს ვერ გააძობს, ჩვენი წიგნი დღე-მეფეა...“².

ამ ანდაზის ამოსავალი მნიშვნელობა დავიკრებების ნაყოფია მყერი ხეზე არ ჯდება. მის მოდგმას ხეზე ჯღომა არა სწევია. ეს მნიშვნელობა საფუძველია გადატანული მნიშვნელობისათვის: ჩემი შეიღი არ ისწავლეს, რადგან სწავლა გულხეცის საქმე არ არისო.

ამოსავალი მნიშვნელობა, როგორც ჩანს, კონკრეტულ ფაქტთან არის დაკავშირებული. გადატანული მნიშვნელობაც კონკრეტულ ფაქტს უკავშირდება, მაგრამ მხოლოდ კონტექსტში. ცალკე გადმოწერილი ანდაზაში გადასატანი მნიშვნელობა შესაძლებლობის სახით არსებობს.

„ზარი ზართან დააბიო, ან ფერს იცვლის ან ზნესაო, — ნათქვამია. ეს ანდაზა არსად ისე გამოთქმული არ მინახავს, როგორც თავად ლერსაბის საზღოში — წერს ილია და განაგრძობს — ამისი ძვირფასი მუღელეუ კენიანა დაჩუგჯანი სწორედ თავის ქმრის მეთრე გვერდი გახლდათ და იყვენენ „ერთ სულ და ერთ ზორტ“, როგორც ბრძანებს საღმრთო წერილი. მერე რა-რიგად: იგივე სიმრგლე, იგივე სიმსუქენ, იგივე მოცინარი პირი და თითქმის იგივე სისულელე...“²

ბიძინა ჩოლოყაშვილს საკუთარი პოლიტიკური ორიენტაცია ჰქონდა. ბიძამისი — ჯანდღერი ცდილობდა ზეგაგლენა მოეხდინა მასზე:

„გვიანდა არის, ჩემო დისწულე!.. ვერე აღირა ჰქუქობას ქვეყანა და შენ ერთი, მარტო რას გააწეობ? ნათქვამია: „ერთი შერცხლის კიკვიკი გაზაფხულს ვერ მოიყვანსო“.

ანდაზას ისევე გადატანითი მნიშვნელობა გეძლევის.

ერთი მაგალითიც:

¹ ლ. ლევაია, ქართული ანდაზების ენა, სადი-სერტიკაციო ნაშრომი, 1953, 2.

² ი. ჰაქევაძე, თხზულებათა სრული კრებუ-ლი, ტ. 11, 1950, 294.

¹ იქვე, 49.

² ი. ჰაქევაძე, დსაბ. კრებული, 130.

ჩანს, „შაშაო“ ბანაილიან „შვილებს“ უსაყვედურებს უგზოდ მოსაბრუნებელი და უსწავლელები ხართო. ილიამ ეს საყვედური უკან დააბრუნა და ანდაზა მოაბრუნა:

უგზოდ მელელნოო,
უსწავლელებო —

ესეთშია ფურშია უნდა დავგწიხლოს,
რომ ჩვენზედ ბევრსა

თვით იწვევდესა, —

გაი თქვენს ხელში ჩვენს საქართველოს!
ი. კ. 1,99.

ანდაზის ამოსავალ მნიშვნელობა — შინაარსს ჩვეულებრივ არადაამიანთა სამყარო აქვს მხედველობაში: ცხოველები, ფრინველები, შერეები, მცენარეულობა, საგნები, აბსტრაქტული ცნებები...

ტკბილი ვინს მქონე კრავმა დედაც მოწოვა და არა დედაც.

ფარა შობრუნდა და კოჭლი ცხვარი წინ მოეჭკოა.

რომელი ძაღლიც არა ჰკბენს, შორიდან იყვებებაო.

ღორმა თქვა: რაც გოჭები დავხარადე, წმინდა წყალი აღარ დამილევიაო.

ყვედი თვითონ ყარდა და ბუღეს იცვლიდაო. სადაც შეგარდენი ბუღობს, მტრული ვერ გაიბარებსო.

არა შეეცადა მწყერი ხესა, არა იყო გვირა მისი. მტრედს თავისი სიმართლით ნისკარტი მოსტყრესო.

კოდალაჲ, შენ სულ ეგრე აჯაქუნებ, მაგრამ შენი გაკეთებული ხარატრლები ვერა ვნახუო.

მუდამ რომ ბზუის ფურტარი, თავლიც მიტომ აქვს ტკბილიო.

ბუზი ბევრი ბზუისო, მაგრამ ფურტართან ყველა ტყუისო.

ქინტარაჲ გულაღმა დაწვა: ეს რომ ჩამოინტრებს, ფუტებით დავიჭერო.

სანამ წწელი ნელდია, უნდა მოგრიხო. ფუყე თავთავი თავს მალა იწვეს, სასყე კი მუდამ თავდახარდია.

ზღვაში ღღი ვახში, რაჲც ცის ნამი არ მოხვდებაო.

თუ ურემშია შეშია ვერ მოიტანა, თითონ შეში უნდა იყოსო.

აგორებული ჭეა ზაცხს არ იყიდებს. ბუჭბუღს სანამ ქარი არ დაუბერავს, თავისი თავი მძიმე ჰგონიაო.

ნაგავზე ამოსული სოკო დიდი ვაზარდება, მაგრამ მალე წაიჭყევაო.

მოვიდა შიშვილი, წავიდა სირცხვილიო.

ანდაზის ამოსავალი მნიშვნელობისათვის ფაქტები შეიძლება უშუალოდ აღმოჩნდეს წყვეტ-ცხოვრებიდან იყოს აღებული: *მარნაოჯ მართლიშვილი*

გზირს სოფელში არ უშვებდნენ და ფარხზალი მამასახლისისას დამოკიდეთო.

მე და ჩემმა ქმარმა ვიანგარიშეთ და ჩემ მამას არა ერგო რაო.

სიძეო, რამდენიც გვიან-გვიან მოხვალ, უფრო შეგვეყვარებებიო.

ერთი გოგო ჩიოდა: ვასაბზოვრად პატარამ შეძახიან და წყლის საზიდავად დიდსაო.

ანდაზის ამოსავალ მნიშვნელობაში შეიძლება აღმოაჩინოს და არა აღმოაჩინოს სამყარო იყოს ახახული:

ზეცას მტრული მიფრინავდა და ჭვეშ შამფურს უთლიდნენო.

ვისაც სახლი არ აუგია, ჰგონია — ბოძები თავისთავად ამოსულანო.

სამართლის მთქმელს ცხენი შეგახშული უნდა ჰყავდესო.

იმისთანა შიში დამტყვესო, რომ მეწისქვილეს ის ვერ უთხრათ: მსხვილათა ფტვეავს, წმინდათ დფტვიო.

რაგორიც არ უნდა იყოს აღნიშნულ გამო-ნათქვამთა ამოსავალი მნიშვნელობა, ანდაზს მაინც გადატანითი მნიშვნელობა ქმნის. ანდაზა იჯავური ბუნებისაა. „სავსებით კონკრეტული შინაარსით წარმოდგენილი თქმა მაშინ იქცევა ანდაზად, როდესაც ამ კონკრეტულს მიღობ, თუ მის უკან, უფრო ზოგადი იგულისხმება...“ თქმები ანდაზებად იქცევიან მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელი იქნება ამ კონკრეტულ შინაარსში მოთავსებული აზრის გადატანა სხვა ვითარებაზე...“¹.

მაშასადამე, ანდაზისათვის დამახასიათებელი ერთი ძირითადი ნიშანი ის არის, რომ ამ სახის გამოანათქვამში რთული შედგენილობისაა, შეიცავს ამოსავალ მნიშვნელობას და გადატანით მნიშვნელობას. ამოსავალი მნიშვნელობა ანდაზის ერთი აქვს. მნიშვნელობის გადატანის შესაძლებლობა — მრავალი.

2. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ანდაზა იჯავური ბუნებისაა. ანდაზაში აზრი აღუგორიულად გვექლევა. ფაქვიც აღუგორიულია, იგავი იგავი აღარ იქნებოდა, იქაც რომ ამოსავალი მნიშვნელობა და გადატანითი მნიშვნელობა არ გვექონდეს.

ამ აზრით ანდაზა და იჯავი ერთმანეთისაგან არც განსხვავდებიან. მაშ რა განასხვავებს ამ ორ

¹ გრ. კიკნაძე, ქართული სატირისა და იუმორის განვითარების ისტორიისათვის, 1953, 177.

ოღონობის ერთმანეთისაგან? ზომა. იგივე პატარა სიუჟეტური ნაწარმოებია, ანდაზა ერთ წინადადებაშია მოქცეული. ეს წინადადება შეიძლება იყოს მარტივი (ძალია აღმართსა ხნავსო) ან რთული (თონემ თქვა, ფიხი ჩამაყარ, რომ პური იმოყარო), მაგრამ მინც წინადადება.

თავისი წარმოშობით რომ ანდაზა იგავს შეიძლება უკავშირდებოდეს, ეს მოსაზრება ჯერ კიდევ ა. პოტეხინამ გამოთქვა:

«...известная часть басни становится пословицей, благодаря тому, что остальная часть ее содержится в мысли и готова явиться по нашему первому требованию в пояснение этого изречения; другой прием преобразования басни в пословицу состоит в том, что не изречение, а все содержание басни делается пословицей...»¹.

ანდაზის და იგავის ორგანულ კავშირზე უნდა მიუთითებდეს ის გარემოებაც, რომ ზ. უშიაკაშვილის მიერ შეკრებილ ანდაზებში შევხვდებით მოკლე იგავებსაც.

ნათლია მიუვიდა ნათლიედესა და უთხრა: კოლი ცხენი არისო და ვერაფერი ვერ წამოიღო. ნათლიედამ უპასუხა: ვაი შენ ნათლიედესაო, თუ იქიდან ვერა წამოიღო რა, იქედან უფრო ვერას წაიღებსო“ (466).

კუთმისათვის უკითხავთ, საიქიოს რა ამბავი მიიტანეთ? რაღა ამბავი: ცხერი დაქვს, ზედ წამაქვს, ძროხა დაქვს, ზედ წამაქვს; თხა დაქვს, ზედ წამაქვს და სხვა რაც დაქვს, ზედ წამაქვსო“ (479).

ქვერდმა მამალი მოიპარა, კალიაში დამალა, მაგრამ ბოლო უნდა. პატრონს ვთქვება არა ვიცი რაო. პატრონმა უპასუხა: ფიცო მწამს, ბოლო მაკვირვებსო“.

ეს იგავი ამ ერთეულის სახით არის შესული კრებულში; ფიცო მწამს, ბოლო მაკვირვებსო (478).

ერთს ადვილს ჩვეულება ჰქონდათ, კაცო რომ დაბერდებოდა გოდორში ჩასემდნენ და კლიდამ გადაადგებდნენ. ერთის ბრმა კაცის შეილება მოანდომეს მამისათვის გოდრის დაწვნა. ბერ კაცს ესმოდა მათი ლაპარაკი და კითხვა, რას აკეთებთ? უთხრეს, არაფერსო, გოდორს ესწავითო. ვაიცი, ვისთვისაც გინდათო, მაგრამ ასეთი უნდა დასწავთ, თქვენს შეილებსაც გამოადგესო. ეს რომ უთხრა, ხელი იღეს ამ საქმეზედ“.

¹ А. А. Петенбя, Из лекции по теории словесности, Харьков. 1930, 87; მ. ნიკოვანი ფიქრობს, რომ „ბევრი ანდაზა თქმულების ზღაპრის, იგავის, ლექსის დანაშთია“ (ჩაზი ჩემია, ფ. გ.) ქართ. ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1952, 323.

ეს იგავი კი ამ ანდაზად არის „დაწერილი“: ასეთი გოდორი დასწავით, რომ თქვენს შეილებსაც გამოადგესო (442).

მაშასადამე, ანდაზისათვის დამახასიათებელ ერთ ნიშნად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ იგავისაგან განსხვავებით, გადაშოსაცემი შინაარსი ერთ წინადადებაშია მოქცეული. ეს წინადადება შეიძლება იყოს მარტივი ან რთული¹.

1. ანდაზის გადატანით მნიშვნელობას აღამიანის საყოველთაოვრებო ხასიათის ფაქტები ექვს ამოღებული მიზანში. ეს გარემოება ანდაზას აღმზრდელობით-დამრიგებლობით დანიშნულების გამოხატუებად აქცევს.

როდესაც ბერე შეილს სწავლას უშლიდა და ამ ანდაზას იმოწმებდა — არა შეეჯდა მწყერი ხესაო..., იმას ის უნდოდა ერთვა, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ — ჩემი შეილი არ ისწავლის, რადგან სწავლა გლეხკაცის საქმე არ არისო. ამ ანდაზის ზოგადი აზრი ის არის, რაც რუსთაველთან პირდაპირ არის ნათქვამი: რაცა ვის რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს (II, 1).

დარჯვანი და ლუარსაბი გარეგნობითაც და შინაგანადაც ერთმანეთს ჰგავდნენ. ამას დაუკავშირა ილიამ ანდაზა: ხარი ხართან დაბი, ამ ფერს იცელის ან ზნესაო, რომლის ზოგადი აზრი ეს არის: ერთმანეთთან საახლოვის გამო აღამიანს მეორის ზეგავლენით ხასიათი (და გარეგნობაც კი) ეცვლებაო.

ჯანდერი რომ ჩოლოყაშვილის გადაბირების ცდილობდა და ანდაზა მოგვინა — ერთი მერცხლის კიკვიკო გაზაფხულს ვერ მოიყვანსო, — მათ ის თავის დისშვილს იმას ანიშნებდა, რომ პოლიტიკური ორიენტაციის საყოფში ბიძინა მარტოა და, რომ ამიტომ მისი განზრახვა განუხორციელებელია. ამ ანდაზის ზოგადი აზრია: ცალკეული პიროვნების განზრახვა, როდესაც ვეღვა დანაარჩენს

¹ ლ. ლევაჯა ანდაზის სპეციფიკის შესახებ ამგვარად მსჯელობს: „ანდაზა მანც განსხვავდება ვეღვა სხვა ეანრის ხალხური ნაწარმოებისაგან. მას ექვს თავისი ანდიდიფალური სახე, თავისი სპეციფიკა. განსხვავებას ქნის ის ფაქტი, რომ მაშინ, როდესაც ვეღვა სხვა ეანრის ნაწარმოები (ზღაპარი, ლექსი, იგავი, ნაწილობრივ გამოცანაც) ერთგვარ გაბმულ ტექსტს, ყოველ შემთხვევაში რამდენიმე წინადადებას მანც გულისხმობს, ანდაზა ერთი ფრაზითაა გადაშოსაცემული. იგი განსაყოფრებულ მისწარებას იჩენს ფრაზის შემოკლებისაგან“, ქართული ანდაზების ენა, 3.

სხვა სურვილი ამოქმედებს, განუხორციელებელია.

როცა ანდაზა ექსიციონიდან ამოგვაქვს, ცხადია, მისი გადატანითი მნიშვნელობა კონკრეტულ ფაქტებთან აღარ არის დაკავშირებული, ამ შემთხვევაში გვექნება ანდაზის ამოსავალი მნიშვნელობა და მისი ზოგადი აზრი:

1. კოდლაგ, შენ სულ ვგრე აკაუნებ, მაგრამ შენი გაკეთებული ხარატულები ვერა ენახეო. (ამო შრომის მოყვარული კაცი სულ საქმიანობს, მაგრამ მისი შრომის შედეგი არ ჩანს (არ შეიძლება, რომ წინდეს).

2. სიძეო, რამდენიც გვიან-გვიან მოხვალ, უფრო შეგიფარდებიო.

(ზნორი სტუმრობა კაცისა, მახლობელიც რომ იყოს იგი, მომავლებელიც).

3. სიმაართლის მოქმელს ცხენი შეკაზმული უნდა შეადევსო.

(სიმაართლის თქმა სახიფათოა, მოსალოდნელი ხიფათისაგან თავისდასაღწევად კაცი შხად უნდა იყოს).

4. ყვაგი თვითონ ყარდა და ბუდეს იცვლიდაო. (კაცმა თავისი ნაქო ვარემოს არ უნდა გადაამბარლოს. ადვილი კიდევია რომ შეიცვალოს, ეს ნაქო მას თან გააყვება).

5. დათვი დათვს პატივობდა და სხვის ეენახში მიჰყავდაო.

(პატივისცემა სხვისა ხარჯზე (არ შეიძლება).

6. თავგმა თქვა: კატაზე ძლიერი ნადირი არ მოიპოვებაო.

(სულს თავისზე ძლიერი უძლიერესი ჰგონი).

7. კამეჩის მოჭიდავე ხარს რქები არ შერჩებაო. (ძლიერი მეტოქის ძალის უგულვებელყოფა მოწინააღმდეგეს დასაღწევად გასწირავს).

8. კენია უკან დადევნება, მღრინავი წინ დაუხედაბაო.

(წამდვლიად ვნების მომტანი ზურგს უკან მოქმედებს, ვისაც ამის განზრახვა არა აქვს, პირისპირ დაჯობს და აბრძვის).

9. პატარაძამა ძროხა ვერ მოწველა და ბაკი შრუდეთაო.

(თავისი უუნარობა კაცმა სხვის არ უნდა გადაამბარლოს (თანაც უზერბული საბუთით).

10. პატაგ, ბანი სოჭვი და — ქუსლი მტკიცა, ბატროო.

(უარისთქმა შეუსაბამო საბუთით არ შეიძლება).

ანდაზის ზოგადი აზრი — დამრიგებლობითი შინაარსი კონტექსტში მხოლოდ მინიშნებით გვექმდება და არა უშუალოდ.

აქედან გამომდინარეობს ანდაზის მესამე და მეოთხე ნიშანი:

ა) ანდაზა დამრიგებლობით-ალმზრდელობითი ხასიათის გამონათქვამია.

ბ) დამრიგებლობითი შინაარსი მინიშნებით გვეძლევა და არა უშუალოდ.

ახლა ანდაზის შესახებ ყველაფერს მკვლევარ თქმულს რომ თავი მოვეყვართ, ოთხ ნიშანს მივიღებთ:

ა) გამონათქვამი ალევგორიული ხასიათისა.

ბ) გამონათქვამი ერთი წინადადებაის ფარგლებში.

გ) გამონათქვამი დამრიგებლობით-ალმზრდელობითი შინაარსისა.

დ) მინიშნების გზით გადმოცემული დამრიგებლობითი შინაარსი.

ამ ნიშანთაგან თითოეული ანდაზისათვის არსებობია. რომელიმე მათგანი თუ აკლია გამოწვევას, ის ანდაზა აღარ იქნება.

მაგალითად, ანდაზების კრებულში შეტანილ ვაშანთქვათაგან ავიღოთ ერთი რომელიმე, ვთქვათ, ეს:

უაყვაცი წყნარი სჯობია, ჩალად არა ღირს მჭეხარა.

ანდაზა თუ არა ეს გამონათქვამი? არა! რატომ? წინადადებათ გადმოცემული აზრი დამრიგებლობითი ხასიათისა, ეს აზრი ერთი წინადადების ფარგლებში გვეძლევა, მაგრამ მას აკლია ორი ნიშანი. იგი არ არის ალევგორიული ხასიათისა, დამრიგებლობითი შინაარსი უშუალოდ არის მოცემული, მამასადავ, იგი არ შეიძლება ანდაზად მივიჩნიოთ.

ახლა სხვა მაგალითი ავიღოთ:

ბუზს სპილოს ყურში დაუწამობდა და ვახუტელამდე დარჩა, მერე გამოვიდა და სპილოს მადლმა მოახსენა. სპილომ უთხრა: ვინა ხარ? შენი არც შემოსვლა გამოვიდა და არც გასვლაო.

ანდაზა თუ არა ეს გამონათქვამი? არა! რატომ? იმიტომ რომ, მართალია, მას ალევგორიული მნიშვნელობა აქვს, იგი დამრიგებლობითი ხასიათის შინაარსის შემცველიც არის და ზოგად აზრზე მინიშნებასაც შეიცავს, მაგრამ აქლია ერთი ნიშანი: ეს გამონათქვამი ერთი წინადადების ფარგლებს სცილდება, იმიტომ მას ანდაზად ვერ მივიჩნევთ.

კიდევ ერთი მაგალითი:

ა ბატროო ბაჭარიო, დავით მეფეს გასწავლიო. მიუხედავად იმისა, რომ ეს გამონათქვამიც ანდაზებშია შეტანილი, ანდაზად ვერც მას მივიჩნევთ. გამონათქვამი ერთ წინადადებაშია მოცემული, იგი ალევგორიულად უნდა იყოს თქმული, მაგრამ მისში დამრიგებლობითი შინაარსის დაკერა კირს.

აქედან დამკვნა. ზემოთ მოყვანილ ნიშანთაგან თითოეული არსებობია ანდაზისათვის, და მამასადავ, აუცილებელი.

ანდაზის აქვს არა არსებითი ნიშნებიც, რომელთაგან თითოეული შეიძლება ჰქონდეს მას,

მაგრამ არც ერთი მათგანი აუცილებელი არ არის.

ანდაზა, მაგალითად, შეიძლება წინადადების შეგნით გარითმული იყოს (მიზეზი ბეერი ბ ზ უ ი ს ი, მაგრამ ფუტყართან ყველა ტ უ უ ი ს ი ბოძი რომ წ ა ი ქ ე ე ვ ა, სახლკარიც დ ა ი ქ ე ე ვ ა რ), თავისი რიტმული წყობით ლექსის სტრიქონის ზომას იმეორებებს (რომელი ძალღლიც არა ჰებენს, შორიდან იყეფებო; ახალი ცოცხი კარგად ჰგვის, ძველი მოატანს ქვიშას), შეიძლება ანდაზაში შეგვხვდეს კონსონანსი (მე-ლიის მფარველობასა 'ლომმა შეშქამოს სჯობია). შეიძლება ანდაზა მთლიანად მოსწრებული თქმა იყოს (მატარბალმა მროზა ვერ მოწველა და ბაიე მრდვია), მაგრამ არც ერთი ამ ნიშანთაგანი არ გვაძლევს, რა თქმა უნდა, საბუთს იმისათვის, რომ თითოეული ამ ნიშნის, ან თუნდაც ყველა არა არსებითი ნიშნის ერთობლიობის მიხედვით ანდაზად მივიჩნიოთ ესა თუ ის გამოჩაბქვაში.

რატორც საერთოდ, ისევე აქაც ანდაზის ცნე-ბას გვაძლევს ის ოთხი არსებითი ნიშანი, რომელთა შესახებ ზემოთ იყო საუბარი. აქ დასახე-ლებული ნიშნები კი არა არსებობია, მაშასადამე, ისინი აუცილებელი არ არიან ანდაზისათვის.

სტეკილერად უნდა შევხვდეთ ერთ ნიშანზე, რომელიც ტრადიციულად შიანიათ ანდაზის სპე-ციფიკურ ნიშნად. ეს არის ანდაზის ხ ა ლ ბ უ რ ა ბ ა რ ა .

შეიძლება თუ არა ანდაზისათვის დამახასიათებ-ბელ სპეციფიკურ ნიშნად მივიჩნიოთ მისი ხალ-ხურობა? ჩვენ ვფიქრობთ, რომ — არა.

ხალხურობა ანდაზისა, ე. ი. რომ ანდაზა ხალ-ხური წარმოშობისა; ან რომ იგი ხალხში იხმარებ-ბა, ანდაზისათვის თ ა ვ ი ს თ ა ე ა დ დამახა-სიათებელი ნიშანი არ არის, ეს ნიშანი შესაძვე-ლი ობიექტის ბუნებით კი არ არის შემოიზღუბე-ლი, არამედ კუთვნილებითი მომენტით. ეს მომენ-ტი კი ობიექტში გარედან არის შეტანილი.

საერთოდ, რა თქმა უნდა, ასეთი დაყოფა (ხალ-ხის ან ცალკეული პიროვნების კუთვნილება) შე-უძლებელი არ არის, მაგრამ, თუ ნიშნების დადგე-ნისას, ზოგერთი მათგანი ობიექტის ბუნებიდან გამოვეყვანს და ზოგერთი ობიექტის ბუნებაში შევვაქვს, ეს ნიშნების აღრუვას იწვევს, აღარ ჩანს, რა არის ანდაზისათვის თავისთავად დამახა-სიათებელი და რა — თავსმოხვეული. რადგან ცნების განსაზღვრაში ეს ნიშანი მაინც შევაქვს, ამიტომ არის, რომ ანდაზების კრებულში ვმცევა

ყველაფერი, რაც ხალხში იხმარება: ანდაზაც, აფორიზმიც, სიტყვის მასალაც, მწიწრებულნი თქმაც, ხატოვანი თქმაც!

განსაზღვრელ ნიშნად უნებურად ის ფაქტი ხდება, რომ ყველა ამ გამოჩაბქვას ხალხი ხმა-რობს, სხვა ნიშნები უკანა რიგში აიიან გადაწყე-ული. მიზეზი თითქმის ის უნდა იყოს, რომ ასეთი დაყოფა საქმეს აადვილებს...

ამ ნიშნის მიხედვით არის, რომ ანდაზას უპა-რისპირებნი აფორიზმს ანდაზა ხალხურია, აფორიზმში ამა თუ იმ აფტორის კუთვნილებას წარმოადგენსო. ასეთი დაპირისპირებაც გაუმაჩ-თლებელია. ეს დაახლოვებით იმასვე ნიშნავს, რომ, ვთქვათ, ორი წიგნის კარადა სხვადასხვა საგნად მოვეყენა იმის გამო, რომ ერთი მათგანი ტყეში მოკრალი მუხისაგან არის გაკეთებულ და, მეორე — იმ მუხისაგან, ველზე განმარტოე-ბით რომ იღვავ... და შევედილიყავით სხვადასხვა სახელს ვეყუებნა თითოეული მათგანისათვის...

თანაც საინტერესოა, რომ ზღაპარს, მაგალი-თად, ძირითადად ხალხში შევხვდებით, მაგრამ ზღაპრის აფტორი შესაძლებელია ცალკე აფტო-რიც იყოს და მსოფლიო ლიტერატურაში ამისი არა ერთი მაგალითი იყოს. მიუხედავად ამისა არავის მოსვლია აზრად, რომ ამა თუ იმ აფტო-რის ზღაპარს სხვა სახელი შეარქვას იმის გამო. რომ ეს ზღაპარი პიროვნებას ეკუთვნის და ა მ ნ ი შ ი ს ი მიხედვით იგი ხალხურ ზღაპარს უპირისპირდებოა. ანდაზის კი ამ ნიშნის მიხედ-ვით განასხვავებენ აფორიზმისაგან.

მეორეც არის-და, რატომ უნდა მივიჩნიოთ შე-უძლებლად, რომ ანდაზის აფტორი ცალკე პი-როვნება იყოს? ესეც არ იყოს, ხალხში შესაძ-ლებელია ეს პიროვნება არ ჩანს, შესაძლებელია ამა თუ იმ ანდაზამ გარკვეული ცვლილება განი-ცად, მაგრამ ხომ ძნელი წარმოსადგენია, რომ მისი აფტორი თავდაპირველად ცალკე პიროვნე-ბი არ ყოფილიყო?!

1 არბრემს არ ვყოფილვარ, მაგრამ აზრით კ ვიციო; აღია წვიღია, მუსია მოვიღა; იღბალი იქვს ლილაპასა, ყველა მისკენ მიტრანჯავს; კარკობე გვამე აბლისა, დრო არის ჩემი წსიე-ლის; მე ტრეერი ივარე ღლიე ვორისაო; დაეინახე ქაღაო, ყელში გადაქანდაო... და ა. შ. (პ. უმიკო-შვილის კრებულისა).

1 პროფ. პოეტრიოვის საერთო რედაქციით ამ უკანასკნელ ხანს გამოცემულ წიგნში — „Русское народное поэтическое творчество“ ხაზგასმით არის აღნიშნული: „Пословица есть... изречение фольклорного происхождения или прошедшее процесс фолькло-ризации... 189.

Хороший тракторист, однако, что ар-тист; Без газеты, как без головы; Про-мичуринский гибрид весь мир гонорит; Бить так фашистов братцы, как были ста-линградцы; В Сталинграде стрелял каждый камень და ა. შ. (პროფ. პ. გ. პოეტრიოვის რედ. გამოცემული წიგნიდან — „Русское народное поэтическое творчество, 206).

აფროზების საციხის ჩვენ სხვაგან განვიხილეთ. ასლა ისევ ანდაზებს დაუბრუნდეთ. მამ შესაძლებელია თუ არა ანდაზა ხალხური კი არა, რომელიმე ავტორის კუთვნილება იყოს? შესაძლებელია

როსტევეანმა თავისი ქალაშვილის გამეფება დააწვევია. ვერხროთ აზრი ამის თაობაზე ასეთი იყო „თუმცა ქალია, ხელწიფედ მართ ღმრთის დანაბადია...“

მაგრამ — „ლეკვი ლომისა სწორია. ძე იყოს, თუნდა ხვადიაო“ 39,4

ამ გამონათქვამს აქვს ამოსავალი მნიშვნელობა, აქ ლომის ლეკვეზზეა ლაპარაკი. მაგრამ, ცხადია, ვერხრებს თინათინი ჰყავდათ მხედველობაში, როდესაც ამას ამბობდნენ, მაშასადამე, ამ გამონათქვამში მნიშვნელობა გადატანილია. ამ გამონათქვამის ზოგადი აზრის ცხოველყოფილება კი საერთოდ ცნობილია. აზრი ერთი წინადადების ფარგლებში გვეძლევა. გამონათქვამს აქვს ყველა არსებითი ნიშანი, რომლებიც ზემოთ ანდაზისათვის დამახასიათებელ ნიშნებად მივიჩნევთ.

ავთანდილისათვის ფატმანი შეუფერებელი ცალი იყო მიუხედავად ამისა ავთანდილთ მოხიბლული ფატმანი თავს ზედნიერად გრძნობდა და ხარობდა, რადგან.

„თუ ყვავი ვარდსა იშოვნის თავი ბუღბული პკონია“ 125,4

ნესტან-დარეჯანის შესახებ ამხავე ავთანდილმა გიგო და ტარიელთან გამოეშურა, მოძებნა, მაგრამ „მის ამბისა დაყოვნება ევლარ ვაძლო, ბეჭარდა“, ტარიელს ნესტანის რაღე (მირბადე) დაანახვა. მოულოდნელმა სიხარულმა ტარიელს გონება წაართვა და მკვდარს დაამსგავსა. დაუფიქრებელმა საეცოელმა ავთანდილი შეაწუხა:

„წყალი სწრაფით ჩად დავასხი ცეცხლსა, ძნელად დასაშრეტსა!“ 1343,3

მნიშვნელობა აქაც გადატანილია. აზრი ერთი წინადადებაშია მოკტეული. ამ გამონათქვამის

საინტერესოა, რომ ილია ჭავჭავაძეს ეს სტრიქონი საინდაზო „ლექსებში ამ სახით შეუცვლია:

„წყალსა სწრაფად ნუ დაასხამ ცეცხლსა ძნელად დასაშრეტსა“

„საინდაზო ლექსები ი. ჭავჭავაძის ამოკრფილი“, წინათქმა და შენიშვნები ი. გრიშაშვილისა, 1935, 158; ამ სახით გამონათქვამში დამრეკვლებითი ხასიათი უფრო ნათლად ჩანს.

ზოგადი აზრი კი ავტორის მომდევნო სტრიქონში აქვს მოცემული: „ჩქარად ეცეს, ვერ გაუძღვს გული ლხინსა მეტის-მეტსა“.

მსგავსი მაგალითებია:

„მზისა მუქთა მოპლოდინე ვარდი სამ დღეს არ დიქვენებს.“ 903,3

„გველსა ზვრელით ამოყვანს ენა ტკბილად მოუბარო“, 901,4

„კოკასა შიგან რაეცა დგას, იგივე წარმოსდინდებს“, 1094,4

„ვარდი ვერ არის უმზეოდ; იყოს, დაიწყებს ქკონასა“, 886,3

„მას მკურნალმან რაგვარ ჰკურნოს, თუ არ უთხრას, რაეცა სჭირდეს“. 1083,6.

დ. გურამიშვილთან რომ ცნობილი გამონათქვამი გვაქვს —

„ვერ მწარე ქამე, კვლავ ტკბილი, თუ ეძებ გემოვნებასაო, 20

— ანდაზა.

სხვა მაგალითები დ. გურამიშვილთან: 2 რკინა ცეცხლში გაბზილდების 19 (ყარმა სწავლაში მომწვიდდების)

თუ ცურვასა არ ისწავლით, ვერ გაუხვალთ წყალთ ღრმითა, 31 რაეცა არა მხამდეს ჩიორას, ნუ უყრი ასაკენკლადა, 18 სად მალალი არცად იყოს, მუნ დაბალი გამოდლდების, 5 და ა. შ.

მაგალითების დაძებნა მეტისა შეიძლებოდა შ. რუსთაველთანაც, დ. გურამიშვილთანაც, სხვა ავტორებთანაც, მაგრამ, ვერ ერთი, ჩვენი მიზნისათვის მოგვანილო მაგალითებიც საკმარისია, და მეორეც: ანდაზა ყოველ ნაბიჯზე ირე ძებნება, რადგან „Способность поэтических произведений скиматься в пословицу или выделять из себя пословицу (что не все равно) зависит не от одного их достоинства.

1 შტრ. ილიას „პასუხის პასუხიდან“: ვინა ყრბართო, ვირები ხართო, — მგ თქვენს ზრდილობას ვით ეკადრება? მაგრამ შოთამ სთქე, — რაეც კოკაში სდგა, იგივე თურმე წარმოსდინდებსა ი. ჭ. 1, 99.

2 დ. გურამიშვილის ანდაზები მოგვყავს „დითიანის“ მეცხრე გამოცემის მიხედვით, 1955.

не от одной степени их художественности, потому что, по верному замечанию Буслаева, из русских писателей Грибоедов и Крылов дали обществу несколько послонич, между тем как Пушкин, превосходящий своим талантом многих, и уж наверное Крылова, не дал ни одной...¹

რა გამომდინარეობს?

ანდაზისათვის დამახასიათებელ სპეციფიკურ ნიშნად მისი ხალხურობა არ შეიძლება მივიჩნიოთ. ანდაზა შეიძლება რომელიმე ავტორის კუთვნილებაც იყოს.

ასეთი ანდაზა შეიძლება „გაეიდეს“ და დამკვიდრდეს ხალხში და შეიძლება — არა. ესა თუ ის გამოჩნატქეამი თუ ხალხში დამკვიდრდა, ამის გამო არ იქცევა იგი ანდაზად: ის ანდაზა იყო ხალხში დამკვიდრებამდეც. თუ ანდაზა ხალხში არ „გაეიდა“, თავისთავად მის „ანდაზობას“ არაფერი დააკლდება, იგი მაინც ანდაზად დარჩება. კი, მაგრამ აქი ანდაზა დღესაც ისე გვესმის, რომ იგი ხალხური გამოჩნატქეამია და ტრადიციულად მას ფოლკლორი შეისწავლის და განიხილავს კიდევ?

იმის გამო, რომ ანდაზისათვის დამახასიათებელ სპეციფიკურ ნიშნად მის ხალხურობას არ მივიჩნევთ, ფოლკლორის ანდაზების შესასწავლად უფლება არ ვრთმევა. ხალხური ანდაზები ისევე იქნება ფოლკლორის შესასწავლი ობიექტი, როგორც აქამდე იყო.

¹ А. А. Потебня, Из лекций..., 90.

ამგვარად, ანდაზა არის კრძალვით-ლობითი ხასიათის კრძალვით-ლობითი გამოჩნატქეამი, რომელიც ერთ წინადადებაშია მოქცეული და რომელშიც დამრთიგებლობითი შინაარსი მინიშნებით გვეძლევა.

თუ ანდაზის ცნების შემოფარგვლის ეს ცდი გასაზიარებელი აღმოჩნდება, ერთი საკითხი დაისმის: გაადვილდება თუ არა ანდაზების კლასიფიკაციისა და შესწავლის საქმე?

ამას ანდაზების გამოცემულ კრებულებში არაიშვითად შეგვხვდება გამოჩნატქეამები, რომლებშიც ამოსავალი მნიშვნელობა აღარ არის გასაგები, და, ცხადია, აღარც მნიშვნელობის გადატანა ხერხდება, ან ისეთები, რომლებშიც აღმზრდელობით-დამრთიგებლობითი შინაარსი არც იგრძნობა, ზოგ შემთხვევაში კი ძნელი გასაგებია — აქვს თუ არა გამოჩნატქეამს გადატანითი მნიშვნელობა, ან რა შეიძლება იყოს მისი ზოგადი აზრი... ამ მხრივ პატარა სამუშაო არ არის ჩასატარებელი. ცხადია, ანდაზების კრებულის მეცნიერულ გამოცემაში არ შეიძლება მოექცეს უველათერი, რასაც ანდაზების სახელით გვთავაზობს წინა თობა. მასალა დასაცხრილავია, ზოგი რამ დასაზუსტებელია, ზოგი რამ დასამატებელი, ზოგი კიდევ — გამოსაყვები, მაგრამ ერთი ნათელია ასეთი სამუშაოს შესრულება შეუძლებელია სათანადო ცნების უქონლობის გარეშე. წინამდებარე წერილი ამ ცნების შემოფარგვლას ისახება და მიზნად.



საზოგადოებრივი მედიის ცენტრი

1953 წლის დასასრულს გაზეთები იტყობინებოდნენ: რეაქციულმა წრეებმა საზღვარგარეთ გამოიკვლიეს ანტისაბჭოთა ბროშურა, რომელიც მიიწერება ვითომდა საბჭოთა კავშირიდან გაქცეულ პოეტს აბულყასემ ლაქეთის. ამ დროს მოსკოვში მცხოვრებმა ლაქეთიმ მრისხანე პასუხი გასცა ამ ცილისწამებას ოღონდ და წერილით, შემდეგ კი საგანგებოდ ლექსით „პასუხი პროკურატორებს“.

რატომ უნდა ვაეცი იხეთ ქვეყნიდან, რომელმაც შემიძინა ორასი მილიონი შაჰი? ოდესღაც მართლაც ვიყავი ლტოლვილი, ოღონდ მანდღედან, შენისთანაა არაკეთილშობილი...

მამე და რთელი იყო ის გზა, რომელიც განვლია აბულყასემ ლაქეთიმ როგორც მწერალმა და როგორც ადამიანმა.

მაგრამ ქართულ ლიტერატურაშიც ვერ დაიღწა თავი იმ ნაკლოვანებებს, რომლებზედაც ოქტა ზემოთ. ჩვენი მხატვრულ შემოქმედებაშიც (თქმეც, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, უფრო ნაკლებად მხევილი და ნაკლებად განზოგადებული ფორმით) განსწავლენილია აქციური გლობალი იქნეს ნაკლოვანებებსა და სიძნელეებზე. ამ მხრავ დამახასიათებელია ნიჟერა პროზიკოსის ო. ჩიქისის რომანი „ბურუსი“, რომელშიც უკვე მიიღო ლიტერატურული კრიტიკისა და მკითხველი საზოგადოების გარკვეული შეფასება. ჩვენ არ შევიწრებებით დამ-

ერილებით ამ ნაწარმოებზე, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მასში მკაფიოდ იჩინა თავი იმ ცალკე მხრავმა და ნაკლებსტორიულმა მხდგომამ თუ ნაშეღროდვე ცხოვრების საკითხებისადმი, რაზედაც ლაბარაკი იყო ზემოთ.

უფრო მიზანშეწონილი იქნება დამერილებით შევიწრებთ თინა დონაშვილის რომანზე „ალიზის პირას“. ამ წერილის ავტორმა უკვე გამოთქვა პრესაში თავისი აზრი რომანის ღირსება ნაკლოვანებებზე. აქ გვინდა მკითხველთა უუარადლება მივაქციოთ თ. დონაშვილის ნაწარმობის იმ მომენტებზე, რომლებიც მოწმობენ იმას, რომ შექრალმა თემისადმი მდგომიისას გამოიჩინა ცალმხრობა და სუბიექტივიზმი.

შეაჯღა საინტერესო აზრს იწვევს მკითხველში რომანის ერთ-ერთი მოთავთი გმირის, ლელიანის რაიკომის მღვიენის — გელეონ ვარამაძის სახე. თავდაპირველად ეს სახე ვაჟკარობთ სიახლოითა და გაბედულებით, იმდენად არა ჰგავს ის ჩვეულებრივ ტრაფარეტულ ხელმძღვანელებს, რომელნიც წარმოთქვამენ დაუსრულებელ „სწორ“ უარსაზეებს და თავს აბეზრებენ მსმენელებს.

რომანის დასაწყისში ვარამაძე წარმოადგება მკითხველთა წინაშე, როგორც ნამდვილი პარტიული მეთაური, მასების წინამძღოლი, რომელშიც მთელი თავისი სიცოცხლე პარტიასა და ხალხის სამსახურს მოაძმარა. რომანის ბოლოს ის მასებისაგან მოწვევებული, ზალხისადმი ნდობადიკრებული და გადავარებული ადამიანია. და უხდა ითქვას, რომ ის ვარამაძეა, თუ როგორ აღწევს ავტორი თავისი გმირის თანდათანობით დაცემას, გვაგრძნობინებს რაღაც ხელოვნურობას, მხატვრულად არადაზავებულად, გულეონ ვარამაძეს კარგი თვლით უყურებენ რესპუბლიკის ზელომდგენელი მოქალაქეა. ამ შემთხვევაში, როგორც უკველთვის, აღმოინდინენ მღვინელი — კარიერისტები. მაგრამ განა ყველაფერი ეს წარმოადგენს აუცილებელ პირობას იმისათვის, რომ კომუნისტთა (ვარამაძე კი, ავტორის სიტყვით, იყო ძალიან კარგი კომუნისტი) გადაგვარდეს, დაკარგოს საბჭოთა ზელომდგენელის სახე? აქ კვლავ გვინდა გავიშეოროთ აზრი იმის შესახებ, რომ მხატვრულ ნაწარმოებში, თვით იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი მიძღვნილია ამა თუ იმ ისტორიული პიროვნებისადმი, არ შეიძლება ლაბარაკი იყოს მოცემულ პიროვნებაზე, მოცემულ ვარამაძეზე. თვით საბის უკიდურესი ინდივიდუალისადის დროსაც კი, თუ ჩვენ საქმე გვაქვს მხატვრულ ნაწარმოებთან, აუცილებლად ადგილი ექნება განზოგადებას, ტიპიზაციას. ამიტომ ლელიანის რაიკომის მღვიენის ევოლუცია რომანში შეიძლება შევეფასოთ არა როგორც მოცემული ვარამაძის ევოლუცია, არამედ როგორც პარტიული ზელომდგენლის ევოლუცია საერთოდ. ზედმეტია მტკიცება, რომ ავტორი არ ისახადი სწორად ამ მიზანს, მაგრამ მკითხველი უფროდ

გამოიტანს ასეთ დასკვნას რომინიდან, და ერთობ ძნელი იქნება მისი გადარწმუნება. ამ სახის დახატვისას ფერები უკიდურესადაა გამუქებული. ყველა ამბავი, ყველა კონფლიქტი გედღონ ვარამაძის გარშემო ეთიარდება ისე, რომ ტრაგიკული ფინალი ლელიანის რაიკომის მდივნისათვის გარდევნადაა ხდება. არავის არა სურს მას მოუსმინოს, არავინ ჩანს ისეთი, გედღონმა რომ მოინანიოს მასთან თავისი ცოდვები. აუჯანბი აღარაა ჩახატვალი, რადგან გედღონს ცოლად ჰყავს ტიპური მეშინი ქალი რომელიც ისე შორსაა მისგან, როგორც ცა დედამიწისაგან. ბედურული მდივანი შეიყვარებს უბრალო გოგონას თამარს, მაგრამ აქაც ბედი უმუხტობს — თამარი უღროოდ იღუბება. ამგვარად, გედღონი მარტოღამარტო რჩება თავისი სულიერი მწუხარებით და გულისტკივილით. საკიბახავია, სადაა აღმზრდელითი მნიშვნელობა ამ სახისა, რომელსაც ფრიალ დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი ნაწარმოების იდეური ელერადობისათვის?

მიუხედავად სხვადასხვა ტემპერამენტისა და ინდივიდუალური თავისებურებებისა გედღონ ვარამაძის სახის ანალოგიურია კოლმეურნეობის თავმჯდომარის — ზაქრო სუჟიაშვილის ფიგურა. შეიძლება ითქვას, რომ ზაქრო — ეს პატარა გედღონია, ესაა გაბედული, მგზნებარე კაბუჯი, რომელიც ვაჟკაცურად იბრძოდა გერმანულ ფაშისტთა ჯარებთან და დაუბრუნდა მშობლიურ სოფელს, რათა კვლავ ჩამბულიყო საკოლმეურნეო ცხოვრებაში და გაეკეთებინა ყველაფერი, რათა სწრაფად მოშეშებოდა სოფელს ომისაგან მიყენებული ჰრიალი. გლეხები დიდი ნდობით ეპყრობიან ზაქროს და ირჩევენ მას კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, თანდათანობით სიყმაშვილს ემართება ის, რაც მოევიდა ვარამაძის. ის გამპარტაყანდა, გულგრილად მოეკიდა საქმიანობას, უფრო აღარ უგდებს რაღითი კოლმეურნეობის ხმას, არ ეწინააღმდეგება პლიქვენლთა და კარიერისტთა მოქმედებას და, ბოლოს და ბოლოს,

მთლიანად კარგავს კოლმეურნეთა ნდობას. მართალია, შემდეგში ზაქრო პოეტურად რაღაცეა და გილს ცხოვრებაში, მაგრამ მანვე უკვე რჩება იქვე, თუ რა კანონზომიერად და თითქმის აუცილებლად გამოიყურება რომანში ზელმძღვანელ მუსიაკა ვადავავარება. როგორც კი დააწინაურებენ ადამიანს, მყისვე იწყება საკვირველებანი კიდევ უნდა აღინიშნოს, რომ თ. ღონკაშვილის რომანი „ალანის პირას“ მთლიანად საინტერესო ნაწარმოებია, სადაც წამოჭრილია თანამედროვე ცხოვრების მნიშვნელოვანი საკითხები. მაგრამ ჩვენ საქაროდ ჩაეთვალეთ მწერლის ყურადღება მიგვექცია სწორედ იმ ადგილებსათვის რომანში, მხატვრულ საბუთს სისტემაში, რომლებიც იწყებენ დაეჭვებას.

ჩვენი ლიტერატურის განვითარების გზა — ნოვატორული გზა, და ამიტომაც იგი იოლი და გატყვენილი როდია. არააშვიათი იყო ამ გზაზე დაეჭვება, ძიება, სიხარული და მწუხარება. საბჭოთა ლიტერატურის ისტორია არის საბჭოთა ადამიანის, კომუნისტური საზოგადოების მშენებლების ზრდისა და სულიერი გამდიდრების ისტორია. არც ერთ ქვეყანაში ასე ამაყად და ამაღლებულად არ ეღერს მწერლის სახელი, როგორც ჩვენში, რადგან ჩვენი ქვეყნის მხატვრული სიტყვის ისტატები თავიანთი ნაწარმოებებით ყოველთვის იღწენ კაცობრიობის უკეთესი მომავლისათვის, გონების, პემაინურობისა და მშვიდობის გამარჯვებისათვის მებრძოლთა მოწინავე რიგებში. საბჭოთა ლიტერატურის სახელოვანი ტრადიციები მოპოვებულია სისტემატ ბრძოლებში სხვადასხვა ანტირეალისტურ მიმდინარეობათა წინააღმდეგ, დაცემულობისა და ცხოვრების უაყოფის წინააღმდეგ. ეს ტრადიციები უდიდესი სიდრთხილით უნდა იქნეს დაცული და გამდიდრებული ჩვენს დღეებში, როცა დიდი საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიის ზელმძღვანელობით მტკიცედ მიისწრაფვის კომუნისტისაგან.

პირველი გვერდი



ახალგაზრდა პოეტის შესაძლებლობანი

ახალი სახელის გამოჩენა მწერლობაში მუდამ დიდ სიხარულს იწვევდა ლიტერატურულ წრეებში. ამ სიხარულის ნათელ გამოხატულებას და ახალი კადრებისადმი მხრუნველობის მკაფიო მაგალითს წარმოადგენს ლიტერატურის კლასიკოსების მიერ ჩატარებული მემორია ლიტერატურული ახალგაზრდობის აღსაზრდელად.

ჩვენი სინამდვილე თავისთავად დიდი ნაყოფიერი სკოლა ლიტერატურული ნიჭისა და შესაძლებლობათა გასაფურჩქნად, ვინაიდან ჩვენ უკვე გვაქვს თავისუფალი ლიტერატურა, რომლის შესახებ ვ. ა. ლენინი ჯერ კიდევ 1905 წელს ამბობდა: „ეს იქნება თავისუფალი ლიტერატურა იმიტომ, რომ არა ინგარება და არა კარიერა, არამედ სოციალიზმის იდეა და თანამშრომლობისადმი თანაგრძნობა მიიზიდავს მის რიგებში ახალ და ახალ ძალებს“.

ნახი კლასიკონა ქართული საბჭოთა პოეზიის ყველაზე ახალგაზრდა თაობას ეკუთვნის. მისი ხმა იმთავითვე იმედინად გაისმა და მკითხველის განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია. ეს ცხოველი ინტერესი გამოიწვია, პირველ ყოვლისა, ლირიკულმა განწყობილებამ, მაგრამ არა ზოგადი ხასიათისა, არამედ რაღაც კონკრეტულად მიხსმა კუთვნილმა, თავისებური განცდების გამოხატულებამ ლირიკამ, რომელსაც ახასიათებს გულწრფელობა და აზრის ბუნებრივი მდინარება, ხოლო იქ, სადაც გრძობას სიყალბე არ აჩნია, აზრი კი ნათელი და გამჭვირვალეა, კემშირით პოეზიასთან გვაქვს საქმე.

ამას წინათ გამოქვეყნდა ნახი კლასიკონის ლექსი „მონადირე“. აღნიშნულ, მკეთილშინაობა, ამომარტვილიან ლექსს ზოგერთი ორიგინალობის ბეჭედი აზის პირველ რიგში იმ თვალსაზრისით, რომ ეს არის ნოველისებური შემობრუნება ლექსის სიუჟეტის, თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ ლირიკული ვმირის სულიერი განცდის წითიერ გაღვლეებას. ლექსის მქსიმაღლრად დაბეჭედი ტექსტში არაფერია ნათქვამი თვით ნადარობის პრაქტისზე. მასში აღწერათი მანერის ნიშანკვლიც არ მოიპოვება. ლექსი ფერწერის ზერზეებით გავმცნობს მხოლოდ იმის შესახებ, რომ ტანწყურის წასული მონადირენი თოფის კვამლს ზეგას შეფენენ, ტბის ზედაპირს იხევენ ფრთებს შეახლიან და ლერწმის ჩრდილი წყალში შეიჩხევა, იქნებ სოკოორემაც შეწყნანაკვერცხალზე. მკითხველი თითქოს შეაზადა ლექსის ავტორმა რომ იგი გაიცნობდა ჩვეულებრივი ნადარობის

კიდევ ერთ ტიპურ ეპიზოდს, მაგრამ ლექსის უკანასკნელი სტრიქონი მოულოდნელად სულ სხვა მხრივ წარმართავს ვარაუდს, მოაქრება რა შემდეგნაირად:

თოფსაც იფერებ,
როხსაც იფერებ,
და მაინც დარბმა ვაგავუღლისა:
რომ არ მოგიკლავს ჯერ არაფერი
იმქვეყნად, გარდა ზემო გულისა.

ეს სიუჟეტური კონტრასტი, მსახელი ორიგინალური პოეტური ზერებით, აძლიერებს შთაბეჭდილებას და ლექსის ემოციურ ზეგავლენას, მის მიერ გამოხატული შინაგანი ინტიმის მშვენიერებას.

მაისის თვე უღამაზესი დრო წელიწადისა, ხალხის ბევრ სასიხარულო განცდასთან არის დაკავშირებული ყველაზე ნათელი და შთამაგონებელი მათ შორის თავისუფლებისათვის ბრძოლას და კაცობრიობის სამინელ მტერზე გამარჯვებას ეკუთვნის. თითქოს სავანგელოდ ავხდინოს ვინმეს გულის წაღილა, რომ ერთმანეთს შეერტყობდნენ იასამნის ტყე, მინდვრის ყვავილთა სურნელი, ყაყაზის აეღვებულა მორცხობა, მოკაშაშე მზე და გაზაფხულის ჩურჩული — საამო ყუყუნა წვიმა, კისარტყელას აკოაფება და ბედნიერების სიმღერა ვადამღობილიყო ხალხის სანუკვარ ოცნებათა სინამდვილედ ქცევასთან. ამიტომ ბუნებრივია, რომ მაისის სიყველუცეს მის ზემო შეერტყათ ადამიანმა თავისი სიხარული და ბედნიერებაზე ოცნება. ნ. კლასიკონამ თავის ლექსებში მაისი დაგვიხატა, როგორც ცოცხალი და წარმტკიო განსიხიერება იმ საუკეთესო განცდას, რომლითაც იესება ყველას გული ვარდობის თვეში. ხოლო ყოველივე ის, რაც კი განუზრელი ამ უმაღლეს განცდებთან, ზორციელდება საბჭოთა ქვეყნის გულის, მისი საამაყო დედაქალაქის — მოსკოვის სასიხარულო ელვავში, როცა ზემობს და

ეს არის თქვენი

ლელავს მოსკოვი — დიდი მდინარე, ზე-
გარს ყვავილობის აქვენი არტყია,
მაეზოღამთის საბეღიმაზე
კომუნისტური დგება პარტია.

ამ შესტინა მაისის ელვავების კიდევ მეტი ეშვი და მომბიბეღულობა? დიადმა ოტკომბერმა, მისი დროშის ძღვეამოსილებამ უფრო აკავშაშ.

მისის მზე. იმ თაობის ახალგაზრდობისათვის, რომელსაც ნაზი კილასონია ეკუთვნის, ოქტომბრის რევოლუციის მონაწილე გმირთა დიდებამ მხოლოდ სიმღერებად მოაღწია. ამიტომ პოეტი სიყვარულით „იხსენებს“ „იმ კარგ ბიჭუნებს“, ოქტომბრის მრისხანე დღეებში „მერდზე რომ იკრავდნენ შაშხანებსო, ვინც ვაჟაკებივით მისდევდნენ ბრძოლებში სამხედრო კომისრებს... ისინი უსმენდნენ „ავროსას“, მათ სმოლში იზილეს ლენინი... და დიად რუსეთში ოქტომბრის პარველი დროები გამაღეს!“

შობლიური საქმის გადარჩენისათვის დაღვრილ წინადა სისხლსა და გაღებულ მსხვერპლს ფუჭად არ ჩიუვლია. შეიქმნა თავისუფალი და გამარჯვებული შრომის ქვეყანა, სადაც ნიქსა და ვენერგას ფართო ასპარეზი აქვს გამოიღო. ეს ნიშანდობლობა ახალი ქვეყნისა კარგად გამოიხატა ნ. კილასონიამ ლექსებში „შვილობილი“, „სიმღერა უცხოელ ბიჭზე“, „ჩვენი პატარა სამკვრი“, „პავლიც მორიზოვი“, „ბაბადა პიონერზე“ და სხვ.

ძალაუტანებლად, ლაღად, ერთი ამოსუნთქვით შექმნილი ნაწარმოები შეიძლება ეწოდოს ნ. კილასონიას ლირიკულ ლექსს „თუ გყვარებია“. მიუხედავად იმისა, რომ ლექსის თემა მართოდენ პირადი ინტიმი, მასში იგრძნობა პოეტური გაქანება და ჯანსაღი, ნათელი ოპტიმიზმი. ხოლო როცა მკითხველის ემოციებზე ნაწარმოები ოპტიმიზმის ანარეკლს ტოვებს, მაშინ იგი ნამდვილად ასრულებს თავის დანიშნულებას როგორც აღმართის გრძობათა საშუაროს გამამდიდრებელი და მორგანიზებელი მხატვრული ძალა.

ამ ლექსის ლირიკული გმირი მიმართავს თავის საყვარელ აღმართს და ამ მიმართავში აქვდავნებს მრავალფეროვან განცდებს — ომში წასული მამის აღერის სურვილს, გაზაფხულისადმი მიმართულ მწველ ოცნებას, ატმის ზეების აფხვილებით გამოწვეული სიამეს, ველზე მიმალული ენძელის ჭებნის რომანტიკას, შრობლიურ ქობამდე ქარის მიერ მოტანილი მინდვრის სურნელის საოცრებას, და ვედრებით არწმუნებს:

სწორედ ამიტომ წუ ვიბოცებ,
რომ სხვებზე მეტად შენი ხმის მჯერა,
რომ ლამაზია შენი სიტყვებზე
და გულწრფელია შენი სიმღერა

აღმართის ბუნებაში დანახული ისეთი მომხიბლავი თვისებები, როგორცაა სიმღერის გულწრფელობა, დამაჯერებელი ხმა, ლამაზი სიტყვებზე, გაბადა მიზეზი და საფუძველი ამადლებული სიყვარულისა. ამდენად, ლექსის ლირიკული გმირის სატრფო არ არის ვინმე უმისამართო, აბსტრაქციანი წარმოდგენილი უსისხლო სიყვარული, განყენებული სქემა. იგი სასუბიუტი რეალური გმირია, ჩვენი დროის ნამდვილი აღმართი, რომელმაც ბრძოლის ველზე სიმღერით შეიღო

გმირი ქალაქის კარი, აღმართი, რომელსაც უყვარდა ლავარდი ზეცა, „გაფი, ეოლგური ქარი და ნახა, როგორც იფანა, ქვეთმთიანი ქალაქი“.

ის, ვინც ტყვიების წვიმაში
მტერს აფარებდა სამტრებს
და ახლა ქვეყნის წინაშე
ახალ სტალინგრადს აფებს
(„ერთი სიმღერის გარდა“)

ჩვენი ქალაქი დადაქალაქი, გამშვენებულ სოციალისტური შრომის მეოხებით, ნ. კილასონიას ლექსებში ასახულია დიდი გულწრფელობითა და მხატვრული უბრალოებით. იგი ორიგინალურ პოეტურ ზერხს იყენებს, პირდაპირ კი არ აღწერს თბილისში მომხდარ გარდაქმნებს, იშველიებს თოვლის ლამაზ ფიქვებს და მათი მშვეობით გადმოგვეცხს თბილისის სილამაზეს:

ფანტელემა ვეღარ იცნეს
შარშანდელი კარმიდამო,
ღერო, როგორც აპურნი,
ღღეს წასული განდგანა,
ელნათრებჩაბნელი.

მათ მოერიდათ ამ სილიადის მიხსნება და უკან მიდგნენ, დაქანათ რა ასეთი სილამაზის დათოვა. პოეტი, მომხიბლული, „თოვლის ჩუმი ქრიაშულთა და ფიქვების სიმღერებით“, ამხნეებს მათ, ვანუმარტავს, რომ

ეს ახალი ხიდი არის
და ახალი ჩუქურთმები.
საღლა ნახავთ გარაზიანს.
ფართე ვაჟე ჩაივარეთ, —
აქეთ უფრო ლამაზია...

იგი ეპატოვება ფანტელეს — შემობრძანდნენ დადაქალაქი, მათთვის ოთხივე კარი ღიაა და სასურველ სტუმრებს ღირსეულ დახვედრასაც შეაგებებენ.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ თოვლის ფიქვი ნაზი კილასონიას ლექსებში შემოხვევითი სამკაულად როდ გვევლინება. მის პოეტურ ინვენტარში თოვლის ფიქვი რაღაც აუცილებელ, მუდმივ-ორგანულ კატეგორიას წარმოადგენს. ხოლო ავტორის ნებით, ფიქვის ზოგჯერ, მისი ფიზიკური თვისებაც და ნიშანიც — სიცივე, თეთრი ფერი — ეკარგება, და ფიქვები „ლურჯ ლამეში კრთიან ციციანთაულებად“. მათ სისახელით დათრობაც შეუძლიათ, ზოგჯერ კი შემორჩებიან აღმართის წამწამებზე „სიხარულის მკრეფელებად“. ამიტომ პოეტი დაასკვნის:

ეს ფიქტები კი არა და
ჩემი სული გეფერება,
იციშკიმონ წამწამებზე
შენი ეშხის მტრეფელება.

ნ. კილასონიასთვის თოვლის ფიქტი მარტო სტიქიური მოვლენა არ არის, მას პოეტი ანიჭებს უფრო მაღალ დანიშნულებას — სინამდვილის ეპიზოდების თანამზავრისა და შემამკობელი ნივთის ფუნქციას. ასე, მაგალითად, როცა ახალგაზრდა პოეტი ეხება მესხიერებრიდან მუდამ წარმოდგენილ წელს, როცა იგი კომკავშირის რიგებში მიიღეს, ზოლო კომკავშირულ ბილეთს კომპეტის სინდისს უწოდებს, ამ საზეიმო მომენტსაც ნ. კილასონია ქარავანს ზამთრის პეიზაჟის ფონზე:

თოვს... აივნის იქით
ქარი ფანტელს აქმევს
და აწუღება ფიქტი
რაიკომის სარკველს.

და ასე გადადის თემიდან თემში, ნაწარმოებშიდან ნაწარმოებში პოეტის მიერ ყოველთვის ახალი თვისებით აღჭურვილი თოვლის ფიქტი, რათა ახალი, საინტერესო ემოცია წარმოიშვას მკითხველში.

ველ-მინდორი, ფრინველები, თოვლის ფანტელი, წვიმის წვეთები, თეთვალენი, წყარო, ბუნების ყოველი მოვლენა არასოდეს უტყვი არ არის ნ. კილასონიას ლექსებში. ყველაფერი ეს ცოცხლობს და მტყუყვლებს, აზროვნებს და განიცდის. ლექსში „თავთავეები“ განსაკუთრებული სიცხადით არის გამოკვეთილი ბუნების უტყვი სურათის ცოცხალ არსებულ გარდაქმნა: დაუსრულებლად ჩურჩულებენ ქარში თმაგაშლილი, ოჭროსფერი თავშალიანი თავთავეები. ნამად დაღვნილი ცრემლმორეული თვალებით შესცქერაან ისინი დილის ციარით მობანილ საეხე მკერდმეხსნილ ზეცას და ემუდარებიან.

მზეო, გაღმა გაიხედე,
ხომ არა ჩანს კომბაინი,
ქართლის დამე რომ ვათიეთ
ისევ ქართლში დაეწნათ ულო,
საქართველოს დოვლათი ვართ,
უსაზღვრო და უსასრულო.
გლუხის კარზე გველის თონი.
აქ კი წელი გვედუნება,
ჩქარა თორემ, ჩქარა თორემ
დაგვიბრბიყვეს ბელურებმა.

ავტორის სურს იყოს მამარობელი, მაკნე კარგი ამხისა. იგი ეუბნება ნამაი თვალმოზანილ მოჩურჩულე თავთავეებს:

სურს მოაღვა კომბაინი —
გაიღიმეთ, თავთავებო!

ერთი შეთით არ შეიძლება ეჭვი შეგვიპაროთ, რომ აქ არის მოცემული ნამდვილი კლასიკური განცდები, მოსიყვარულე არსების გასატრემა ტოლ-მეგობრებთან. ზოლო ყოველივე ეს თანამედროვეობასთან არის დაკავშირებული, რასაც პოეტი აღწევს მხოლოდ ერთი სიტყვის — კომბაინის — გამოყენებით. ეს სიტყვა თავის ადგილზე ისე ობსტატურად და ბუნებრივად არის ჩასმული, რომ არავითარი „უხერხულობა“ არ იგრძნობა პოეზიის სიწმინდის თვალსაზრისით.

ნაზი კილასონია თავისი ლექსების დიდ ნაწილში გვევლინება არა როგორც ფუჭი მკაცრებზე ჩაყვებილი სხვისთვის მიუწვდომი ზღაპრულ კოშკში, არამედ როგორც თანამედროვეობის გავლენით ამღვრებული შემოქმედი.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეფექტობთ, მაინც შეიშინევა ზოგიერთ მის ლექსში ზედმეტი გატაცება უდიდო, უსაგნო ლირიკით. ასე, მაგალითად, პოეტის საუკეთესო ნაწარმოებთან შედარებით დისონანსად ვაისმის მისი „უსათაუროები“. რა აქვს საერთო საბჭოთა პოეტის ჯანსაღ განცდებთან სერვილს, რომ „სხვა რაღაც, უფრო წმინდა“ განცადა, ვიდრე არის სიყვარული? რატომ წარმოადგენს ახალგაზრდა საბჭოთა პოეტმა ქალმა, რომ სიყვარული სხვა რომელიმე კეთილშობილურ გრძობაზე დაბლა დგას! ხომ არ დავიწყებია მას უმწვენიერესი პრინციპი რუსთაველისა — „სიყვარული აგვაბაღვებს“, „ხესა შეიქმს ხმელსა ნელადა...“

ან კიდევ რატომ არ სურს აღნიშნული ლექსის ლირიკულ გმირს „აკაედ იხილოს“ თავისი ტრფობის საგანი?

არც ის მდგომარეობა უნდა იყოს სახარბიელო პოეტისათვის, რომ მას უყვარდა, ზოლო როცა თანაგრძნობა ვერ იბოვა, სწორედ ამიტომ იგრძნობთ თავი ბედნიერ ადამიანად.

უდიდო ნაწარმოებებზე შეიძლება ჩაითვალოს აგრეთვე ნ. კილასონიას „კომბაინები“, „უფრის-ცვალბა“, უსათაურო ლექსი „მთვარე როცა მიიღევა“ და ზოგიერთი სხვა.

საბჭოთა პოეზიის ლირიკული გმირი არ შეიძლება წარმოვადგინოთ ცხოვრების ყოველდღიური სინამდვილის გარეშე, იმ სასიცოცხლო ინტერესების გარეშე, რითაც არსებობს საბჭოთა ხალხი.

სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურა მუდამ მჭიდროდ უნდა იქნეს დაკავშირებული კომუნისტური იდეების მხატვრულ პრაქტიკულ განხორციელებასთან, ახალი ცხოვრების მშენებელთა წინაშე წამოჭრილ სიმძვინვარეო დასაძლვეი გზების მხატვრულ ჩვენებასთან.

ცხოვრების მოვლენათა სიღრმეში ჩაწვდომა, ამ მოვლენათა განვითარების არაგულჯარილო მუთავალურეობა, არამედ მისთვის სწორი მიმართულების დასახვა მხატვრული აზროვნების საშუალებით — ასეთია საბჭოთა შემოქმედების ერთადერთი მისაღები გზა და ამ გზას არ უნდა ასე-

დეს იგი, თუ სერს ხალხის ინტერესებმათვის შეტრიალის საპატიო სახელი დამისახვროს.

ისტორიას არ ახსოვს ისეთი შერჩეული, რომელსაც ავტორიტეტი მოგბოვებინოს სამოგადლოებრივი საკითხების გვერდის ავლით, თავისი მხატვრული პრაქტიკის კამერტელ-სალონური განწყობილების ვიწრო რკალში მოაწყვედევით. მხატვრის შემოქმედებას მხოლოდ საზოგადოებრივი ცხოვრების რეზონანსი აძლევს სტიმულს, მომზიბლაობას და გამძლეობას. უამისოდ მხატვრული ნაწარმოები განწირულია ხანმოკლე არსებობისათვის და სულ მალე იგი დაეწყებას შეეცემა. მეტნაკლებად ღირსშესანიშნავი ნაწარმოები განუწყურვალად არის დაკავშირებული ხალხის ცხოვრებასთან, მის ღზინასა და კერთან, წარმატებებთან და მარცხთან.

მხოლოდ ის შემოქმედი დამკვიდრებულა ისტორიის ფურცლებზე, ვისაც მთელი თავისი მოღვაწეობა ჩაუყენებია ხალხის ინტერესების სამსახურში, ვისაც მთელი თავისი ნიჭი და შესაძლებლობა მიუტანია ხალხის სამსახურში. ეს განუყოფად არავად უნდა ვითვალისწინოს, უწინარეს ყოვლისა, ახალგაზრდა, დამწყებმა შემოქმედმა.

ნაზი კილასონიას ნაწარმოებთა მთავარი ტენდენცია, მათი მთავარი პათოსი არის თანამედროვეობის მაჯისცემის განცდა, ამ განცდის ასახვა ჯანსაღ ლირიკაში. ეს არის შირითადი, და პოეტრი ვალდებულა დროზე ჩამოიშოროს ყველაფერი, რაც არ არის მისთვის ბუნებრივი და ორგანული. ნ. კილასონიას პირველი ნაბოეები საბუთს იძლევა ვიფიქროთ, რომ "მისთვის ამ ამოცანის გადაწყვეტა არ იქნება დიდძალეული.

თუკი პოეტი ნამდვილად ზრუნავს თავისი მხატვრული ოსტატობის სრულყოფისათვის, ჩვენი ზლოვნების ესთეტიკური კედლების ამალღებისათვის, ამით მას გარკვეული წელია შეაქვს სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის შემდგომი განვითარების საქმეში. ახალგაზრდა ნიკიერ შემოქმედთა ამ რახმს ვუთენის ნაზი კილასონია, და მისგან ბევრ კარგს მოვლის ჩვენი მკითხველი.



ახალგაზრდობა ხალხის იმედი და მომავალი, ხოლო ლიტერატურული ახალგაზრდობა მის მოწინავე რახმს წარმოადგენს. საუბარი ახალგაზრდა მწერლის შესახებ შეტად სინტერესოზა, მეგრამ, ამვე დროს, დიდ სიბოთულესთან არის დაკავშირებული. რთულია იმდენად, რამდენადაც სწორი მხატვრული პერსპექტივის მოხაზვა ისეთ ძნელ ოპერაციას გულისხმობს, როგორიც არის მწერლის შემოქმედებითი ლაბორატორიის შესწავლა. მისი ესთეტიკური მარწამის ვარსება-მთელი ეს სამეშაო უნდა შესრულდეს იმ აუ-

ცილებელი შრომის დაცეით, ურე მწვერულზე არ იგრძნოს შეზღუდვა რაიმე ზღვრული ვერტენის, რომ მას სთავაზობენ რალაც რეცეპტს, რომლის-მიხედვითაც იგი იძულებულია მუშაობდეს. ყოველი შენიშვნა, გამოთქმული მწერლის მიმართ, დადებითი იქნება იგი თუ უარყოფითი, მხოლოდ კეთილმეგობრულ სურვილს უნდა გამოხატავდეს შემოქმედების ინტერესის თვალსაზრისით.

ახალგაზრდა მწერლის პირველივე უტყუარი წარმატების ნიშნია მისი პოეტური ხმის ორიგინალური ვერვა. ეს ხმა ისე უნდა გაისმას პოეზიის არსებულ ფონზე, რომ ძალაუბერვად მიიქციოს ყურადღება როგორც ახალმა და საუცხოომ, როგორც მანამდე განუცდელმა. ახალგაზრდა შემოქმედისათვის ყველაზე უფრო სასიფათო, მოლიმულ გზას წარმოადგენს წინამორბედთა მიერ გათული გზაზე შედგომა. ეს იქნებოდა ცდა ნალები წინააღმდეგობის საშუალებით მიზნის მიღწევასა. ასეთი ცდა, ბუნებრივია, ყოველთვის წარუმატებლობით მთავრდებოდა, ვინაიდან ეპიგონის სახელი ლიტერატურის ისტორიას არასოდეს არ შემოუნახავს და ასე იქნება მუდამ.

ამ შორე ახალგაზრდა პოეტს მუხრან მაქავარიანს ბევრი რამ საიმედო გაანინია, როგორც ორიგინალური ხმის გამოუმწვევებისათვის მებრძოლ შემოქმედს. ვიდრე ეს ცდა საბოლოო გამარჯვებით არ დაგვირგვინებულა, მ. მკვაფარიანი ვალდებულია მტკიცედ გაუყვას ერთხელე არჩეულ სწორ გზას, ჩამოიშოროს თავის ლექსებს ყველაფერი ის, რაც უცხოა მისი შემოქმედებითი ბუნებისათვის, მზრუნველობით აღზარდოს და განავითაროს ჯანსაღი მარკვალი, რომლითაც საზრდოობს დღეს მისი პოეზია.

მთავარი თემა, რომელიც თავისი ლექსების საგნად ღუსახავს მუხრან მაქავარიანს, არის ხალხის, სიოცხლის, შხისა და გახაფხულის ძალა და უყვადეება. პოეტის აზრით, ადამიანის იტაცებული გული ჰგავს გახაფხულზე აზვირთებულ ამბოპრებულ მღინარეს, რომელიც ცდილობს პიტალო კედის ვარდევას. გახაფხულის მაცოცხლებელ ძალთა მეოხებით ნაპირებიდან დაძრული მღინარე ღამობს გულში ჩაიკრას მთელი ხმელით, რადგან მას უყვარს დედამიწა, აუყვარს და... რა ჰქნას" ისეთი მძლავრი გაქანებით მოხიბლული პოეტი ამბობს:

ეს ყველაფერი გახაფხულის ბრალია მხოლოდ;
თუ არა იგი — ორივენი ვდილობთ
წენარად...
ჩვენ გახაფხულმა ჩაგვიყენა მკლავებში
ღონე,
ჩვენ გახაფხულმა მოგვანიჭა ეს კარბი
ქღ...

გაზაფხულის სუნთქვით გაიკვლია სიამყაროს მშვენიერება იღვრება მოგაფრატე პეპლებით მოხატულ ყვავილანაშთ, ბალახითა და ჯეჯილით შემოსილ მინდორ-ველებზე, ამღერებულ ნაკადულთა ჩირიალში, ეს მშვენიერება თვალს ატყობს აღფრთოვანებულ ჩიტების ცის ღერზე ტატონზე განავარდებით, ტალღებქორჩალი მდინარის სივრცეში გაჭრით და უძლიერესი სურვილი ებადება აღამიანს თვითონ მიზანძის მდინარის შეტორტმანებას, რათა „უღაბნო გაის ამ დროს შემოეგებოს ფოთლები ტაშით“.

ასე ამაყრებს პოეტი მჭიდრო ურთიერთობას გონების ძალებთან, მათ უკვდავებასთან. მზის სიღლით მოხიბლულს, შერს მისი სიმაღლე და ებადება სურვილი — მზემ მხრებით გამოარღვიოს ღრუბლების ფენა, დასწვევს მას, დააგლოს ორივე ხელი და... აღტაცოს მაღლა, ებადება სურვილი — მაღლიდან ხედავდეს თვალუწვდენ ყამირს, ყველგან დანაცროს ღამის წყვდიადი „გაზაფხულით და სინათლით საესემ“.

ხალხურ საგალობელს („მზე შინა და მზე გარეთ“) გვაგანებს მუხრან მაკავაჩიანის ლექსი „მიხარია“:

მზეო, მზეო, მძლეოა მძლეო,
უფრო დაბლა დეშეი...

ასე ვედრება პოეტი მზეს, ვედრება — ისიც ცვირივით ატყავს მაღლა და გათქვიფოს პერსი, რომ ამ გზით გზიაროს სიციცხლის მარადისობას, ბუნების ძალთა უკვდავებას. ხოლო რაჟა მზე ამოღის, ხეხილს ოქროს ხელს ჩამოართმევს, ძარღვებში სინაზი ამოძარდავდა, სიმღერას იწყებს აღამიანიც, ცვირავდა ჩიტაც და ძალბუნებრად მიღმაჩარ დასცენამდე, რომ არაფერი დედამიწაზე, სიციცხლზე უკეთესი, რომ სიკვდილი კორია და სხვა არაფერი, რომ ვანთიადზე უფრო ტკბილსა და კარგს ვერარას ნახავს აღამიანი, რადგან „მზე ძლიერია, დიდია, — თენდუბა სიციცხლესავით...“

მზისაგან გაზაფხული განუწყრელი, ისიც სიციცხლის უკვდავებაზე ღაღადებს და ეს ჩინს მაშინ, როცა მდინარე ტრტს გაშლის, ხოლო მერხალა — ერთას, ბალახი კორდს შემოსავს და ლოლავს ეს ვაბურღავს, ირველივ ვედაფერი ნაირფერადი ყვავილებით მოიკაზმება, შენ კი ბუნებრივად შესძახებ ხოლმე: — გზა, გაზაფხული მოღის! ამის შემდეგ მზიანა ღღის მცხენეარება ფოთლებს აფითრებს, მიღამო მწვანე ზღვად გადაიქცევა და ეს ზღვა ღელავს უზარმაზარი მწვანე ხეების ტალღებით, ფერაობაზე ზეარი შეფენილა და უანებში თქრიალით რბიან არხები — ეს არის ნაშფილი ცხოვრება და უკეთეს მზარეს ვერსად იპოვი. კაცს ებადება სურვილი — მუხსავით ხელი გამალოს და მთელ ქვეყანას გადასისხოს: — მიმოიხედდე! რა კარგია სიციცხლე, — ხედავ?

ონება ვრცელდება სინათლის სისწრაფით, მინდა არხბივით მკლავების განშლენაში აერბივარ მთაზე და იქიდან გომხმინოცხეს ვაშა! სიციცხლეო, ვაშა!

მიმართავს რა მზეს ერთ-ერთ თავის ლექსში მ. მაკავაჩიანი, მოხიბლული ბუნების მშვენიერებით და სიციცხლის სიღლით, ეუბნება:

მზეო! მუხლს ვიყრი მე შენს წინაშე...
(თავის ჩრდილს ეთამაშება ფოთლო კადრის)...
თუ ისე გიყვარს ბალახი შენ,
თუ ისე გიყვარს წვიმა შენ,
მიყვარს როგორც მე —
სიკვდილს ჩემსავით არაფრად ჩათვლა.

პოეტის წარმოდგენაში ერთმანეთისაგან განუწყრელი არიან ხალხი, გაზაფხული, ამ აღამიანის ბედნიერება, რომელიც მტკიცედ მიამიჯებს კომუნისტის გზაზე. ამის უმღერის ქვეყნად ყველაფერი, რასაც კი კაცური კაცობის ბეჭედი აზის, უმღერის მთელი სიმაართლით, გულწრფელად ნეტარებით აღსავსე გული ლია ყოველივე სიკეთისათვის, იგი მოხიბლულია „კოლმეურნის მკლავის გამალო“, რაც უიარტყვას ჰგავს, ყამირების ქვევით ჯეჯილებად, დედამიწის თვალუწვდენი სივრცით, აქალის, ბავშვის, ტკბილა, საესემ, ლალი სუნთქვით“. მას ებადება ძლიერი წუერიული „შეისუნთქოს ტყემლები, წყარო... გადაყარნოს ხეები ცალცალკე...“ რადგან „გაზაფხულია! და... მეტი რა გინდა!“

მწერიო: იცნონ და შეიგძრინ:
ზღვებმა — თავიანთი ტალღები,
ფოთლებმა — თავიანთი ცვირანაში,
ქალებმა — თავიანთი სიცილი,
ვაეუებმა — თავიანთი ხარხარი.

ეს არის სიციცხლისადმი უმძაფრესი ღტრევა, ოპტიმისტური გრძნობის მძლავრი გამოვლინება.

მუხრან მაკავაჩიანის ერთ ლექსში, რომელიც მიძღვნილია გაზაფხულის ცხოველყოფილი ძალისადმი, ასეთი სტრიქონი იპყრობს უკრადლებას: „ჩიტის ტიქტიზე კვირტიდან გამოიხედა ფოთლო...“. ამ მხატვრული ხერხით პოეტმა შექმნა შესანიშნავი სურათი. თითქოს სატრფოსადმი მიძღვნილი თავდაიწყებული სერენადა იხმოხდეს ქალწულს კომუნის სარკმელთან გადასისხედავ, ისე მიიღებს მკითხველი აღნიშნულ პოეტურ ფრანას. იქნება სრული ილუზია, რომ ჩიტის ტიქტი, გაზაფხულის მოხიბლვაბით ავლარებული მკლავი, მოხვენებას უკარავს კვირტში შეფარებულ ფოთლოს და მზეზე გამაჟყავს იგი. აქ მოკვებულია პოეტის თვლით დინახული ბუნების გამოვლინების ერთი მომენტი, აყვანილი პოეზიის ხარისხში.

სწორედ ამ პოეზიის გამოხსახველ ლექსებს გულისხმობს პოეტო, როდესაც ამბობს:

სალამი ლექსებსა..

გულმხურვალე სალამი ლექსებს —
განთიადისის მწესთან ერთად

დაბადებულებს!

შნის, სიცოცხლისა და ვაზაფულის მარადისობის პათოსით არის განათებული პოეტის სიმღერა განთიადის, ცვარმოფრქვეულ ბალახის, ბედნიერი აღმზიანის ღიმილის, მთეარის სხავებთა აღსახვე ჰაერის საღიდებლად. ამიტომ არის სასიხარულო კაცის ცხოვრება, ამიტომ არაფერი სურს მას, გარდა სიცოცხლისა, ჯან-ღონისა, რწმენისა და სიმტკიცისა, რაც დამწვევებელია სათნოებთა და უბრალოებით; სწორედ ამიტომ

— წყაროც სიცოცხლის სიყვარულის,
ოი, საღ არი!

საბუთო პატრიოტიზმის დიადი გრძნობა ვრცლად არის წარმოდგენილი მუხრან მაჰეჯარიანის შემოქმედებაში. მხატვრის ოპტიკური მასშტაბი ამ მხრივ ზოგჯერ ფართოა, ზოგჯერ კი შეზღუდულად გვეჩვენება. სამშობლო სოფელი არგვეთი თავისი წისქვილით, ტყე-ველით, წვიროებით, კაკლის ხეთა ზეროებით, იზვარათი და ღამურათი ეხმარება რესეთს, უკრაინას, თბილისს — სტალინგრადს, ჩვენი ეპოქის მოვლენები — შეთერამეტე სატყუნის ამბებს. ამ თემაზე დაწერილი ავტორის ყოველ ლექსი გამოხატავს სიამაყის გრძნობას თავისი სამშობლოს სიკეთისა და ბედნიერების გამო.

პატრიოტულ გრძნობებს აღძრვენ ის დიადი წინედი და ვარდაქმნები, რასაც ჩვენი ქვეყანა განიცდის, სამშობლოს ღირსებას კიდევ უფრო აღღერებს კეთილშობილება თანამემამულეთა, რომლებიც მშვიდობისათვის იბრძვიან მთელ მსოფლიოში, აღღერებს წინაპართა ცრემლითა და სისხლით გაოწოართობილ დედანის ტბილმძონებება, ნართვის ქონგურების თითოეული კენჭი, სამშობლოს უღრებლო, კრაილა ზუჯი, ფოთოლმზრიალა მუხნარი, ღურჯი ზღვა, ბარაქთ სავსე ყანი, ტანამოლტილი ხეები — აქვლუც ქალიშვილებს რომ ეჯიბრებოდნ წელის რხევით.

ხოლო ის უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა, ყველაზე უფრო დიდმნიშვნელოვანი მოვლენა, რასაც კი ადგილი ჰქონდა ოდესმე კაცობრიობის არსებობის მანძილზე — სოციალიზმი, ხორცშესხმული ჩვენს ქვეყანაში, პოეტს საყვებთ საპარტოლიანად მიანზია ინტერნაციონალურ მოვლენად:

აღტაცებული ვოლგა-ღონით ვნახე მე ხალხი,—
უკრაინელი, ესტონელი, რუსი, ყირგიზი.

და, ვით შე—ყველას ღრმად გვესმის და
გულწრფელად გვეცხვება
ეს დიდი არხი — ხალხთა ძმობის ძალით
შექმნილი —
ააღორძინებს არა მარტო რუსეთის ველებს,
გააზიარდდნებს არა მარტო ზარკოსს,
სტალინგრადს, —
ეს... ყარაყუმსაც აგრძნობინებს ნატრულ
სისველეს,
ეს... ძლიერ შექალ დაფრქვევა მწვანე
ტაიგას, —
უყურადღებოდ არ დარჩება მიწა მცირედით...
ასეა... რადგან არხს სახელი ჰქვია ლენინის, —
ხოლო ლენინი ყველა ერის არის იმედი!

ლენინის უყვადიება კომუნიზმის დიადი მშენებლობის პრაქტიკულ საქმეებში ჩანს. ლენინის სახელთან არის დაკავშირებული ხალხის ღრმა რწმენა გაპარჯებისადმი, ხალხის იმედი და სიცოცხლე, ძალა, რომელიც წყვედიდმიც შექად ინთება, გვალვით გაღამწვარ ზრიოებს წალკოტად რომ აქცევს, პარბუქში გაყინულ აღამიანს რომ ათბობს, ძალა, რომელიც ხალხს რწმენად და სუნთქვად რომ იქცა და სიცოცხლე სისხლქარბი გასაღდა.

ამიტომ მიმართავს პოეტი საზღვარგარეთულ უმუშევარს — კაპიტალიზმის მგურვი კანონის მუოხებით დღეწინის და სასიკვდილოდ განწირულს:

მანდ, ამერიკაში, არ არის ლენინის ქუნა!
ვიდრე არ ვანდება მანდ ლენინის ქუნა, —
მშოერი იქნები, ჯონ!
— დაარქვი ბროდვეის ლენინის ქუნა!
— ძელოა?!
— არ არის შიშილოზე ძნელი!
დაარქვი, თუ ვინდა იტოვრო კაცურად,
დანაყრდ, გამართო წელი!

ცხოვრების ადამიანურ პირობებს მხოლოდ კომუნიზმი დაამკვიდრებს, სოციალური სისტემა, შექმნილი მოკლე საუკუნის ხალხის ძლევათისოლი ხელთ. ეს იდეა ასულდგმულებს შ. მაჰეჯარიანის ბევრ ნაწარმოებს. იგი განსაზღვრავს შისი საუკეთესო ლექსების შემოქმედბითს ღირებულებას და მხატვრულ ძლიერებას.

ზგარა მუხრან მაჰეჯარიანის შემოქმედებაში შეინიშნება ზოგიერთი უდიდო ნაწარმოები, ზოგს კიდევ ბუნდღვანების ბეჭედად აზის. არაფერს ეუბნება მეთხველს სულსა და გულს, მავალითაღ. ლექსი „ვიცი მათი ხასიითი“. არაკითარი სერიოზული მნიშვნელობა მას არ შეიძლება მიეკუთვნეთ, რაძლენადაც ლექსში ლაპარაკია მხოლოდ იმის შესახებ, რომ ღირიკული გმირი სადღად მიამიჯებს, რაღაც უხარია, მიიმღერის და მიამოლებს. ხოლო კობიტები, ზაეშობის წლების მო-

საგონრად, ჩაირჩივლებენ: „—მუხრან, ძროხა გადაბი, დავეცავლოს შამილია“ შემდეგ ავტორი შეხედავს წყაროს, სადაც პირველად ეამბორა ქალწულს. შემდეგ კიდევ ბოსტნეული, ხაჭაპური, ღირის კუპატები და ტოლუბაში — სხვა სოფლიდან საგანგებოდ მოწვეული.

ვეკვობთ, ასეთი რამ ღირსებას მატებდეს მ. მაჭავარიანის ძირითადში ჯანსაღ პოეზიას. ეს მხოლოდ სწორი გზიდან აედენის მოამსწავებელია და პოეტმა საფუძვლიანად უნდა შეამოწმოს ამ მხრავ თავისი შემოქმედებითი პრაქტიკა. მით უმეტეს, რომ ნაწარმოებთა ამ კატეგორიას განეკუთვნება მისი ზოგიერთი სხვა ლექსიც, მაგალითად, „ქალები“. აქ მხოლოდ იმას გვაშინობს პოეტი, რომ ქუჩა საესეა ხობხებით — 'ლამაში ქალებით. ხოლო მათგან დაწუნებული ღირსეული გმირი იმქერება — უაენს საღამს არ მიეცეოთ, თან დასძენს:

აქ არც ავქალის ბალია, არც ორთაჯალის ბოსტანი.

სხვა ლექსში კი („ტირიფები“) ავტორი სიხარულს აეტანია მხოლოდ იმიტომ, რომ მას სურს ისწავლოს „წყაროიან — ბორცვიანა“, გაიღვიწოს და დედამიწით „სულიანა ხობციანა“.

ლექსში „ერთადერთო“ ავტორი არას დავიდევთ, ვისია მისი სატრფო, რომელიც საჩქველში დანახვით შეხვედრებია. ხოლო ლამურას — ღელეს ზემო იმერეთში — არწმუნებს, რომ რადგან ახლა უკვე ბავშვი აღარ არის, მასში ბანაობა არ შეუძლია. ოღონდ, უნდა იცოდეს ღელემ, რომ წვიმა არ ზრდის აღამიანს, დავაეკაცება კი უნდა აბატოს მას.

ასევე უკიდურესად პირადულ, მხოლოდ ერთი აღამიანისათვის ვახაგებ და საინტერესო ვანცლადზეა ავტორი მ. მაჭავარიანის ლექსები „ქალიშვილი, რომელსაც უყვარს წვიმა“, „დემილი უშენოდ“, და ზოგი სხვა.

მუხრან მაჭავარიანი ბევრი ორიგინალური რითმისა და მხატვრული საბის შემოპტანიც ქართულ პოეზიაში. მით უმეტეს, საჩითაროა მის ლექსებში ისეთი ხელოვნურად შექმნილი, ნაძალადევი რითმები, როგორიცაა „მეურობა-უყოლება“ (ლექსი „გაიგონეთ“), „ყვინჩილა-ვიჩინა“ („წისკვილის დამე“), „ერკახე-შენს სახელს“ („ტირიფი გეტყვის...“). არა გვგონია, ოდენსე იხე გაუძნელ-

დეს მ. მაჭავარიანის მუსიკალური და სუფთა ლიტერატურული რითმების შერევა, რომ მათი ზერხს მიმართოს.

უსიამოვნო ასოციაციას იწვევს მკითხველში ასეთი გამოთქმა: „ანდა საწნახელს უტკბილესი ქვიშურის წვენი ტყუელა კი არ წასკლია სისხლად ცხვირიდან!“ იქნებ სხვა ადგილას კარგად მიგნებული პოეტური სახე იქნებოდა კურკლიდან სითბის გადმოღვრის ასე დახატვა. მაგრამ როცა ლაპარაკია საწნახელსა და ყურძნის წვენზე, მაშინ ცხვირიდან სისხლის წასკლივის გამოყენება პარალელად არავსოეტური ხერხია.

ასეთივე უხერხული სტრატეგია თავისთავად კარგ ლექსში „პუშკინი თბილისში“:

...პუშკინს არ უნახავს ადენი სიცილები, თუმც ბევრი უმასტრია, — ნახეაზეც უზრუნია...

ველორობ, ყველაფერი, რის გამოც გამოვთქვით შენიშვნები, მუხრან მაჭავარიანის შემოქმედებაში უნდა მივიღოთ როგორც უცხო რამ, გატედან მოტანილი და აბორგანული ამ ერთ-ერთი მოწინავე, ახალგაზრდა საბჭოთა პოეტისათვის. გვირდა ღრმად ვიყოთ დაწმუნებული, რომ მ. მაჭავარიანი თავის შემდგომ მუშაობაში შეეცდებოდა თავიდან აიცილოს მისი პოეტური ბუნებისათვის მიუღებელი, მხატვრულად სუსტი და გაუმართლებელი ხერხები. მან თავიდანვე ჯანსაღი, გაუზნარავე მხით დამღერა ქართულ პოეზიაში, იმთავითვე სწორ გზას დაადგა და ამ გზიდან ოდნავაც არ უნდა გადაუხვიოს.

მაჭავარიანი სამოქალაქო ღირსის კარგი მენიტყვეა. სწორედ აქ უნდა პოეოს თავისი შემოქმედებითი სტიქია იმ პოეტმა, რომელსაც ეკუთვნის ესოდენ ღრმად შთამავონებელი სტიქიონები:

იღვა შენობა — სიამაყე რუსთველის ქუჩის ვიღვეით მის წინ
მე და... ერთი პატარა ქალი.
მზეზე ბზინავდენენ მოყვითალო სვეტები დიღა.
იღვა შენობა, ვით მშვიდობა, ნაიალი ქვიდან...
და მე მესმოდა, წარმოთქმული ხმაილა
თითქმის,

ხმა ჩუქურთმისა:
— მშვიდობა გვირდი!

ლიბრარია ქვემოთ



საკუთარი გზით

ლექსების და პოემების კრებული „ჩემი ქუჩის დღესასწაული“ ახალგაზრდა ნიჭიერი პოეტის არჩილ სულაკაურის მეორე წიგნს წარმოადგენს. ეს წიგნი პოეტის უდავო ზრდის შესახებ შეტყუვლებს, მის დაეცემაზე მოწმობს.

არჩილ სულაკაურის ლექსების და პოემების წიგნი იხსნება ლექსით, რომელშიც ავტორი გვაცნობს თავის პოეტურ წარსულს და თავისი პოეზიის ძირითად პრინციპს. ყველა პოეტს, დიდი იგი თუ პატარა, წინამორბედი პოეტების გავლენა განუვლია. დამწყები პოეტის შემოქმედებაში ხშირად შეიმჩნევა მერყეობა და შეცდომებიც, ვიდრე იგი სწორ გზაზე გავიდოდეს. ეს მერყეობა, გადახვევები, ზოგჯერ არასწორი გზით სიარული თან ახლავს ძიებას. ვინც არ ეძებს ახალ გზებს, ის არასოდეს არც შეტდება და არც გადატყვევს უკვე გატყვევნილი გზიდან. არჩილ სულაკაურმა, შეიძლება ითქვას, იმთავითვე დაძლია სიმბოლისტების და დეკადენტების გავლენა: მას მზის სინათლეზე არც კი გამოუტანია ლექსები, რომლებსაც მწიგნობრულობის დალი აჩნდა და უკვე პირველი თავისი წიგნით წარდგა მეთისველის წინაშე, როგორც ორგანიზატორი პოეტი. სწორედ ამ თავის მოკლე წინაგან ბრძოლაზე, საკუთარი გზის ძიებაზე და პარაკობს პოეტს:

დაცვერი ჩემი ბავშვობის ლექსებს,
თვალები კითხვით გადაშეღალა,
და შიგ ამაოდ,
ამაოდ ვეძებ
მას ჩაუპოვებარა
რაც მიდიქრია.
შიგ ვილაყ ბავშვი სხვა ხმაზე მღერის,
გაიშრიაღეს წაუშდ ჩადიღებმა.
შიგ არის ძველი წიგნების მტვერი,
ძველი წიგნების შთაბეჭდილება.

ამ ლექსში ავტორი კრიტიკულ თვლით უყურებს განვლულ გზას, ეს უკვე იმის საწინდარია, რომ სულაკაური საკუთარი გზით იღლის მომავალში. ამიტომ პოეტი თავის ლექსს შემდეგი სიტყვებით ასრულებს:

...ამიტომ მიწა. ვწერო სიშარბულ
გაიღეს წლები და სიბერისას
გადავიკითხო განვლილი გზები.

წერა იმის შესახებ, რასაც საკუთარი თვლით დაინახავ, რასაც შენ თვითონ ვერაზნობ და განიცდი და არა სხვის მიერ გაცუდილის გადაძლეობა — სწორედ ეს არის საკუთარი გზა — გზა კვლევითი პოეზიისა.

ზემოთ განხილული ლექსის შემდეგ, რომელიც კრებულის შესავალის როლს ასრულებს, წიგნში მოთავსებულია ლექსების ცოლი დიდ სამამულო ომის თემაზე.

ლექსში „ომი, დედა და ბავშვები“, ავტორმა შეძლო იმ გრძობების სწორად და ღრმად გადმოცემა, რომლებიც ომის პირველ დღეებში დაეუფლა უბრალო საბჭოთა ადამიანებს. აქ არის ლაპარაკი პირველ შემტყუნებაზე, რომელიც იყო გამოწვეული იმ დიდი უბედურებით, რაც თან სდევდა ფაშისტ ბარბაროსთა შეადგენსმას — დედის თმებში უეცრად განვილი ჰალარა ზოლზე, იმ გაჭირვებაზე, რომელიც ჩვენმა ხალხმა გადაიტანა და იმ დიდ რწმენაზე, რომელიც უოველი საბჭოთა მოქალაქის გულში ღვიოდა.

როგორც ვხედავთ, ამ ლექსში სამამულო ომი თავისებური კეთილი არის დანახული. სამამულო ომის თემაზე დაწერილი არჩილ სულაკაურის ლექსები ღირსებით არის განსწავლული.

სამამულო ომზე დაწერილი ლექსების ციკლდანი განსაკუთრებით გვიჩინა შევიჩრდეთ არჩილ სულაკაურის ერთერთ საუკეთესო ლექსზე. ესაა „გეოგრაფიის მასწავლებელი“.

ამ ლექსშიც ავტორმა დიდი ეპიკური ამბები — სტალინგრადის გმირული დაცვა სამამულო ომის წლებში — პატარა, მაგრამ მრავალის ნიჭიერი პოეტური სახით გადმოგვცა, დავეიხებტა რა ამ ბრძოლების ერთ-ერთი მოწაწილე, ერთი შეხედვით, თითქმის არავითარ კავშირში არ უნდა იყოს გეოგრაფიის გაკვეთილი და სტალინგრადის ბრძოლები, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. სინამდვილეში კი ლექსის პირველ ნაწილში დახატული საკლასო ოთახი და გეოგრაფიის გაკვეთილის ჩატარების მშვიდი გარემოქმნის სტალინგრადის ბრძოლის საოცარ კონტრასტს. დანჯი, აუღლებელი მასწავლებელი ჩვეულებრივად უხსნის გაკვეთილს თავის პატარა მსმენლებს და როდესაც სტალინგრადზე იწვევს ლაპარაკს, უეცრად რასხვით აენთება:

ვერობა: იყო წარება და გუგუნი.
ვერტყამით ფაშისტებს,
ვერტყამდა ფაშისტი
ძღვის იღვა ქალაქი შთლად ვადამუგულ
ვიბროდით,
ვევდებოვით უოველი სახლისთვის.

ამს ჰეება სტალინგრადის დაცვის მონაწი-
ლე, რომელმაც ზელა ბრძოლებში დაკარგა. და
ის, რომ მან იბრძოლა, რომ იგი ბრძოლაში
დაიჭრა, გადმოცემულია ერთი სტრატეგის სა-
შეკლებით:

თმები აეშალა,
აღელდა,
გახელდა:
— მინც დავლწით ჯავშანი ურდოთა...
უცებ ცალიერი შევრხა სახელი
და მიხვდი — მარჯვენის აწევა უნდოდა...

ჩანაფიქრის გადმოცემას ზელს უწყობს ლექ-
სის რიტმული წყობაც. დასაწყისში ლექსი
მღორედ და ეპიკური სიღინჯით მოედინება,
ხოლო ლექსის ბოლო ნაწილი ნაწვევებ-ნაწვევებ
და აჩქარებულია.

ზემოთ დასახელებული ლექსების განხილვი-
დან ნათლად ჩანს, რომ ავტორი ცდილობს თა-
ვისებური ვადამუგეტა მონახოს იმ თემისა, რო-
მელზედაც სხვა პოეტებისა და მწერლების მიერ
არა ერთი ნაწარმოები შექმნილა. სამამულეო
ომი ნაწენებია არა პარადულად, არამედ მთე-
ლი თავისი სიმწელებითა და წინააღმდეგობე-
ბით. არჩილ სულაკაურის ომის თემაზე დაწე-
რილ ლექსებში მარტო დაფდაფისა და სროლის
ხმა კი არ ისინის, არამედ ღრმა თბილი ღირებში
და ადამიანის სიყვარული ეიმციება.

ლექსების მეორე ციკლში არჩილ სულაკაუ-
რი უმღერის ომისშემდგომ პერიოდს. ამ ნა-
წარმოებთა ძირითადი თემაა სიცოცხლის დაუ-
სახამობა, სიყვარული უოველივე აწვეყნიური-
სადმი. სიყვდილს სძლია სიცოცხლემ, ზენმა
ხალხმა გაჰმარჯვა სამკვდრო-სასიცოცხლო ომში
და უძლეველი სიცოცხლე, მრავალმზრთი, შეუ-
დარებლად მშვენიერი, ისევე შლის ფრთებს. ამ
თემას პოეტმა უძღვნა ლექსი „ვაზაფხულის
სიმღერა“, სადაც ასეთ საყურადღებო სტრატე-
გებს ვკითხულობთ:

გახედე,
ნათლდე,
ნათლდე,
ნათლდე,
ვაზაფხულს სიმღერა გელიდან ამოაქვს
ცა არსად იწეება,
ცა არსად თავლდება,
სიცოცხლევ ცისავით დაუსაზამია.

სიცოცხლის მუდმივობაზე, დაუსაზამობაზე
ლაპარაკობს მოხდენილად პოეტო ლექსშიც. მისი
სის წვიმა და ბავშვები“.

არჩილ სულაკაურისათვის დამახასიათებე-
ლია მოვლენების არა სტატეკური ასახვა. მათ
იგი მოპრობაში, ცვლილებებში, განვიარებებაში
ხედვს. ამ მზივ აღსანიშნავია მისი ორი ლექ-
სი „სიყვარული“ და „ვემომშენებელი“.

პოეტს წლების განმავლობაში ესმოდა, თე
როგორ უტარედა როიას პატარა გოგონა. ამ
ხმებში ბავშვური განცდები, ოცნებები ისახე-
ბოდა და, აი, ვავიდა დრო, იმავე ფანჯრიდან
სულ სხვა ხმები მოისმა, ეს იყო სიყვარულის
ამაღლეებელი ხმები და პოეტო კითხულობს:
„ნთუ დაასრულა გოგონამ ბავშვობა?“ ეს
ცვლილება ადამიანში, ზრდა, მოპრობა, ფე-
რისცვალება პოეტის იტაცებას და სიხარულს
იწვევს. ასეთივე ზასიათს ატარებს მისი მეორე
ლექსიც „ვემომშენებელი“. აქაც ბავშვობა დამი-
რისიხარებულია ვაკეთის საქმიანობასთან. პოე-
ტი უშეალო კავშირს ხედავს ბავშვურ ოცნე-
ბასა და გმირის დღევანდელ მოღვაწეობას
შოთის და ეს მას ახარებს იმიტომ

— „ბავშვების დღეები რომ არ დაკარგულან.
რომ თან მოვეყვებიან დიად მომავლისკენ“.

სიყვარულის თემაზე, ამ უოველთვის ახალ
და ძველ თემაზე, არჩილ სულაკაურს ათიოდე
ლექსი შეუტანია კრებულში. მაგრამ ამ ძველი
თემის დამუშავებისას მას თავისი სიტყვა აქვს
ნათქვამი.

არჩილ სულაკაური უმღერის არა განყენე-
ბულ არამწვეყნიურ სიყვარულს, არამედ ილა-
მიანურ გულის ტყვიელსა და ადამიანურ სიხა-
რულს. პოეტს თავისებურად ესმის მიჯნურობა
და ეს თავისებური ვაგება ორიგინალურად ვა-
ზრებულ ლექსებში აქვს გადმოცემული. სიყვა-
რული პოეტს უპირველესად, სიცოცხლის დიად
სათავედ მიანიჩა. მაგრამ ეს იქნებოდა აბსტრაქ-
ტული ფრაზა, რომ პოეტს ეს თავისი ვაგება
პოეტურ სახეებში არ დაეკონკრეტებინა, არჩილ
სულაკაური უმღერის დიდ სიყვარულს, ამ სიყვა-
რულს, რომელიც განსხვავდება წუთიერა ვა-
ტაცებისაგან. ეს სხვაობა ნათლად ივრჩინა
შემდეგ სტრატეგებში:

ცად ვარსკვლავები არა მყოფნიდა,
შენთვის მინდოდა უფრო ურიცხვი,
სხვები გეძახდნენ სალალობოდა
და მე კი — დიდი სიყვარულისთვის.

არჩილ სულაყურის უნარი იქვს რთული და ღრმა განცდები გადმოგვეყვას ლაკონიურ ფორმებში. ამას იგი აღწევს სათანადო განწყობის შექმნით. აი პატარა ლექსი, რომელიც გარდასული სიყვარულის განცდას გადმოგვეყვას. ჩვენ მხედველობაში ვვაჭვს უსათაურო ლექსი, როგორ მელო იწყება სიტყვებით — „ესეც ასე, გაიარა დღემ...“ ავტორი ხატავს შემოღგომის სურათს. დღეები დღეებს მისდევენ და მიუხედავად იმისა, რომ სატრფო შორს არის, იგი მაინც ცოცხლად დგას მის წინ. მაგრამ გვიღვადრო, დადგა გახატული, „ფანჯარასთან შეიფოთლა ხე“ და სატრფო ძველ მოგონებად იქცა. ლექსში იგრძნობა დიდი გულის ტკივილი იმის გამო, რაც იყო და აღარ არის.

პატარა ორსტროფიანი ლექსიც „შენ გაახსენო გინდა ისევე“ მძაფრი განცდებით არის დატვირთული. აქ გადმოცემულია მივიწყებული, მტკიცებელი, უარყოფილი სიყვარულით დატანჯული ადამიანის გრძნობები:

შენ გაახსენო გინდა ისევე
როგორმე თავი და უსასო ხარ,
მწელია, როცა დაგვიწყებენ,
მწელია, როცა აღარ ახსოვხარ.

ზამთრის პეიზაჟი, რომელსაც ავტორი ორი სტრაქონით გადმოგვეყვას, უფრო აძლიერებს ამ განწყობილებას:

ახლა ქუჩაში ქარია ცივი
და იღვწება ხველი ტოტები...
ვულნია მცირე იმედის სხივი
ოღესმე მაინც მოაგონდება.

უფრო რთული განწყობილებაა გადმოცემული ლექსში: „როდის არ ვიცი, აღრე თუ გვიან...“ ზოგი ადამიანი ბუნებით არ არის მუდმივი განწყობილების მქონე, უყვარს პეპელასავით ერთი ყვავილიდან მეორეზე ფარფატ. მაგრამ ეს სიყვარულს ფერისცვალება უმტკიცებულოდ არ ხდება. ეს კარგად ესმის პოეტს და მსუბუქი სიყვარულს მტრფილად ადამიანებს უთითებს იმ მწარე ნაყოფზე, რომელიც ასეთ სიყვარულს მოსდევს...

როდის არ ვიცი, აღრე თუ გვიან
მაგრამ ოღესმე იწვება ვიცი
დაგრჩება გულის კარები ღია,
როგორც ოღესდაც დატოვე სხვისი.

პოეტის შემოქმედება იმდენად უფრო ღრმის-შესანიშნავი და ძვირფასია, რამდენადაც მასში უფრო ფართოდ და მრავალმხრივად აისახება სინამდვილე. პოეტის ყოველი ლექსი უნდა აღმოჩნდეს წარმოადგენდეს. კუშმარტ პოეტს უნარი უნდა ჰქონდეს ახალი, თავისებური კეთხით დინამიკის სინამდვილე, მზის სინათლეზე

გამოიტანოს ის, რაც იქამდე ჩრდილში იყო. პოეტმა, როგორც კოგორტიო, მსწ. ქუნდა მუხომბერი რაღოს თავისი ლექსებით შექმნილი სიტყვით იწყება მასში ის გრძნობები და განცდები, რომლებიც თვლემენ. არჩილ სულაყურის ლექსები და პოემები ვეახებენ როგორც იდეურ-თემატური მრავალფეროვნებით, აგრეთვე ჩანაფიქრის ორიგინალური მხატვრული გადაწყვეტით.

ღრმა საზოგადოებრივი პრობლემებია დაყენებული და გადაჭრილი, მაგალითად, ლექსში „სურათი“. პოეტი ხედავს ტყისაგან განცალკევებით მდგარი ხეს და ავტორის ჰგონია, რომ ეს ხე თავის თანამომეთ გაქცევია და მოსიყენ ისწრაფვის. და აი, მოვარდა ქარიშხალი და ცალკე მდგომი ხე გადაამტვრია. ლექსში დაგმობილია ინდივიდუალიზმი, პოეტი უმღერის ხალხის ძალასა და ერთობას. თუმცა ეს ახალი თემა არ არის, მაგრამ იგი ორიგინალურად და ახლებურად არის გადაწყვეტილი.

ადამიანისადმი სიყვარულით, ზრუნვით მის კეთილდღეობაზე გამოზარია ლექსი, „თოვლი“. პოეტი ხედავს თოვლზე ნაფეხურებს — ვილაცის მარტოდ-მარტო უვლია. ავტორი სვამს კითხვას, თუ რამ აიძულა ადამიანი განმარტოებულოდ და თვითონვე უბასუხებს:

მწუხარებამაც და სიხარულმაც
ორივემ იციის განმარტოება.

მაგრამ ავტორს არ უნდა, რომ ეს განმარტობა მწუხარებით იყოს გამოწვეული, რადგან მას სურს რომ ადამიანები ბედნიერნი იყვნენ:

მაგრამ მე მჯერა: როს განმარტოვდა,
მის სიხარულის შუკი ათოვდა
ახლა ცხოვრების უსაზღვრო გახაზე
ბედნიერების გაშლილ ფრთებს მიყავს...
მე მჯერა ასე,
მე ვფიქრობ ასე, —
რამეთუ მიწადა, რომ ასე იყოს!

ამ სიტყვებში არ შეიძლება არ დაინახოთ დიდი სიყვარული ადამიანისადმი, რწმენა იმისა, რომ ადამიანი მოაზოვებს ბედნიერებას.

არჩილ სულაყურის კრებულში გამოქვეყნებულია სამი პოემა — „ჩვენი ნაცნობი გოგონას დედა“, „მწვემსები“ და „ამები“.

სამივე პოემას ღრმა და აქტუალური იდეა უდევს საფუძვლად. თემებიც ისეა შერჩეული, რომ ისინი იდეის შესატყვისი არიან. სამივე პოემის სიტყვებს მძაფრი კონფლიქტი ახასიათებს; სახეები ნათლად ჩამოყალიბებული. ეს ყველაფერი ზღვს უწყობს იმას, რომ პოემები ღრმა ემოციურ ზეგავლენას ახდენდნენ მკითხველზე.

ავილოთ თუნდაც პოემა „ჩემი ნაცნობი გოგონას დედა“. ავტორი პოემაში ქაღავებს ოჯა-



ხის სწმინდის დაცვას, კიკხავს ისეთ ქალებს, რომლებიც ოჯახს არაფრად აგდებენ და საკუთარ ენის მოკლას აყოლიან. ბევრი მტკიცება არ ნერღდება იმას, თუ რამდენად აქტიური და სპირტუალური პრობლემაა დაყენებული ნაწარმოებში. ოჯახში იზრდება ახალი თაობა და, მამასადამე, ერის, სახელმწიფოს მომავალი. ამიტომ სწორად იტყევა არჩილ სულავერი, როდესაც ოჯახის პრობლემის გადაწყვეტის დროს პოემში წინა პლანზე პატარა გოგონას ბედს აყენებს. ოჯახის დანგრევის შემთხვევაში პირველ რიგში ბავშვები იჩაგრებიან და მერე თვით მშობლები.

პოემის სიუჟეტი მარტივია, მაგრამ დრამატუზმით აღსავსე. ორ ახალგაზრდას ერთმანეთი შეუყვარდება. შეუღლებიან, მათ ეყოლებათ გოგონა-ცოცხა. პირველ ხანებში ოჯახში ბედნიერება სიუჟეს, მაგრამ გადის დრო და ცოლი ოჯახზე გულს აიყრის. დღატობას ქმარს. ცოლქმარი ერთმანეთს ეყრება. ბავშვი მიტოვებული ბებიის აზარა, მოკლებული მშობლიურ აღერს. მამა ტრაგიკულად განიკდის ამ ამბავს, უფრო მშვიტ ტრაგიზმიითა საცხე თვით ბავშვის ცხოვრება. აი სტრუქტურებიც, სადაც ეს გულისწუხალი ვაჟკაცი — მამისა და შვილისა ამოღლებულადაა გადმოცემული:

შვილს ეფერება ფიქრებაშლილი
ფიქრებაშლილი შვილს ეუბნება:
— შენ რომ ბავშვობა წაგართვის, შვილო,
არავის არ აქვს ჭკეყნად უფლებად!
შენ მზიარული იქნები მუღამ,
ნაღველს რა უნდა პატარა გულთან?!
შენ ბედნიერი იქნები მუღამ!
როგორ გიღიმიის, ნახე, მზის სხივი,
გახედე,
ლიმილს ველარ იცილებს,
რა ხანი არის შენი სიცილი
არ გამიფია და გაიცინე.

ამ სიტყვებში, როგორც ვხედავთ, დიდი გულისტკივილია იმის გამო, რომ ციარას ბავშვობა მინც წაართვეს, თუმცა ამის უფლება არავის არ ჰქონდა!

ავტორმა ციარას დედის სახით გამართახა ქალი, რომელმაც ფეხქვეშ გათულა საზოგადოებრივი მორალი და ვეუღაფერი ინსტიტუტების დამაყოფილებას დაუქვემდებარა. ციარას დედის მიმართ ავტორი შემდეგ კითხვას სვამს:

ბედნიერია, ეფიქრობდი, ნეტა
ჩემი ნაცნობი გოგონას დედა?
ხომ აისრულა, რაც სურდა მამინ?
ჯანდაბას იგი!
მე შეცოდება პატარა ბავშვი.

როგორც ვხედავთ, კითხვაზე პასუხი არ არის გაცემული და ჩვენ ამაში პოეტის დრმა აზრს

ვხედავთ. ისეთ ფუნაბატ ადამიანს, როგორც ციარას დედა, საეჭვოა, რომ უნარყო ჰქონოდა უბედურების შეგრძნებისა.

პოემში არჩილ სულავერის შეაქვს ლირიკული ელემენტი.

პოემის დასაწყისში პოეტი ღაპარაკობს თავის პირველ სიყვარულზე. მას უყვარდა თავდავიწყებით, მაგრამ მისი სიყვარული გაუზიარებელი დაიარა. ავტორი ასე იგონებს ამ ამბავს:

გულშიზარული და უზრუნველი
წაიდა...
გზაზე ჩრდილები იწეა,
მან დამიტოვა ბეერი ღრუბელი
და ძლიერ ცოტა სხივები მზისა.

ავტორს არ ეგონა, თუ ოდესმე დაივიწყებდა მას, შეიყვარებდა სხვას, მაგრამ ბოლოს ირკვევა, რომ იგი ოდესღაც სწორედ ციარას დედას ეტრფოდა. პოემის ფინალში ავტორი იგონებს ისევე თავის სიყვარულს და მას ეუფლება ისეთი გრძნობა თითქოს ტყვია, რომელიც მას უნდა მოხედროდა, მის შეგობარს მოხვდა.

ადამიანისადმი სიყვარულით, თანგრძნობით გამსპეალულია პოემის ფინალი:

ხდება,
ავტლები ტყვია სანგარში,
შენს გვერდით იქვე დასპრის შეგობარს.
შენ წუხარ დიდად,
თუმცა გაღარჩი,
თუმც ტყვია გზაზე სხვას გადვლობა
მაგრამ მე მტკიცა მეგობარის წყლული
და არ კი ვიცო,
როგორ განვეერნო დაპირილი გული.

არჩილ სულავერის პოემში „წყევსები“ აღწერილია მითოუშეთის მეცხვარეების ცხოვრება და შრომა. მაგრამ ეს ნაწარმოები სრულებითაც არ ჰგავს „სასოფლო-სამეურნეო“ თემაზე დაწერილ ისეთ წიგნებს, რომლებშიც ვრცლად არის აღწერილი ცხვრისა და ღორების მოვლის აგროტექნიკური წესები ანდა რომელიმე დეტალის შექმნის საწარმოო პროცესები და რომლებშიც არ არიან ადამიანები. „წყევსებში“ არჩილ სულავერმა წინა პლანზე ადამიანები წამოაყენა. პოეტმა შეძლო მეცხვარე წყევსების ადამიანური ენების, გრძნობების და ფიქრების ჩვენება.

პოემას საფუძვლად ცნობილი იდეა უღვეს იმის შესახებ, რომ ადამიანმა საზოგადოებრივი, სახალხო ინტერესები პირაღზე მადლა უნდა დააყენოს. მაგრამ არჩილ სულავერი აქაც შეეცადა ამ პრობლემის თავისებური გადაწყვეტა მოეხატა.

პოემში დაპირისპირებულია ორი წყევსი — თორღვა უთურგაძე და ბექა რაინაული. ავ

ტორმა შეძლო ამ ორი ანტიპოდის შეკეთი, რეალური და დახამასოვრებელი სახის შექმნა. თორღვა უთურგაიძე, როგორც ნათქვამია პოემაში, „თავისნება და ურჩი კაცია“, იგი აყვარა თავის ვნებებსა და გრძნობებს და ეგოისტად მტყუელა. სიყვარული ნინელისადმი ავიწყებს მას ოჯახისადმი მოვალეობას, ხოლო შემდეგ სიძულელი ბედნიერ მეტოქე რაინაულისადმი აიძულებს კრიტიკულ წუთებში დახმარების ხელი არ გაუწოდოს კირში მყოფ მეორე ბრძაგადის მწყემსებს, რითაც ის რაინაულის სპ. მართლიან გულისწყრომას იმსახურებს. რათა ამჟილოს თორღვას ანტიხალხური, ანტისაზოგადოებრივი მოქმედება, ავტორი საინტერესო და ორიგინალურ მხატვრულ ხერხს მიმართავს. თორღვა უთურგაიძე არ იღებს მონაწილეობას დაფანტული ცხვარის შოგროვებაში, თავს არიდებს, სამაგიეროდ, მისი ძალი ვადაარჩენს ფარის ნაწილს. თორღვას საკციელით აღმფრთხილებული რაინაული ეუბნება მას:

— ემა, ზენია, ძალი ძალია,
მეგრამ ზოგიერთ კაცსა სჯობია.
მეგრძს, ჩემი მტრობა დაგამსწენვია
და ჭვად ქვეუღზარ,
გული ღაცულა.
ის ცხვარი განა მარტო ჩემია,
ის შენაცა და... ჯეღასია.
სახის იერი შეგველია, ვხედავ
გულს დაწვლია ბოლია ფარული...
ეჰ, კარგი ძალი გყოლია მტრად,
ისწავლე მისგან ცხვარის სიყვარული“.

ასეთი მკაცრი განაჩენი გამოუტანა პოეტმა ადამიანს, რომელმაც საზოგადოებრივი ინტერესები პირადის ვაშო დაივიწყა.

მეგრამ ამ ერთი ეპიზოდით არ დამყოფილდა ავტორი, მარტო ეს სირცხვილი არ აკმარა მან თავის პერსონაჟს. პოემის იდეის ნათელსაყოფად არჩილ სულაყური კიდევ ერთ ეპიზოდს ხატავს. ამ შემთხვევაში, უკვე უთურგაიძის ბრიგადლა განსაცდელში ჩაეარღნილი, მის ცხვარს დაღუპვა მოელოს, რადგან ზამთარი გაგრძელდა, ხოლო ცხვარისათვის საკვები არა აქვთ წინასწარ დამზადებული. სწორედ ახლა, მიუხედავად იმი-სა, რომ რაინაულს არა ერთხელ მიაყენა პირადი შეურაცხყოფა უთურგაიძემ, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ უთურგაიძე არ დაეშვარა ვასაპირში რაინაულს, ეს უცანასკნელი მას დახმარების ზღვს უწვდის და ცხვარს ვადაურჩენს. რატომ დასპირდა ამ ორი ეპიზოდის დამ-

რისპირება ავტორს? შეიძლება სულაც ზედმეტია მეორე ეპიზოდი, რადგან პირველი ეპიზოდით საკმაოდ მკაცრად არის გაცივებული უთურგაიძის საკციელის ანტისაზოგადოებრივი ხასიათი? სენ ვფიქრობთ, რომ არჩილ სულაყური სწორად მოიქცა, რომ მეორე ეპიზოდი შეიტანა თავის პოემაში.

პირველ ეპიზოდში ნაჩვენებია თუ როგორ არ უნდა მოიქცეს ადამიანი, ხოლო მეორეში კი დახატულია, თუ როგორ უნდა მოიქცეს იგი. პირველში დავმობილია უთურგაიძის ამორალური ხასიათი, მეორეში კი ნაჩვენებია დადებითი შავალით. ორივე ეპიზოდს, ცხადია, აღმზრდელობითი ხასიათი აქვს, მეგრამ, ჩვენი აზრით, უფრო მშვენივლია არის მეორე ეპიზოდი, რადგან მისიანად შავალით უფრო დამაჯერებლად მოქმედებს, ვიდრე გაცივება ჩადენილი დანაშაულისათვის. ეს, ცეტობა, კარგად ესმის ავტორს, რადგან მხოლოდ მეორე ეპიზოდის შემდეგ იგრძნობა უთურგაიძის ხასიათში გარდატეხა.

ი. ჭავჭავაძემ, პირველი ქართული ლიტერატურაში, მოგვცა ხელოვნებისა და მისი სხედასხვა დარგების დანიშნულებისა და თავისებურებათა განმარტება. მისი თქმით, „ხელოვნება არის განხორციელება სახეში იდეისა, აზრისა; მუსიკა, მხატვრობა, პოეზია — ესევე სიულ სახეში გამოთქვიან იდეას, მხოლოდ იმი განიყოფებიან, რომ თავისი იდეის გამოსათქვილად სხვადასხვა მასალებსა ხმარობენ, როგორც მუსიკა — ხმასა, მხატვრობა — ხაზსა, პოეზია — სიტყვასა“¹.

ი. ჭავჭავაძე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ხელოვნების ყოველი დარგი, სამოლო უკამში, სახეებით ახორციელება და რომ განსხივებებს მათ შორის ამ სახეების შექმნისათვის საქარო „მასალის“ სხვადასხვაობა იწვევს მხოლოდ. ამიტომ ხელოვნის წარმატებას, გამოსახტი ობიექტს შერჩევისთან ერთად, სახეების შექმნის ოსტატობა წყვეტს.

როგორც ი. ჭავჭავაძე ამბობს, „ხელოვნება არის განხორციელება სახეში იდეისა, აზრისა“. ესადა, ის გულისხმობს იმ „იდეასა და აზრს“, რომელსაც შემოქმედში ბაღებს უშეალოდ ცხოვრების სინამდვილე, საზოგადოებრივი ცხოვრების პრაქტიკა, რომ ეს ასეა, იმის ნათელსყოფად საყარისთა გაეცნოთ მის შეხედულებას ხელოვნებისა და სინამდვილის ურთიერთობის შესახებ.

ი. ჭავჭავაძეს სწორად აქვს გაგებული ობიექტური სინამდვილსა და ხელოვნების ურთიერთდამოკიდებულება. „ცხოვრება ძირია, — ამბობს ის, — ხელოვნება და მეცნიერება მასზედ ამოწული შტოები არიან. როგორც მიწიდან ამოხეული შტოები ისხამენ ნაყოფსა და როცა სათესლოდ მოსწევენ, ისევ მიწის გადმოცემენ, რომ ახალი ძირი გაეყოფონ და ამ ძირში სხვა ახალი შტოები ამოხეთქონ, აგრეთვე ცხოვრებაზედ ამოწული შტოები — მეცნიერება და ხელოვნება — ისხამენ ზედ ცხოვრების ნაყოფსა და როცა მოსწევენ სათესლოდ, ისევ ცხოვრებასვე გადმოსცემენ ახალის ცხოვრების გამოსაცემად“. ამისთანა დამოკიდებულება აქვს ცნობიერების ცხოვრებაზედ და ცხოვრებასა თავის რიგზედ — ცნობიერებაზედ².

ამკარაა, რომ ი. ჭავჭავაძე ხელოვნებას როდი მიიწვევს პასიურ კატეგორიად. მას შეეწინააღმდეგება

¹ ა. მეთელია. „ილია ჭავჭავაძე — რევოლუციური დემოკრატი“. იბ. ჟურნ. „მნათობი“, 1954 წ., № 9.

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, 1953 წ. ტ. III, გვ. 30.

² ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, 1953 წ. ტ. III; გვ. 62-63.



აქვს ცხოვრებაზე მისი აქტიური ზემოქმედების უნარიც; შეცნიერება და ხელოვნება... იმადღებინა ცხოვრებისაგან და არსებობენ ცხოვრებისათვის; ...იგიინი წინ მილიან ცხოვრების ვითარებასა გამო და მერე თავის რიგზედ თვითვე წინ მიავაჯთ ცხოვრება“¹.

ამგვარად, ხელოვნების არსებობა და დანიშნულება, ი. ჭავჭავაძის ვაგებობით, განმარტობებულია ცხოვრების სინამდვილით, იგი ამ სინამდვილის ერთი ნაწილია. ხელოვნება მოწოდებულია ასახოს სინამდვილე, ამისთან — აქტიური მონაწილეობა მიიღოს მისი გულგულებებისა და გარდაქმნისათვის ბრძოლაში. მაგრამ ასეთი რთული ამოცანის გადაწყვეტას აღამაზნა აზროვნება მარტო ხელოვნებას როდო აქისრებს; ხელოვნებას შიარში უდგას მეცნიერება.

ხელოვნებისა და მეცნიერების მიზანი და დანიშნულება, ი. ჭავჭავაძის შეხედულებით, საბოლოო გააშვი, ერთნაირია: რიგაქტიური სინამდვილის, ცხოვრების შეცნობა და ასახვა, რის საფუძველზე გარკვეული წვლილი უნდა შეიტანონ მის გარდაქმნაშიც.

მეცნიერებასა და ხელოვნებას, — წერს ილ. ჭავჭავაძე, — ჩვენ ვეუფრებთ, როგორც ცხოვრების გასამჯობინებელ ღონისძიებათა... მეცნიერებამ უნდა გვიშველოს თავის გამოცნობილ კემშიარბიტებით ცხოვრების ახსნა და გაგება; მან უნდა მოგვეცეს პირდაპირი პასუხი ყოველ საჭირო კითხვაზე... ხელოვნებასაც ამას მოეთხოვრეთ, რომ სარკესავით ცხოვრება გარდმოიცეს, რათა ჩვენი თავი მის მომხიბლავეს კალმით ცხოვლად იყოს წარმოგვტარო სიკეთე წინა, რათა სიკეთედიო და ჩვენივე ჩვენი დავინახოთ“².

ი. ჭავჭავაძის კარგად ესმის ეს განსხვავებაც, რაც მეცნიერებასა და ხელოვნებას შორის არსებობს, და შეგნებული აქვს, რომ ეს განსხვავება, ძირითადად, მათ შინაარსში კი არაა, არამედ ამ შინაარსის დამუშავების ხერხებსა და საშუალებებში.

„აღამიანი, ბუნება, ცა, ჭვეყანა, მსოფლიო, — ამბობს ილ. ჭავჭავაძე, — ერთი დიდებული წიგნია, უცნაურს ენაზედ დაწერილი. შეცნიერება ამას სთარგმნიის უხატებო, უსურათო სიტყვითა, პოეზია კი უხატებითა და სურათითა, ...თუ პოეტო მეცნიერებას არ მოიწვევს, მარტო ცარიელი ნიჭი ვერ უთარგმნის ამ წიგნსა“³. მეცნიერება და ხელოვნება... ირნივე ერთ და იგივეს

¹ იქვე, გვ. 71.
² ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, 1953 წ., ტ. III, გვ. 68.
³ იქვე, გვ. 92.

შსახტრებენ: აზრის მოძრაობას; ერთად იგივეს გამოსთქვავენ: ხალხის აზრსა, და... მეცნიერებამ განარჩიებენ, მხოლოდ იმაში, რომ სხვადასხვა გზით და სხვადასხვაგვარად მოქმედებენ და გამოსთქვავენ“¹.

მაგრამ, როგორც ვხედავთ, ი. ჭავჭავაძე მახვილს აკეთებს იმაზეც, რომ მეცნიერება და ხელოვნება არამარტო სხვადასხვა გზით და სხვადასხვა საშუალებებით მოქმედებენ აღამიანზე, არამედ სხვადასხვა ეთოხით და სხვადასხვა განვრცობილობით წარმოადგენენ მათთვის საერთო შინაარსს. აშკარაა ისიც, რომ ხელოვნებას წარმატების საქმეში ი. ჭავჭავაძე მეტად სერიოზულ როლს აკეთებს, მეცნიერების განვითარებას დონეს. ამიტომაც, რომ შევრლისაგან ის მოითხოვს ცოდნის შეიარაღებას. მხოლოდ „ცარიელი ნიჭი“, — მისი აზრით, ვერ მისცემს შვერალს შესაძლებლობას აღმოჩენდეს მოწოდების სინამდვილე. მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, შევრლისათვის „ნიჭი — აფრია და მეცნიერება — საქმე“².

უფრო მეტიც, ი. ჭავჭავაძეს მაინცია, რომ ლიტერატურული მოღვაწეობა მოითხოვს ყველაზე დიდ ვრდიციას, ბეჯით შრომასა და ფხიზელ ხედვას. „ლიტერატურული მოღვაწეობა, — წერს ის, — ბუნებითად იმისთანა რამ არის, რომ დღე მუდამ უნა დევნა უნდა, დღე — მუდამ მის სვერალს ტრიატარა, დღე — მუდამ ფიქრითა და ტვინის მოძრაობაში უნდა იყოს მისი მიმდევარი კაცი ... არ არის, ჩვენი ფიქრით, სხვა იმისთანა საგანი და მოღვაწეობა, რომ ასეთი ხანგრძლივი და საფუძვლიანი მოშაღება უნდადეს წინათვე, როგორც ლიტერატურა და ლიტერატურობა“³.

მწელი არა შეეამინითო თუ როგორი ნათესაობა აქვს ი. ჭავჭავაძის ამ შეხედულებებს ბ. ბელისის აზრებთან ამვე საკითხებზე. რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა მსგავსად, ი. ჭავჭავაძეს არ სურს გახვადიან ხელოვნებისა და ლიტერატურის როლი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების საქმეში. მას სწორად აქვს გათვალისწინებული ის ურთიერთობა, რაც არსებობს ხალხის ცხოვრებასა და ლიტერატურას შორის. რაც არ არის სინამდვილეში, ან რის არსებობზე მომხდებულა არ არის თვით საზოგადოებრივი ცხოვრების მიერ, — ის არც შეიძლება იყოს მოცემული ლიტერატურაში.

ჩვენ, — ამბობს ი. ჭავჭავაძე, ძალიან კარგად გვესმის დამოკიდებულება ხელოვნებისა, პოეზიისა ხალხთა ცხოვრებაზედ... მიუტე ხალხი დამადავს და ხალხის ცხოვრება ძუძქეს აწოვებს: ამ საფუძვლით ამბობენ, პოეზია ხალხის ცხოვრების გამოიმთქვლიათ. ჯერ უნდა ხალხმა

¹ იქვე, გვ. 63.
² ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, 1953 წ., ტ. III, გვ. 91.
³ იქვე, გვ. 83 — 84.

დამწესი თვისი სულიერი ბუნება, შეანძობოს თვისი უცვლადების ძარღვი, მოაზადოს მასალა თვისი ცხოვრებათა და მერე თვისთავად, უთქვენ ბრანებლით ძლიერი სული გენიისა ძლიერად გამოსცემს პასუხს ხალხის განვითარებას... დიდ გენიას დიდი ზაზრადე უნდა მისცეს ჩვენმა ცხოვრებამა¹.

ამგვარად, მწერალი ხალხის შვილია, საზოგადოების წევრია და თვისი შემოქმედებაში გამოხატავს მას, რაც უცვლად რგრძნობა ხალხში, საზოგადოებაში, რაც თვითონ ცხოვრებაში დაბადდა. ამიტომ, ლიტერატურის განვითარების ხარისხი ბევრ რამეს ლაპარაკობს თვით ხალხის განვითარების დონეზე. „ლიტერატურა ხალხის ქვეა. ხალხის გონება, გრძნობა, ფიქრი, ჩვეულება და განათლება ხარისხია“². — ფსქენს ილია, ი. ჭავჭავაძე, ამ შემოხვევაშიც, იხიარებს რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა შეხედულებებს. ნ. გ. ჩერნიშევსკის თქმით. „...состоянием литературы определяется состояние общества, от которого всегда оно зависит“.

ხალხის ფიქრს, გრძნობას და აზრს, ცხადია, უფრო მწერალი, ან ხელოვნების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები ერთს და იმავე სიძლიერითა და სიმშველით ვერ წარმოადგენენ. მაგრამ მათ შორის თვისი დროზე გამოჩნდებან ხოლმე გენიოსი შემოქმედები, რომლებიც დრმად ხასწვლებან ცხოვრების მთხოვნებს, თავიანთი ძლიერი მხრებით ამოიტანენ მას, რაც თვით ცხოვრებაშია და ამასთან წინ და შორს ვიხედევნ. ასეთ შემოქმედთა ნახრევში გამოჩნდება „ძიელი აწყო... და თესლიც მოჰეღისა“.

ი. ჭავჭავაძეს არც გენიოსი შემოქმედი მიაჩნია „კიდარ ნაშისულად“. გენიოსი, მისი შეხედულებით, ვარკველ დროის ნაყოფია ისევე, როგორც სხვანი, მაგრამ ის უფრო „სრული, დამწყვეტულია“. გენიოსის დანიშნულება და დამახრება იმაში მდგომარეობს, რომ სრულად გათავალწინოს ცხოვრების განვითარების ტენდენციები და თავისი სიტყვითა და საქმით ხელი შეუწყოს მის გაძლიერებასა და შესავერი მიმართულებით წარმართვას. „თითონ ცხოვრება, აღმოშობავს ხოლმე თავისთვის წესსა, განსახდრავს ხოლმე თვისი სჯულსა და კანონსა, — ამბობს ი. ჭავჭავაძე. — მხოლოდ ამ კანონსა ვიგება უნდა, გამოდენა საქვეწოდ და შეძლებიანებერ გზის ვახსნა, რომ მისი წარმოშობა არადფერმა არ შეავენოსა“³.

უფელევე ზემოთ თქმულიდან ამგვარა, თუ როგორი შეხედულებიისა ი. ჭავჭავაძე ხელოვნებისა და ლიტერატურის შესახებ და რა ამოცანებს უყენებს მათ, აწყო ცხოვრების „მარ-

გალიტისა და ლღის“ გამოხვეურება და „მხოლოდ ლის თესლს“ განვითარებისათვის ხელის შეწყობა — აი, ჭეშმარიტი ლიტერატურის დანიშნულება მისი შეფასებით.

ავისა და კარგის წევრები, ი. ჭავჭავაძის თქმით, ერთნაირად საჭირო და სასარგებლოა უცხოეთს მიმავლის ინტერესებისათვის. ამიტომ სრულიად არ უნდა გეშინოდეს და არ უნდა ევრიდებოდეთ იმის ჩვენებას, რაც ჩვენში ცუდია, რაც ხელს უშლის წინსვლას. „ლოლდ ხელოვნება არ ვადასცდეს თვისი საეუთარ კანონებსა და მეცნიერება ჭეშმარიტებასა, და დაე, არც ერთი და არც მეორე ნუ მოეროდება იმის გამოწყარავებას, განკიცხვას, რაც ჩვენში საკიცხია და ცუდია. დაე, თიღვემ იარან ცხოვრების მდინარეში, მონახონ მარგალიტები და თუ იმათ ამოკრეფამი ლაფი და ლეჭი თან ამოქვეება, რა უუთო? ლაფი ნამოერეცხოთ, ჭეჭეი მოვიშროთ, რომ მხოლოდ მარგალიტები დაგვრჩეს ჩვენი ცხოვრების სასახელოდ“⁴. — წერს ი. ჭავჭავაძე.

მაგრამ ი. ჭავჭავაძე ხედვად, რომ, ამ მიმართულებით, ქართულ ლიტერატურაში გასული საუკუნის 60-იან წლებში, ჯერ კიდევ ყველაფერი რიგზე რალი იყო მწერალთა საგრძნობი ნაწილი ვარზბოდა ცხოვრების მართალ ასახვას, ერიდებოდა პატრუნიტი სისტემის უსვავსოებათა კრიტიკას, შორს იღვა ეროვნული ინტერესებისაგან და ცრუ „ოცნებათა“ სიყარონი „დანაჯარღობდა“.

ამაოაყლიმა რა დებულება ხელოვნებისა და ლიტერატურის დანიშნულებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებასთან მათი ერთიგვარობის შესახებ, ი. ჭავჭავაძემ ქართულ მწერლებს მოუწოდებართლა გამოეცხადებინათ ცრუ რომანტიკული პათოსისათვის, უსარგებლო და უმინო „მტენისათვის“. „დაე... ზოგიერთმა უნაყოფო პოეტმა, — ამბობს ის, — ხელოვნების სახელითა უცუარიღოს პირი თვისი ხალხის ცხოვრებასა, შეშვიდეს ეს შეანაროს გაბეცვლით თვალედი და ბეატულსავით უპარო სტეენა დაიწყოს და აღარ ეთავაოს. ჩვენ იმათთან მართო გზა არა ვვაქეს: ...დროა ხელოვნებამ თავი დაანებოს „ღრუბლების ცერებასა“... მოვარის ხეყნასა, რომ ჩემს საყვარელს უთხარიო... დროა ხელოვნებამ თავი დაანებოს უგემურ ღმეჭასა და თვალების სრასასა, ეგება ცრემლი მომიოდესო: დროა ჩიღელი ცხოვრების მდინარის ძირშია, იქ მონახოს შიე. მღებარე აზრი თვისი ცხოველ სურათებისათვის. იქ, ცხოვრების ძირში, ის ითვიის ბევრ მარეალოტსა და უფრი ბევრ ლეჭსა და ლღესა: არც ერთისა გამოხატვა არ უნდა იმინებდეს ხელოვნებასა და არც შეორისაო“⁵.

როდესაც ი. ჭავჭავაძე ამბობს, ლეე, ზოგიერთ-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, 1953 წ., ტ. III, გვ. 45.
² იქვე, გვ. 37.
³ იქვე, გვ. 66 — 67.

⁴ ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, 1953 წ., ტ. III, გვ. 70.
⁵ იქვე, გვ. 68 — 69.

მა პოეტმა „ხელოვნების სახელითა უყვარიღოს ზირი თავის ხალხის ცხოვრებას... ჩვენ იმათთან სურათო გზა არა გვაქვს“, ვასაგებია, რომ ეგი უარყოფს თეორიას „ხელოვნება ხელოვნებისათვის“.

სწორედ ამ მიმართულებით წარმართა ი. ჭავჭავაძემ თავისი კრიტიკა 60—70-იან წლებში გამოიღო იდეურ-ლიტერატურული ბრძოლის აქტის და ქართული ლიტერატურა გაათავისუფლა კრახისის გზაზე მდგარი რომანტიზმის ბუჩქისაგან.

შეხება რა ესთეტიკური გრძნობის მნიშვნელობასა და თავისებურებას, ი. ჭავჭავაძემ გამოთქვა შეტად სინტერესო მოსაზრება მწვენიერის შესახებ ცხოვრებასა და ხელოვნებაში, რაც მჭიდროდ დაუკავშირა რეალისტური ასახვის პრინციპებს და ამოკანებს. მისი შეხედულებით ის, რასი ნახევა ბუნებასა და ცხოვრებაში უსიამოვნებასა და ზიზის იწვევს ადამიანში, ხელოვნების ქწინალებსა და ლიტერატურულ ნაწარმოებებში, ოსტატურად განსახიერებელი, ესთეტიკურ სიამოვნებას გვანცდევინებს. მაგრამ ამით როდი ამოიწურება მისი გაცუენის სიღრმე და ამით როდი მთავრდება ჩვენი განცდების არე. ხელოვნების ქწინალებში განსახიერებულმა საგანმა, მოვლენამ, რომელმაც ესთეტიკური სიტუბოება გაგვაცდევინა, შესაძლებელია ჩვენში გამოიწვიოს აღმშობება და ზიზი, ცხოვრების მსგავსი მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის პართია. და ეს იმიტომ, რომ ხელოვნებისა და ლიტერატურული ქწინალებში ჩვენზე მოქმედებენ როგორც ასახული მოვლენების შინაარსით, ასევე ხელოვანის მიერ ამ შინაარსის ოსტატური გადმოცემისათვის გამოჩნებული ფორმებითაც. ეს უკანასკნელი ჩვენში ესთეტიკურ სიამოვნებას იწვევს დაშინავ კი, როცა შინაარსი სრულიად საინინაღმდეგო განცდებს იწვევს.

ესთეტიკური გრძნობა, — ამბობს ი. ჭავჭავაძე, — „უზენაესს სიტუბოებას ეძებს ყველგან, სიცილი იქნება, თუ ტრილი, ბორბიტი იქნება თუ კეთილი. ამ გრძნობისათვის ზარღამცემი ბორბიტები ისეთივე მწვენიერებია, როგორც გულწამატკე კეთილი... სისხლისმსმელი, კაცის-მკვლელი მაკბეტის ცოლი ისეთივე მწვენიერებია ხელოვნების თვალთ და ესთეტიკურის გრძნობის შეხედულებათ, როგორც გულკეთილი, გულწრფელი და კეთილშინკმელი კორღელი. თმცა ერთი გმტლს და მთორე კაცყარს, მაგრამ აქ მუღებად და სიყვარულიც ერთსა და იმავე საგანზეა მიმართული, ერთსა და იმავე ძარტლს აღმინანის გულისს სმრავს, — ერთი — ბორბიტს უარყოფის გზით და მთორე — სათნოების დამტკიცებითა“¹.

¹ როგორც ვხედავთ, ხელოვნებისა და ლიტერატურული ქწინალებში ესთეტიკურ გრძნობას ბა-

ღებენ არა განსახიერებელი მოვლენების უარყოფითი და დაღებთი ნიშნების მსტყდითი, არამედ იმისდა მიხედვით, თუ რამდენად სწორად და ღრმად წარმოგვიღებენ და გაგვაცდევინებენ ამ ნიშნებს.

აქედან გამოშდინაზე, ი. ჭავჭავაძე იმ შეხედულებას ავითარებს, რომ შწერლის მხატვრული გამარჯვებისათვის გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა იმას, თუ ცხოვრების რომელ მხარეზე, რომელ მოვლენაზე შეაჩერებს ჩვენს ყურადღებას — სასთამოვნოზე თუ საწყურბაროზე, არამედ იმას, რომ თუ რამდენად ერთგულია იგი სინამდვილისა მაგრამ ეს მინც ერთი მხარეა, ვარცა იმისა, რომ სინამდვილეს ან უნდა აღბატობდეს, შწერალი შესაფერისად უნდა განარჩედეს ძირითადსა და შემთხვევით მოვლენებს,

—განა ყველა სიცილი საგანია ხელოვნებისა? — წერს ილია, — სიცილი არის და სიცილიც... ბგვარი რამ არის ქვეყანაზედ სასაცილო, მაგრამ ესთეტიკური გრძნობა ყველა სიცილს ვერ შეიწნარებას... სიცილი თავის დღეში არ უნდა გარღიქმნას ღზუნდარბობად და ტრილი კიდევ — უგემურ კნვილია“².

პოეტის ღირსების მთავარ განმსაზღვრელად ი. ჭავჭავაძეს ერთგულად კულტურის წინაშე დამსახურება მიაჩნია. პოეტისაგან ის მოითხოვს, პირველ ყოვლისა, იყოს თავისი ხალხის, თავისი ერის ღირსეული შვილი; შეგნებული მქონდეს მშობლიური ხალხის ტყილეუბი და სიხარული. იყოს მისი გულის მესაღებელე და სელერ ღირსებათა მემკვიდრე. ამავე დროს, შემოქმედების ღრმა ერთგული ხასითი სრულებით არ გამორიცხავს ზოგად-საკაცობრიო იდეალებს. რაც უფრო ერთგულია პოეტი, მით უფრო მეტისა და სანდერესო სიტყვის მოქმედია ყველასათვის.

„პოეტის სიტყვა, — ამბობს ი. ჭავჭავაძე, — იგი ხელთქმწელი საგანტრია, საცა ერი მპოებს ხოლმე თავისთვის უცუთესს ნაბზრს და ნაგრძნობს, თვის სულთა სწრაფსა, თვის იმელს და სასოებას, თვისს თავმისაწონებელს გულია მტერსა, თავის ჭირსა და ღზინს, თავის ენის და მტყყველების სიყველუც — მწვენიერებას და ერთობ თვისს სელერ საუნჯეს, იმ საუნჯეს, რომლითაც ერი ერობს, აღმინანი აღმინობს“².

ქართული ხალხის გამრეული ისტორიული წარსულისა და აწმყო ვითარების რეალისტური ასახვა, ბრძოლა მისი უყუთესი მომავლისათვის, — ასეთია არსი იმ მოთხოვნებისა, რომლებსაც ი. ჭავჭავაძე ქართული შწერლობის წინაშე აყენებდა.

შრომისმოყვარე და დოვლათის შემქმნელი

¹ იქვე, გვ. 120.
² ი. ჭავჭავაძე, თხზულებათი სრული კრებული, ტ. VII, გვ. 98 — 99.

¹ იქვე, გვ. 118 — 119.



ხალხი — აი, ვისი წარსულით, აწმყოით და მომავლით იყო დაანტერესებული დიდი პატრიოტი და შემოქმედი და თუ ნახავდა, რომ ხალხის რულის ჩვენებას ერის წინსვლის საქმეში შესაფერი ადგილი არ ჰქონდა მეტოფრებულ ისტორიულ ჭრანყებსა თუ მხატვრულ ნაწარმოებებში, ი. კავჭავაძე აღმოფთობას ვეღარ ვალავდა ხოლმე. არა ერთხელ გამოუთქვამს მას თავისი კულისწერობა „ქართლის ცხოვრების“ მიმართ, არა ერთხელ, უსაყვედურებას მას მეისტორიისათვის ხალხის დამახებრების მიწერა შეფეებისა ლა ცალკეული გმირებისათვის.

პოემა „აჩრდილზე“ მუშაობისას ი. კავჭავაძე დ. ერასთავს შესწილიდა: „ამ აჩრდილში“ ტყვი ვამაძრო. ისტორიულს ნაწილზედ... შევღვგ და ერთი ნაბიჯი წინ ვეღარ წავლავი. არ ვიცი რა ექნა დამბო ამ „აჩრდილში“ თავი დავენებო მე-თქი. ვგ ოხერი ჩვენი ისტორია... მარტო ომებმა და შეფეების ისტორიამ, ერა არსად ჩანს, მე კი ისეთი ავებულების ადამიანი ვარ, რომ შეფეებისა და ომების სახე არ მიზიდავს ხოლმე, საქმე ხალხი და ხალხი კი ჩვენს ისტორიაში არა ჩანსო“.

ასეთივე შეხედულებას გამოთქვამს ი. კავჭავაძე წერტილში — „ძველი საქართველოს ეკონომიური წყობის შესახებ“. ჩვენი შიდა ცხოვრების ისტორია, — ამბობს ის, — ჯერ ფარდაცხდელია და უცნობია ჩვენგან. ჩვენი „ქართლის ცხოვრება“ ხალხის ისტორია კი არ არის, უფრო ისტორია, და ხალხი კი, როგორც მოქმედი პირი ისტორიისა, ჩრდილშია მიყენებული. თითქმის ხალხის ისტორიის შესამეცნებლად საკმაო კაცმა იცოდეს მარტო მეფეთა ისტორია“¹.

ი. კავჭავაძე თავის წერილებში საგრძნობ ადვილს უთმობს ერის ისტორიული წარსულის შესწავლისა და გაშუქების მიზნებზედ მსჯელობას. მაგრამ, ცხადია, ის სულ სხვა ამოცანებს უსახავს იმ მხრივ წყველობას, ვიდრე მას რომანტიკოსები უსახავდნენ. ისტორიული ამბების მომარჯვების ი. კავჭავაძე უცემობრებს არა წარსულის იდეალიზაციის, არამედ აწმყო ვითარებას შესწავლის ინტერესებს. „ისტორია, — მისი თქმით, — სხვა რაა, თუ არ გამოჩვენება, თუ არა ახსნა აწმყოსი წარსულისაგან“².

აქედან გამომდინარე, ი. კავჭავაძე ავითარებს იმ აზრს, რომ თანამედროვე ცხოვრების ღრმად შესწავლის ინტერესები მოითხოვენ ისტორიის საფუძვლიან გაგებას; ისტორიული მოვლენები უნდა მოვიწველოთ აწმყო ვითარების ასახსნელად. ამიტომია, რომ მკაცრი ტრიათ შენიშნავს ის: „ერის დაცემა... მშინ იშვება, როცა ერი,

თავის საუბედუროდ, თავის ისტორიის იგნორებს“³.

ი. კავჭავაძე მიუთითებს ამასვე, თუ როგორ მართულებით უნდა გამოიყენოს წყველობამ ისტორიული სინამდვილე. მისი შეხედულებით, „დად ბუნებოვან ცაეთა და სახელოვან გმირთა მავაძლიებით ისტორია სწორთნის ერსა, ზრდის, და დიდებულნი საქმენი კიდევ ვერს უჯგუთენ მოქმედებისათვის“⁴. ამაგარად, წყველობამ უნდა ისარგებლოს სწორედ იმ ისტორიული ფაქტებით, რომლებიც ადამიანებს მოქმედებისათვის შთააგონებენ და გმირულ სულს შთაბერავენ. ასეთ მიზნს ისახავდა თვით ი. კავჭავაძე, როცა პოემა — „დამიტრი თავდადებულს“ წერდა. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ი. კავჭავაძისათვის — როგორც მხატვრისათვის — სრულიად არაა დამახასიათებელი ისტორიული თემატიკით გატაცება. მას ღრმად ჰქონდა შეგნებული, რომ მწერალს, უპირველეს ყოვლისა, მოეთხოვება მისი თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების ასახვა, თანამედროვე ადამიანთა სულიერი სამყაროსა და იდეალების ჩვენება.

როგორ აფასებდა ი. კავჭავაძე თანამედროვე ისტორიულს სოციალ-პოლიტიკურ მდგომარეობას და რა ამოცანებს აყენებდა წყველობის წინაშე მისი ასახვისა და გაშუქების მიზნით?

სანამ ამ კითხვას ვუპასუხებდით, ჩვენ კვლავ უნდა მოვიგონოთ, რომ ი. კავჭავაძეს თავისი ესთეტიკური შეხედულებების ჩამოყალიბებაზედ დაეხმობდა იმ დროს, როცა დიდი ეროვნულ-გამათვისებელი მოძრაობა მიმდინარეობდა, როცა „პატრიოტიზმის გაქუქებამ და ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების ზრდამ, გზების განვითარებამ და კაპიტალიზმის წარმოშობამ დაამყარა შრომის განაწილების საქართველოს ოლქებს შორის, საბოლოოდ შეარყია საშთაერთო სამყურნო კარნაჟეტილობა და ერთ მთელად შეიკავშირა ისინიო“⁵.

ი. კავჭავაძე ჩვენი ცხოვრების სწორედ ამ საინტერესო პერიოდში ქმნიდა თავის მხატვრულ შემოქმედებას და იბრძოდა მატერიალისტური ესთეტიკის პრინციპების დამკვიდრებისათვის. ამიტომ გასაგებია, რომ ყველაზე მთავარ საკითხად მას ეროვნული საკითხი მიაჩნდა; მისი სიტყვა და საქმე განპირობებული იყო ეროვნულ-გამათვისებულ ენობრივ ბრძოლის ამოცანებით. ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, ი. კავჭავაძე დიდ ყურადღებას აქცევდა სამშობლო ქვეყნის წარსულისა და აწმყოს ვითარების მართებულად ასახვას ლიტერატურაში.

საქართველოს ისტორიული წარსული ი. კავჭავაძეს იტაცებს ხალხის მტკიცე ნებისყოფით, გმირული სულითა და მაღალი პატრიოტული

¹ ი. კავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული, 1927 წ., ტ. V, გვ. 201.
² ი. კავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული, 1927 წ., ტ. V, გვ. 26.

³ იქვე, გვ. 19.
⁴ იქვე, გვ. 243.
⁵ ი. სტალინი. თხზულებანი, ტ. II, გვ. 319.

გრძნობით, რამაც უზრუნველყო საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის შენარჩუნება მეცხრამეტე საუკუნის დამდეგამდე, მაგრამ ის არ მალავდა არც იმას, რომ ფეოდალებმა შეღწემა, განუთქობლობა და ქვეყნის სამთავროებად დაწყოლებამ შესაძლებლობა მისცა მტერს მტერი ხაზით მიეყენებინა და, ბოლოს, ეროვნული დამოუკიდებლობის შენარჩუნებაც შეეძლებელი გახდა.

— ჩვენი უბედურება, — ამბობს ი. ჭავჭავაძე, — მაშინ დაიწყო, როცა ჩვენი ქვეყანა დაირღვა და განაწილდა სამ სამეფოდ და ხუთს სამთავროდ. ამ დარღვევამ არამც თუ მარტო ერთობის კავშირი გასწყვიტა ჩვენი სამეფოსა, არამედ საზოგადოებრივიც... ბევრმა სახელგანთქმა მეფემ დალია ამაზედ თავისი სიციცხლე, ბევრმა თავგამოდებულმა მამულსმეილმა დაანთხია ამისთვის სისხლი, მაგრამ ვაჩვენებ მტერს და შიგნით უკეთურმა ბზარვამ... იმოდენა ჯაჟა, სისხლის ღერი თავგანწირვა, — ამბობ ჩუტბარკის დარღვეულობით დაუძღვრებულს ქვეყანასა¹.

ი. ჭავჭავაძეს სწორად ჰქონდა გათვალისწინებული საქართველოს რუსეთთან შეერთების პროგრესული მნიშვნელობაც. ამ სახსოვარი დღიდან, — წერს ის, — საქართველომ მშვიდობიანობა მოიპოვა... დამშვიდდა დიდი ხნის დაუშვებელი, დაღალული ქვეყანა, დაწყნარდა აჯღებინა და აოხრებისაგან, დაცხრა იმისა და ბრძოლისაგან. დადგა ელერა ხმლისა და მახვილია, მტრის ხელთ მოღვრებულისა ჩვენზე და ჩვენს ცოლშვილზე... დაუდგა ახალი ხანა, ხანა მოსვენებულის, უშიშარის ცხოვრებისა სისხლდანიბუეულ... საქართველოს².

მაგრამ ი. ჭავჭავაძეს ღრმად ჰქონდა შეგრძნებული ის სამშრობეობა, რაც ჩვენი ქვეყანას მოელოდა კომუნისტურ-სოციალისტური ჩაგვრის პირობებში. ამიტომ, მთელი მისი ინტერესები მამართლელი იყო იქათყენ, რომ ქართველ ხალხს შეენარჩუნებინა და კიდევ უფრო აგზადდებინა თავისი ეროვნული მეობა; ამასთან, გაეძლიერებინა ბრძოლა ეროვნული თავისუფლებისათვის, რასაც რუს ხალხთან მეგობრობისა და ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის იდეას უკავშირებდა.

„თერგდალეულთა“ ერთ-ერთ მთავარ დამახტერებად ი. ჭავჭავაძეს სწორედ ის მიიჩნდა, რომ მათ — ჩვენი საერთო, საყოველთაო სურველი ვაგვიბოლა, საერთო გულის-ტყეილი ნაგვისანა, ქვეყნის თავის იმედი მოგვეცა... გამოგვაღებოლა“³. შესამოკიანებლა სამოღეფეო ასპარეზზე

გამოსვლის შემდეგ, შენიშნავს ი. ჭავჭავაძე, „თანდთან ძლიერდება საყოთარის მარტოებისა და აწმყოს შესწავლა, რომლის მნიშვნელობას ვერაზინ ვერ უარაყოფს, რადგან ის მწერლობა უქმი და შეგდრად შობილია, რომელსაც საძირკველად საყოთარი ვითარების შესწავლა არ დაუდგია“⁴.

როდესაც ი. ჭავჭავაძე მწერლობის წინაშე „საყოთარი ვითარების“ შესწავლის ამოცანას იყენებდა, მის, ცხადია, მხედველობაში ჰქონდა არა მარტო საქართველოს ეროვნული მდგომარეობა, არამედ მისი სოციალური ვითარებაც.

ი. ჭავჭავაძეს მოუგვარებლად და შემდგომი ბრძოლის საგნად მიიჩნდა არა მარტო ეროვნული, არამედ სოციალური რაკიბიც. მისი თქმით, „მეცხრამეტე საუკუნემ სოციალური წყობილების იდეალად გამოსახა — გაუქმება ჭონებისა და შემოსავლის მეტ-ნაკლებად განაწილებისა ადამიანთა შორის, გაუქმება ყოველის კლასობრივის პატრონობისა და, შეძლებისამებრ, ყოველის კლასობრივის სხვადასხვაობისა, ფეხზე წამოყენება და ზელშეწყობა გამარჯვლ და მშრომელ კლასების წარსამატებლად“⁵.

მაგრამ ი. ჭავჭავაძე უმეყოფილო იყო იმით, რომ ამ საუკუნემ შეძლო მხოლოდ მოსაწონი იდეალის წამოყენება, მაგრამ მისი გადამწყვეტი კი ვერ მოახერხა. ეს საკითხი, მისი შეხედულებათ, მეოცე საუკუნემ უნდა გადაწყვეტოს. „დღეს, — ამბობს ის, — ღარბისა და მღაღარს შორის უფრო დიდი ზღვარი არის, ვიდრე ოდესმე ყოფილა, და აქ არის იგი სიმწვავე იმ ტყეილისა, რომლის მორჩენაც მეცხრამეტე საუკუნემ უნდებოდა აწ მომავალ საუკუნესო“⁶.

ყოველივე ამის შემდეგ, ვთქვამ, ვასაგებია, თუ როგორი მიაბართულებით სურს ი. ჭავჭავაძეს შეისწავლოს და ასახოს ლიტერატურამ ქვეყნის წარსული და აწმყო ვითარება. ეს საკითხი კი მის სთეორიულ შეხედულებებში ერთ-ერთ მთავარ საკითხს წარმოადგენს.

• • •

ი. ჭავჭავაძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ლიტერატურას ასარღოვებს საზოგადოება; შესაფერი მკითხველის გარეშე უიზრო იქნება მწერლის მოღეფეობა. მაგრამ მკითხველთა წრის გაფართოება და მისი მომზადება შემოთავებით არ ხდება. ამისათვის საჭიროა ხალხი იმგვარად მომზადდეს, რომ „როგორც პურის საჭიროების

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, 1927 წ., ტ. VI, გვ. 93.

² ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, 1927 წ., ტ. V, გვ. 234-35.

³ ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, 1927 წ., ტ. VI, გვ. 95.

⁴ ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, 1953 წ., ტ. III, გვ. 311-312.

⁵ ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, 1927 წ., ტ. VI, გვ. 7.

⁶ იქვე, გვ. 8.

პერსონალს ზორისათვის ისეც ლიტერატურა მიიჩნეოთ სულსა და გულისათვისა“¹.

მაგრამ როდის მიიჩნევს ხალხი ლიტერატურას თავის სულიერ საზრდად?

ი. კავჭავაძის შეხედულებით, „ლიტერატურაში ხალხი მოჰყვანს დაინახავს თავის სულიერ საზრდოს, რაჟა იგი ხალხური იქნება ზოლო ხალხური მაშინ იქნება, როცა მოახერხებს შესაბამის ხალხის წარსული და აწმყო ცხოვრების ღრმა ასახვას, მის განსაკუთრებულ და დამახასიათებელ წიშან-თვისებათა ჩვენებას. ამიტომ კუშმარტი მხატვრული ქმნილება არა მარტო ხალხურია, არამედ ნაციონალურიც.“

ლიტერატურის ხალხურობისა და ნაციონალურობის გაგების საკითხში ი. კავჭავაძე იზიარებს ბ. ბელინსკის შეხედულებებიდან. ბ. ბელინსკი, როგორც ენობილია, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა აღნიშნულ პრობლემებს. „Что такое народность в литературе? — спрашивает Котэвас. ბ. ბელინსკი და თვითონვე უპასუხებდა, —

Отражение индивидуальности, характерности народа, выражение духа внутренней и внешней его жизни, со всеми ее типическими оттенками, красками и родными пятнами“². ამასთან, ბ. ბელინსკი შენიშნავდა: „Но чтобы литература и для своего народа была выражением его сознания, его интеллектуальной жизни, — необходимо, чтобы она была в тесной связи с его историей и могла служить объяснением ей, необходимо, чтобы она развивалась органически и имела свою историю“³.

ბ. ბელინსკი, ამავე დროს, ერთმანეთისაგან არ თმავდა მწერლის ხალხურობასა და ნაციონალურობას. მისი თქმით, „Истинный художник народен и национален без усилия; он чувствует национальность прежде всего в самом себе и потому невольно налагает ее печать на свои произведения“⁴.

ცხადია, რომ როგორც ბ. ბელინსკის, ასევე ი. კავჭავაძეს ყარვად ესმოდა, რომ მხატვრული ნაწარმოების ხალხურობის საკითხს წყვეტს არა მარტო შინაარსი, არამედ ფორმაც: ერთი სიტყვით, ლიტერატურა უნდა გამოისახედეს და ემსახურებოდეს ხალხის ინტერესებს, ამასთან, ვასავებო და მისაწვდომი უნდა იყოს ხალხისათვის.

ამიტომ იყო, რომ ი. კავჭავაძის, როგორც მწერლისა და მოაზროვნის, წინაშე მთელი სამ-

კაერთ დაჯგა ქართული საწერლო... გენს, დემოკრატიზაციის საკითხი. ანტონ... გრაზობიციელი კატეგორიების განაზრგებებს ვაერთართული ლიტერატურული ენის განვითარების შეუერებების აშკარა სადრთხე ი. კავჭავაძემ ააკილანვე მთელი სერიოზულობით გაითვალისწინა.

ენის საკითხებით ი. კავჭავაძე მრავალმხრავ იყო დაინტერესებული. ქართული ენის განვითარების ისტორიაში მას, პირველ ყოვლისა, სურდა ამოეთახა თავისი ხალხის ისტორია და მისი ვრნებრავი ზრდის ევოლუცია. მისი თქმით, „ენა... ყველაზე სანდო მოწამეა ცივილიზაციის ისტორიისათვის“, რდგან „ენა აღმაინისა, მისი სიტყვეერება, მთელი ზელთექმნელი ისტორიაა პერისა“¹.

ი. კავჭავაძის შეხედულებით, „ერთობა ენას მოასწავებს ერთობას კულტურისას“². უფრო მეტად: ენა მას მიანდა ერის მთავარ განმსაზღვრელ ნიშნად. ამიტომ ვასავებია, თუ რატომ აქცევდა იგი მეტად დიდ მნიშვნელობას ქართულ სალიტერატურო ენის შექმნისა და გამატარების საკითხს საქართველოს ერთად ჩამოყალიბების ებოქაში.

ი. კავჭავაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ენა... საზოგადო საყურებია“³, ამიტომ „უნიკო... ამასთან უეოლინარი მწერალი არა მარტო ენას აბლენს, ამასთან გონებას, გემოვნებას, გულს და სულს მკითხველისას“⁴. სამაგიეროდ, „ნიჭიერი მწერალი იმისათვის არის სასარგებლო ენიისათვის, რომ თავის თხზულებაში ენის სიმდიდრე გამოინიშნოს ზილმეო“⁵.

ი. კავჭავაძის თქმით, „ხალხია ენის კანონის დამდები“⁶ და არა მწერალი, ან რაიმე „თორუტკე“, მაგრამ ენის შემდგომი განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ დამოკიდებულებაში იქნება საწერლო ენა სასაუბრო ენისთან.

ქართული ენის სიწმინდის დაცვისა და განვითარების საკითხს ი. კავჭავაძე მტკიცედ უკუშორებდა ეროვნული თვითყოფადობისა და ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლას, ამიტომ იყო, რომ, ერთი მხრავ, — თავისი მხატვრული შემოქმედებით სინათლეზე გამოქონდა ქართული ენის სიმდიდრე და ღირსება, მეორე მხრავ, მკაცრ ბრძოლას უცხადებდა მეფის რუსეთის რუსიფიკატორულ პოლიტიკასა და იმ ადგილობრივ ლაქებს, რომლებიც თვითონი

¹ ი. კავჭავაძე. თხზულებანი, 1927 წ., ტ. V, გვ. 19.

² იქვე

³ ი. კავჭავაძე. თხზულებანი, 1953 წ., ტ. III, გვ. 27.

⁴ იქვე, გვ. 36.

⁵ იქვე, გვ. 43.

⁶ იქვე.

¹ იქვე, გვ. 84 — 85.

² В. Г. Белинский. Полное собрание сочинений, изд. АН СССР, т. II, стр. 23.

³ В. Г. Белинский. Собрание сочинений в трех томах, 1948 г., т. II, стр. 110.

⁴ В. Г. Белинский, Полн. собр. соч., под ред. С. А. Венгерова, т. VI, стр. 305.

მოქმედებით ხელს უწყობდნენ ამ პოლიტიკის გატარებას და საფრთხის უქმნიდნენ მშობლიური ენის შენარჩუნებას. ი. ჭავჭავაძე, ამ მიმართულებებით, მალაი წოდების წარმომადგენლებს, — ბოილა — ზინოვიეებს სდებდა ბრალს.

ამასთან დაკავშირებით, თავის ერთ წერილში, ი. ჭავჭავაძე გულნატკენი შენიშნავდა: „ჩვენს ენას ჩვენში მოედანი არა აქვს... ჩვენი ეგრეთ წოდებული მალაი საზოგადოება, ნამეტნავად ქალაქში, თავის სამარცხენოდ, თვითონს თავის დედა-ენით ლაპარაკს ნათქვამია, თვეზი თავიდან აფორღდებო, სწორედ ეგრე მოგვდის ჩვენი ჩვენს ეგრეთწოდებულ მალაი საზოგადოებას თუ დაეკავირდებითო“¹.

მაგრამ ჩვენივენი, ამჟამად, უფრო მეტად საინტერესო ის არის, რომ სამწერლო ენის საკითხს ი. ჭავჭავაძე სისხლბორცველად უკავშირებდა რეალისტური ასახვის ამოცანებსა და პრინციპებს.

ი. ჭავჭავაძის მხედველებით, შერალი, რომელიც კარგად არ არის გაეცნობილი ხალხის მეტყველებას და ვერ ფლობს მდიდარ ხალხურ შემოქმედებას, ღრმად ვერ ნასწავდება ხალხის გულის თქმას, მის ოცნებასა და იდეალს.

ჩვენამდე მოღწეულია უამრავი უტყუარი მასალა, რომლებიც ნათელს ხდიან, თუ როგორი ყურადღებით ეცნობოდა თვითონ ი. ჭავჭავაძე გლეხთა ცხოვრებას და როგორი ინტერესით სწავლობდა ხალხურ შემოქმედებას. სხეებსაც, და განსაკუთრებით ახალგაზრდა მწერლებს, ის ურჩევდა, უშუალოდ გაესცნობინებინათ ხალხის კირივარამს, მის მდიდარ ფანტაზიას, სხატრ და ბრძნულ გამოქმენებს.

ხალხის ცხოვრების, ხალხის ზნე-ჩვეულებებისა და მდიდარი ხალხურის შემოქმედების გაეცნობა და შესწავლა, ი. ჭავჭავაძის აზრით, დიდ ეტაპებად შეერაღს შექმნას ტექნიკურად რეალისტური ნაწარმოები. ამ მიმართულებით ი. ჭავჭავაძემ თვითონ მისცა მაგალითი ზევის მწერლობას. მისი საუკეთესო მხატვრული ნაწარმოებები არიან ნაბუნში იმისა, თუ როგორი ოსტატობით შეიძლება გამოიყენოს მწერალმა ხალხური სიბრძნე, — ხალხის ნიჭისა და ფანტაზიის პირში — ხალხური ზეპირსიტყვიერება.

ი. ჭავჭავაძე მაგალითს იძლეოდა, როგორც ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშთა შემგროვებელიც, მას ჩაუწერია და გამოუქვეყნებია მრავალი ხალხური ლექსი, თქმულება, ანდაზა და სხვ.

ი. ჭავჭავაძეს ხალხური ზეპირსიტყვიერება იტაცებდა არა მარტო მოხდენილი თქმებით, ენას სისადავითა და ბუნებრივი სახეებით, არამედ მდიდარი შინაარსითაც. მისი დამხატვრით ავიცნობოდა და ითვისებდა მას, რის შესახებ

ბაე ხშირად დემდნენ მატანენი: მაქსიმ... თხელადა ხალხის თავდასაცავლ... სულსა და აწუყოს. ერთი სიტყვით, მისი შემოქმედებით ი. ჭავჭავაძეს უადვილებოდა დაეანახა ხალხი — როგორც ისტორიის შემოქმედი, — როგორც დოვლიათის შემქმნელი ძალა.

ი. ჭავჭავაძე ხალხურ ზეპირსიტყვიერებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ხალხის გმირული სულის გასაცნობად და იმ სოციალური უკმაშართობის გასათვალისწინებლად, რომელსაც ხალხის ჩაყვრის ანგარიშზე უარსებნია ისტორიულად. ი. ჭავჭავაძე, როგორც რეალისტი მხატვარი, ხალხური შემოქმედებით დავალებულია ამ მხრივაც.

ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ხალხურ შემოქმედებას, როგორც ისტორიულ წყაროს, ი. ჭავჭავაძე საფრთხილით უდგებოდა. ის შოთხოვდა, რომ ხალხის ცხოვრება შესწავლილყო ყოველმხრივ და პარმონიულად, რათა შეედომისათვის ნაკლები საფუძველი დარჩენილიყო. პოეზია, და მეტადრე სახალხო პოეზია, — ამბობს ის... უფრო ფანტაზიის ნაყოფია და ფანტაზია კიდევ მაგრე-რიგად არ ეწყობა და არ ეშორიწილება ზნეობითი კანონის მოთხოვნილებას. ზმირად მდამოა ხალხი, ვატყებულ ფანტაზიის აღმადრებით, დამურის და დამხარის ისეთი საგანს და მოვლესა, რომელიც ძირეულად ეწინააღმდეგება ცხოვრების სიკეთესა და ცრუმორწმუნეობაზედ არის აშენებული. რასაკვირველია, მარტო პოეზიის მიხედვით დასკვნა და მსჯელობა ხალხის ცხოვრების საკურობაზედ და იმის პოთხოვნილებაზედ შეედობა იქნება... თუ ამ... შეედომის თვლიამ ავილება ვესურს, პოეტურ მხედველობის გარდა ხალხის სხვა მხედველობას და მსჯელობასაც უფრი უნდა ვაშთავოთ... ხალხის ცხოვრება ყოველმხრივ და პარმონიულად უნდა შევიწყვილოთ; იმისი ყოველგვარი განუბნობა ნაწარმოები უნდა შეეკრიბოთო“¹.

ი. ჭავჭავაძის კრიტიკული წერილების მკითხველისათვის ცნობილია, თუ როგორი მკაცრი ბრძოლა გამოუცხადა ი. ჭავჭავაძემ კლასიციზმის, სენტიმენტალიზმისა და რეაქციული რომანტიზმის რეციდიებს ქართულ მწერლობაში 50-იანი წლების დასასრულისათვის.

მატერიალისტური ესთეტიკის პრინციპთა ერთგული და ნიჭიერი დამცველი ი. ჭავჭავაძე სოციალური დამაჯერებლად განმარტავდა, თუ რა ზიანი მოქმენდა ზვენი ლტერატურისათვის ყალბი პათეტიკური ტონით წერას, ნამალდევი გრძნობისა და არაბუნებრივი სიტუაციების შე-

¹ ი. ჭავჭავაძე. თხზულებანი, 1927 წ., ტ. VI, გვ. 45.

¹ ი. ჭავჭავაძე. თხზულებანი, 1927 წ., ტ. V, გვ. 249 — 250.

მოტანას, წარსულის ამრღილებით გატაცებასა და თანამედროვე ცხოვრებისაგან მოწყვეტას.

ო. ჭავჭავაძემ დამაჯერებლად აჩვენა იმის, რომ ქართული ლიტერატურის განვითარებას საკეთარი გზა ჰქონდა და არაფერი დაუკარგავს იმით, თუ არ გავღვლია კლასიციზმისა და სენტრ-მენტალიზმის ბატონობის ეტაპები.

ამ საკითხებზე შესჯელობისას ო. ჭავჭავაძე შეეხა და თავისი მოსაზრება გამოთქვა ლიტერატურულ ეპოქების სპეციფიკის შესახებაც, რასაც გარკვეული მნიშვნელობა აქვს მისი რეალისტიკური კონცეფციის დასახსნადაც.

ესაღი, ო. ჭავჭავაძე შორსაა იმ შედარს შეხედულებისაგან, რომ ეპოქებს შორის ეფიოს დიდი და მაღალი ეპოქები, ანდა ეპოქებს შორის კლასიციზმის ზღვარი დისდოს; მას გათვალისწინებული აქვს ყველა ეპოქის სპიროვნება და განვითარების ადრეობა. მისი შეხედულებით, თითოეულ ეპოქას თავისი განსაკუთრებული სპეციფიკური ნიშნები და გამოსახვის გარკვეული შესაძლებლობა აქვს. ამიტომ ლიტერატურის განვითარების ინტერესები მოითხოვენ ერთგვარო მართონ არსებობდეს ეპოქის განვითარებაში, თუ რომელიმე ეპოქის ჩამორჩა, ეს იმას ნიშნავს, რომ ლიტერატურაში, სინამდვილის ასახვის მხრივ, შესაძლებლობის გარკვეული ნაწილი დაკარგა; შეთანხმება საზოგადოებაში ცალმხრივი და უფრო ღარიბი სულიერი საზრდას მიიღო.

შეგარძ ისიც ამჟღავნა, რომ ეპოქების განვითარების საკითხს ო. ჭავჭავაძე ისტორიული თვალსაზრისით უდგება. ერთი სიტყვით, მას მიიჩნია, რომ ლიტერატურის წინაშე მდგომი აქტუალური პრობლემები ხშირად იწვევენ ცალკეული ეპოქის წინაშეაწივების ადრეობა. ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე, იგი მიუთითებს იმ მიზეზებზე, რომლებმაც განსაზღვრეს ლირიკული ეპოქის წინაშე წინაშეაწივება ქართულ ლიტერატურაში მეოთხედი სუბიექტის მეორე ნახევრიდან თითქმის მეცხრედი სუბიექტის სამოციან წლებამდე.

„ძველ დროთაგან დამკვიდრებული აქამომდე, — წერს ო. ჭავჭავაძე 1862 წელს, — ზეუ ლექსთობზულებითს პოეზიაში შეუნიშნეთ განვითარება მხოლოდ ლირიკულ პოეზიისა, რომელიც არის ერთი გვარი პოეზიისა და რომელსაც მუსიკისა და პოეზიის შეაღვილი უტირავს, ამისათვისაც ამგვარი ლექსი სულ შედგა თითქმის უფრო სამღვინილი; ასე გვინი — თითო არ არისო, ასე გვინი — რაღაც ავლითა, რაცა არ დამღვრება; მუსიკა აქ თითქმის მშველისო პოეზიისა, პოეზია — მუსიკისა. საგანი ამგვარ პოეზიისა თითონ პოეტის სული მღვინიარობაა სხვადასხვა შემთხვევების დი გარემოებაში; წუთის გრძნობის, წუთის აღმუქვრულებს გამოქვშია, ერთის სიტყვით თითონ პოეტი აქ მხოლოდ თავის გრძნობას ხატავს, თავის გულის მოძრაო-

ბას და აღმუქვრულებს. გარეგანი გარემოებები მისთვის არ არსებობს, და თუ არსებობს, იმის ჭრფურით წმინდა სანთელსავით ღბლია; გაათბობს თუ არა თავის გულის ცეცხლითა, იმას გამოსახავს ზედ, რაც თითონ უგრძნობა და არა იმას, რაც თვით ბუნებაშია, როგორც აუცილებელი თვისება მისია“¹.

ო. ჭავჭავაძე უკმაყოფილოა იმით, რომ ქართული ლიტერატურის სარბიელი თითქმის მხოლოდ ლირიკულ პოეზიას დაუკვრია და ნიჭიერი თუ უნიჭო ყველა ლექსსა წერს. ამ უკმაყოფილების მიზეზი კი, როგორც ცხედავთ, ისაა, რომ ლირიკული პოეზია უფრო მეტად თვით პოეზიის შინგან სამყაროს გვაცნობს და არა მას, რაც ობიექტურ სინამდვილეში, ბუნებაშია. როგორც აუცილებელი თვისება მისია“.

ო. ჭავჭავაძე იმ შეხედულებისაა, რომ რეალიზმის, კერძოდ კრიტიკული რეალიზმის ამოცანები, უფრო მეტად ეპიკური და დრამატული ეპოქების განვითარებასა და წინაშეაწივების მოითხოვენ.

„ლექსთობზულებითს პოეზიაში“, ო. ჭავჭავაძე უპირატესობას პოეზიას აძლევს და არა ლირიკის. ამიტომაც, რომ გულნატკენი შენიშნავს: „ჩვენ მოლექსეთა შორის მარტო რუსთაველის გენიამ შეიძლო შექმნა ეპოპისა, ასე რომ აქო-მამულ მის მერე თითქმის არავინა ჩანია“².

აღიარებენ ეპოპის იმის შესახებ, თუ როგორ მაღალ შეფასებას აძლევდა ო. ჭავჭავაძე პროზულ ეპოქებს. პროზა მას მიიჩნია ლიტერატურის წინაშე ეპოქად, რომელიც ეპოქალური ტილოების შექმნის მეტ შესაძლებლობას აძლევს მწერალს.

კრიტიკული რეალიზმის ინტერესებიდან გამომდინარე, ო. ჭავჭავაძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს დრამატურეკიას. ამასთან, დრამატული ნაწარმოების შექმნა, მისი შეხედულებით, უფრო დიდ ნივსა და ისტატობას მოითხოვს, ვინაე ყველა სხვა ეპოქის ობზულები.



არა მარტო დრამატურეკიულ, არამედ საერთოდ მხატვრულ ნაწარმოებებს ო. ჭავჭავაძე, პირველ ყოვლისა, იმის მიხედვით აფასება, თუ რამდენად იყო მასში განხორციელებული ტიპური ხასიათების ტიპიურ გარემოში ჩვენების ამოცანა. მაგრამ როგორ ესმის ო. ჭავჭავაძეს ტიპური? რა ნიშნებით ხასიათდება, მისი შეხედულებით, ტიპი?

ო. ჭავჭავაძეს ლიტერატურულ ტიპად მიიჩნია ისეთი მხატვრული ხას, რომელიც თავის თავში

¹ ო. ჭავჭავაძე, ობზულებანი, 1953 წ., ტ. III, გვ. 458 — 459.

² ო. ჭავჭავაძე, ობზულებანი, 1953 წ., ტ. III, გვ. 459.



აერთიანებს შესაფერავ ეპოქის დამახასიათებელ ადამიანთა ხასიათებს. ლიტერატურულში ტიპში, მისი შეხედულებით, თავისთავად უნდა მოვლავიონოს ნაენობი ადამიანები, მაგრამ მათ შორის განსხვავებულ უნდა იგრძნობოდეს. ეს განსხვავება აუცილებელია იმდენად, რამდენადაც ჩვენ ერთმანეთს ვეძარებთ ნაენობი პიროვნებას, ე. ი. კერძონის კონკრეტულს და მის შესავსად ადამიანთა ხასიათების გამაერთიანებელ სახეს, ე. ი. ზოგადს.

ტიპიურია სახეების ვარგეშ ე. ჭავჭავაძეს არ წარმოუდგენია საერთოდ ხელოვნება. როდესაც ის ხელოვნების თავისებურებაზე ლაპარაკობს, მაშინ ის ფაქტორულად ტიპისა და ტიპიურის შესახებ მსჯელობს. ერთ-ერთ დაუმათავრებელ წერტილში ი. ჭავჭავაძე სვამს საკითხს: — „რა არის ხელოვნება?“ და ამ კითხვის საპასუხოდ ასეთ განმარტებას აძლევს შეითხველს: „აი, ესთქვეით, მადისართ და ხედათ ლესკუმის (სტატი), მარმინოლადამ გამოკვეთილს ადამიანის სახეს და აგებულებას. თუ ის ლესკუმა მართლა-და წმინდა ხელოვნებაა, თანდითან უფრო მივიზიდავთ, იმიტომ რომ იმ მარმაროლადამ თანდითან გამოსკვიეთის შიგამდებარე აზრი, რომელიც თან სულსავეთ ჩაუყულობია გამოკვეთისა... ესთქვეით, ის აზრი ვაყუაობის, თავგადაგების, დიდებულების აზრია. რაკი აზრს მიხედით, მაშინვე იმას ჰგძნობთ, რომ ამ მარმაროლს სახემ უსიტყვოდ, უთქმელად შევატყობინათ გამოკვეთილს აზრი. ის აზრი სახეზედ და სახის ნაკვეთებში იყო აღბეჭდილი, მეერ ისე ცხადად, რომ თქვენ აზრზე იცინათ. საკვირველია, ჭეამ, ვეითან გამოკვეთილში, ისე ცნობიერად როგორ ვითხზათ აზრი, რომელიც გამოკვეთისა ჰქონია და სახეზედ აუბეჭდილი? საკვირველია, ისე როგორ გამოუყვანია სახე, რომ მარტო ვაყუაობას, თავგამოდებას, დიდებულებას ნიშნავს და სხვა არაფერს. საკვირველია და ამ საკვირველებებში მითელი საიდუმლოებები ხელოვნებისაა. ესთქვეით, თქვენს სიკეთაბეში ვინახათ ვაყუაი, დიდებულისა თავგამოდებელი ადამიანის. ესთქვეით, ამ ლესკუმის ყურებამედ მოგაგონდათ იმ ადამიანის სახეც და შეხედულებაცა. ახლა ვინდათ, რომ... ლესკუმს და იმ ადამიანის სახე ერთმანეთს შეიადაროთ. შეიადრეთ, მაგრამ ნახეთ, რომ ეს ლესკუმს ვაყუაობაში დიდებულებებში, თავგამოდებებში ჰქავს იმ თქვენს ნაენობსა და სხვაში სრულად არა, — ერთის სიტყვიით ეს მარმაროლს სახე იმ კაცის სახე არ არის; ახლა სხვა ვაყუაიის... სახე მოგაგონდათ, ახლა ისიც შეიადრეთ, — ხედათ ისეც იმას, რომ ეს ლესკუმს ვაყუაობაში, დიდებულებებში, თავგამოდებებში ამასაცა ჰქავს, მაგრამ რომ სთქვათ, რომ ეს სახე იმის სახეა, არ არის იმის სახე; ახლა შესაძვე, ახლა შეიძვე, მთელი ჭვეყნის ვაყუაიების... სახეები ამ მარმაროლს სახეს რომ შეიადაროთ, არც ერთი არც ვეანება და ვეანება კიდევ ვი-

კვით თქვენ, მაგრამ საკვირველი იქ არა არისრა. ჰქავს იმიტომ, რომ რაც საზრუნველი ნიშნები ჰქონიათ მთელ ჭვეყნის ვაყუაიებს, დიდებულებებს თავგამოდებებს, ისინი სულ არიან გამოკვეთილნი იმ მარმაროლს სახეზედ და იმიტომ ვეანან და იმიტომაც ადვილად მიუხვდით გამოკვეთილს აზრსა, და რაც თუ კერძობობით იმნება ჰქონიათ, რაც კი ერთსა ჰქონია და მეორეს კი არა, იმათთვის გული უთხოვეთი გამოკვეთისა, იმიტომ არა ჰქავს. რაც საზოგადო ჰქონიათ, ის მოუტყვითი გამოკვეთისა, და რაც კერძობობით, მისთვის თავი დაიწვებება, იმიტომაც ისინი ჰქვანან კიდევ და არცა ჰქვანან. ამ საზოგადო ნიშნების ერთად, წყობილად შეკრეფითა იზომება საბრძენ და ვინიერება ხელოვნისათა...“, დასქენს ი. ჭავჭავაძე.

ამგვარად, ი. ჭავჭავაძე ხელოვნების მთელ სიბრძნეობას ტიპიურ სახეების შექმნაში ხედავს. ამასთან, ვარკვეული შეხედულება აქვს ტიპიურში კერძოსა და ზოგადის ურთიერთობის შესახებაც.

ინდივიდუალურის, კერძოს ვარგეშ, ი. ჭავჭავაძის აზრით, არ არსებობს ზოგადი; ზოგადი თავის თავში აერთიანებს ინდივიდუალურ ნიშნებს, მაგრამ ყოველი ინდივიდუალური ნიშანი როდის არის მისთვის საინტერესო. ტიპში შერწყმულია მხოლოდ ისეთი ინდივიდუალური ნიშნები, რომლითც ხედმეტ-ნაკლებად მაინც არის დამახასიათებელი იმ წრისათვის, რომლის წარმომადგენლადაც გამოყვანილი ის. ეს ვარკვეობა კი იწვევს როგორც მსგავსებას, ასევე განსხვავებას ლიტერატურულ ტიპსა და რეალურ სინამდვილეში არსებულ ტიპიურ შორის.

გამოდის რა ტიპიური სახის შექმნის იმ კანონზომიერებიდან, ი. ჭავჭავაძე მწერლის დიდ მიღწევად თვლის ისეთი ტიპიური სახის დიდ შექმნას, რომელშიც ყოველი ერის ადამიანი დაიანახავს თავისი ხალხის შესაფერი წრის წარმომადგენელს.

„მსოფლიო გენიოსნი მწერალნი, — ამბობს ის, — იმიტომ არიან მსოფლიონი, რომ მათს ნახატში, რომელიც ერისაც ვინდათ, იმ ერის კაცს იცნობთ, იმიტომ რომ იგინი ადამიანის საზოგადო ტიპსა ჰქმნიან. ადამიანი უველგან ყოველთ უწინარეს ადამიანია და ადამიანის ხომ არაფერი ადამიანური არ ეტყვობათ“¹.

მაგრამ ი. ჭავჭავაძეს მხედველობიდან არ რჩება არც ის, რომ ტიპი, მართალია, ზოგადი სახეა, მაგრამ ამავე დროს — ვარკვეული „მეტი“, რომელიც პროექტია განსაზღვრული დროისა და ადგილისა; რომ ტიპი გამოხატავს საზოგადოებრივი ცხოვრების, კონკრეტულ-ისტორიული ვითარ-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, 1953 წ., ტ. III, 472-473.

² ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, 1953 წ., ტ. III, გვ. 168.

მის ყველაზე არსებითს; რომ მას აშკარად ატყვია თავისი ეპოქის, თავისი ხალხის და თავისი კლასის ბეჭედი. ერთი სიტყვით, მისი გაგებით, ყოველი ლიტერატურული ტიპი არის გამოხატულება იმ სპეციფიკისა, რომლითაც ხასიათდება ამა თუ იმ ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრება განვითარების გარკვეულ ისტორიულ ეტაპზე.

ანდრეაფარ დიდებულძე (გ. ერისთავის „გაყარა“) და ლუარსაბ თათქარიძე (ი. ჭავჭავაძის — „კაცია აღამიანი?“) მებატონეთა ტიპური სახეები, მაგრამ ეს სახეები ქართულ მებატონეებს წარმოვიდგინენ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების სხვადასხვა ეტაპებზე. ასევე, თათქარიძე („კაცია — აღამიანი?“) და ათანასე ივანესაძე („ძველი დროის მებატონეები“) ორივე მებატონეებია, მაგრამ ერთი, პირველყოფლია, ქართველ მებატონის ტიპურ სახეს გვიხატავს. ხოლო მეორე — რუსი მებატონისას.

ყოველ ტიპს, ი. ჭავჭავაძის შეხედულებით, თავისი ნაიკონალობის ბეჭედი ატყვია, მაგრამ ეს ბეჭედი, უმთავრესად სახის გარეგან მხარეს ეხსენება და არა მის შინაგან ბუნებას. „ივენემო, — ამბობს ი. ჭავჭავაძე, — ტყუილებიანა და ეკებნა-ბაქიობის ასეთი ფაღვანები არიან, რომ თითონ ფალსტაფი, — ეგ ზოგადი ტიპი ცრუ და მკვებარა კაცისა, — ტამს დაეკრავს მიწონებისას და შვირდად მიმბარება. ნეთუ ეს გარემოება ნებას მისცემს ვისმეს სიტყვას: შექსპირმა ფალსტაფით ქართველები გამოსახაო...

ფალსტაფი ისეთივე შვილა-მთელი კაცობრიობისა, როგორც ჰამლეტი, ოტელო, ტაჩილი, ავთანდილი და სხვანი ამისთანანი, დიდი შემოქმედების ძალი შექმნილი. რამოდენადაც მწერალის შემოქმედების ძალი სწავლება ამ ზოგადკაცობის ტიპსა, იმიდენად მწერალი დიდი, იმიდენად მსოფლიოა. თქმა არ უნდა, რომ ვრი, რომელიც ეკუთვნის ამისთანანი მწერალი, თავის სამკაულთთ ეკაზმინებს, თავის საფერავით აფერავინებს პოეტს ყოველს ხატს, ყოველს ნამოქმედარს შემოქმედობისას, მაგრამ ეს მარტო სამკაულია, ფერია და არა იგი შინაგანი ბუნება ხატისა, რომელიც ამ შემთხვევაში ზოგადია და არა კერძო, და რამელიც მარტო ფაის საკუთარს კანონებს ექვემდებარება“¹.

წარმოების მხატვრულ და შემეცნებით ღირსებაზე, ი. ჭავჭავაძის აზრით, შესაძლებელია ვიმსჯელოთ იმის მიხედვით, თუ რამდენად დასრულებული ტიპური სახის შექმნა მოახერხა მისმა ავტორმა. „ზოგადი სახე აღამიანისა, რამოდენადაც... უფრო წვრილზედ დახურდაებული იქნება... იმიდენად შემოქმედობა მწერლისა მადლი

დამ დაბლა ჩამოდის, იმიდენად მწერალი წინაქმედობა და დაქვეითებული.

...მწერალმა, თუ სხვა კონკრეტული შემთხვევა უნდა ზედმწეებით და მწვენივრად გაიზიაროს ერთი რომელიმე ცალკე სახელწოდებულ კაცო — ივანე, თუ პეტრე, ყოველთვის უბირატესობა უნდა დაეთმოს იმას, ვინც ზოგადი გამოხატვის შემქმნელებია. ამიტომაც, პორტრეტების მხატვარი, დიდად სახელგანთქმულიც და გამოიყენილი, ყოველთვის უმდაბლესია, უმდაბლესია მასზედ, ვინც ზოგადი კაცის, ტიპის შემოქმედია... ამიტომაც თითონ პორტრეტების წერას, ესე იგი ცალკე კაცის ხატვას, მხატვრობაში უკანასკნელი იდგილი უჭირავს... რადგან ეს უფრო ისტორიბაა, ვიდრე ხელოვნება“¹.

ერთი შეხედვით ისეთი შთაბეჭდილებაა ეი იქმნება, რომ ი. ჭავჭავაძე თითქოს დროსა და ადგილს მოწყვეტილი აღამიანის სახის შექმნას მოითხოვდეს, მაგრამ ეს სწორი არაა. „ზოგადი კაცი“ ი. ჭავჭავაძისათვის „ტიპის“ სინონიმია მხოლოდ. და როცა „ზოგადი სახის“ წერაზედ დახურდავებას ემბრძვის, იგი ტიპური სახეების შექმნას მოითხოვს მხოლოდ; ხოლო ტიპი მას არ ესმის როგორც კონკრეტულ ისტორიულ გარემოსა და ეროვნულ-კლასობრივ თავისებურებებს მოწყვეტილი რაღაც „ზოგადი სახე“. მაგრამ ი. ჭავჭავაძე ტიპურად არ თვლის ისეთ სახეს, რომელიც მხოლოდ ქართველ, რუს, ინგლისელ თუ ფრანგ მოქალაქეს წარმოავიღვენს. ქართველი მწერლის მიერ დახატული მებრძოლი შესაძლოა უფრო მეტად ქართველი მებრძოლის სახეს გვიჩვენებდეს, მაგრამ თუ ის ტიპურ სახელად იყავინა, შეუძლებელია მასში თავის თანამემამულეთა სახე არ დაინახოს სხვა ეროვნების წარმომადგენელმაც. „ეფრო მოვიდანი. — ამბობს ი. ჭავჭავაძე, — მარტო პატარა ფილანის საბანელია და არა იმისთანა გოლითისა, როგორც შექსპირია და თუნდაც ზენვი რუსთაველიც. რუსთაველის ტიპებს იმ პაწია ეუჭურტინიდან სინჯავა ეი არ უნდა, საიდანაც მარტო ქართული, კახელი, იმერელი და სხვა ცალკე სახელწოდებულ კაცი დაინახება, არამედ იმ უშველებელ სარკმელადამ, რომ მივლს კაცად-კაცობას თვალს გადავლებოვდესო...“².

ი. ჭავჭავაძის შეხედულებით, როცა მწერალი ლიტერატურულ ტიპს ქმნის, მაშინ ის ხელმძღვანელობს, პირველ ყოვლისა, საკუთარი დაკვირვებით. აზოგადოებს მას, რაც უნახავს, რაც უგრძენია და გაუაზრებია. ამდენად, მის მიერ შექმნილი მხატვრული სახე შეუძლებელია არ იყოს სოციალურ-ისტორიულად კონკრეტული.

ი. ჭავჭავაძეს, როგორც ვხევათ, გარკვეული აზრი აქვს ტიპურა სახის შექმნისა და ტიპუ-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, 1953 წ., ტ. III, გვ. 168-169.

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, 1953 წ., ტ. III, გვ. 174-175.

² იქვე, გვ. 175.

რის მნიშვნელობის შესახებ ლიტერატურაში. მაგრამ არაფერი ვეითქვამს კონკრეტულად იმის შესახებ, თუ როგორ იქვს მას წარმოდგენილი ლიტერატურული ტიპის პრაქტიკათა საკითხი: ე. ი. რეალური სინამდვილის როგორ მოვლენებზე დაურღობით იქმნება, მისი აზრით, ტიპიური სახეები.

ტიპი. — ე. ჰევქვიაძის გაგებით, — გამოხატავს მის, რაც საზოგადო მოვლენა, რასაც საზოგადოებრივი მნიშვნელობა იქვს; შემთხვევითისა და გამოჩაღლისს აყვანი ტიპური სიმბოლოდ შექმნილია და საჭიროც არაა ტიპი მრავალ მსგავსთა გამოერთიანებულ სახე; ამანია მისი დიდი ზემოქმედებით ძალაც.

ე. ჰევქვიაძე, როგორც უკვე ვნახეთ, მწერლობასაგან მითითებული არა მარტო თანადროული ცხოვრების პირთუნელ და ღრმა ასახვას, არამედ იმ „მოხაღლის თესლის“ პერსპექტივაში ჩვენებასაც, რომელიც აწეუო ცხოვრების წილში იმაღლებოდა. აქედან გამომდინარე, მას ტიპურიდ მიიანდა არა მხოლოდ ის, რაც ერთი თვალის გადავლენითაც კი ყველასათვის ადვილად შესამჩნევი იყო, არამედ ისიც, რაც არც თუ მის ადვილად შეამჩნეოდა, მაგრამ მომავალი მას გუთვორდა; უნდაფერი მის გამოჩაღლებასა და ზრდაზე შეტყუვლებდა.

ე. ჰევქვიაძეს რეალისტური ხელოვნების ერთი ნიშანდობლივ თვისებად „მოხაღლის თესლის“ შექმნობა და მისი განვითარებისათვის ხელშეწყობა მიიანია. რეალისტის ცნებაში ის აერთიანებს პრაგმტული რომანტიზმის საუკეთესო მხარეებსაც, ეს ვარგობა თვის იხენს მის მხატვრულ შემოქმედებაშიც. ამის საუკეთესო მაჩვენებელია მისი პოემები „არჩილი“ და „დედა და შვილი“, რომ არაფერი ვთქვათ ამ მხრე შეტად საინტერესო მის ლირიკულ ლექსებზე. პოემა „დედა და შვილი“ ილ. ჰევქვიაძემ საკანგებოდ დაწერა მომავალი ცხოვრების სურათებზე საჩვენებლად.

პოემის შესავალში, რომელიც შეგობარისადმი მიძღუნას წარმოადგენს, პოეტი ამბობს:

— ამა, იმ დროთაგან ერთი სახე ამოღებული,
რომელნიც ერთად ვეინატრია უცხოეთში ჩვენ,
რომელთ იმედი ლუთიერ სხვათ.

გამაწყინებული,
დღესაც გულში ვეაქვს მტკიცე რჯულად,
მხო, მე და შენ.

ყოფილას ვხვადე ერთი კუთხე დილის
ფარდისა
და ეს ვიხილა, — მომიტყვე მე სითომამე...

და ამ პოემის სიუჟეტი პოეტის ილუზიურ ოცნებას კი არ ემყარება, არამედ იმ ისტორიულ კანონზომიერებას, რომლის მიხედვითაც ერთა-

დებოდა პოეტის თანადროული საზოგადოებრივი ცხოვრება. პოემაში დახატული დედის სახეში აქტიურის თანამედროვეთაგან მხოლოდ ერთი ტიპია, თუ იცნობდნენ საერთო თავს, მაგრამ ეს ის ერთეულები იყენენ, რომლებიც ყოველდღიურად შრავდებოდნენ. ამიტომ მწერალს ის მიანიტ ტიპური სახედ მიიანდა. ტიპიურის ასეთი გაგება დამახასიათებელია „თერგოვლებისათვის“ სიერთოლ, რასაც ხელს უწყობდა ისიც, რომ მათ ერთ-ერთ მთავარ საზრუნავს ეროვნული გმირის ძიება წარმოადგენდა; მათი იდეალები მხოლოდ და მხოლოდ მომავალთან იყო დაკავშირებული.

ტიპიური სახეების შექმნის და საერთოდ სინამდვილის ასახვის საქმეში ე. ჰევქვიაძე შეტად ღიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მწერლის ჯანსაღ ფანტაზიას, განზოგადებისა და შორს მჭერეტას უნარს.

ე. ჰევქვიაძის შეხედულებით, მწერალი დაჯილდოებული უნდა იყოს იმის უნარით, რომ „მოგონილის ამბით ცხადესკის მართალი“. „ტარიელი, ნესტან-დარეჯანი, ათანდილი, ფრიდონ, თინათინ, — წერს ის, — არც თავის დღეში ყოფილან და არც არიან... მაგრამ ამა ნახეთ ჩვენი საკვირველი რუსთაველი როგორ სამაწულ მოქმედობს ადამიანზე, როცა ამათ ცხოვრებას ვეიმბობს, მათის ცხოვრების მაჯისცემას ვეატყობინებმა!.. შოთამ მის მიერ მოგონილს ამბავს ისეთი სული ჩაატანა, რომ ამ კემშარიტ სულისაგან თვით არავე მშარტი ამბავი მართალი გვეოროია. აი, ეს არის საოცარი ვარდაქმნა. ანუ უკეთ ვთქვამ, ქმნა არ ყოფილისა ყოფილად, (რაც) მარტო შემოქმედს შეუძლიან და ამიტომაც ამ ლუთიურს ძალღონეს ქმნისას შემოქმედებას ეძახიან“.

არა მარტო „ვეფხისტყაოსნის“, არამედ ისტორიულ თემაზე დაწერილ ნაწარმოებთა შესახებაც ასეთ შეხედულებას გამოთქვამს ე. ჰევქვიაძე. ისტორიულ თემაზე დაწერილ ნაწარმოებისათვის, — მისი თქმით, — მთავარია არა ისტორიული დეტალების ზუსტად გადმოცემა, არამედ ის, რომ გვიხვენოს „სული და გული ებოქისა“.

ამგვარად, ჰაიავატა იმორჩილებს მონღამინს — სიმინდს და ასწავლის ყველა ტომს მის მოყვანას.

პოემაში ლეგენდარული ჰაიავატა შემცველია საუკეთესო ადამიანური, ნამდვილი სახალხო გმირის თვისებებით.

„ჰაიავატას სიმღერაში“ მითიური სახეები გამოყვეთილი ადამიანური თვისებებისა და ხასიათების მატარებლები არიან. ჰაიავატას შამი მეჯუკიკის, დასავლეთის ქარის შეფე, გაბედული მეომარია. იგი ვაჯყერად შეებრძოლება და კლავს ხალხის მტერს დიდ დათეს, შავრამ, ამავე დროს, იგი შეუბრალბელი მამაკაცია, რომელიც ვენონას თვალთმაქცურად შეადგენს და ბედის ამბა ტოვებს. ჰაიავატას დედა ვენონა, ციდან მოწყვეტილი ვარსკვლავის ნოკომისას ასული, ნახს უშუალო და გულბრძვილი ქალია, რომელიც სატრფოსავან, მეჯუკიკისისავან მტოვებელი დარდს ველარ უძლებს და კვდება. ნოკომისა, ჰაიავატას დედადა, დედობრივი სათნოებისა და გამარჯვებულად ქალის განსაზიერებაა, ჰაიავატას მეუღლე თვალთმაქცურად შეადგენს და ბედის ამბა ტოვებს.

* კ. უ. ლონგველო „ჰაიავატას სიმღერა“, ინგლისურიდან თარგმნილი გ. ვაჩეილიძისა და მ. პატარაძის მიერ. თბ. 1938 წ. გვ. 45.

ვატას მეუღლე თვალთმაქცურად შეადგენს და ბედის ამბა ტოვებს.

„ჰაიავატას სიმღერა“ დაწერილია დიდი პოეტური ისტატობითა და დახვეწილი ვემოციებით. პოემაში დაცულია ეპიურის თხრობის დინჯი, აუღვლეველი და უბრალო ტონი. ყოველი მხატვრული სახე უშუალოდ უკავშირდება ძირითად მოქმედებასა და განწყობილებას, ამიტომაც მრავალფეროვან ეპითეტებსა, შედარებებსა და შეტყუარებში არავითარი ძალდატანება არ იგრძნობა. პოემაში გვხვდება ისტატურად მიგნებული პოეტური სახეები. მაგალითად, დათვის სილიდისა და სიტლანქის უფრო მეყუთრად ვიდუმსაქემელ პოეტი მიმართავს ასეთ შედარებას: დათეს ეძინა და ჰავდა რუბა ხავსით დათვრულ ვეებერათულა კლდეს. ჰაიავატას მიერ მოცემული თევზთა მეფის ზვიგენის სიდიდე დასურათებულია შემდეგნაირად: ზვიგენი გამოშვინეს, ქონი გამოცალეს და მის შიშველ ნეკნებს შორის ზღვის ტალღები ერთმანეთს ეხებოქება. ან კიდევ, პო-პო-კივისმა ჰაიავატა ქარაწილზე ისეთი გაშვავებით ვადმოსცა შლეგი მათბოგრის როკეა, რომ „ფეხებით დააგროვა ქვიშის მთები“.

პოემის განსაკუთრებული მხატვრული თვისებებებება მდგომარეობს მის ინდიურ კოლორიტში. თქმულებაში ჰაიავატას შესახებ აგტორი მოხერხებულად ურთავს სხვა ინდიურ მითებს, რომლებშიც ვაკოცლებულია პირველყოფილი ამერიკელი ინდიელების ადამ-წვევები და რელიჯია, ვეურთ პეიზაჟები და წარმოდგენები სტიქიური ძალების ბრძოლის შესახებ. საკურველს, საყოფაცხოვრებო ნივთებს, ფრინველებსა და ცხოველებს, ტბებსა და მთებს, ლმერთებსა და ადამიანებს ლონგველო ძველ ინდიურ სახელწოდებებს უნარჩუნებს, რითაც კიდევ უფრო ძლიერდება და მეყუთრდება პოემის ძველ-ინდიური კოლორიტი.

ლონგველოს ბურქეზიულმა შეზღუდულობამ თავი იჩინა „ჰაიავატას სიმღერაში“. ამერიკის კოლონიზატორთა და ქრისტიანული რელიჯიის განდიდების მიზნით პოემის უქანსკენელ სიმღერაში ჰაიავატა გამოყვანილია როგორც რისწარმეტყველი, რომელიც ინდიელ ხალხს მოუწოდებს მიესაღმოს აღმოსავლეთიდან მოსულ უცხო სტუმრებს, თუთკანიან ადამიანებს, ყური აპყროს მათ „ბრძნულ სიტყვებსა და მათ სიმარტლეს“, რაც არც ინდიურ თქმულებებშია ნახსენები და არც ისტორიულ ხანმდებლიეს შეეფერება. მიუხედავად ამისა, პოემის მთავარი იდეური ძარღვი მაინც ხალხთა კეთილდღეობისათვის ბრძოლა და მშვიდობისაკენ მისწრაფებაა.

„ჰაიავატას სიმღერას“, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო პემანიურ და შალაპოეტურ ქმნილებას, საპატიო ადგილი უქირავს მსოფლიო ლიტერატურის საგანძურში.

მეტი მოზიარებელი



ქლო ანდრონიკაშვილი

ძველი ქართული არისტოკრატიული ოჯახის შვილი, კარდინალური თავადის ასული ელო ანდრონიკაშვილი თავისი შეგნებული ცხოვრების პირველი დღიდანვე ზღვის სამსახურში ჩადგა. 1899 წელს ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდად, თექვსმეტი წლის ქალიშვილმა, ქარელის რაიონის სოფელ წროში სცენის მოყვარეობა წრის მიერ დადგმულ წარმოდგენაში პირველად შედგა ფეხი სცენაზე და 1935 წლამდე, ვიდრე სცენაზე, წარმოდგენის მსვლელობის დროს, ფეხს არ მოიტეხდა, უზიდავს ეს მძიმე ტვირთი გატაცებითა და სიყვარულით.

ელო ანდრონიკაშვილი დაწყებითი განათლება მცხეთის მონასტერთან არსებულ ოთხკლასიან სასწავლებელში მიიღო. შემდეგ თბილისში მოეწადა და მასწავლებლის უფლებზე გამოცდები ჩააბარა. იგი თბილისში — მირიამ დემურციას საშობალებით — დაუახლოვდა ივანის ავდიტორიასთან არსებულ მეშობა თეატრს და იქაურ წარმოდგენებში ხშირად იღებდა მონაწილეობას.

1901 წელს თეატრული წლის ახალგაზრდა მასწავლებელი ნებაყოფლობით საუბოლო მიდის „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მიერ დაარსებულ კავკასიის ქართულ სკოლაში მასწავლებლად. ელამ მალე დაამყარა კავშირი კავკასიის იმხანად არსებულ საკმაოდ ძლიერ სცენისმოყვარეთა ქართულ კოლექტივთან და სულ მალე იმ კოლექტივის ერთერთი მთავარი ძალა გახდა.

1904 წელს ელო ანდრონიკაშვილი პარიზში მიემგზავრება. იგი ლექციებს ისმენს სორბონის უნივერსიტეტში, ეცნობა მსოფლიო კულტურის ძეგლებს, დიდი მსახიობების შემოქმედებს.

რასაკვირველია, უცხოეთში ელო ანდრონიკაშვილი პრაქტიკულად ვერ ჩაებმებოდა სამსახიობო ხელოვნების საექსპონატო, მაგრამ რ. პარიზში, იგი აცვიფრებდა მსახიობებს და აღტაცებაში მოჰყავდა ისინი ლეკურის ცეკვით, რომლის შესანიშნავ შემსრულებლად იგი ითვლებოდა.

ამის შესახებ მოვითხრობს ელო ანდრონიკაშვილის სიყრმის მეგობარი, ლეონოსილი ექიმი ზინაიდა აღმაშაია:

„საღამოზე ლეკურია. (ლაპარაკი პარიზში კავკასიის საზოგადოების მიერ გამართულ საღამოზე. ეს საზოგადოება აგრძობდა პარიზში ზყოფ კავკასიის ყველა ეროვნების წარმომადგენლებს. გ. ვ. 1.

პირველად ცეკვავს რუსული ბალეტის სახელმთქმელი მსახიობი პეტრია. იგი ასრულებს საბალო ლეკურს. ცეკვის დამთავრების შემდეგ მას მიართვს ყვაველების დიდი თავიულო.

ჩვენ ქართველებს გვსურს ვერყენით ნამდვილი მშობლიური ლეკურია.

და აი, დარბაზში შემოკურდებდა დიდი საშობებებითა და გრაციით, ქართულ კაბაში მორთული ელო ანდრონიკაშვილი. მას მოსდევს მისი ღირსეული პარტნიორი, შავი ჩოხა-ახალხში გამოწყობილი კოწო ანდრონიკაშვილი. ისინი დარბაზში დაჭრიან დიდი აღფრთოვანებითა და ტემპერამენტით.

ცეკვა დამთავრდა. გრილობს ტანს. საზოგადოება აღტაცებულია ქართული ცეკვითა და ტანსაცმელით. პეტრია უახლოვდება ელოს, გადაკოცნის მას და გადასცემს მის მიერ მიღებულ თავიუღს შემდეგი სიტყვებით:

— ეს თავიუღლი თქვენ გვეუთვნით, იგი თქვენია!

კვლავ ტანში და ელო იმ საღამოს ვიბრია. მას ეძებენ, ეცნობიან, მოწიწებით ხელს ართმევენ...”

შეღვა დაღამაში, როგორც ენობილია, თავის ახალ რომანში „გვირგვინიანების ოჯახი“ მოქმედ გვირგვინად გამოგონილ პერსონაჟთა გვირგვინით სინამდვილეში არსებული რამოდენიმე პიროვნება გამოიყვანა. მათ შორის ელო ანდრონიკაშვილიც და ასეთი თბილი სტრიქონები უქმნდა ელო ანდრონიკაშვილის მიერ ქუთაისის ქალაქის კულტში ნაცეკვე ლეკურს:

„ამ დროს განთქმული ქუთათური მოცეკვავნიკო ფაღვა გამოვიდა ასპარეზზე. მისი ჩამოვლა მართლა საუცხოო იყო დინჯი, ვაკეკური, მომხიბლავი. ერთი-ორი ჩამოვლის შემდეგ საცეკვაოლ გამოიწვია მრეამად ქუთაისში მყოფი ქართული თეატრის არტისტი ელო ანდრონიკაშვილი. ამ უკანასკნელის შესრულება ლეკურის კლასიკურად ითვლებოდა და მართლაც, ამ საღამოსაც თავი გამოიჩინა თავისი გოგონით, ცეკვითა და კვამომოსილი მიზრა-მოზრით.

ზალხი კიდევ უფრო შექმნდა ამ საუცხოო წყევლის საყურებლად.

მათ მართლაც საგანგებოდ შეასრულეს უკანობი სიყვარულის საოცნებო პოემა, ქართული იერით გადმოცემულა“.

1907 წელს ელო ანდრონიკაშვილი ბრუნდება სამშობლოში და იმავე წლის 17 ოქტომბერს

ეწეობა მისი პირველი თეოციკალური. დემიუტრ ქართულ პროფესიულ თეატრში. სცენაზე მიღობდა გერმანელი დრამატურგის ლანგმანის პიესა „ახალი ძალა“, სადაც დემიუტრანტი ტერეზას როლს ასრულებდა. ტერეზას როლის მადლობარსხივანი შესრულებით მან სამართლიანად დაიმსახურა საერთო მოწონება.

სად არ უთამაშინია ელო ანდრონიკაშვილს. სად არ გამოხატულა იგი. რამდენიმე სეზონი მუშაობდა თბილისში, ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში, ზუგდიდში, ხაშურში. შალვა დადიანთან ერთად იყო ინიციატორი და დამაარსებელი მდინეი მოგზაური დასისა და როგორც ნინო ნაკაშიძე თავის „მოგონებებში“ აღნიშნავს „მე მგონია, არც ერთი ქალაქი და ციხითი მოზრდილი სოფელიც კი ბაქოიდან დაწყებული ბათუმამდის არ დარჩენილა, რომ წარმოადგენა არ გაემართათ. ისინი უყვარდა ქართველ ხალხს და ყოველთვის დიდი სიამოვნებით ელოდნენ მათი დასის გამოჩენას თელავში, სიღნაღში, ოზურგეთში, სამტრედიასი და ყველგან, ყველგან“.

ელო ანდრონიკაშვილი უმთავრესად სახისათო და დრამატულ როლებს ასრულებდა. სცენაზე თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის განმავლობაში ნათამაშები აქვს თრასამდე სხვადასხვა როლი, რომელთა შორის აღსანიშნავია: კაროენა (დ. კლდიაშვილის „დარისპანის გასაჰირი“) თამრო (ილიას „გლახის ნაამობი“), ციკო, იგივე კენილა სიდონია (ა. ერისთავ-ხომტარაის „მოლაზხელ გზაზე“) დედა (ილიას „დედა და შვილი“) თინა (მ. არაგვისპირელის „მიწა“) რეჟია, ვაიაენე (ა. სუშიათაშვილის „ღალატი“) კატეშა მასლოვა (დ. ტოლსტოის „ადღვობა“), ლუბა (გორკის „მეშინაბები“), პანელი (პეტრანის „პანელი“) და მრავალი სხვა.

მაშინდელ ვაზუთებსა და ეტრნალებში მოთავსებული თეატრალურა რეცენზიები ელო ანდრონიკაშვილს ახასიათებენ, როგორც მაღალი კულტურისა და ინტელექტის მსახიობს, რომელიც ყოველი ახალი სახის გახსნისას ცდილობდა ახალი ფერები მოეხაზა, რათა მისი ვიზირს ბედნიერი თუ შწრაფი ხეყდრი, სიხარული თუ შწუხარება, სიყვარული თუ სიძულელი გულწრფელად გამოეხატა.

შემთხვევითი არ იყო, რომ როდესაც დავით კლდიაშვილის იტილუზე გადაწყვიტეს „დარისპანის გასაჰირის“ დადგმა და ავტორის თხოვეს თავად ამოერჩია თავისი კომედიის შესწარნულებული მსახიობები, დავით კლდიაშვილმა პირველად ყოველსა კაროენას როლისათვის ელო ანდრონიკაშვილი დაასაბედა. და მართლაც ელო ანდრონიკაშვილი, ქართველ მსახიობთა შორის ყველაზე ახლო იდგა დიდი ქართველი მწერლის შთანფერქთან. მისი კაროენა, ერთ და იმავე დროს სახეილოც იყო და შესაცოდიც, დასაცონიც და შესაბრალისიც.

ელო ანდრონიკაშვილი ერთ-ერთი პიონერთაგანაა საქართველოში მოზარდ-მეყრებელთა თე-

ატრის დაარსების საქმეში. ჯერ კიდევ 1913 წელს, ბათუმში, მისი ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით ბავშვებისათვის დაიდგა ცნობილი პედაგოგის ლ. ბოცუაძის მიერ შემოკეთებული ორ მოქმედებაიანი ფანტასტიური კომედია „ყვავილია შორის“. ელო ანდრონიკაშვილმა არა ერთი და ორი წერილი გამოაქვეყნა პრესაში ბავშვებისათვის თეატრის საკიროების შესახებ და ეს მაშინ, როდესაც საბავშვო თეატრების ხსენებაც კი არ იყო.

ელო ანდრონიკაშვილი მრავალი საბავშვო მოთხრობის ავტორია. აქ კვლავ დავსესხები ჩვენს მშოკონს საბავშვო მწერლის ნინო ნაკაშიძეს: „შალვა დადიანი და როგორც თვითონ შალვა ეძახის „ჩემი ცხოვრების ხანგრძლივი თანამგზავრი“, არტისტი ელო ანდრონიკაშვილი იყენენ „ნაკადულის“ თანამშრომელი. სწერდნენ მოთხრობებს, განსაკუთრებით ელო ბავშვები კარგად იცნობდნენ მის ისეთ მოზრდილ მოთხრობას, როგორიც არის „გოზა ბასილაშვილი“, მაგრამ რამდენადაც ელო მოგზაურის დასის აქტიური იყო და თავის მეუღლის, მწერლის, დრამატურგის, მოგზაური დასის რეჟისორის დამხმარე, მწერლობა უფროდ პირველხარისხიანი საქმედ არ მიაჩნდა, თორემ ჩემი ფიქრით შეეძლო მწერლობაშიც კვალი გაეყლო“.

ელო ანდრონიკაშვილი ცნობილია, როგორც დიდი რუსი დრამატურგის ა. ოსტროვსკის პიესების მთარგმნელი. მის მიერ ნათარგმნი „უღიანაშვილად დანაშაუენი“ და „ემზითო“ დღესაც წარმატებით იდგმება საქართველოს თეატრებში. ელო ანდრონიკაშვილმა შეძლო ქართულად ადრეტყულებინა რუსი დრამატურგის შესანიშნავი ქმნილებანი.

მედამ მოზრავს, მოფუსფუსეს, მოესვენარს, მედამ გულანთებულს, რადაც ახლის მამიბეულს, მას დამშვიდებულად არ შეეძლო ქართული კულტურის არც წარმატებებზე და არც დამარცხებებზე ლაპარაკი. ყოველი ახლის გამოჩენის იგი აღფრთოვანებით ხედებოდა, ხოლო ყოველი მარცხი გულს უკლავდა და ასეუდიანებდა: კრისტალურად წმინდა ადამიანი, რომლისთვისაც არ არსებობდა პირადი ბედნიერება, მრავალი პირნახული, მაგრამ მედამ მხენ და გაუტეხებოდა.

ავადმყოფი და დავრდომილი, მაგრამ სულთ მედამ ჯანსაღი და ახალგაზრდა, თავისი განუყრელი ჯობითა და კოკლობით ჩნდებოდა იქ, სადაც ცოტადნეე მაინც შეეძლო სარგებლობის მოტანა. ასეთი ვაგვემორდა ამ ერთი წლის წინათ მარტის თვეში ელო ანდრონიკაშვილი, დეიდა ელო, როგორც მას მისი ახალგაზრდა მეგობრები ეეძახდით ხოლმე, წავიდა და თან წავიდა მრავალი განუზორციელებელი ოცნება და იმის ნათელი რწმენა, რომ მშობლიური ხელთვნების წინსვლა და მიღწევა, რომლის სიყვარულსაც მან მთელი თავისი სიცოცხლე შეუძლია, სიმიელი ახალგაზრდაობის ხელშია.

შენა აღზნობილი

★

ელჟარ მანე

ემილ ზოლა ასე აგვიწერს ელჟარ მანეს: „საშუალო ტანისა, უფრო დაბალა, ვიდრე მაღალი. თმები და წვერი ღია წაბლისფერისა; თვალები, კიწრა და ღრმად ჩაქვადარი, სახსე საციცხლითა და ახალგაზრდული ცეცხლით; პირი — დამახასიათებელი, წვრილი ტუჩებით, მოძრავი, დამკინაველ აწვეული კუთხვებით. საერთოდ, მისი სახე უსწორი და ფაქიზად ინტელექტუალურია, მოწმობს დახვეწილობასა და გამბედაობას, ზრზლს სისულელესა და ბანალობისამდე. თუ საზიადან საერთო გარეგნობაზე გადავალთ, ელჟარ მანე წარმოგვიღებია, როგორც საუცხოოდ თავაზიანი და ზრდარობიანი ადამიანი, დახვეწილი მანერებით და სისაიმოვნო გარეგნობისა“.

როდესაც ზოლა ამას წერდა, 1867 წლისათვის, ელჟარ მანე საქმარისად ცნობილი მხატვარი იყო პარიზში, ცნობილი, უფრო, როგორც ოფიციალური სალონების მიერ უარყოფილი, მაგრამ მაინც თავისი საკუთარი, ინდივიდუალური გზით შიშავალი.

ნაპოლეონ მეცამის მეორე იმპერიამ სასამართლო პროცესებო მოაწყო ფლობერის რომანზე „მადამ ბოვარი“, შარლ ბოდლერის ლექსების წიგნზე „ბოროტების ყვეილები“; ვიქტორ ჰერგო იძულებული შეიქნა დაეტოვებინა მშობლიური საფრანგეთი, რეალისტ-მხატვრებს კურბესა და მანეს საშუალებას არ აძლევდნენ საკუთარ სურათები გამოეფინათ. ოფიციალური სალონებში ხატობოდა სამეული: ბოდრი, ბუგერო და კამანელი, აკადემიური და სალონური ფერწერა. „მანეს ბედი იმდენადვე არ სწავლობს, რამდენადვე კამანელს სწავლობს“ — ირონიულად შენიშნავდა ზოლა: „ვიცო, ბრბო ქვეს მესერისა, როცა ამას ვაგვიგებს, მაგრამ მე ვაცხადებ, რომ კამანელის სურათები გაიციციებიან და ანემიისაგან მოკვდებიან 50 წელზე უფრო ადრე, მაშინ, როდესაც მანეს სურათები, რაც დრო ვავა, ორიგინალური ნაწარმოებების მარადი ახალგაზრდობით დამწვენდებიან“.

ზოლა 26 წლის ახალგაზრდა იყო, „ტერენზო რაენს“ სწერდა, როდესაც პირველად მოუხდა პრესაში ელჟარ მანეს სურათების დაკვა: 1866 წელს მან ორი წერილი მოათავსა „L'Événement“-ში, სადაც ეციხებოდა სალონის ფიურის იმის გამო, რომ მხატვრის ორი სურათი „ფლუატისტი“ და „ტრაგიკული მსახიობი“ არ მიიღეს. ამ წერილებით აღფრთოვანებული მანე სწერს ზოლას: „ფერფასო ბანი ზოლა. არ ვიცო, სუ

მოგებნოთ, რომ ზელი ჩამოგართათ და მოგახსენოთ, თუ რამდენად ბედნიერი ვარ იმით, რომ მიცავს თქვენი ნიჭის ადამიანი; რა შვენიერი წერილია! ათისჯგერ მადლობელი ვარ“. მაგრამ, ზოლას წერილებს გამო რედაქტორის უსამოვნება მოევიდა და ზოლა იძულებული იყო შეეტოვებინა რედაქცია. ხოლო, 1867 წელს, როდესაც პარიზის მსოფლიო გამოფენისათვის მანემ ისევე წარადგინა სურათები და ეიურამ ისევე უარყო ისინი, აღელვებული ზოლა უკვე ცალკე ბროშურის სახით წერს „ბიოგრაფიულ და კრიტიკულ ეტიუდს“ მხატვრის დისაცავად. შწერლის ეს წიგნი რეალისტური მხატვრობის ნამდვილ მანიფესტად იქცა.

ელჟარ მანე, რომლის დაბადების 125 წლისთავი ახლან მოსკოვში დიდი ზეამით აღინიშნა, დაიბადა 1832 წელს პარიზში. მოუხედავად მამის წინააღმდეგობისა, მანემ ადრე დაიწყო ხატვა. ექვსი წელს ვაატარა აკადემიური მხატვრობის ცატადელში — მხატვარ კუტიურის სახელისწიოში. უნდა ვიფიქროთ, რომ სწორედ აქ შეეზნა მანეს სკლეროტიული აკადემიზმი და რეალისმი-საყენ მჰაფრი მიწრაფებოდა წავსახე. ახალგაზრდა მანე ბუერს მოვზაურობს (იტალია, გერმანია, პოლანდია, უფრო გვიან ესპანეთი), ხშირად დაბარება ლეერში, სადაც სწავლობს კლასიკურ ფერწერას (ტიციანი, ველასკესი, პალსი, გოია).

1859 წელს 27 წლის მანემ პირველად წარადგინა სალონში სურათი „ახუნერის მოვეარული“, რომელიც ისე მოეწონა შარლ ბოდლერს, მაგრამ სალონმა არ მიიღო ეს სურათი. ამის შემდეგ მანეს სურათებს ხან ღებულობს სალონი, ხან უარყოფს, უფრო მეტად უარყოფს, და მისი შემოქმედების გარემო „სკანდალის“ ატმოსფერო შეიქმნა. 1863 წელს მანეს შემოქმედებოის ცხოვრებაში საეტაპო წელია: ეიურიმ უარყო მისი დიდი სურათი „საუზზე ქალაქ გარეთ“, სადაც გამოხატული იყო სამოქალაქო ტრანსამისმა გამოწყობილი ორ შამაკეს შუა ტანშიშველი ქალი. მანემ, სხვა მხატვრებთან ერთად, ცალკე სალონი გახსნა — „განდევნილთა სალონი“, სადაც გამოაფინა ეს ქურათი. აკადემიზმის დამცველი ფარსეველებმა დიდი აერზაური ატეხეს რეგორი პრესაში, ისე სალონში. „ღმერთო, როგორი ნატასობაა! ქალი, რომელსაც ტრანსამოსის ნატამალე კი არ ვაინია, ორ ჩაცმულ შამაკეს შუა ზის. სად ვაგონილა?“ — დაცანეთ იმეორებოდა ზოლა მოწინააღმდეგეთა სიტყვებს.



მაგრამ ლევრაში ბევრი ასეთი სურათი მოიძებნება. იმ, თუნდაც „სოფლური კონცერტი“ იტალიური რენესანსის დიდი მხატვრის ჯორჯონის, განა იქაც ასევე ტანშიშველი ქალი არა ჩის ორ ნაბეჭდო მამაკაცს შუა? ზოლას სამართლიანი თქმით, მანეს დამსახურება სიფეეტის სახელგანთქი არ მდგომარეობს, არამედ მხატვრის ნოვატორობა ისაა, რომ მან მთელი სურათი აივსო პერით, გაასხვიონა ნათელი ფერებით. მართალია ეს სურათი ჯერ კიდევ სახელოსნოშია შესრულებული, მაგრამ მხატვარმა შეძლო ფიგურებსა და ექვიმირება სოფრესთან, ფიგურები მოათავსა გაშლილ პერზე. ზოლა აღნიშნავდა, რომ „სტეკენამ და კოენამ... ახალი თავისებური მხატვრის დაბადება გვაუწყა“. და მართლაც, შემდეგ წლებში მანე გადის სახელოსნოდან პერზე და უშუალოდ ბუნების წიაღში ხატავს სურათებს, რომაც პლენერისტული ფერწერის ერთ-ერთი შემქმნელის სახელი მოიხვეჭა მხატვრობის ისტორიაში.

ჯერ კიდევ ლონდონი და ვინჩიში გენიალური ვანკერტი პლენერის შესაძლებლობანი ფერწერისათვის. თავის ცნობად ტრაქტატში იგი წერს: „დიდი შეცდომაა, როდესაც მხატვრები რომელიმე საგანს ხატავენ სახლში ერთფეროვან სინათლეზე და მერე ამ ნახტით სარგებლობენ იმ სურათისათვის სადაც მოკლებული უნდა იქნეს მრავალფეროვანი განათება, ისე როგორც ეს არსებობს ვაშლილ პერზე“. მაგრამ მე-19 საუკუნემდე უდიდესი მხატვრებიც კი იმ სცენებს, რომლებიც მიმდინარეობდა ატმოსფერულ განათებაზე, ხატავდნენ ოთახის, სახელოსნოს განათებას გარემოცვაში. ცხადია, ცალკეულ მხატვრებს ქონდათ პლენერისტული მიგნებანი, მაგრამ მხოლოდ ზარბიზონის სკოლამ საფრანგეთში, და შემდეგ, უფრო მეტი პრინციპული მანემ უშუალოდ ბუნების წიაღში, ღია ცისქვეშ, დაიწყო ხატვა. ეს იყო უდიდესი გადატრიალება მხატვრობაში, მართალია, ტექნიკური, მაგრამ პლენერობა დადებითი გავლენა იქონია აგრეთვე მხატვრობის ესთეტიკურ ამოცანებზე: სურათი გაივსო პერით, ყურადღება მიეპყრო ფერის ვიბრაციას, ნატურალურ განათებას, ისე როგორც ეს ბუნებაშია, რითაც გააძლიერდა მხატვრობის ფერადული შესაძლებლობანი. მაგრამ ედუარდ მანესათვის პლენერია სურათიდანაც არ ნიშნავს ფორმის უშუალებელყოფას, სავნის დაკარგვას პეროვან ფერად სიერეში.

დიდი აღმოფხვრება გამოიწვია ოფიციალური ბელოვნების შესვეურებში აგრეთვე 1865 წელს სალონიში გამოფენილმა მანეს სურათმა „ოლიპიი“. მიუხედავად იმისა, რომ ამ სურათში ბევრია კლასიკური ფერწერის რემინისცენციები (ტიციანი, ველანო, ვიასი, გოთი), მეორე იმპერიის ბანკირებშია და სპეკულანტებშია კინადამ გეობები და ქოლგებით გაანადგურეს ეს შესანიშნავი სურათი, რომელიც ახლა ლერას აშვენებს, ისევე, რო-

გორც „საუზმე ქალაქგარეთ“. სურათების ფორმა „ოლიპიის“ გამოფენა ბოდლერზე ვაჟიფერე მანეს: „თქვენ წივით, რომ თავს დაეკისებინათ? მაგრამ, განა თქვენ პირველი ხართ ასეთი? განა თქვენ მატობრიანზე და ვაგნერზე უფრო გენიალური ხართ? მათ ხომ გადაიტანეს დაიენა“. ს. ვერთოდ, უნდა აღინიშნოს მანეს გულითადი შეგობრობა თავისი დროის მწერლებთან. ზოლა, ბოდლერი, მალარმე, გოტიე, პიუსიანსი, შანფლერი—ყველა ესენი მანეს დიდი შეგობრები იყვნენ. ბოდლერმა სპეკიალური ლექსი უძღვნა „ბოროტების ყვაილებში“ მანეს სურათს „ლოლა დე ვალანს“ (ლოლა ვალენსაიანი), რომელიც ახლა ლევრაშია. როდესაც მალარმეს მიერ თარგმნილ ედგარ პოს „კორანს“ ასურათება, მანე დიდ პასუხისმგებლობას გრძნობდა და ასე სწერდა მალარმეს: „თქვენ, პოეტები, საშინელი ხალხი ხართ, და ხშირად შეუძლებელი ზღვა მხატვარმა ისეთი სახე შექმნას, რომ თქვენს ფანტაზიას ეგუებოდეს... ვეღვამე ვყო პოეტისა და მთარგმნელის სიმადლზე“...

გუსტავ კურბეს შემდეგ ედუარდ მანეს ღირსეული ადგილი უკავია ფრანგული რეალისტური მხატვრობის ისტორიაში. მანე მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ფრანგული მხატვრობის დიდი რეალისტი. მანეს სურათები, თითქმის ყველა, თანამედროვე თემას ეხება. „ხელოვნება უნდა იყოს ცხოვრების აღწერა“ (L'écriture de la vie), ამბობდა მანე. აქ, ცხადია, ფოტოგრაფია კი არ იგულისხმება, არამედ ცხოვრების ღრმა და უშუალო გამოსახვა. მანეს სურათებში მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის პარიზის მრავალფეროვანი ცხოვრება ასახული უმთავრესად: ქუჩები, ლუდის ბარება, ქალის ბუფები, საფრანგეთის ბუნება, სცენები ზღვაზე, პლიაიე, მეგობრების პორტრეტები და სხვ. ნამდვილი რეალისტი, მანე, მიუღია თავისი სიკოცლის მანძილზე (იგი ვარდაიკველა 1883 წელს პარიზში) ებრძოდა აკადემიზმს, რომელიც ვერტობდა ცოცხალ ცხოვრებას. აღამიანი—მთავარი თემა მანეს შემოქმედებისა. უკანასკნელ წლებში მანემ იმპრესიონიზმის გავლენა განიცადა, მაგრამ რეალისტურმა ალმომ მას მანეს არ უღალატა: მანეს სურათებში აღამიანი არასდროს არ ითქვიფება პერში, თუმცა მის შემოქმედებაშიც სინათლე დიდ როლს ასრულებს. პეიზაჟი არასდროს არ ყოფილა მანეს მთავარი სახრუნავი, პარიჟით, იგი დიდი პორტრეტისტი. საქმარისა მადამ გიომეს ფანქროთ ნახტი პორტრეტი ნახით ერნესტაქში, ან მანეს სკოლის შეგობრის ანტონენ პრუსტის ადრინდელი პორტრეტი მოსკოვში, რომ ამაში დარწმუნდეთ. სამწუხაროდ, საბჭოთა კავშირის მუხეუმებში ძალიან ცოტა მანეს სურათები. ზემოთაღსახელებულ პორტრეტებს ფადად, მოსკოვში „უკვანანა“ და ლიტერატურა „კომუნარების დახვრეტა“, ერმიტაჟში—ოფორტი „ქანა“ და „კორინს“ ილუსტრაციები.

ნიწო ნაკაშიძის „მოგონებები“

გამოჩნილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, მსოფლიო ქალი ნიწო ნაკაშიძე თავის მუტად საინტერესო მოგონებებს ასე იწყებს: „საბავშვო ყრნალ „ნაკადულის“ მესვეერებს ერთი აზრი და ერთი მისწრალეა ამოაჩყებდათ, — თავისი პატარა შყთხელების აღზრდა მოშავილი ცხოვრების გასაძგობესდად. ეს იღეა ასულდგმულედა და აძლევდა მათ დაუტბრომელ ცნარტყას, როგორითაც ისინი მუშაობდნენ ესოდენ უანგაროდ, ესოდენ ერთხულოვნად. იმათ ყოველთვის ახსოვდა და გარდაედალ ცნებად ჰქონდათ აღიარებული დიდი რუსი კრატკოსის ბესარიონ ბუღინსკის აზრი, რომ „წიგნი, რომელც იწყრება ბავშვებისათვის, უნდა ექიროს ბავშვთა აღზრდის საქმეში ერთი უშთავრესი და უღრესად საბატო ადგილი“. არ მახსოვს არც ერთი მოთბრბობა ან ლეკია, ამ მვენიერელი თუ პაპულარული წყრილი, რომ ამ თვალსაზრისით არ ყოფილიყოს გინჯილელი „ნაკადულის“ სარედაქციო კოლეგიის კრებაზე“.

„მოგონებების“ ავტორი იწყე დასძენს, რომ ის ამ წიგნში არ ილაპარაკებს „ნაკადული“ მოთხელებულ მასალების შინაარსზე, არამედ შეგარდება ყრნალის რედაქციაში მომუშავე პიროვნებზე და იმაზეც, თუ როგორ აღმოცენდა „ნაკადული“ და ვინ როგორ შეუწყო ხელი მის არსებობას.

გასაგებია თუ ავტორი რატომ ზერდება ასე გრცლად „ნაკადულის“ ერთერთ დამაარსებულსა და მის პირველ რედაქტორზე მარიამ დემურიაზე. პირველად ნიწო ნაკაშიძეს მარიამ დემურია თხოზიოიან წლბში გაუცენია ქ. თხურგეთში, როდესაც ნიწო ერთადესიან ქალთა სასწავლებელში სწავლობდა. ამის შემდეგ გადის წლები და ნიწო, მისი მველლე ილან ნაკაშიძესთან ერთად, პეტერბურგიდან ჩამოდის თბილისში 1895 წელს და ებრება საზოგადოებრივ საქმიანობაში. ამ დროს ის ხვდება მარიამ დემურიას, რომელიც საბავშვო ყრნალ „ნაკადული“ რედაქტორად იყო დანიშნული, მისი დაეინებებით მოთხოვნით ნიწო ნაკაშიძემაც დაიწყო ამ ყრნალში თანამშრომლობა.

„მოგონებების“ ღირსებას მარტო ის კი არ შეადგენს, რომ აქ ზეე ვეცნობით „ნაკადულის“ დარსების ისტორიას, ყრნალის დამაარსებლების ვინაობასა და საქმიანობას, ან იმას, თუ რატომ წარმოიშვა მეორე საბავშვო ყრნალის დარსების საქიროება, როცა უყე არსებობდა საქაილო პაპულარული საბავშვო ყრნალი „გუჯილი“, არამედ იმასაც, თუ რომელმა მწერალმა, როდის დაიწყო წყრა და პოლდექციით.

შემოდგა ფეხი ზეენს მწყრლობაში „ნაკადულის“ ფერცლებიდან.

„მიხედავად იმისა, — წყრს ნიწო ნაკაშიძე, — რომ მაშინ სხვა საქმეებით ვიყავი გატაცებული, მარიამმა დამინტერესა და დამწერიანა საბავშვო მოთბრბობა „დადგობრდნენ“, რომელიც დაიბედა დეკემბერში, მესამე ნოემბრში (მეორეწლოვანოთვის). 1905 წელს იანვრის ნომერში (მოზრდილთათვის) დაიბედა ზემი მეორე მოთბრბობა „საბავშვო საწყრები“, მას შემდეგ მე აღარ შემიწყვებია საბავშვო ყრნალბში თანამშრომლობა. თუ შემავციანდებოდა მასალის შიწოლება, მარიამი დაბეჯითებით მომავინებდა, რომ ბავშვებისათვის წყრა ყველა მწყრლის მოვალუობას შეადგენსო“.

და განა მარტო ნიწო ნაკაშიძის მიმართ იწყნდა შ. დემურია საზოგადოებრივი საქმიანდში ასეთ მომთხოველობას? არა. ეს შესანიშნავი მოღვაწე ქალი ასე ევეყოდა ყველას და აბამდა მათ ერთსა და ქვეყნის საყეთილდღეო საქმიანობაში.

ასეთ საინტერესო და ზეეი კულტურის ისტორიისათვის საჭირო საყეთებზე მიწილდელად მოვითხოზობს „მოგონებების“ ავტორი.

მართალია, ნიწო ნაკაშიძე „მოგონებების“ პირველსავე ვეერზე გვეუბნება, როგორც უყე მოგახსენეთ, „ნაკადულის“ რედაქციაში მომუშავე პირებზე შეეწერდებოთ, მაგრამ თუ ვისმეს კი აინტერესებს ზეეი საბავშვო მწყრლობის განვითარების გზები, ის ნიწო ნაკაშიძის „მოგონებებში“ ბეერს ისეთს ნახავს და გაეცნობა, რასაც დღემდე, ყოველ შემთხვევაში, ასე გრცლად და ასე ყოველმხრივად არ ვეცნობდით.

საქმე ეს კი არ არის, რომ მარტო ვიცილდეთ: აყავი, ა. გოგებაშვილი, ვევა, ს. მგალობლიშვილი, ე. გაბაშვილი, შ. მღვიმელი, ი. ევალაძე, გ. ქეჩიშვილი და სხვ. თანამშრომლობდნენ „ნაკადულში“, არამედ საყიროა იმის ცოდნაც, თუ როგორ ან როდის დაიწყეს მათ წყრა აღნიშნულ ყრნალში, რა პირობები გააჩნდათ, როგორ დამოყიდებულბაში იყვნენ რედაქტორთან, ან ერთიმეორესთან და ა. შ. ნიწო ნაკაშიძე ასეთ საყურადღეო საყეთებებს მრავალმხრივად აშუქებს, რომ ნათელი წარმოდგენა დავერჩეს საბავშვო ლიტერატურის აყეაგება-აღორძინებისათვის ზეეში ვინ რა როლი ითამაშა.

გარდა იმისა, ავტორი შეუფერადებლად, გადაუჭარბებლად, სიმართლის სიზუსტით დაციითი და აღიარებით გვაცნობს იმასაც, თუ ვინ რა დასმარებას უწყედა ყრნალის რედაქციას იმ დროში, ანდა რა დაბარკოლებები ხვდებოდა „ნაკადულის“ ნაყოფერი მუშაობით დაინტერესე-

ბელ პირებს, როგორ ებრძოდნენ ამ დაბრკოლებებს, რომ მიზანი მიღწეული ყოფილიყო და ჩვენს მოზარდ თაობას სასარგებლო კურსი მიეღო.

რა თქმა უნდა, ისეთი პირები, რომლებიც არ ზოგადდნენ შრომასა და ენერჯიას, მატერიალურ სასარგებლო და დროს, რომ ერთნაირ „ნაკადულს“ ყოველთვის დროულად და ხარისხოვნად გამოუყოფო, ნ. ნაკაშიძის ბლომად ჰყავს დასახლებული „მოგონებებში“ და უველა მათი დამსახურებისა და საქმიანობის მიხედვით დახასიათებულია.

ამ რას წერს ის ლუარსაბ ზოცაძის შესახებ: „მარამ დემურია ძალიან აფასებდა და პატარს ცემდა ლუარსაბს. „ნაკადულს“ ერთ-ერთი საუკეთესო მეგობარიყო, ამბობდა. შეშფევენი დატყუებულნი, რომ ეს სრული სიმართლე იყო. იმისდა მიუხედავად, რომ ფრთხილ საპასუხისმგებლო საქმეებით იყო დატვირთული, მასწავლებლობდა, ჭართელთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წევრი იყო, 1908 წლიდან ბეჭდავდა პედაგოგიურ ჟურნალს, — ამავე დროს ახერხებდა უახლოესი მონაწილეობა მიეღო ჟურნალ „ნაკადულის“ სარედაქციო მუშაობაში და მოეწოდებინა ჟურნალში დასაბეჭდად შესაფერისი მასალა.

ლუარსაბი იყო ნამდვილი რედაქტორი ამ სიტყვის სრულ გაგებით, რომელ მწერალს არ განუცდია შიში და მღელვარება, როდესაც პირველად მიაქვს მასალა რედაქტორთან. რა ძვირფასია ამ დროს მისთვის რედაქტორის აზრი და გამხსენება. ხშირად ამ პირველ მიღებაზეა დამოკიდებული მწერლის მომავალი ბედი და გამარჯვება. და აი ლუარსაბიც, როგორც ნამდვილი მგობარი და მირჩეველი, უველა ავტორის თანაგრძნობით ხედებოდა და მასთან ერთად გულობილად მსჯელობდა ყოველ დეტალზე. „ყველაფერი შეიძლება უთხრა ავტორს, — მხოლოდ საქმე ისაა, როგორ ეტყვიო“, — ამბობდა ლუარსაბი“.

ნ. ნაკაშიძე „მოგონებებში“ ძირითადად „ნაკადულს“ ეხება, მაგრამ ის ბევრს საინტერესო ცნობებს იძლევა აგრეთვე სხვა საბავშვო ჟურნალების „ნობათისა“ და „ჯეჯილის“ შესახებაც.

„მოგონებების“ ავტორი ვაღმონკვემს თუ ვინ იყვნენ ჟურნალის სარედაქციო კოლეჯის წევრები და მანინ, როცა მან რედაქტორობა მიიღო ანდა ეან ითვლებოდა „ნაკადულის“ უახლოეს თანამშრომლად.

კარგად აქვს აწერილი „მოგონებებში“ ავტორს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრის მალაზიაში წიგნების გამოცემულ პოეტ შიო მღვიმელისა და წიგნების საყიდლად იქ კრთამულით შესული ბავშვების კითხვა-პასუხები. და განა მარტო ეს აღვილია დაწერილი წარმტყდელ და მიმზიდველად? არა, ასეთ საინტერესოსა და საყურადღებოს ბევრს შეგვცდება მკითხველი „მოგონებებში“. განა ვა-

ვაღმონკვემსა და მისი შებნის ბაჩინისა და თედო რაზიკაშვილის „ნაკადულში“ თანამშრომლობის ამბების აწერა ისე მშვენივრად, რაგორც ეს ნინო ნაკაშიძის ვაუკეთებია, არაა საინტერესო და დასამახსოვრებელი?

„მოგონებებში“ ავტორი საგრძნობლად უთმობს ადგილს იმას, თუ როგორი გულისფრთხილ პეპრობოდნენ ცნობილი და გამოჩინილი მწერლები დამწვებ მწერლებს, როგორ მეგობრობდნენ ერთმეორესთან და ა. შ.

თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მეგრძობილი პოეტ, ნატარჯი და ნაციმბირალი იროდიონ ევლოშვილი ერკლადაა წარმოდგენილი, როგორც „ნაკადულის“ მუდმივი და განუწყვეტი თანამშრომელი.

შეგველო კიდევ ბევრი რამ გვეთქვა იმ ცნობების შესახებ, რაც ჩვენი სასახელო მწერლების ცხოვრება-საქმიანობას ასახავს წიგნში ნინო ნაკაშიძე, მაგრამ ერთი რამ კი უნდა ითქვას: არ არის არც ერთი მწერალი ან საზოგადო მოღვაწე, დიდი ან პატარა, რომელსაც რაიმე კავშირი ჰქონდა ჟურნალ „ნაკადულთან“ და მათ არ შეგებოდეს ნინო ნაკაშიძე ამ „მოგონებებში“.

მიუღვამოვი ავტორი მარტო იმას კი არ გვაცინებს მხატვრული სიტუაციის ოსტატები, დიდები თუ ახალგაზრდები, რას ბეჭდავდნენ „ნაკადულში“, არამედ იმასაც თუ როგორ ამუშევბდა ჟურნალი მეცნიერულ თემებზე, ბავშვებისათვის განსაკუთრებით ენათმეცნიერებაზე: „1915 წლიდან, — წერს ნინო ნაკაშიძე, — ისეც დაიწყო ჩვენი ჟურნალში თანამშრომლობა ფლორის ისეთმა მეოღნემ, როგორც იყო ილია აღზანიშვილი. ილია ათავსებდა მხატვრულ ნარკვევებს საერთო სათაროთ „მცენარე და აღამიანი“. 1915 წელს მეგრული რეპრეზენტაციის მონათვისა წერილი პირველი „სასარგებლო მცენარეები“, გრიგოლ ორბელიანის ლექსიდან აღიღებული შემდეგი ეპიგრაფით: „სხვა საქართველო სად არის, რომელი კეთილ ქვეყნისა“. ილია აღზანიშვილის კოლმს ეკუთვნის ბევრი საუკეთესო ნარკვევი მცენარეების, განსაკუთრებით ჩვენებური მცენარეების შესახებ და, რამდენადაც ვიცი, ეს წერილები ჯერ არ არის შეკრებილი და ცალკე წიგნად გამოცემული, რაც, ჩემი აზრით, დიდად სასარგებლო იქნებოდა“.

ნინო ნაკაშიძე, აღწერს სა „ნაკადულის“ ვარშემო თავმოყრილ თანამშრომელთა საქმიანობას, თავდადებულ მოღვაწეობას, თბილი სიტყვებით ახასიათებს მწერლებთან და პოეტებთან ერთად მხატვრებს, ასოთამწყობებს და სხვადასხვა სახის ტექნიკურ მუშაეებსაც კი.

„მოგონებები“, რომლის რედაქტორია გ. ნატარჯი, კარგი წიგნია და ამიტომაც, რომ ჩვენი საზოგადოებრიობა დიდი ინტერესით შეხვდა ამ წიგნის გამოცემას.

წიგნი ირაკლი აბაშიძის კომუნიზმზე



ვლადიმერ ჯიბუტი ნაყოფიერად შემოაბის ქართული საბავშვო მწერლობის საკითხებზე. ამ მხრივ საყურადღებო იყო მისი „ქართული საბავშვო მწერლები“. თავის ახალ წიგნში ვლ. ჯიბუტი მიზნად ისახავს მკითხველებს ვაიკონის ქართული საბჭოთა პოეზიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის ირაკლი აბაშიძის შემოქმედებითი მიოგრაფია, მოგვცეს მისი შემოქმედების იდეურ — მხატვრული ანალიზი.

ვლ. ჯიბუტი კარგად ახერხებს მცირე მოცულობის წიგნში ირაკლი აბაშიძის პოეტური შემოქმედების განხილვას კონკრეტული ხასიათი მისცეს, ყოველი დასკვნა გააკეთოს კონკრეტულ მაგალითის საფუძველზე. ვლ. ჯიბუტი სწორად გვიჩვენებს ირაკლი აბაშიძის პოეზიის ძირითად მხარეებს: „ყოველ პოეტურ ნაწარმოებს აფასებს იმის მიხედვით, თუ რა იდეური და ემოციური ზემოქმედების ძალა გააჩნია მას; და ეს საესებთ სწორია; როგორც მნიშვნელობა აქ უნდა მიეცეთ იმას, თუ რამდენად აქმაყოფილებს პოეტური ნაწარმოები ეპროსის მოთხოვნას, ძირითადი ღირსება მიიწე იდეურ-ემოციური ზემოქმედების ძალაში მდგომარეობს. ეს თვისება ახასიათებს ირაკლი აბაშიძის ლექსებს, და სწორედ ამიტომ, რომ ისინი იზიდავენ მკითხველებს, ღრმად იჭრებიან საბჭოთა ადამიანთა სულერ სამყაროში. ამის სანიშნო მაგალითს „კაბიტანი ბუხაიძე“ იძლევა. ვლ. ჯიბუტი ამ ლექსთან ერთად განიხილავს სამამულო ომის თემაზე შექმნილ სხვა ლექსებსაც, როგორცაა „ლურსმანაშვილის გმირობა“, „ქართველზე, ვაჟთა მტერი“, „სამშობლო იფის წვენი დიდება“, და მკითხველს უქმნის ნათელ წარმოდგენას იმაზე, თუ როგორ გამოეხმაურა ირაკლი აბაშიძე წვენი ხალხის ცხოვრებაში მომხდარი ამ დიდი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენას.

ი. აბაშიძე თავისი პოეზიით მშრომელი ხალხის მხარდამხარ დგას. იგი ცხოვრობს ხალხის ცხოვრებით, იცნობს ხალხის მისწრაფებებს, მას გულსთქმის; ამიტომ, რომ მისი პოეზიის ცენტრში აღიმატება, რომ იგი ცოცხლად გვიხატავს წვენი მოწინავე ადამიანების პორტრეტებს. ვლ. ჯიბუტი სწორად მიუთითებს ირაკლი აბაშიძის პოეზიის ამ არსებით მხარეზე: „...მის ლექსებშია ყოველთვის პირველ პლანზე აღიმატნი დგას, აღიმატნი შემოქმედებითი შრომაში“ (გვ. 28 — 29). თუ რამდენად ღრმად გაიჭრებოდა საბჭოთა ადამიანი, მისი შინაგანი სამყარო, ნათლად გვიჩვენებს ლექსების ციკლი „სიმღერა მკის ღრის“.

ვლ. ჯიბუტი. ირაკლი აბაშიძე. საბლიტვაში. 1956.

ლექსები „გმირები“, „შეიქმენ გმირი“ და სხვ. ვლ. ჯიბუტი განიხილავს ირაკლი აბაშიძის პოეზიის თემატიკას და ედილობს თანაბარ სიძლიერით ვაშუქოს მისი ძირითადი მოტივები.

წიგნზე ვახსნალია ირაკლი აბაშიძის პოეზიის ინტერნაციონალური ხასიათი, ნაჩვენებია, რომ იგი ხალხთა მეგობრობის შთაგონებელი მშობლიურია. უკრაინელი და ქართული ხალხების უმეტესი მეგობრობა და მშური სიყვარულია გამოხატული ლექსების ციკლში „პეკაეის გურიი“, ხალხთა მეგობრობის თემაზე შექმნილი ლექსები „უკრაინაში“, „უზბეკეთში“ და სხვ.

ირაკლი აბაშიძე ბავშვების საყვარელი პოეტი. მის კალამს ეცუთენის მრავალი საბავშვო ლექსი, პოემა, რომლებშიც ადვილად მისაწვდომ პოეტურ ფორმად ისახულია საბჭოთა ბავშვების ფიქრები და მისწრაფებანი, სურვილები და იქნება. ამ ნაწარმოებთა მთავარ მიზანს ბავშვების შემეცნებით — ესთეტიკური აღზრდა წარმოადგენს. ვლ. ჯიბუტი თავისი წიგნის მნიშვნელოვან ნაწილს საბავშვო ნაწარმოებთა განხილვას უთმობს. იგი ეხება ლექსების ციკლს „შეიქმენ წიგნით ყოველი ფრინველი და ცხოველი“ და პოემას „რას გადღერა თბილისი“.

ლექსების ციკლი „შეიქმენ წიგნით ყოველი ფრინველი და ცხოველი“ მნიშვნელოვან როლს თამაშობს გენის ქართულ საბავშვო ლიტერატურაში. მგერამ გვიჩვენა ერთი შენიშვნა გააკეთოთ. ვლ. ჯიბუტი წერს: ფრინველებისა და ცხოველების ცხოვრების ამსახველი ნაწარმოებებით საბავშვო ლიტერატურა მდიდარია. „მგერამ ამ თემაზე დაწერილ მხატვრულ ნაწარმოებებში მეცნიერული სიზუსტე ხშირად არ არის დადებული, ცხოველით თვისებები ზოგადად არის აღწერილი. იქ გარეგნულ ეფექტს უფრო ექცევა ურთაღებება, ვიდრე მოვლენის სწორი მეცნიერულ ასახვას“ (გვ. 41). ასეთი ზოგადი მსჯელობა მკითხველს საკითხზე გარკვეულ წარმოდგენას ვერ აძლევს. ამ დებულების დასასაბუთებლად კონკრეტული ფაქტები უნდა ყოფილიყო გამოყენებული. ეს მით უფრო საქმის იყო, რადგან ეტერი პარალელს ავლენს, ამ ნაწარმოებთაგან გამოყოფს ირაკლი აბაშიძის ციკლს „შეიქმენ წიგნით ყოველი ფრინველი და ცხოველი“ და მიაკუთვნებს იმ პარალელს რადგან, რომლებშიც ფანტაზია მეცნიერულ კუშმარტებას ეყრდნობა. რაც უფრო კონკრეტული ხასიათი ექნებოდა წიგნის ამ მონაკვეთში ეტერის მსჯელობას, მკითხველი მით უფრო დამოკლებულად ათვისებდა იმ პარალელს აბსურს.

წიგნში ურთაღებების გარეშე არ არის დატოვებული მხატვრული ობიექტობის საკითხები. ეტერის არა იქნეს შესაძლებლობა ცალკე განიხილოს ირაკლი აბაშიძის პოეტური სტალის თანხებურებანი. ეს გარემოება თავის გაყენებას აბ-

დენს წიგნზე. მიუხედავად ამისა, შკოტხველს ამ მხრივაც არ შეუძლია საყვედური გამოთქვას. ვლ. ჯიბუტი ასერბებს გვიწვევოს ირავლა აბაშიძის პოეტური ტექნიკის ზოგიერთი მხარე, ის პოეტური ზერბები და საშუალებანი, რომელთაც იყენებს ირავლა აბაშიძე თავის შემოქმედებაში. ვლ. ჯიბუტის აზრით, ისეთი ლექსიც კი, როგორიცაა „ზე და ქარი“ კარგად ამჟღავნებს ავტორის მხატვრულ ტექნიკას, კერძოდ, პოეტური თხრობის იშვიათ უნარს. ვლ. ჯიბუტი წერს: „ი. აბაშიძის პოეზიის თავისებურება ის არის, რომ ლირიკულ ლექსებში მას იმავე ღრის თხრობითი ელემენტიც შეაქვს...“ (გვ. 7).

ლექსები „აბიტანი ბუხიძე“, „რედაქტორი ინვალი“, „წულუკიძის საცდელი“ „ეფემის ბლანტაიები“, „საქართველოს კომპარტი“ და სხვა ამ დებულებას დამადასტურებელი ნათელი მაგალითები.

ვლ. ჯიბუტის წიგნი „ირავლი აბაშიძე“ საკურო და სასარგებლოა ჩვენი ახალგაზრდა შკოტხველუბისათვის. თანამედროვე ქართველი მწერლების პოეტლარიზაციის თვალსაზრისით კარგი იქნება, თუ „საბლიტგამი“ ასეთი ხასიათის წიგნებს ბიბლიოთეკის შექმნის.

6. კუპრაძე

საყურადღებო წიგნები მხატვრული ნაწარმოების ენისა და სტილის საკითხებზე

ზრბაბ ტუმბურიძის წიგნი „ქართული სალიტერატურო ენისა და სტილის საკითხები“ იმ მხრეზეა საინტერესო, რომ იგი კონკრეტული მასალის საფუძველზე ადენს მხატვრული ნაწარმოების ენისა და სტილის თავისებურებებს. ავტორი საესებო სწორად უსვამს ხაზს ენის ესთეტიკურ როლს, მის ექსპრესიულ ფუნქციის მხატვრულ ნაწარმოებში (გვ. 15).

არკვევს რა სალიტერატურო ენის ხალხურობის პრობლემას, ზ. ტუმბურიძე მის მიდიარსაუნჯეს მყარ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში ზედეს. იგი სწორად შენიშნავს: „მყარ ფრაზეოლოგიურ მონაცემებში დალექილია ენის შინაგანი ბუნების განსაკუთრებული თავისებურებანი, მათი საშუალებით იქმნება ენობრივი კოლორიტი“ (გვ. 55). მყარ ფრაზეოლოგიური ერთეულები, იდიომატური გამოთქმები ხალხის მეტყველებითი პრაქტიკის ხანგრძლივი ისტორიის შედეგად მიღებულ ენობრივ ფორმებს წარმოადგენენ; მათში დაუნჯებული საბოთა მოცემული აღმანიანების კოლექტიური სიბრძნე, მათი კითხილშიაილური ფიჭრები და მისწრაფებანი. ამიტომ მათი ცალკე და ისტატურად გამოყენები მწერლის ენას ხალხურობის ელფერსაც აძლევს და მხატვრულ ინდივიდუალობასაც ანიჭებს. ამასთან დაკავშირებით უთუოდ გასანიარებელია წიგნში გამოთქმული მოსაზრება: „აქვე ხაზი უნდა გავსეს ამ ემოციურ იერს, ექსპრესიულობას, რაც იდიომატურ გამოთქმათა უბეტესობას ახასიათებს. ამას კი, როგორც ენობილია, განსაკუთრებულ მნიშვნელობა აქვს მხატვრულ სტილისათვის. იდიომი, ჩვეულებრივ, რომელიმე სიტყვის ან გამოთქმის სინონიმი, მაგრამ სინონიმთა შეცვლისას აღარ გვრნება ის ექსპრესია და მკაფიო სტილისტაქური სახე, რასაც აძლევს მუტაველებას იდიომების ხმარება“ (გვ. 55).

საინტერესო საკითხს ეხება ავტორი ნარკვევში

„სალიტერატურო ენა და პერსონაეთა მეტყველება“. მწერალი სალიტერატურო ენას უნდა ემყარებოდეს, მაგრამ პერსონაეთა ხასიათის გადმოსაცემად ზოგჯერ საკურო ზდება დიალექტიზმების გამოყენებაც. როგორც სარეცენზიო წიგნში აღნიშნული, პერსონაეთის მეტყველების გადმოცემისას ენობრივი ნატურალიზმი დსაგმობია. ავტორი დიალექტიზმის გამოყენებას აქისრებს სტილისტურ ფუნქციას, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია მოქმედი პირის ინდივიდუალზეული საბოთ წარმოადგენა. ბუნებრივია, რომ პიროვნების ხასიათის გახსნისათვის გარკვეული დიალექტის ყველა მასაცემი არ გამოდგება. ამ მიზნით მწერალმა ისეთი გამოთქმები უნდა შეარჩოს, რომლებშიც შეცვრევებული საბოთ იქნება გადმოცემული ხალხის მრავალსაუკუნოვანი გამოდილება. ამგვარ ფრაზეოლოგიაში ნათლად გამოანდება პერსონაეთის ხასიათის ტიპური ნიშნები. ამ საბის გამოთქმები გარკვეული დიალექტის იმ ბირთვს წარმოადგენს, რომელსაც სალიტერატურო ენა ემყარება როგორც თავის გამაზღვრებელ და გამანაყოფიერებელ ანკანა წყაროს. პერსონაეთის საბის კოლორიტის დაცვის მიზნით მწერალი ზოგჯერ ისეთ დიალექტურ გამოთქმებსაც მიმართავს, რომლებიც ნიშნდომბოივია მხოლოდ ცალკეული აღმანიანათვის. მისი მეტყველება მკოთხველს შესაძლებლობას აძლევს კონკრეტულად წარმოისახოს მთქმლის ბუნება და ფსიქოლოგია. მიგვარ ისიც ცხადია, რომ მოქმედი პირის ლექსიაც არ უნდა იყოს გადაჭვრითული დიალექტისათვის დამახასიათებელი ყველა ენობრივი დეტალით, რადგან ამგვარი „სტილი“ პერსონაეთს საესებოთ დაუკარგავდა ინდივიდუალობას. ამდენად საესებო სწორია ავტორი, რომელიც პერსონაეთის მეტყველებაში არალიტერატურული ენობრივი ელემენტების ზედობითი წილის შეზღუდვას აუცილებელ საკუროებად თვლის.

ქართული ლიტერატურათმცოდნეობის წინსვლის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მწერლის მხატვრული ენის კონკრეტული ანალიზი. მხოლოდ და მხოლოდ ამ გზით შეგვიძლია მივიღოთ ფართო თეორიულ განზოგადებებამდე. მწერლის ენას ჩვენში სწავლობდნენ ენათმეცნიერული თვალსაზრისით. ამ მხრივ ბევრი რამ ვაკეთდა და ამჟამადაც კეთდება. მაგრამ შემოქმედის მხატვრული შეტყველების სპეციფიკის გამოვლენისათვის მწერლის ენას ამ ასპექტით გაშუქებას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. მწერლის ენის თავისებურებაში ჩანს თვით შემოქმედის ინდივიდუალობა და, ამდენად, მხატვრული შეტყვევების პრობლემა ლიტერატურათმცოდნეობის სფეროს განეკუთვნება. აქ კვ. საანალიზო კრიტერიუმად ენათმეცნიერული თვალსაზრისით არ გამოვადგება; საკუთარი საზოგადოებისაა მწერლის მხატვრული ენის სპეციფიკის გარკვევა გულისხმობს იმის აღნიშვნას, თუ რა ესთეტიკური, სტილისტური, ექსპრესიული ფუნქცია აქვს იმის შემოქმედებას და პერსონაჟის სიტყვას, გამოთქმებს, თხრობის მანერას, რამდენად მართებულად და მოზღუნდელად ისინი გამოყენებული ნაწარმოების თემის გაშუქებისა და იდეის გამოვლენისათვის, მხატვრული ოსტატობის სრულყოფისათვის, აღმაშთა ხასიათის, განწყობილებისა და მისწრაფებათა გამოვლენისათვის. ამ თვალსაზრისით მხატვრული ნაწარმოების ენის კონკრეტული ანალიზი უფრო კიდევ ახალი საქმეა და ამ მხრივ გარკვეული მნიშვნელობისაა ზ. კუმბურდის ნარკვევები: „ენობრივი კოლორიტი ისტორიულ რომანში კ. გამსახურდიას რომანების მიხედვით“ და „არსენა მარაბდელს“ ენობრივ-სტილისტიკური ეტიუდი“. პირველ ნარკვევში ავტორი საგანგებოდ განიხილავს კ. გამსახურდიას ისტორიული რომანების თავისებურებას არქაული ლექსიკის გამოყენების მხრივ, მიუთითებს მის ენობრივ კოლორიტზე, სიხარულესა და ესთეტიკურ ძალაზე; ამავე დროს მწერალს შენიშნავს არქაულ ფორმათა უარბად ხმარების შესახებაც. ისტორიული რომანის ენობრივ კოლორიტს მხოლოდ ლექსია არ ქმნის. გარკვეული მნიშვნელობა აქვს პოეტოლოგიურ სიშუალებებსაც, რომელთა მწერალი იყენებს სიტყვის გამსახურდიულად. ნარკვევში კონკრეტულად აღნიშნული, თუ როგორ ახერხებს კ. გამსახურდია ეპოქის ენობრივი კოლორიტის დაცვას ძველი ქართული-საოჯიბის დამახასიათებელი საბელო ბრუნებისა და მრავლობითი რიცხვის ნიშნების გამოყენებით. სწორად შენიშნავს რა იმის შესახებ, რომ კ. გამსახურდიას სტილის სიმჭიმის ცენტრს სინტაქსი ქმნის, ავტორი უფროდებს ამხელებს მწერლის მიერ წინადადების აგების თავისებურებებზე.

მწერლის ენის კონკრეტული ანალიზის ცდას წარმოადგენს ნარკვევი შ. ჯგავახიშვილის „არსენა მარაბდელს“ ენისა და სტილის შესახებ. მდი-

დარი ფაქტობრივი მასალის საფუძველზე ზ. კუმბურდიამ ნათელყოფს ამ მნიშვნელოვან რომანის ენობრივ-სტილისტიკურ-ფორმულურ-ბუნების (მოქმედების დინამიკა, მთაბრძოლი ამბისადაც მწერლის ობიექტური პოეტიკა, პერსონაჟთა ენობრივი კოლორიტის დაცვა, მდიდარი სინთაქსიკა...). მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ორი უცნაურული ნარკვევი ძალიან გადამტვირთულია საკმაოდ გრძელი ციტატებით. თანაც, წამოყენებული დებულების საილუსტრაციოდ ციტატებული ადგილები უმეტეს შემთხვევაში გაანალიზების გარეშე წარმოდგენილი. ამას ისიც უნდა დავსძინოთ, რომ კ. გამსახურდიას ისტორიული რომანებისა და შ. ჯგავახიშვილის „არსენა მარაბდელს“ ენობრივ-სტილისტიკური ანალიზი, მიუხედავად ავტორის საფუძველიანი დავიერებებისა, არ შეიძლება, თუნდაც ძირითად მომენტებში, ამოწურულად მივიჩნიოთ.

სადევიო ავტორის მოსაზრება სალიტერატურო ენაში ზოგიერთი სიტყვის ამა თუ იმ ფორმით დამკვიდრების საკითხთან დაკავშირებით. ასე, მაგალითად, ეგება რა ავ და ამ სუფიქსთან ფორმებს, „სთქავს“ სიტყვაზე დამყარებით ავტორს შესაძლებლად მიიჩნია, რომ ავ სუფიქსი „საბოლოოდ იმ ათიოდე ზმანშიც გავრცელდეს, სადაც ამ სუფიქსია“ (გვ. 65). მაგრამ არ იქნებოდა სწორი, ერთი ზმნის ბედის მიხედვით ათის შესახებ გვესაჯელა. მით უმეტეს, წარმოუდგენელია, რომ ნაცვლად ფორმებისა: სავამს, იცვამს, ირტყამს, აბამს, აღიჭვამს, წარმოთქვამს, — ქართულმა სალიტერატურო ენამ შეიწყნაროს — სავამს, იცვამს, ირტყამს, აბამს, აღიჭვამს, წარმოთქვამს...

უფრო დაეთანხმებით ავტორს ვერც იმაში, რომ ავ-ამიან წარმოების პარალელურად I თორმეობითში ვიხმარათ ია-თი ნაწარმოები ფორმები (ენახია, დაუღებია, შეუღებია, უთქვია, დაუხვია). ამგვარი პარალელიზმების არსებობა აპირებულია ქართულ სალიტერატურო შეტყვევების და თვითღიწების გზით წარმატაფლად მართებული ფორმების დანერგვის საქმეს. მართალია, ენა თავიანთ შინაგანი კანონების მიხედვით ვითარდება, მაგრამ ეს არ გამოორიქხავს სამეცნიერო დაწესებულებათა კონტროლის სალიტერატურო შეტყვევებაში მართებული ფორმათა დამკვიდრების მიზნით.

როგორც ვხედავთ ზ. კუმბურდის ნაწარმოი მწერლის ენის მხოლოდ ზოგიერთ პრობლემას აწვევს; მიუხედავად ამისა, მას გარკვეული მნიშვნელობა აქვს მხატვრული ნაწარმოების ენისა და სტილის მეცნიერული თვალსაზრისით დამუშავების საქმეში. სარეკენზიო წიგნში წარმოადგენილი ნარკვევები ამდღენებს ავტორის უნარსა და მეცნიერულ კეთილსინდისიერებას აღმართულ საკითხების საფუძვლიანად გაშუქების მხრივ.

შალვა ლლორძი.

ახალი წიგნები

სახელმწიფო გამომცემლობა



- ა. დარბაზელიძე — მარქსისტულ-ლენინური იდეების როლი საზოგადოების განვითარებაში. რედ. ნ. კუპრაძე. გვ. 116, ფასი 2 მან. 70 კაპ.
- ბ. კალანდია — კრიტიკა და თეოკრიტიკა საბჭოთა საზოგადოების განვითარების მამოძრავებელი ძალაა. რედ. შ. კორძაძე. გვ. 184, ფასი 3 მან.
- გ. ვოგოლი — რჩეული ნაწერები. ტომი 2. თარგმ. დ. კასრაძისა. რედ. ვ. ზომბარია. გვ. 354, ფასი 6 მან. 50 კაპ.
- ოსური პროზის ანთოლოგია — შემდგენლები ვ. ძადთიათი, ვ. ძუგათი. გამ. რედაქტორები ვ. ზუბიაშვილი, რ. ორჯონიძე. გვ. 388, ფასი 17 მან. 40 კაპ.
- მიხეილ გოგიაშვილი — მკერძალი და სატირიკოსი, რედ. ბ. მირცხულავა, გვ. 218, ფასი 5 მან. 90 კაპ.
- მიხეილ კვეციელაძე — აღამ მიცყევიჩი (ეხოგრება და შემოქმედება) რედ. ო. ჯინორია, გვ. 334, ფასი 10 მან.
- ზ. საველიანი — შეთქმულება რეპციის იარაღია. რედ. ა. ნინიძე, გვ. 52, ფასი 50 კაპ.
- ვ. დონაძე — იმპერიალიზმის კოლონიურა სისტემა და მისი დაშლა. რედ. შ. კორძაძე, გვ. 206, ფასი 3 მან. 70 კაპ.
- გ. გვიშანი — შრომის მოწინავე მეთოდების დანერგვა სამრეწველო საწარმოებში. რედ. შ. კახანიძე, გვ. 76, ფასი 85 კაპ.
- ხ. ერქომაიშვილი — საცვების გეგმა. რედ. პ. ტლენტი, გვ. 76, ფასი 1 მან. 20 კაპ.

საბავთა მწერალი

- ხიმონ გუგუნივა — თამარაი. პ/შ. გამოშვებისათვის ან. თეგაძე. გვ. 166, ფასი 4 მან.
- ლევან ვოთა — კრწანისის სველა. რედ. ვრ. ზიჭოვანი, გვ. 232, ფასი 6 მან.
- იაკინთე ლისაშვილი — ეცხვეელი. რედ. ი. აბაშიძე. გვ. 510, ფასი 10 მან. 50 კაპ.
- კოსტა ზეთაკაი (ზეთაგუროვი) — ლექსები და პოემები. რედ. ა. მირცხულავა, გვ. 144, ფასი 5 მან.

საბავთა მწერალი

- აკაკი წერეთელი — ვაშლი და შაქარა, რედ. ვალ. ძიძიგური, გვ. 14, ფასი 1 მან. 50 კაპ.
- ფერაინული ზღაპრები — თარგმანი ვალენტინა ხაზალიასი, რედ. კ. ჭურუკაშვილი, გვ. 58, ფასი 3 მან.
- ხირშული ზღაპრები — თარგმანი გ. ვ. ცვანიასი, რედ. ვ. კელიძე, გვ. 20, ფასი 1 მან. 60 კაპ.



ფანდი 8 ა.

763



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„**მნათობი**“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ